ՍՈՎԵՏԱԿԱՆ

8

644
1964/5



ԱԳՈՍՏՈՍ 1964

ვ. ი. ლენინი 1917 წელს

მხატვარი ს. კირაკოზოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

9740

შინაარსი

პოეზია

გივი გეგეჭკორი — სინათლის წრეში. პოემა 15

მედეა კახიძე — ოთხი ლექსი თამუნიას 28

ერიან მირნელი — სიყვარული. ლექსი 54

გაბრიელ ჯაბუშანური — ლექსები 56

უილიამ შექსპირი — სონეტები 74

ლექსანდრ პუშკინი — რუსლანი და ლუდმილა. პოემა 86

პროზა

სულხან ქეთელაური — ზღაპარი სინამდვილედ იქცევა. ნარკვევი 3

აგუა ამირეჯიბი — გიორგა ზაქაიძე. ძველი ბალადა 22

გივი გოგიჩაიშვილი — გაზაფხულიდან გაზაფხულამდე. რომანი 31

[illegible]ი გეწაძე — ორი დღე. მოთხრობა 58

8

აგვისტო

1964

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ც. კ-სა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული კრიტიკა

ემზარ კვიტაიშვილი — წლების სამახსოვროდ 100
დიმიტრი ჟუმსიშვილი — ერთი კოვზი კუპრი 106
ანდრო მირიანაშვილი — პაოლო იაშვილი 109
შალვა რადიანი — პოეტი და მებრძოლი 118

პუბლიცისტიკა

ოთარ ტურაბელიძე — „ორმოცდათიანელთა“ სექტის იდეოლოგიის რეაქციული არსი 123

მეცნიერება და ტექნიკა

როინ მეტრეველი — დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმის ზოგიერთი საკითხი 129
გიორგი პაიჭაძე — ვახტანგ VI პოლიტიკური მოღვაწეობა 1725 — 1737 წლებში 141

ყოველი მხრიდან 155

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:
გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციცეშვილი, ვლადიმერ ჭავჭანიძე, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ჟურნალი გაიფორმა მხატვარმა ტიტე შეყილაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვანი 50-ეული

სულხან ქეთელაური

ზღაპარი სინამდვილედ იქცევა

ნარკვევი

დაახლოებით ამ ოციოდე წლის წინათ ბოდბისხეველმა თედო დარჩიაშვილმა სოფელში უცნაურ ამბავს მოჰკრა ყური: თბილისის მახლობლად ახალი ქალაქი უნდა აშენდესო.

— რაო, რაო, სადაო? — იკითხა თედომ.

— თბილისის ქვევით, მტკვრის დაყოლებაზე, ძველად დიდი ქალაქი ყოფილა, მას რუსთავი რქმევია. იგი შაჰაბაზს თუ რომელიღაც სხვა დამპყრობელს მიწასთან გაუსწორებია. მოსახლეობა აუყრია და შორეულ ირანში გადაუსახლებია. მერე უკაცოდ დარჩენილ ნაქალაქარზე ნაყორალებიც გამქრალა და შიშველი, უკაცრიელი მინდორი დარჩენილა. ახლა ის ქალაქი უნდა აღსდგეს სწორედ იქ, იმ ადგილზე, სადაც წინათ ყოფილა და სახელიც ისევ რუსთავი უნდა დაერქვას, ხოლო ქალაქში დიდი ფოლადსადნობი ქარხანა უნდა აშენდესო.

— როგორ! ყველაფერი თავიდან უნდა გაკეთდეს, ქუჩებიც, სახლებიც? — კვლავ იკითხა თედომ.

— დიახ, ყველაფერი, სახლებიც და ქუჩებიც. აი ისე, როგორც თბილისშია, ოღონდ ქუჩები უფრო ფართო და სწორი იქნება. ლამაზი ხეივნებით დაჩრდილული. თვითონ ქალაქიც თბილისზე ბევრად პატარა არ უნდა იყოსო.

— ეჰ! — თავი გაიქნია თედომ,—მაშ, ეგ მართალი იქნება?

— მართალია, მა რა, — ამტკიცებდნენ კოლექტივის კანტორასთან თავმოყრილი სოფლელები, — გაზეთში ყოფილა და აბა, ტყუილად დასწერდნენ?

თედომ არ დაიჯერა, მაგრამ მეზობლებს აღარ შეედავა, უსიტყვოდ გაბრუნდა და შინისაკენ მიმავალ ორღობეს გაჰყვა. ომი იყო. ჯერ კიდევ დაზუოდნენ მტრის თვითმფრინავები და ზარბაზნების შორეული ყრუ ბათქიც

ისმოდა. ვის ეცალა ასეთ დროს ახალი ქალაქებისა და ქარხნებისათვის. თუ დრო დადგებოდა, გასაკეთებელი ისედაც არ აკლდა ხალხს, მთელი ქვეყანა, ქალაქებიც და სოფლებიც ნაცარტუტად იყო ქცეული. ყველაფერ ამას ხომ ხელახალი აშენება, მოწყობა და გაკეთება უნდოდა. ეგეც არ იყოს, — ფიქრობდა გზადმიმავალი თედო, — ქალაქი საქთამე ხომ არ არის, ერთი ხელის გაკვრით ააშენო და გადახურო, ისიც თბილისისტოლა ქალაქი! ეე, რამდენი რამე უნდა! აი, ჩვენი სიღნაღი, აბა რა არი, ერთი მუჭაა და თურმე ორი ათასი წელი კია, რაც ქალაქად იხსენიება და ჯერაც სრულად არ აშენებულა. ეჰ, რას არ იტყვის ხალხი! ზღაპარია, ტყუილია, ჭორაა!

მაგრამ თედოს ეჭვს არავინ იზიარებდა. სადაც გაივლიდა, ყველას ახალი ქალაქის მშენებლობა ეკერა პირზე. ზოგიერთები იმასაც კი ამტკიცებდნენ, უკვე შესდგომიან მუშაობას, საძირკვლებს სჭრიანო. ხალხს, და განსაკუთრებით ჯარიდან დაბრუნებულ ახალგაზრდობას, უფრო ის ახარებდა, ჩვენი, ქართული ფოლადი გვექნებაო.

თედოს არც ეს სჯეროდა. ფოლადი ამათ ხიწიწი ხომ არა ჰგონიათ, თანგირა ქვაში გამოადნო, — ამბობდა თავისთვის, — შეიძლება როდესმე მართლაც გაკეთდეს ასეთი რამ, მაგრამ ასე სახელდახელოდ. როგორც ესენი ამბობენ, სამ-ოთხ წელიწადშიო, — ჰაღარა თავს მოიფხანდა თედო, — არა, ტყუილია, ზღაპარია, ჭორაა!

ასე მსჯელობდა თავის გულში ბოდბისხვეული თედო და ამიტომაც არც დიდი გულისყურით ეკიდებოდა ამ მითქმა-მოთქმას. მაგრამ იმასაც კარგად ხედავდა, რომ ეს დარხეული ხმა, თედოს მიერ ზღაპრად და სადედაკაცო ჭორად მონათლული, არ ცხრებოდა. პირიქით, თითქოს თედოს ჯიბრზე, სულ უფრო იზრდებოდა, ფართოვდებოდა და დღითიდღე ახალ-ახალი სარწმუნო ამბებით მდიდრდებოდა.

— ეე! ე ხალხი მგონი აღარ ხუმრობს, განა, — ამბობდა თედო. და ეჭვი თანდათან უქრებოდა, ხოლო მის ადგილს გულში დაძაბული ცნობისმოყვარეობა იჭერდა. თედოს ტანჯავდა ეს ცნობისმოყვარეობა, მოსცენებას უკარგავდა. აღარ იცოდა, რა ექნა — ხალხის მითქმა-მოთქმა ერწმუნა, თუ საკუთარ გულისხმას აჰყოლოდა. ბოლოს გადაწყვიტა — მოდი, წავალ და ჩემი თვალითა ვნახავ ყველაფერსო. თუ მართალია, ამაზე კარგს რას ნახავს კაცი, თუ არა და ამ მოლაყბე ხალხს პირში ლაგამს მაინც ამოვდებო, და თავის ჯალაბს, ქეთოს უთხრა, — საგზალი მომამზადე, დილაზე ახალი ქალაქის მშენებლობის სანახავად უნდა წავიდეო.

ცოლს ჯერ ხუმრობა ეგონა და ყური არ ათხოვა, ხოლო როცა დარწმუნდა, ქმარი არ ხუმრობსო, თვითონაც გაგულისდა.

— გადაირიე, ადამიანო, თუ რა არი?! — დასჭყივლა ხმამაღლა, — ბალღი ხომ არა ხარ, თვალის სერის სდიო. შინ საქმე გამოგელია, რა?!

— დედაკაცო, ნუ აყბედდი, — დინჯად მოუჭრა თედომ, — მე საქმე გამიკეთებია და კიდევაც გავაკეთებ. როგორ, აქვე, ჩემს გვერდით ამისთანა საქმე კეთდებოდეს და არა ვნახო მაინცა? მკვდარი ვარ, რა არი!

— ჯერ გაიგე, ადამიანო, იქნება ტყუილია?

— ტყუილია და მაგასაც ვნახავ, საგზალი მომამზადე!

ცოლმა კიდევ ბევრი უშალა, მაგრამ თედომ არ დაიშალა და ზაფხულის ერთ მზიან, ცხელ დღეს ხურჯინაკიდებული შუახნის და შუატანის ჭაღარა კაცი, ქიზიყელი თედო დარჩიაშვილი, რუსთავის მშენებლობას მიადგა.

თედო არ შემცდარა. თვალწინ მართლაც საკვირველი სურათი გადაეშალა: ოთხივე კუთხით თვალუწვდენ მინდორს ჭიანჭველასავით შესეოდა ხალხი. ვინ აღარ იყო აქ, — დიდი გინდა თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ხეიბარი თუ ჯანსაღი... დაუდგრომლად ფუსფუსებდნენ, ნი ერთი შეხედვით, მართლაც ძალიან წაავგვდნენ უზარმაზარ, რუხ ჭიანჭველებს.

გუგუნებდნენ მანქანები და ამ გუგუნს ერთოდა ადამიანთა ხმები, — მჭექარე, ძლიერი, მოწოდების მსგავსი; თედოს არც ასეთი დიდი ზომის სამუშაო ენახა დღემდე, არც ეს უცნაური, უზარმაზარი მანქანები და არც ასეთი ერთობლივი გუგუნ-გრიალი გაეგონა. ამ უცხო სანახაობით ზარდაცემული თედო ხესავით იდგა ერთ ადგილზე და თითქოს მიახლოვებას ვერ ბედავდა. მხარზე ხურჯინი ეკიდა. ხელით იჩრდილავდა მზეს და მონუსხულივით გაჰყურებდა ველს. ველიდან ავარდნილი მუქი მტვრის კორიანტელი ღრუბელივით ეფინა ცას.

პირველმა დაბნეულობამ კარგა ხანს გასტანა. მერე თანდათან მოვიდა გონს, გაბედაობა მოიკრიბა, ხურჯინი მოინაცვლა მხარზე და ხალხს შეერია. ნელა მიაბიჯებდა თხრილებზე, გადადიოდა უბნიდან უბანზე, აკვირდებოდა დაძარღვულ, ზზი ბარუჯულ, ტალახითა და მიწით მოსვრილ მხარ-მკლავებს, მტვრიან, გაოფლილ სახეებს. მასაც ღვარად სდიოდა ოფლი. გაკეცილი თუშური ქუდით იმშრალებდა შუბლს და გულში სრულიად უცნობ, უჩვეულო კმაყოფილებას განიცდიდა.

ხალხში უმრავლესობა ფრონტიდან დაბრუნებული მებრძოლები იყვნენ. ყველას ნიჩაბი, ქაფჩა, წერაქვი და ხარადანი ეჭირა ხელში. მიმოჰქონდათ ლამ-კირით სავსე, ციმციმ აწეული საზიდრები და საძირკვლებში აპირქვავებდნენ. აქა-იქ უკვე ამოეყვანათ რკინის ძელებდატანებული, მკვრივი საბჯენები. ყველას ეცვა რუხი, მხედრული ტანსაცმელი, მაგრამ მარტო ამით როდი ჰგავდნენ ერთმანეთს. ესენი იყვნენ ბრძოლასა და ათასგვარ სიძნელეში გამოვლილი, ერთმანეთს შეზრდილი ადამიანები, მათს სახეებზე ჯერაც არ გამქრალიყო ტანჯვისა და გასაჭირის მუმფუვარე კვალი, მაგრამ ახლა ამ უსიამო გამომეტყველებას აქრობდა გმირული შრომისა და დიადი მომავლის რწმენა. ეს რწმენა საყოველთაო იყო. ის ჩანდა აშკარად ყველაფერში, მყოვნდებოდა ყოველ მოქმედებაში, — გამოხედვაში, სიცილში, საუბარში... ეს საყოველთაო განწყობა თედოსაც გადასდიოდა და ამ უჩვეულო მრეშმაში მოსულ წოლობის სურვილად ექცა.

— ამის შესახებ მშენებლობის უფროსს უნდა სთხოვო, — უთხრეს და ერთსართულიანი, შიფერით გადახურული გრძელი შენობა დაანახეს. თედოც იმ შენობისკენ გაეშართა.

ისევ ტორტმანით მიაბიჯებდა მიწაყრილებზე. ქალამნის ჭვინტები ღრმად ეფლებოდა ნესტიან, რბილ მიწაში. ზოგან ისე ჩახეგრილიყო ერთმანეთში ხალხი და მანქანები, გავლა შეუძლებელი იყო და თედო მეორე მხრიდან უქცევდა გზას.

მშენებლობის კანტორა მტკვრის პირას იდგა, — ხებოძით სახელდახელოდ ნაშენი საბძელს უფრო ჰგავდა, ვიდრე სახლს; ცალფა აგურით ამოყვანილი კედლები ჯერ მთლიანად არ იყო შელესილი. დერეფნის წინ ახლადდარგული ყვავილის ბუჩქებს თეთრი მტვერი დასდებოდა. წინა კედელს რამდენიმე გლუდ შეკრული ფიცრის კარი ჰქონდა დატანებული. კარები ახლო-ახლო იყო ერთმანეთთან, სახლი ვიწროდ იყო დატიხრული. ერთ-ერთ ღია კართან ჯგროდ ირეოდნენ მუშები. სწორედ ეს იყო მშენებლობის უფროსის ოთახი.

— უფროსი აქა ბრძანდება? — იკითხა თედომ.

— კი, შედი!

თედომ ქუდი მოიხადა, კრძალვით გადაბიჯა ზღურბლს და თავის დაკვრით მიესალმა შუახნის მწითური სახის პირმსუქან კაცს, გულდასმით რომ ჩაჰყურებდა მაგიდაზე გაფენილ, შავ-წითელი ხაზებით აჭრელებულ მშენებლობის რუკას. ეს იყო მშენებლობის უფროსი ნესტორ გიორგაძე. მისალმებაზე მან ნელა ასწია თავი და ისე შემოხედა თედოს მშვიდი, დაღლილი თვალებით, თითქოს ეუბნებოდა, შენლა მაკლდიო.

თედოს არ მოეწონა ეს შემოხედვა,

ეწყინა და ოდნავ კიდევაც შეკრთა, — უარი არ მითხრასო, — მაგრამ როცა ნესტორმა შინაფრულად ჰკითხა, რა გაგეჭირვებია, ბიძაჩემოო, და ძელსკამზე მიუთითა, დაბრძანდითო, თედოს ისევ მოეცა გული. თუმცა არ დამჯდარა, მარტო ხურჯინი ჩამოდო სკამზე და თავისი სურვილი ორი სიტყვით უთხრა:

— სამუშაო მინდა!

მშენებლობის უფროსს ოდნავ გაეღიმა თედოს მშრალ პასუხზე და კიდევ უთხრა, ჩამოჯექეო. თედომ ოფლი მოიწმინდა, ქუდი დაიხურა და დაჯდა. ნესტორმა სადაურობა და ვინობა გამოჰკითხა და ხელობა თუ რამე იციო, ჰკითხა ბოლოს.

— ხელობა? — თედო ერთი წამით შეყოყმანდა, მერე მტკიცედ დაუმატა, — ხელობა არაფერი, მაგრამ მუშაობა კი ვიცი.

— მაგას რა ჯობია, შე კაი კაცო, — მოწონებით თქვა ნესტორმა და წამოდგა. თედოც წამოდგა. — ჩვენ სწორედ ასეთი კაცი გვინდა, — განაგრძო ნესტორმა. — ხედავ რამოდენა საქმეს მოგკიდეთ ხელი. ახალ ქალაქს ვაშენებთ, ხუმრობა საქმე როდია.

— მაშ, ეგ მართალია? — ისე მოუთმენლად იკითხა თედომ, რომ აშკარად ჩანდა, ძალიან უნდოდა, მართალი ყოფილიყო. ნესტორმა ეს შეატყო და გაუღიმა.

— მართალია, აბა, ტყუილი ხომ არ იქნება? სამ-ოთხ წელიწადში დასრულდება მარტენის ლუმელების მშენებლობა.

ამ დღიდან ბოდბისხეველი კოლმეურნე გლეხი რუსთავის მშენებლობის მუშად გადაიქცა. აქ ყველაფერი მიუჩვეველი და ახალი იყო თედოსთვის. მაგრამ მას ყველაფერი მოსწონდა. პირველი დღიდანვე, რაკი ამ მოზღვავებული ხალხის ავ-კარგის თანამონაწილედ დაიგულა თავი, რაღაც უცნაური გრძნობა დაეუფლა თედოს, — რომ მასაც, ქიზიყელ გლეხს, თავისი შრომით წილი დაედო ამ დიად საქმეში, არ დაეზოგა არაფერი, — არც ცოდნა, არც ნიჭი, არც ღონე. რათა მუდამ, ყოველ წამს მის შუაგულში ყოფილიყო, ეცქირა როდა თავისი ადგილი და არასადღეს განზე არ დარჩენილიყო.

ღამეს დღე სცვლიდა, დარს — ავდარი, მტკვრის — ტალახი, სუსხს — პაპანაქება, ხოლო მუშაობა კი არასოდეს არ წყდებოდა. წლისთავზე უკვე აშენდა სასადილოები, აბანო, კლუბი და რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. გაჩნდა პირველი ასფალტმოსხმული ქუჩები და პაწაწინა ნარგავები. მაგრამ თედოს ეს ბევრად არ აინტერესებდა. ის იმ დღეს მოელოდა, როცა ფოლადი დაიწყებდა დუღილს. თან მუდამ გულში ეჭვი ჰქონდა, რამდენიმე ათასი ტონა ფოლადი ყოველდღე როგორ უნდა ადუღდეს ერთად? ამდენი წყლის ადუღებაც კი წარმოუდგენელი იყო თედოსთვის. მაინც რამდენი უნდა იყოს ათასობით ტონა? და ოდნავი წარმოდგენა რომ ჰქონოდა, რაღაცისათვის უნდოდა შეედარებინა, ხოლო თედოს ორთქლმავალზე დიდი არაფერი ენახა და ერთხელ იკითხა: ორთქლმავალი რამდენს იწონისო?

მუშებს სიცილი ატეხეს:

— რატომ კითხულობ, ქიზიყელო?

მუშებში ერთი ყოფილი რკინიგზელი აღმოჩნდა და იმან უთხრა, ყველაზე დიდი ორთქლმავალი ხუთას ტონას იწონისო.

— მართლა?

— მართლა!

თედომ ეს გუნებაში გადაიანგარიშა და უნდობლად შეხედა რკინიგზელს. ამდენი ერთად? როგორ? სად დაიტევა? და ხელი ჩაიქნია, — არა, ზღაპარია, ტყუილია, ჭორია!

მაგრამ თედოს ეჭვს არც აქ უგდებდა ვინმე ყურს. საქმე მიემართებოდა თავისი ჩვეული გზით. თენდებოდა და ღამდებოდა, გრუხუნებდნენ ძანქანები, ჟრიამულობდა ხალხი. თედოც ფეხდაფეხ მისდევდა ამ ბობოქარ მდინარებას, ისევ თავდაუზოგავად შრომობდა, ცლიდა და ტვირთავდა ავტომობილებს, თან გულში ფარულ მოლოდინს ინა-

ხავდა. თუმცა მტკიცედ სწამდა, რომ ყველაფერი, რასაც ხალხი ფოლადის გამოდნობის შესახებ ამბობდა, მეტის-მეტად გაზვიადებული იყო. მაგრამ თედო მთნც ინტერესით მოელოდა და შორიდან აღევნებდა თვალს ფოლადსადნობი ქარხნის დამონტაჟებას, ცაში აზიდულ რკინის შავ ძელებს, სადაც ხოჭოებივით დაფოფხავდნენ გამურული მემონტაჟეები, ცის ტატნობზე ელვასავით კრთოდა შედუღების ცისკენი.

ხალხის ამ აწყვეტილ ერიამულში, მანქანების გუგუნ-გრიალში დღეთა სათვალავი თითქოს გაქრა. დრო შეუმჩნევლად და სწრაფად გადიოდა.

და აი, ბოლოს, ნანატრი დღეც დადგა. ეს იყო 1950 წლის 23 აპრილი. ეს დღე არასოდეს დავიწყდება თედოს. ლურჯი ცა მოხატული იყო რძისფერი ღრუბლების თხელი, ნაოჭიანი ქერქით. ნიავს მკერდგამთბარი მიწისა და ნაადრევად გაშლილ ყვავილთა სურნელი მიმოჰქონდა ყველგან. დილადანვე დაიწყო ხალხმა მოდენა. საიდან აღარ მოვიდა იმ დღეს ხალხი რუსთავში, ქვეყნის რომელი კუთხიდან, — რუსეთიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, ბალტიისპირეთიდან და შორეული აღმოსავლეთიდანაც კი. ქარხნის ეზოში ხალხს ზღვა ჩადგა. თედოს ყურადღება განსაკუთრებით საამქროს თავზე წამოდგომულმა წარწერამ მიიპყრო. ეს დიდრონნი, რკინის აღლესხეკრიანი, წითლად შეღებილი ასოებისაგან შემდგარი წარწერა თითქოს ხმამაღლა მოუწოდებდა ხალხს: „მივეცეთ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ფოლადი!“

თედომ რამდენჯერმე გაიმეორა გუნებაში: „მეტი და მაღალხარისხოვანი ფოლადი“. — ჰა, — თქვა თავმომწონედ და გვერდულად გაძვრა ხალხში საამქროს შესასვლელისაკენ, სადაც კიბესთან თავი მოეყარათ მთავრობის წარმომადგენლებსა და მშენებლობის ხელმძღვანელებს. რიგრიგობით გამოდიოდნენ ტრიბუნაზე და ამბობდნენ სიტყვებს. ყოველ გამოსვლას ხალხი ტაშითა და შეძახილით აბოლოებდა. თედოც ტაშს უკრავდა, თუმცა თავის შრომას დიდ ფასს არ სდებდა, მაგრამ ხალხის, მთავრობისა და პარტიის სახელით ნათქვამი თვითეული მადლობა თუ ქება მის გულშიაც თავისებურ გამოძახილს პოულობდა და მის არსებას ფარული სიამაყის გრძნობით ავსებდა.

საამქრო ჯერ არ იყო გახსნილი. წითელი ზონარი არ იყო გაჭრილი. რა ხდებოდა შიგნით, რა გუგუნებდა, რა ქმნისავდა, თედო ვერ ხედავდა. ხანდახან ფარდის თავზე გაიელვებდა კაშკაშა სინთილე და წამით გაანათებდა ჭერზე გაკიდულ, ერთმანეთზე აკინძულ უზარმაზარ რკინის ძელებს — ორასტონიან ამწეს, დგრიალით რომ დაგორავდა წინ და უკან.

ბოლოს მოთავდა სიტყვები და ზონარიც გადასჭრეს. თედო ხალხის ტალღამ გაიტაცა და საამქროში შეაგდო. აქ კი მართლაც სინამდვილედ იქცეულ ზღაპრული სანახაობა გადაეშალა თვალწინ: აგუზგუზებული ცეცხლისმფრქვევი, მდუღარე ფოლადით სავსე ღუმელები. თედომ აქვე ნახა პირველად ამ დიდი ხელობის მცოდნენი და მოთავენი, პირველი ქართველი მეფოლადენი — ზურაბ კუხიანიძე და შალვა კუხალეიშვილი. მათ ეს საქმე დონბასში შეისწავლეს. აგერ მათი მასწავლებელიც, შავ კოსტუმში გამოწყობილი, სანდომიანი სახის, ქერა, პირსმელი კაცი იგორ ბულგატოვი, საქვეყნოდ განქმული მეფოლადე. თედოს უსაზღვრო პატივისცემით აევსო გული ამ კაცისადმი; მას ალაპლეფზე კი არ გამოუშვა თავისი შეგირდები, თვითონაც თან ჩამოჰყოლოდა, რომ პირველ ხანებში ყურადღება და დახმარება არ მოეკლო მათთვის. დინჯად დადიოდა იგორი ღუმელების წინ, გულდასმით აკვირდებოდა ფოლადის დნობას და შალვასა და ზურაბს ახალ-ახალ მითითებას აძლევდა. ხან აქ, ხან იქ იღებოდა ღუმელი კარი, საიდანაც წითელი, მოცისფრო ალი გუგუნით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიჭრებოდა გარეთ და მიმოიფანტებოდა ირგვლივ, თითქოს მთელ საამქროს შთანთქმასა და წალეკვას უპირებსო, ხოლო მდუღარე ფოლადის კამკაში თედოს თვალს სჭრიდა და მხედველობას უარილებდა. თედო თვალებს ხუჭავდა და შემკრთალი უკან-უკან იწევდა. მასთან შალვა მივიდა, ნაბდის ქუდი მოხადა და მეფოლადის მუქსათვალიანი ქუდი დაახურა. თედოს მალე დაუბრუნდა მხედველობა, არილი გადაეცალა მუქ-ლურჯი სათვალიდან გარკვევით დაინახა ღუმელში ადუღებული ფოლადი, ნახევარ ადლზე რომ ისროდა გავარვარებულ კოწოლს.

შალვამ მხარზე ხელი დაადო. დაიხარა და ყურში ჩასძახა:

— ხედავ, ბიძაჩემო?

— ვხედავ, შვილო, კარგად ვხედავ!

— დუღს, ბიძა, ქართული ფოლადი დუღს!

— კი, შვილო, დუღს!

ამ დროს ღუმელების წინ ლურჯ-თვალა გოგონა გამოვარდა, ხელკოში ძირს დადო და შორიახლო დადგა. ერთ-ერთმა მუშამ რკინის გრძელტარიანი ციცხვი ღუმელში შეჰყო, გამდნარი ფოლადი ამოიღო და ხელკოშაში გადაასხა. ლაბორანტმა გოგომ საჩქაროდ დასტაცა ხელი და მსუბუქად გადმოირბინა ლიანდაგი. ხალხმა გზა უტია. იმავე წუთს რადიოში გაისმა გოგონას წვრილი ხმა: — ნახშირბადი ნოლ ორი პროცენტი, მანგანუმი ნოლ ორმოცი პროცენტი, სილიციუმი ნოლ ოცდაათი პროცენტი.

— მაშასადამე, ფოლადი მზად არის,— თქვა შალვამ, თედოს მისივე ქუდი დაახურა და ღიმილით დაუმატა, — მოხარშულა! — ქუდი მოიგრგო, სათვალე შეისწორა და ღუმელებისაკენ გაბიჯა.

გადმოსკდა ფოლადის ყვითელი ნიაღვარი, როგორც წყალდიდობისას მთიდან მოხეთქილი მღვრიე ჩანჩქერი. ნელა, ზლაზვნით გამოქანდა ცეცხლგამძლე აგურის კალაპოტში და ირგვლივ კაშკაშა მაშხალები — ვარსკვლავისებური ნაპერწკლები მიმოფრქვია. ამ პროცესს თან ახლდა ღუმელებიდან გამოვარდნილი ყვითელი ალაგ-ალაგ ფოლურჯო-მომწვანო ალის გრიგალისებური გუგუნი, ხალხის აღტაცებული შეძახილი და ათასი ხელით ძლიერად დაკრული ტაში.

საღამოს ხალხი კლუბში შეიკრიბა. შესვლა მოსაწევევი ბარათებით იყო. თედოს წინა დღესვე მისცეს ბარათი. ის ცოტა გვიან მოვიდა. დარბაზი უკვე გაჭედილი იყო, მხოლოდ ბოლო რიგზელი იყო თავისუფალი ადგილები. თედო იქით წავიდა, ქუდი მოიხადა, სკამზე ჩამოჯდა და სცენას გამოხედა.

აჯილდოვებდნენ მოწინავეებს, იმათ, ვინც ალალი, პატიოსანი და კაცური შრომით თავი ისახელა ამ საერთო-სახალხო და საშვილიშვილო საქმეში. დაჯილდოებულები ცალ-ცალკე გაჰყავდათ სცენასთან. ინგირრები და ბრიგადირ-ტექნიკოსები მოკლედ ახასიათებდნენ თვითეულის ღვაწლს და შრომითს წარმატებას. უცბად თედომ თავის გვარს მოჰკრა ყური, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია, სმენამ მომატყუაო, გაიფიქრა; იმავე წამს მეორედ გაიგონა თავისი გვარი და სახელი, ახლა უკვე გარკვევით, — თედო დარჩიაშვილი არ არის აქ? გამოვიდეს! თვითონ ნესტორ გიორგაძე კითხულობდა. თედომ მაინც არ დაიჯერა — ვინ იცის, ამ დუნიაზე ხალხში რამდენი თედო დარჩიაშვილიაო, და კიდევ არ აპირებდა ადგომას. მუშებმა ძალით წამოაგდეს:

— აქ არის, აქა! ადე, კაცო, შენ გკითხულობენ, რას იმალები?

თედო წამოდგა.

— ახლოს მობრძანდიო, ძია თედო, ახლოს! — გამოსძახა ნესტორმა.

თედო ნელა გაემართა სცენისაკენ. ნესტორმა ქების სიგელი და ფულადი ჯილდო გადასცა. მაგიდასთან მსხდომნი ფეხზე წამოდგნენ და ხელი ჩამოართვეს. თედოს შერცხვა: აიღო თუ უკანვე დაეწყო მაგიდაზე? განა რა გაკეთა თედომ ამის ფასი?

— ამ პატარა ტანის ბერიკაცმა სამაგალდ შეასრულა თავისი სამფშაო გეგმა, — ამბობდა ნესტორი ხმამაღლა და

თითქოს თედოს იდუმალ ფიქრს პასუხობდა.

შემკრთალი თედო თავჩაღუნული, ბარბაცით მიდიოდა სკამებს შუა და კიდევ ვერ გადაეწყვიტა, დაეჯერებინა ნესტორის ნათქვამი, მიეღო კი ეს სიტყვები თავის თავზე თუ არა. მაინც რა გააკეთა თედომ ასეთი? სამმაგად შეასრულაო! კი მაგრამ, ვინ გაიგო ეს? ვის ეცალა თედოსთვის, ვინ მიაქცია ყურადღება უბრალო მტკივრთავ მუშას, — რას აკეთებდა და როგორ აკეთებდა? ვთქვათ, ყველაფერი ეს მართალია. მერედა, რა ძალიან დიდი საქმე ეგ არი! ახალი ხომ არაფერი მოუგონია და არც საშინელიშვილო რამე გაუკეთებია. რა სახსენებელია თედო იმათთან, ვინც საკუთარი ხელით აშენებდა ამ ვეება ქარხანას! ვინც გააკეთა, ერთმანეთს გადაამა ეს საკვირველი მოწყობილობა? ავტომობილებს ცლიდა და ტვირთავდა, ეგ იყო და ეგ.

თედომ ამ ფიქრით გაიარა დარბაზი და თავის ადგილზე ჩამოჯდა. მუშები ფეხზე წამოდგნენ, გარს შემოეხვივნენ, ხელის ჩამორთმევით მიეულოცეს და თითქოს თედოს ფარულ ფიქრს უპასუხეს:

— საქმეში დიდი და მცირე არ არსებობს, ძია თედო. პატიოსანი, კაცური შრომა ყველგან ქების ღირსია და ფასდება კიდეც. ალალია შენთვის ეს ჯილდო, ალალი!

ისევ თენდებოდა და ღამდებოდა. დღე დღეს მისდევდა, თვე — თვეს. ისევ ცვლიდა დარ-ავდარი ერთმანეთს, ისევ დაუდგრომლად გრუხუნებდნენ ბულდოზერები და ექსკავატორები. უწყვეტ ნაკადად მიმოქროდნენ თვითმცლელი ავტომობილები, იძაგრებოდნენ თავაწევდილი ამწეები. ჩვეულებრივად ფუსფუსებდნენ ტალახითა და მტვრით მოსვრილი, ხელქაფაჩიანი და ხელწერა-ქვიანი მუშები. აქა-იქ კიაფობდა შედუღების ელვისფერი ცეცხლი და ქალაქშიც და ქარხნის კარ-მიდამოზეც ახალ-ახალი ობიექტები დგებოდა მწყობრში.

იმავე წლის ნოემბერში გამართეს საგლინავი საამქროს დგანი — ბლუმნინგი, ეს იყო ომისშემდგომი წლების პირველი საბჭოური დგანი, მისი წონა 4500 ტონას აღწევს. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ამუშავდა ბილსამზადის დგანი „900“ და ერთ-ერთი უზარმაზარი იზოელექტროცენტრალი. ამას მოჰყვა ბრძმედები და გაჩნდა არჩილ ძაბაშვილის კომუნისტიური შრომის ბრიგადა. თედო კარგად იცნობდა არჩილ ძაბაშვილს. ეს სწორედ ის მომცრო ტანის შავტუხა ბიჭი იყო, პირველად ქალმნებით რომ მოვიდა ქარხანაში, ვისზედაც მუშები ოხუნჯობდნენ, — გუდა და კომბალიღა აკლია, თორემ მწყემსია გამოცხადებულიო; ეს ახსოვდა თედოს, მაგრამ არ იცოდა, რას ნიშნავდა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდება, ვის აკუთვნებდნენ ამ სახელს და რით იყო ის ასეთი საპატიო. ხოლო როცა გაიგო, რომ კომუნისტიური შრომის ბრიგადის ყველა წევრი მოწონავე და სამაგალითო მოქალაქე უნდა იყოს საზოგადოებაშიც და ოჯახშიც, — მათი ხელმძღვანელი კი გამორჩეული კაცი, გულმართალი, ალალი, დაფასებული ყველგან და ყველასგანო, თედომ აღტაცება ვეღარ დაფარა:

— მაშ, იმ მოსკუპულმა შესძლო ამდენი? ყოჩაღ, ბალღო, ბარაქალა შენს დედასა! — წამოიძახა ხმამაღლა, ხოლო გულში ფარული სიამაყით დაუმატა, — ჩვენებურია, მაშა!

სწორედ იმ ხანებში თედო მშენებლობის უფროსმა გამოიძახა. კაბინეტში ნესტორი და ქარხნის დირექტორი ნიკოლოზ გომელაური დახვდნენ. ნესტორი იჯდა, ნიკოლოზი ფეხზე იდგა, ორივენი ჩვეულებრივ გულთბილად შეეგებნენ თედოს:

— როგორ ხარ, ძია თედო?

— რა მიჭირს, რა! — მოკლედ მოსჭრა თედომ.

ნიკოლოზმა ხელი მოხვია და, ჯანზე როგორა ხარო, ჰკითხა.

— რა ვი, არ ვემდური კი, და!

— მუშაობა თუ შეგიძლია ძველებურად?

— მეტი რა ხელობა მაქვს!

— წასვლას ხომ არ აპირებ აქედან?

— თუ სამე იქნა, რითვინ წავალ?

— სამმის მეტი რა გვაქვს, ძია თედო, — ნესტორიც ფეხზე წამოდგა, — ერთი დიდი სამმქრო კიდევ უნდა ავაშენოთ.

„კიდევ ახალი!“ — გაიფიქრა გუნებაში თედომ და, ეგ რაღა უნდა იყოსო, შეეკითხა.

— ეგ იქნება მილსაგლინავი სამმქრო. აი, რკინის მსხვილი მილები დონბასიდან რომ შემოგვაქვს, აწი აქვე უნდა დავამზადოთ. ამას გარდა, მოეწყობა პატარ-პატარა სამმქროებიც — მავთულის, წვრილი მილების, თუნუქის ფირფიტების და ბეჭრი სხვა რამისაც. ერთი სიტყვით, რაც ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს ჭირდებათ, ყველაფერი ჩვენ უნდა გავაკეთოთ. განა ასე არ ჯობია, ძია თედო?

— დიახაც ჯობია! — დაუდასტურა თედომ, — როდის დაიწყებთ?

— ძალიან მალე, უკვე გადაწყდა. მე მგონია ერთ წელიწადში დავამთავრებთ კიდევაც.

— კარგია! — თედომ თავი ჩაიქნია. ერთი წუთით მდუმარედ იდგნენ სამივენი. მერე ნესტორმა ჰკითხა:

— ძია თედო, მოგწონს აქაურობა? არ გინდა სამუდამოდ აქ დასახლდე?

მოგწონსო? რა სთქმელია! ვის არ მოსწონს და ვის ეთმობა ის ადგილი, ის არემარე, სადაც ამდენი უშრომია. ამდენი რამ უკეთებია, ჯანი და ოფლი ჩაუღვრია? ცოტა დრო ხომ არ არის, აგერ თორმეტი წელიწადი ხდება, რაც თედო აქ ცხოვრობს. დიახაც მოსწონს და კიდევაც აპირებს გადმოსახლებას, მაგრამ ყველაფერს ხმამაღლა ხომ არ იტყვის კაცი? თედოს თავისებური, ასე ვთქვათ, საკუთარი გეგმა აქვს: აი, მისუსტდება სამუშაო, თედო მოიცლის და სადმე ერთ კოპწია სახლს ჩადგამს. აქ ადგილია სახლის გაკეთება, ქვა-ქვიშა აქვეა, ხე-ტყის მასალაც. ავტომაქანანებს მშენებლობიდან ათხოვებენ და კალატოზები და დურგლებიც აქვე არიან. პატარა ბაღჩა-კარმიდამეს მოიწყობს და ცოლ-შვილსაც გადმოიყვანს, მაგრამ ჯერჯერობით საამისო დრო არა აქვს, ჯერ სხვა, უფრო დიდი სამქრა გასაკეთებელი.

ნესტორი და ნიკოლოზი ჩამოსხდნენ. თედოც დასვეს და ოჯახური ამბები გამოჰკითხეს.

— მეუღლე მყავს, — უთხრა თედომ, — ორი ბიჭი და ერთი გოგო.

ნესტორმა და ნიკოლოზმა ერთმანეთს გადახედეს.

— სამიანი? — იკითხა ნიკოლოზმა.

— სამიანი მივცეთ, ეკუთვნის.

„ნეტა რას მაძლევენ?“ — გაიფიქრა თედომ და უნდოდა კიდევ ეკითხა, მაგრამ ნიკოლოზმა არ აცალა, გამომყვეო, უთხრა და გარეთ გამოიყვანა. მანქანაში ჩაისვა და „პობედა“ ზევით გააქროლა, სადაც ახალი, ხარაჩოებ-მოხსნილი საცხოვრებელი სახლების რიგი მოჩანდა. მანქანა ერთ-ერთ ორსართულიან სახლთან დაამუხრუჭა, თედოს ხელი გამოსდო, ფართო კიბეებს შეუყვა და, სადა ცხოვრობო? — ჰკითხა.

თედო ჩამოსვლის დღიდან საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, ხუთნი არიან ერთ ოთახში, ერთი იმერელია, ერთი ახმეტელი ოსი, ერთი თბილისელი სომეხი, ერთი მუღანლოელი თათარი და თვითონ თედო; „ტკბილი ოჯახი“ აქვთ.

— აი, დღეიდან კი საკუთარ ბინაში იცხოვრეგ, — უთხრა ნიკოლოზმა, მესამე სართულზე გასაღების ასხმულას ერთი გასაღები გამოაძრო, რძისფრად შეღებული კარი გააღო და, შედიო, უთხრა.

თედოსთვის ესეც ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც ის პირველი საჩუქარი, — ჭების სიგელი და ფულადი ჯილდო, და ახლაც ისევე დაიბნა, როგორც მაშინ. ერთი ნაბიჯით უკან დაიწია. შიგნით მოჩანდა ნახევრად ღია, შუშაბანდიანი კარი, სარკესავით გაპრიალებული პარკეტი. თედომ ტანსაცმელზე დაიხედა და ერთი ნაბიჯი კიდევ გადადგა უკან. მხრებიდან და

სახელოებიდან მტვერი ჩამოიბერტყა, მერე ხელებიც შეიწმინდა ტილოს წინსაფარზე და ნელა, ფეხაკრეფით შევდგა შიგ.

თედოს ცხოვრებაში ეს იყო ყველაზე დიდი ოცნება. ჯერ კიდევ ჭაბუკობისას, როცა თედო „სხვათა ველის არგნად“, მოჯამაგირედ იდგა, მაშინ ოცნებობდა ამაზე. თედოს სოფელში მამისეული ერთი ქვიტკირის ოთახი ჰქონდა, უსაჩეხო და უდერეფნო, ქოხი უფრო ეთქმოდა, ვიდრე სახლი. თედო ამ ქოხში დაოჯახდა. ცოლი შინ შრომობდა, ქმარი სხვათა საქმეს აკეთებდა, ოჯახს კი არაფერი ემატებოდა. ასეთ ყოფაში ოცნება იყო თედოს ერთადერთი ნუგეში. სუნთქვაშეკრული ისმენდა ჭაღარა მწყემსებს მონაყოლ ზღაპრებს და გონებაში ფერად-ფერად სურათებს ხატავდა. თავის თავს ხან მზეჭაბუკს ადარებდა, ხან ნაბოლარა ძმას. ათასჯერ ამარცხებდა ცხრათავიან ურჩხულს, სტაცებდა ბროლის კოშკს და უთვალავ თვალმარგალიტს. კოშკში თვითონ სახლდებოდა, ხოლო თვალმარგალიტს ხალხს ურიგებდა. ხსნიდა ჩაკეტილი სიცოცხლის წყაროს და სოფლის სათაყვანო თავკაცი ხდებოდა.

თედომ მართლაც მალე დაამარცხა და განდევნა ასთავიანი ურჩხული, მაგრამ ცოცხება ისე მოეწყო, ნატვრა ვერ აისრულა. მართალია, კოლექტივში ოჯახი წამოსწია, ფეხზე დააყენა და წელშიაც გაიმართა, აპირებდა კიდევაც სახლის საძირკელის გაჭრას, მაგრამ ომიც დაიწყო. ახლა კი თედოს ქალაქის თავკაცობაშიც წილი უდევს, მას ბევრ რამეს ეკითხებიან და მის რჩევას ითვალისწინებენ. ეს ახალი ბინაც რით არ ჭკვის იმ ბროლის ნაოცნებარ კოშკს, ისე შორეული და მიუწვდომელი რომ ეჩვენებოდა თედოს?

თედო კარგა ხანს ვერ მოვიდა გონს. მას არც ნიკოლოზ გომელაურის წასვლა გაუგია. ქუდმოხდილი, გაუნძრეველად იდგა ღია ფანჯარასთან, მტკვრიდან მონაბერი ნიავი უწმენდადა შეთეთლებულ ჭაღარას. გული გამალებით უცემდა.

თედომ აღარ დააყოვნა რუსთავში გადმოსახლება. იმავე კვირას შვებულება აიღო, სოფელში გაემგზავრა და, როგორც თვითონ ტყოდა, ცოლ-შვილი გადმორეკა. შვილებს ყველას გზა მიუჩინა: უფროსს საბრძმედე საამქროში მიაბარა შეგირდად, უმცროსი — მარტენის საამქროში. ქალიშვილი ლაბორატორიაში მოეწყო, და თედოს ოჯახი ქალაქ რუსთავის მკვიდრი გახდა.

დაწყებიდან სწორედ წლის თავზე გაიხსნა მილსაგლინავი საამქრო. ეს არ გაკკვირვებია თედოს. მართალია, მაშინ ასეთი საქმისთვის ერთი წელი ძალიან ეცოტავა და ოდნავ შეშფოთებულიც, მაგრამ აღარაფერი თქვა. სადაც ამდენი რამე გაკეთდა, ალბათ ესეც გაკეთდებაო, იფიქრა და გაჩუმდა.

ამით ძირითადად თითქმის დასრულდა მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. საქმე გარიგდა, ადგილები განაწილდა, მუშაობა აეწყო და კალაპოტში ჩადგა. ახლა კი დაისვენა თედოს თვალმაც და ყურმაც. მაგრამ არ გასულა დიდი დრო, რომ ისევ ახალი რაღაც გაჩნდა — თედომ გაიგო, რომ მილსაგლინავ საამქროს მთლიანად ავტომატიზაციაზე გადაყვანას უპირებენო, ისიც გაიგო, ამისთანა რამ ჯერ არსად, არც ერთ ევროპაში არ ბომხდარა და პირველად საქართველოში, აქ, რუსთავში უნდა გაკეთდესო. თანაც ვინ აპირებს თურმე ამის გაკეთებას? ქარხნის დირექტორი ნიკოლოზ გომელაური, მთავარი ინჟინერი სოლომონ შარაძენიძე, აი, ის ახალგაზრდა ინჟინერი, პავლე წერეთელი, ტექნიკუმის დიპლომით რომ მოვიდა ქარხანაში და უმაღლესში სწავლა ჯერაც არ დაუთმავრებია, ოთარ ბლიაძე, დგან „140“-ის ბრიგადირი. მისი მოადგილე ირაკლი ჟორდანია.

დრო მიდიოდა, იზომებოდა, ზუსტდებოდა ნახაზები, თეთრად თენდებოდა გრძელი ღამეები, იგებდა ქალაქდის ყონდები. განსაკუთრებით გაჭირდა რგოლური მბრუნავი ღუმელის ავ-

---

სულხან ქეთელაური

ზღაპარი სინამდვილედ იქცევა

ტომატური მექანიზმის შექმნა. ახლადჩამოსხმული გავარვარებული ფოლადის ზოდმა, ვიდრე იგი დამრგვალდება, გაიწელება და მილის ფორმას მიიღებს, რამდენიმე ყალიბში უნდა გაიაროს. ეს ყალიბები წყლით ცივდება, ძლიერი ჭავლი დასამუშავებელ ფოლადსაც აცივებს და დაბურღვა ძნელდება. ამიტომ ამ წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ ფოლადის ზოდი ხელახლა უნდა გაცხელდეს და უნდა გაცხელდეს თანაბრად, ისე რომ, არც ერთი ნაწილი არ დარჩეს ცივი. აი, სწორედ ამ ავტომატის შექმნა გაუჭირდათ ინჟინერ-ტექნიკოსებს. ამაში მათ დაეხმარნენ უფროსი ამხანაგები — დგან „400“-ის უფროსი ელექტროტექნიკოსი რევაზ პაჩუაშვილი, ავტომატიზაციის ძველი ოსტატი ლეონიდ ტუმაკოვი და დგან „400“-ის მექანიკოსი ალექსანდრე დუდინი. ბოლოს ნახაზები ფოლადის დეტალებად გარდაიქმნა, დეტალები შეერთდა, გონივრ. მექანიზმად აიკინძა და მისი გამოცდის დღეც დადგა.

გამოცდაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. თედოც აქ იყო. ირგვლივ ყველაფერი ტოკავდა, მოძრაობდა, საიდანღაც ძლიერი გუგუნი ისმოდა, სხვაგან რაღაც ჭრინავდა, შიშინებდა. სულ ჩადგმული მექანიზმი კი ხან ზანტად ბრუნავდა, თითქოს იზმორებაო, ხან კი ისე აჩქარდებოდა, თედოს ეგონა ყველაფერი დაიმსხვრევა და თავზე ჩამომემხობაო.

ყველაფერი ეს მით უფრო საკვირველი იყო თედოსთვის, რომ კაცი არსად ჩანდა, არ ჩანდა, რა მართავდა, რა ამოძრავებდა ამ უზარმაზარ მექანიზმს. თედო მხოლოდ აქა-იქ ხედავდა თითოოროლა მუშას, მაგრამ ისინიც თითქმის არაფერს აკეთებდნენ, ათასში ერთხელ თუ მიუმარჯვებდნენ რაღაცას რკინის გრძელი ხარდანებით, ეგ იყო და ეგ. ძირითადად ყველაფერი თავისთავად კეთდებოდა. სამართავ აპარატთან იდგნენ ამ მანქანის შემქმნელი ახალგაზრდა ინჟინრები — პავლე, ირაკლი და ოთარი. ისინი შავ დაფაზე ჩამწკრივებულ თეთრ, წითელ და მწვანე ღილაკებს აჭერდნენ თითებს, ზევიდან ერთმანეთის მოყოლებით მოცურავდა ფოლადის გავარვარებული, უფორმო ზოდები. წინმომავალი პირდაპირ შედიოდა გამწურავ ყალიბში, ყალიბი გაიტყლაშუნებდა, ზოდი გაბრტყელდებოდა და გავარდებოდა მეორე მხარეს. იქ რაღაც უჩინარი ძალა ამ სამოცტონიან ფოლადის ზოდს მაღლა აისროდა, გადაადებუნებდა და ისევ საწურ დაზგაზე დადებდა. დაზგა ღონიერ ფრთებს შემოჭკრავდა და ახლა სხვა მხარეს გაადგებდა. იქ ისევ შეათამაშებდა უჩინარი ხელი, ისევ უქცევდა გვერდს და უკანვე აბრუნებდა. ყალიბში ფოლადის ყოველ ასეთ გავლას თან ახლდა გამაყრუებელი ტყლაშა-ტყლუში. მთელი სამაჭრო ხაზნარებდა, რკინის ქლესები ჭრიალებდა, არ წყდებოდა არც ზრიალი, გუგუნი, ქშენა და შიშინი. ბოლოს ფოლადის ზოდი ოთხკუთხედი მორის ფორმას იღებდა. ყალიბში ახალი ზოდი შემოდიოდა, ხოლო ფოლადის გაკუთხული მორი ნელა მოცურავდა ქვევით. იქ უცებ, თითქოს რაღაცამ ჩაყლაპაო, იკარგებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდებოდა, უკვე ფორმაშეცვლილი, — დამრგვალებული. რა გზით ბრუნდებოდა უკან, თედო ამას ვერ ხედავდა, აქაც რაღაც უჩინარი ძალა მოქმედებდა, უჩინარ ხელს გადაჰქონდა სხვა ადგილზე. ოდნავ ფერნაცვალი, შეწითლებული მრგვალი ქელი პირდაპირ მოემართებოდა რგოლურად მბრუნავი ღუმელისაკენ და მის ალმოდებულ ხახაში იკარგებოდა. აქედან გამოდიოდა ისევ ყვითლად გავარვარებული, გადმოწვებოდა კალაპოტში და სწრაფად გამოქანდებოდა გამბურღავი დგანისაკენ. შემოყოფდა თავს მარწუხის ჭრილში და მპირპირდაპირე მხრიდან 400 მილიმეტრიანი მბრუნავი ფოლადის ისარიც დაივაკებდა, დაიქგერებოდა თავში და ერთ წამში წვრს ბოლოში გაახვედებდა. მერე ისარი უკანვე ბრუნდებოდა ძველ ადგილზე და ახალი ქელის მოლოდინში ცივი წყლის ჭავლში იჩქვიფებოდა. ხოლო გაბურღულ, უკვე

მილ-დქცეულ ძელს რკინის მსხვილი მკლავები მსუბუქად აიტაცებდა, წამით შეაჩერებდა, მერე ხელუკუღმა გადაისროდა და თავისსავე მსგავს გოლთაის მიუგდებდა მკლავებში. ასე თანდათანობით გადადიოდა მილი ხელიდან ხელში, ფართოვდებოდა და ბოლოს იღებდა სასურველ სახეს.

ეს პროცესი არ წყდებოდა, ერთმანეთს მოსდევდა გავარვარებული ზოდები, გამაყრუებლად ტყლაშუნობდა გამწური ყალიბი, ახანზარდება კედლებს, წინ და უკან ლაწა-ლუწით მიმოდიოდა ფოლადის ისრები, ქშინავდა ნაკადური მეთოდის პნევმატური მექანიზმი, გუგუნებდა მბრუნავი რგოლური ღუმელი, ჩქეფდა წყალი, შიშინებდა ცხელ რკინებზე და ორთქლის თეთრ ქულებს ისროდა. ბუმბერაზი ამწეები დაგორავდნენ წინ და უკან. იქნევდნენ უზარმაზარ, გარუჯულ ჭანგებს, იტაცებდნენ უკვე დასრულებულ, მაგრამ ჯერ ისევ ცხელ მილებს და ქვევით, საამქროს ბოლოში ერთ მწკრივზე აწყობდნენ. ყველაფერი ეს კეთდებოდა ავტომატურად.

გამოცდა დასრულდა. ახალგაზრდებს გამარჯვება მიეღოცეს. სულ მალე ამ რთული მანქანის შემქმნელებს ლენინური პრემია მიენიჭათ .

— დიახაც ეკუთვნით! — თქვა გახარებულმა თედომ.

კიდევ გავიდა რამდენიმე წელიწადი. ქალაქში ბევრი ახალი სახლი აშენდა, ბევრი ქუჩა გაჩნდა, ქარხანასაც ბევრი რამ შეემატა. მიიღეს ყარადაღის ბუნებრივი გაზი, აღიმართა აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოპუსები, აღიმართა უთვალავი საამქრო, სახელოსნო და დაზგა-დანადგარი. თედომ ამ ხნის მანძილზე კიდევ ბევრჯერ ისახელა თავი, ბევრი საჩუქარი — ქების სიგელი და ფულადი ჯილდო მიიღო. თედოს ვაჟებიც დაცოლშვილდნენ, ცალ-ცალკე დასახლდნენ, მერე თედოს შვილიშვილებიც გაზრდნდა და მას ოჯახში სახელი შეუცვალეს — აქამდე თუ მამას ეძახდნენ, ახლა ყველამ პაპა დაარქვა.

მაისის თბილი საღამო იყო, ასეთ დროს მეტალურგთა ბაღი სავსეა ახალგაზრდებით. კარგია საღამოს ბაღში დასვენება. უფრო კი ახალგაზრდებთან ყოფნა უყვარს თედოს — ყოველთვის რაღაც ახალსა და საინტერესოს მოისმენს ხოლმე.

თედო მარტო იჯდა სკამზე, გაზეთს კითხულობდა, მერე გაზეთი გადადო და ზურგით მიეყრდნო სკამს, სიგარეტი გააბოლა და ახალგაზრდების კამათს მიუგდო ყური, მერე წამოდგა, ახალგაზრდებს შეუერთდა.

— რაო, შვილო, რა თქვით, კიდევ რა უნდა გაკეთდესო? — იკითხა თედომ.

ახალგაზრდები კაპროლაქტამის ქარხნის მშენებლობაზე ლაპარაკობდნენ. თედომ გულდასმით მოისმინა ყველაფერი, უსიტყვოდ გამობრუნდა და სკამზე ჩამოჯდა.

„ეთქვათ და ყველაფერი ეს გაკეთდა! ჰო, ეს კიდევ შეიძლება დაიჯეროს კაცმა, მაგრამ წიდისგან რომ აბრეშუმივით რბილი და სუფთა ძაფი გაკეთდეს, ეს კი... განა არ იცის თედომ, რაც არის წიდა, განა ერთხელ და ორჯერ დაუტვირთია და ჩამოუცლია ეს ჯართი თავისი ხელით? ის აღარც რკინაა, აღარც თუჯი, უშნო, უჯამაჯური რაღაცა! — და თედომ ისევ ჩაიქნია ძველებურად ხელი, — არა, ტყუილია, ზღაპარია, ჭორია!“

მაგრამ ეს ზღაპარიც მალე სინამდვილედ იქცა. თედომ თავისი ფეხით მოიარა კაპროლაქტამის ქარხანა და საკუთარი თვალით ნახა ყველაფერი. საწარმოს უფროსი, ახალგაზრდა ინჟინერი გერმან ჩიჯავაძე დაწვრილებით მოუთხრობდა სტუმრებს კაპროლაქტამის მიღების ტექნოლოგიურ პროცესზე, თუ რა ქიმიური ნივთიერებების მინარევებისა და რეაქციების შედეგად გარდაიქმნება წიდა აბრეშუმის ძაფად. თედომ ამ მონათხრობიდან ბევრი ვერაფერი გაიგო, მისთვის სრულიად უცნობი იყო ფენოლი, ბენზოლი, მონომერი,

---

სულხან ქეთელაური

ზღაპარი სინამდვილედ იქცევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიმერი და პოლიმერიზაცია. ის, რაც წინათ ენახა თედოს — ბრძმედიც, მარტენიც და მილსაგლინავი ავტომატიც, თავისთავად დიდი მოვლენა იყო, მაგრამ ისინი მარტო სირთულითა და სიდიადით აწეგიფრებდნენ თედოს. ეს კი ყველა სირთულესა და სიდიადეს ჭარბობდა და ძნახველს თავისი საოცრებით ხიბლავდა. გაშტერებული თედო თვალს ვერ აშორებდა „საცრიდან“ ჩამომდინარ, ოქროსფრად მბზინავ, ათრთოლებულ ძაფებს და კიდევ ვერ დაეჯერებინა, თუ ეს ნაზი, ძლიერ დასანახი ძაფი იმ უხეში ფოლადისგან — წიდისგან კეთდებოდა. ეს დღეც სამუდამოდ დარჩება მის ცხოვრებაში. თედო საღამო ხანს დაბრუნდა შინ. კაპროლაქტამის ქარხნიდან ფეხით ამოპაჯა ქუჩას. ავტობუსში არ ავიდა. მარტო სიარული უნდოდა. წამოწვიმა კიდეც, მაგრამ მაინც არ ჩაჯდა ავტობუსში. მოსაცდელ ფარდულს შეაფარა თავი. წვიმამ მალე გადაიღო და თედომ ფეხით განაგრძო გზა. ცოლი და ქალიშვილი შინ არ დახვდნენ. ალბათ ბიჭებთან გაიარეს, — გაიფიქრა მან. თედომ ფანჯარა გამოაღო და ნაწვიმარ ქალაქს გახედა. იმ დროს გორისპირის მისულმა მზემაც გამოანათა. თედოს გახსენდა ის დღე, როცა პირველად მოვიდა აქ. რას ჰგავდა მაშინ ეს ადგილი? ერთი ბუჩქიც კი არსად იყო. ზაფხულში ალპანაქეტა ხრუკავდა კაცს, ზამორის სუსხი ძვალ-რბილში ატანდა. ახალი ქალაქი თედოს თვალწინ აშენდა. მას კარგად ახსოვს თვითეული ქუჩის, სახლის, სკვერისა და მოედნის გაჩენა. აი, ეს ტანმსხვილი ჭადრები და წერწეტა კვიპაროსები ბაწაწინა ნერგები იყო, ნიავის უბრალო წამქროლებაზედაც საცოდავად ყელყელაობდნენ. ახლა კი სიმაგრით ჭალის ვერხვებს გაუტოლდნენ და ქარიშხალიც კი ვეღარ შეარხევს. დიახ! ყველაფერი ეს ძალიან ჰგავდა ზღაპარს, მაგრამ ყველაფერი სინამდვილე იყო. ხოლო ის, რაც ადრე ნახა...

თედო იჯდა ფანჯრის რაფაზე ნდაყვდაყრდნობილი და გადაჰყურებდა ლარივით სწორ, ხეივნებში ჩამჯდარ მთავარ ქუჩას — ლენინის გამზირს. ქუჩის ბოლოს, გადაწვდილ მილებს შორის მზისფრად ელავდა მარტენის ღუმელები. გამზირზე აქეთ-იქიდან გამოდიოდნენ გოგო-ბიჭები, ერთდებოდნენ და სიცილ-კისკისით, ჯრიამეულით მიემართებოდნენ თავქვე, ცენტრისკენ. თედომ მათ მზერა გააყოლა და ისევ იმ ახალგაზრდა ინჟინრის ნათქვამი სიტყვები გაახსენდა. ყველაფერი, რასაც იგი ამბობდა, ბევრით სცილდებოდა ზღაპარს, მაგრამ ახლა თედოს ოდნავადაც აღარ შეჰპარვია ეჭვი.

განა თედო ახალგაზრდების გვერდით არ იდგა? განა ყველგან არ ერია თედოს ხელიც? განა რომელი დიდი საქმე გაკეთებული უმისოდ? თედო დაუღალავად მონაწილეობდა ამ ზღაპრული სინამდვილის შექმნაში. ამით სამართლიანად ამაყობდა კიდეც. მაგრამ ახლა ეს სიამაყე სადღაც გაუქრა და თავისი შრომა ძალიან უმწეო და უსუსური მოეჩვენა.

ეჰ! დაბერდა თედო, ცუდ დროს დაბერდა, ახალგაზრდობა კი შორს, ძალიან შორს მიდის. თედოს იქამდე აღარც ხელი მიუწვდება და აღარც თვალი. შორია!

წმინდა თავისი ახალგაზრდობა წარმოუდგა თვალწინ და ეს სიშორე უფრო იგრძნო. წამოდგა. ოთახში გაიარ-გამოიარა, მოღლვარებისგან სუნთქვა შეეკრა, ისევ ფანჯარასთან მივიდა, გადაეყრდნო და გახედა გაჩიროდნებულ ქალაქს. მერე მარტენის ღუმელებზე გადაიტანა მზერა, ერთ ხანს მდუმარედ უყურა, მერე სევდანარევი, მსუბუქი სინანულით ჩაილაპარაკა:

— ერთი ოცი წელი კიდევ ჩამომბერტყია მხრებიდან, მარტო ოცი წელი!

გივი გეგეჭკორი



პოემა

გეძახდი მამას, შენ არ გესმოდა
შვილის ძახილი განუწყვეტელი,
მე თითქოს ვიდექ მაღალ მესერთან,
ხმა გამეგზარა, როგორც კედელი.
ვეჯახებოდი მე იმ მაგიდებს,
იმ სკამებს, კედლებს, შენი თითები
რომ ეხებოდნენ, შენს მონაკიდებ
წიგნებს ვფურცლავდი და ხელს
ვკიდებდი.
შენ არსად ჩანდი, როდესაც მტვრიან
გზაზე ვიდექ და ხმას ვიბოხებდი,
შენ გაიგონე ძალიან გვიან
შვილის ძახილი და შენ მოხვედი.
ისე განათდა შენი დაისი,
რომ თითქოს მხოლოდ ამას ელოდა
და ჭიქასავით უცებ დაიმსხვრა
ჩემი ბავშვური უზრუნველობა.
სინათლის წრეში, რომელიც ახლა
ეცემა ჩემი მაგიდის მაუდს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გესაუბრები...
და სანამ წახვალ,
უსმინე ჩემი სიტყვების ხმაურს.
უსმინე...
კედლებს აწყდება ეხო,
მე ძლიერ მიჭირს,
მე სიტყვებს ვეძებ,
არ ვიცი, რაზე დავადგა ფეხი,
თითქოს მივდივარ დანაღმულ ველზე...
დღეს შენი ლანდი მოვიდა ჩემთან
და ამ საუბრის დასასრულამდე
სინათლის წრეში იქნება ჩემთან
და უნდა იწვე თოვლში ულანდოდ.
შენ უნდა იწვე, როგორც იწექი,
და სანამ შენი ლანდი მოგივა,
მე სიტყვას ვეტყვი მას მოწიწებით.
ეს ჩემი ჩუმი მონოლოგია...
მაგრამ ის ტაშით არ დაირღვევა,
როგორც თეატრის პირობითობა,
ეს არის ჩემი უხმო სიმღერა...
რა სიჩუმეა, თითქოს ითოვა!..
სინათლის წრეში, რომელიც ჩემი
მაგიდის მწვანე მაუდს ეცემა,
გესაუბრები...
მე მინდა რჩევა,
დღეს შენი ლანდი ვერ გამექცევა.
დღეს მინდა მასთან მივიდე მშვიდად
და არც ხმამაღლა არ დავუძახო,
რომ არ გამექცეს სინათლის წრიდან
უეცრად შენი ლანდი უსახო.
მე მეშინია გასვლა ამ წრიდან,
თითქოს წრე ცარცით შემომიხაზე,
ალბათ ცრემლია, რომ აწრიალდა
და სინდიყივით მირბის ნიკაპზე...

შენ ერთი სიტყვა არ გაიმეტე...
გთხოვდი ჯიუტად და დაჟინებით,
რომ მოსულიყავ... რაა იმედზე
უფრო ძლიერი და საშინელი.
მე შევყურებდი კვლავ და ხელახლა
შენი თვალების დამსხვრეულ სარკეს,
რომ ჩემი თავი იქ დამენახა,
მაგრამ ამაოდ, შენ იდექ ცალკე...
მე მოგკვდი შენში, მე ვიყავ შენი
ერთი ნაწილი და ის ნაწილიც
მოკვდა, როდესაც მოფრინდა სტვენით
შენთან ბრმა ტყვია და დაგაწვინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ არ ცხოვრობდი ჩემი აწმყოთი
და ჩუმი იყავ მუზეუმივით,
თითქოს აგურზე აგურს აწყობდა
და აშენებდა კედელს დუმილი.
შენ იმ დუმილის კედელთან იწექ ---
ჩუმი, ამაყი და გამბედავი,
შენ იმ კედელთან ათბობდი მიწას,
მესმოდა სუნთქვა და ვერ გხედავდი...
და მხოლოდ ღამე კვლავ გაბრუნებდა,
მე ისევ მცემდა სუნი თუთუნის
და დამძიმებულს ძილის ცდუნებით
ვეღარ ვხუჭავდი ამ ქუთუთოებს...
და ასე მქონდა შენი სიკვდილი
წარმოდგენილი... ბავშვი მამაზე
ასე ფიქრობდა... იქნებ სიკვდილი
სულაც არ იყო ასე ლამაზი?..

რა არის სახლი?
ოთხი კედელი?
ჭერი?
ან იქნებ სივრცე უჭერო
და უკედლებო, სადაც ეტევა
ლანდი, რომელსაც ვებღაუჭებით?
იქნებ ავეჯი? —
ყველგან ნათრევი,
შეკრული ფიცრის დიდი ყუთები,
რომლებიც გარეთ, მზის სინათლეზე
ჰკარგავენ სითბოს და მყუდროებას?
თუ ის ცრემლები და აღტაცება,
ამ ოთხ კედელში რომ მოვათავსეთ?
იქნებ უეცრად ბავშვის გაქცევა
შიშველ ფეხებით ცივ იატაკზე?
ან იქნებ თვლემა და იაბერეში
შემოჩვეული სურდო და ძაღლი?
იქნებ სარდაფის ბნელ კიბეებზე
ჯდომა და ფიქრი?..
რა არის სახლი?..
იქნებ კედლების სიჩუმე თეთრი,
სადაც ოდესღაც როგორც ისმოდა,
კვლავ ისე ისმის და ისე ფეთქავს
საათის ღერძის მარადისობა?
შენ დგახარ ისე, ვით მოლანდება
და კვლავ მამხნევებ ქაღალდზე
დახრილს...
რა არის სახლი?..
თქვი...
მოლოდინი
უმწეო ქვრივის?..
რა არის სახლი?..

9740

სითბო?
სიცივე?
იქნებ ორთავე?
თუ მომწყვდეული შენი ფეხის ხმა,
მზით გავსებული ჩემი ოთახის
დაბზარულ კედლებს რომ შეეხიზნა?..

ეს ვინ დაეცა თოვლში?
ვინ არის?
ხელი უმწეოდ ვინ გაიშვირა?
ეგ შენ იყავი,
მე დაგინახე,
ახლა შორიდან ისმის ყიჟინა...
მე ვარ ფხიზელი, ჯერ არ ვყოფილვარ
ასე ფხიზელი...
მინდა ტირილი...
სველი მაქვს შუბლი, ალბათ ოფლია,
და მიხურს რკინის მოაჯირივით.
შენ სუნთქავ, ანდა მინდა სუნთქავდე
და ჩემთან იყვე...
რისთვის წახვედი?
რად დამიტოვე ბევრი უთქმელი,
ამოსაცნობი და მისახვედრი?
შენ თოვლზე წევხარ, ნაძვების იქით,
უსასრულობის ზღურბლთან მისული,
მაგრამ შენ მაინც ამაოდ ფიქრობ,
რომ მაგ სიკვდილით განთავისუფლდი!..
შენით და შენი სუნთქვით და სიტყვით
გაჟღენთილია ჩემი ჰაერი,
მირჩიე რამე, მე მინდა ვიყო
შენსავით სათნო და შენნაირი.
მე რომ ვოცნებობ, შენ ხარ ისეთი
და ბევრ ცოცხალზე უფრო ცოცხალი,
მირჩიე რამე... დუმილისათვის
სინათლის წრეში რად გამოცხადდი...
მოდი, ჩამოჯექ ისევ კიბეზე,
მუხლზე დამისვი მორცხვი ბიჭივით,
ნუ გაიცინებ თუ დავიბნევი,
ზევით ამაგდე და დამიჭირე...
მე ვარ ფხიზელი, ასე ფხიზელი
ჯერ არ ვყოფილვარ... უცებ გაიხა
ბურუსის ფარდა... და ჩემს სიზმრებში
მე დაგინახე... შენ ცოცხალი ხარ!..
შენ აღარ გითრთის თოვლზე თითები
და ვეღარც ბგერებს ვიგებ და ვარკვევ,
მაგრამ მე ვიცი, დაიბინდება,
რომ მოგიტანო ტუჩებთან სარკე...

დადგა აპრილი, ჩუმი და თბილი,
შენ თოვლზე წევხარ და მე მიყურებ,
შენ იღიმები, მე ვხედავ კბილებს,
როგორც აივნის მიჯრილ რიკულებს.
დადგა აპრილი... და ის თბილია
როგორც შენი ხმა...
და შენ დაღლილი
კვლავ თოვლზე წევხარ და აპრილია
და მე არ მიკვირს დროის აღრევა...
შენ წევხარ ისე, როგორც გათავდი
და ნაზამთრალი გაცივა წიწვი,
შენ ასე დარჩი, იყო ზამთარი,
ძნელია გათხრა გაყინულ მიწის...
მე დაგინახე... ეგ შენ იყავი,
შენ მიყურებდი... შენ ხარ ნამდვილად,
ახლა რომ ისევ ისე მიყურებ,
თუ ბეწვის ხიდზე როგორ გავდივარ.
ჩემი სხეულის ორი სარკმელი
შენი სინათლით ისევ ივსება,
მე მსურს შენსავით რომ შუქს ვაკმევდე,
ყველა თვისების მსურს მითვისება.
შენ მოხველ ჩემთან...
მე კი ვღელავდი...
მე ეს სიჩუმე სქელ ტიხარივით
უნდა აღვმართო, რომ დღეს ვერავინ
ვერ შემოშინოს ეს სიხარული.
მითხარი რამე, ძალიან დიდხანს
იყავი ჩუმად, გაზრდა მაცალე,
ჩემს სულში შენი ყოველი სიტყვა
გასკდება, როგორც ხორბლის
მარცვალი...
თქვი... ისე ვსუნთქავ, ასე მგონია,
მკერდში ჩამიდგი დღეს საპერველი
და დაინახე ეს სტრიქონები —
გაშიშვლებული ჩემი ნერვები...

•

შენ მიყურებდი... იყავ ბოლომდე
ქედმოუხრელი, ენთე ცეცხლივით
და მე მათბობდი...და შორს ბოლავდა
მაიდანეკი და ოსვენციმი...
შენ მიყურებდი... შენი ჩვენება
მიუწვდომელი და სისხლდაცლილი
იყო ძვირფასი, როგორც გენერლის
დაღლილი სახე ჯარისკაცისთვის...
შენ მიყურებდი, ყინვამ ფეხები
წაგართვა, მაგრამ ტკივილს უძლებდი,
მე ვიცვლებოდი... სისხლით შეღებილ
თოვლზე იწექ და იყავ უცვლელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს მაგიდაზე შენი თითები
კვლავ ცახცახებდა და მე მახსოვდა,
რომ ვერასოდეს ვერ მოითმენდი
ვერც გულგრილობას, ვერც
თვალთმაქცობას.
დღეს შენმა ლანდმა მითხრა: „გუგებში
შუქი ჩაგიდგი და მზე გაჩვენე,
მე გაგაჩინე, ქვეყნად გაგიშვი,
შენ გაამართლე შენი გაჩენა...
შენ სულმდაბლობა არ გეკადრება.
არ გაპატიებ და დავინახავ,
შენ ამას მიხვდი, შენს თავს ადრევე
მიუახლოვდი, ჰკითხე: ვინა ხარ?..
თუ სხვა გინდოდა, თუ სხვას ფიქრობდი
და თუ ცხოვრება გსურდა ისეთი,
რომ რამდენიმე თბილი სტრიქონი
გამოგეგლიჯა დუმილისათვის,
დღეს აღარ კმარა... ამას განიცდის
და შენნაირად ფიქრობს ურიცხვი,
შენ პასუხს აგებ ამ სინათლისთვის
და ამ სინათლის დასასრულისთვის“.
დღეს შენმა ლანდმა მითხრა: „იცოდე,
რომ დამარცხება ქვეყნად უკუნის
და გადარჩენა მზის და სიცოცხლის —
ეს არის ტვირთი ამ საუკუნის!..
შენი ტვირთია, შენ ზურგზე გაწევს,
მე მოვიტანე შენამდე ბრძოლით,
და შენც იბრძოლე, არ უნდა გაწყდეს
ცოცხალი ჯაჭვის უწყვეტი რგოლი.
შენი სტრიქონით, ბრძოლით, ტკივილით
მე არ შევრჩები მხოლოდ კატალოგს,
ჩემი სიცოცხლის გახანგრძლივება
შენი სხეულით უნდა ატარო...“
შენ ეს მითხარი, შენმა სინათლემ
ჩემი სიზმარი კვლავ გადაკვეთა,
შენ შემომხედე და აღიმართე
და თოვლზე დადექ, ვით ქანდაკება.

მამალი ყივის... უნდა დავშორდეთ
ახლა ერთმანეთს, მამალი ყივის...
აციაგდება, როგორც ბავშვობა,
ჩემს მაგიდაზე სინათლის სხივი,
მამალი ყივის... მალე ცისკარი,
როგორც მაღალი ზვინები თივის,
აბრიალდება... ცეცხლის სისწრაფით
მოიწევს დილა, მამალი ყივის.
მე დავინახე თითქოს თავიდან,
რაც დღეს გადამხდა, ეს ყველაფერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მივხედი, ამას მე ვერ ჩავიტან
მოგონებების ბნელ სარდაფებში.
მე დავიღალე, რადგან ვცდილობდი,
გავმკლავებოდი ყველას უშეხოდ,
და ეს არ არის ის დაღლილობა,
რომელსაც მხოლოდ ძილი უშველის.
შენ მოხვალ ისევ ლანდად ნაქცევი,
და გამაღვიძებ ხვალაც და ზეგაც,
განმეორდება კვლავ რედაქციის
ტელეფონების გაბმული რეკა.
ისევ შემოვა მზე ალმაცერი,
ისევ მოვუსმენ, რასაც ვუსმენდი,
თავზე ღრიალით კვლავ დამაწვება
სტადიონების იარუსები.
ისევ გავათევ, როგორც ვათევდი,
ჩვენი ოთახის მაღალ კედლებში,
და მე ვიქნები უფრო ნათელი,
უფრო ძლიერი და უკეთესი.
ჩემი შემკრთალი ხმა თუ მოგესმა,
ნუ მოგაყენებს ტანჯვას და ტკივილს,
შენ იქ ხარ უკვე, სადაც ოდესმე
უნდა მოვიდე... მამალი ყივის...
და სანამ მოვალ შენთან, მანამდე
კარგად იცოდე, კარგად გახსოვდეს,
რომ ამ სიწმინდის და ამ სინათლის
წრეს არ გადავალ მე არასოდეს!..

ძველი გალადა

ზაქაიძე ვარ, ხალხო, გიორგა ზაქაიძე, მეცხვარე და სარქალი კაცი! ლარსთან შუადამის ხანს ხამხელმა ახმედამ ზურგიდან თოფი დამცა, პირიდან ბოლი გამადინა, თვალი დამიბნელა, სიცოცხლე წაიღო. ჩოხელთ მოგზავნილი იყო ხამხელი ახმედა, აგრე იცოდეთ! ჩემი მარჯვენით, გონებითა და სიყვარულით მოშენებული ცხვარი ლომისის წმინდა გიორგის შეგვევედრე. ეს იყო ჩემი ბოლო ნათქვამი. ხევ-ხევ მათრიეს ხამხელებმა, სამტაშის კლდეებთან ლოდები წამაფარეს, შენი საფლავიც ეს იყოსო. დარიალმა ცივი, სუსხიანი ქარი იცის. იმ ქარებმა წამომირბინეს, მტვრად წამიღეს, მტვერი ქვეყანას მოსდეს.

მერე და რა სიცოცხლე წაიღო მამასულძაღლმა ხამხელმა! ცხვარი უპატრონოდ დამიგდო, არმად ჩამიტარა ჯაფა და ამაგი. ჩემი ოფლითა და სისხლით ნაამაგარს ჩემნაირად ვინღა მოუვლის...

თორმეტის წლისა დამაობლეს. მამაჩემს, გაბრიელა ზაქაიძეს სურხახელებმა ცხვარი მოუსხლიტეს. სოფელში ცხენდაცხენ შეჰყვა, ტყვია გამოლეოდა, ხანჯლით მიეკრა. დაჩეხეს სურხახელებმა მამაჩემი გაბრიელა ზაქაიძე. წუთისოფელი მოუსწრაფეს. ორი პატარა ძმა დამრჩა — ერთი სამის წლისა, ერთიც — ძუძუთა ბალღი და დედაი, ხადელ წამალაიძიანთ ქალი, მარიამი. მშივრები და ბოგანოები დაგვხადა იღბალმა.

ჩოხელებს დავუდექ მწყემსად, მამაპაპეულ საქმეს მოვეკიდე, ცხვარ-მეცხვარეობას. ცხვარმა სიღარიბეს უთხრა, სახლიდან გამეცალეო. რათაო? ერთად ვერ დავეტევითო: ერთ კუთხეში რძეყველი უნდა დავაწყო, მეორეში — მატყ-

ლის ბარდანები, მესამეში — ხორცი, მეოთხეში — ტყავი, შუაში თავად მე უნდა დავდგეო. წავიდა სიღარიბე, სახლს დაეხსნა. აგრეთია ცხვრის ძალა, თუ კაცს ილაჯი გასწვდება. ეგ არის, ძნელი გასაწევია მეცხვარეობა, მძიმეა წყეული. წლიდან წლამდის ჭერი ცისა ბეხრავს, ლოგინი მიწისა გიგია. წვიმა, თოვლი და ნამქერია შენი წილხვედრი. გაზაფხულზე და შემოდგომაზე ისეთი ამინდი იცის, ცხვარს მიერეკები, კოკისპირულს ყელბალთიანნი ქოფაკები ურმებქვეშ შეურეკია, წვიმა ფარდაგივით ჰკიდია, ფარდაგს იქით ვაცის რქა ტორტმანებს, გალუმპალუმა ნაბადმა ლამის მხარ-ბეჭი შაგწყვიტოს. ზაფხულში სიცხე ტანზე პერანგს შემოგალპობს, ზამთარში ხელ-ფეხი ერთთავად დამზრალი გაქვს. ნადირი შემოგეჩვევა — ფარეს დაგიორხებს. კვიმატი წელიწადი გამოვა — ჭირი ცხვარს ზიანს მისცემს. მიდიხარ და მიდიხარ! ყიზლარის ველებამდის გზა როგორი გასალევია! გაიელი და გაზაფხული აღარ მოვა? მერე ისევ შემოდგომა აღარ დადგება? მუხლი მგლისა უნდა გქონდეს, ჯანი — კლდისა, ღონე — არაგვის წყლისა.

სანამ საძოვრებზე ჩახვალ ცხვრის მოსასხლეტად, პირაქეთა და პირიქითა ყაჩაღები ბარე ათჯერ დაგეცემიან, ტყვიაც ბარე ათჯერ მოგიკითხავს. იქნება მოგხვდეს და წაგიღოს კიდეც. ჩახვალ და აღარც იქ ჩასულს მოგასვენებენ. გამოიზამთრეს, ბინებს აჰყრი, ცხვარს ჩვენი მთისკენ გამოირეკავ — რაც მიმავალს დღე დაგადგა, მომავალს მეტს შეგამოხვევენ. გულისყური უნდა გქონდეს — არავინ წამოგეპაროს, მედგარი უნდა იყო — ლაღად დაუხვდე, მარდი, რომ სროლა დაასწრო, თვალი გიჭირდეს — თოფს მიზანში მიატანინო. დადიხარ და იქნებ ლომისის ხატს შენი სიკვდილი ჯერაც არა აქვს ნათქვამი — გზისპირიდან, შიმალიდან, ტრამალის ღრანკიდან ტყვიას ელოდე. აგრეთია ცხვარ-მეცხვარეობა, სიღარიბემ სახლი იმიტომ დასთმო, თორემ...

თორმეტი წლისა ჩოხელებს მწყემსად დავუდექ. წლის თავზე ჩოხელთ ფარიდან ოცი დედა ცხვარი ამოვარჩიე, სამწყემსო მერგებოდა, წელიწადში ოცი სული ჩემი გასამრჯელო იყო. ორმეტ წლის თავზე ყიზლარიდან სამოცი სული ჩამოვირეკე: ოცი გასული წლისა, ოცი ამათი ბატკანი, ოციც ამ წლისა. ზარალი არაფერი მომსვლია, ღილის დროს ფარას თავზე ვადექი, სამ კვირის ძილი არ მომკარებია. რამდენი ბატკანი მოიგო ცხვარმა, იმდენი ნაბადქვეშ შევისვი, ყინვასა და ქარბუქს გავარიდე. რვა-რვაც მსხდომია უბეში და ათ-ათიც. უმწეო თუ რამ იყო, ძუძუს მივუსვი, პირი დანის წვერით დავუღე; ხსენი ვაწოვე; ვაცოცხლე და გამოვაზამთრე.

ოცი წლისას საკუთრივ ჩემ წილად კარგა ბლომა ცხვარი მეგულებოდა. ჩემთავად სიარული ვინდომე. ჩოხელებს ვუთხარ, ჩემი მომითვალეთ-მეთქი. მაგდენი არ გერგებაო. თავს ქვას ნუ ახლითმეთქი. გვიჩივლეო. სად უნდა მეჩივლა? ქონება ჩოხელებსა ჰქონდათ და სამართალიც ქონებაზე ეკიდა. ძმადნაფიცები მყავდა, ისინიც ჩოხელთ მწყემსები იყვნენ. მხარი მომცეს, იმათაც თავისი ცხვარი მოითხოვეს. როცა ბეგრნი დაგვინახეს ჩოხელებმა, შეეშინდათ, ზიანს რასმე მოგვეცემენო, ზოგი რამე დასთმეს, იწვნა, იაფა ამ საქმემ. მოვრიგდით როგორც იყო, ნახეკარი მაინც გამოვიხსენით და ძმადნაფიცებმა ერთად სიარული დავიწყეთ. სხვებიც შემოგვიერთდნენ: ზოგი ქისტი იყო, ზოგი ლეკი და ზოგი ქართველი. ჩემს გარდა ცხრანი იყვნენ. ათი მგელივით ვაქკაცი მოვგროვდით. ათივეს ყაბარდოულები გვყავდა, ათივე გიგო კარიაულის ნახელაკ უნაგირებზე დავსხედით, ათი თოფი და ათი დამშაჩა თავის ქამარ-ხანჯლით გამართული აგისხით, მკერდსა და წელზე სამსარეები შემოვირტყით, ლეკური ნაბდები წამოვისხით, ნოღური დაფოთლილი ყალმუხის ქუდები დავიხურეთ. თითო ისეთი ვაქკაცი იყო — საცრისტოლა თვალებს აბრიალებდა, ხარის კისრები და წისქვი-

ჭაბუა ამირეჯიბი
გიორგა ზაქაიძე

ლის ქვებივით მკერდები ჰქონდათ, ნადირივით მარდები იყვნენ. იმათი გულისა კაკაკასიონზე დედას არაფერი გაეჩინა.

— აპაი, თქვე კატებო, თქვე ციცებო, თქვენა! აპა, სადაურები ხართ ჩვენი ცხერის მომსხლეტავები!

სლეპაოვსკაიასთან დადოხელები დაგვიხვდნენ. არც არაფერი გვეტანეთ, ქალმებივით დავიფრინეთ. ოცი ვერსი ვდიეთ, ზოგს იარაღი აეყარეთ, ზოგი ტყემ დაგვიკარგა.

გამოვიზამთრეთ, ცხვარი მთისკენ გამოვირეკეთ. ახლა სისხლის ასაღებად ჩაგვისაფრდნენ განაწყენებული დადოხელები. ისევ დავიფრინეთ, შიგ დადოხში სროლითა და ყიჟინით შევყეთეთ, ათასი სული ცხვარი ჩვენ მოვუსხლიტეთ, იმათ კი არა. გამოვირეკეთ, საბრიყეთ ვაზღვევენეთ. ვიღაცის შატაბეტა ხანჯალი ნეკსა და ნეკს შუა წამსვლოდა, ეგ იყო და ეგა. ისიც ძაუეში შევახვევინე, ჭრილობა ფეხზე შემიხოოცდა. რამდენი ამისთანაები გადაგეხდენია, ლომისის წმინდა გიორგიმ იცოდეს, ჩვენი შეწირული შავი დეკეულები დათვალოს. აგრეთი ხმა დამიგიარდა, ბალთიდან ყიზლარამდის დიაცები ატირებულ ბალღებს ჩემი სახელის ხსენებით აჩუმებდნენ — სუ, შვილო, გიორგა ზაქაიძე მოვაო! თოფს გავისროდი — ზარბაზნის ხმა ჰქონდა, ცხენს მივაჭენებდი — ფლოქვის თქაფანი მეხად ისმოდა, სიტყვას ვიტყოდი—კანონის ძალა ჰქონდა. უხოროცო კაციანო, ასე ამბობდნენ. მაშ, როგორ იქნებოდა! პირისპირ მოსული ვაჟკაცი ერთიც არსად მეგულებოდა, თვალის დახამხამებით მაინც აკ დამესწრო თოფის დაცლა. იტყოდნენ, მაშ როგორ! ორ-სამ შეყენებულ ჩახმახზე ცარიელა ხანჯლით მიგსულვარ. გაუსროლიათ კიდეცა და არც ერთი არ მომხვედრია. როდი უნდა შეეპუო, როდი უნდა შეუდრეკ — პირისპირ მიდი, შენი გულადობა მტრისას აჯობებს, შეაშინებს, ხელს აუკანკალებს. ან ვეღარ გესვრის, ან გესვრის და დაგაცდენს. სიკვდილი უნდა შეაშინო. უნდა იცოდე როგორა, და გაგეცლება, გაგერიდება. გიორგა ზაქაიძემ შიში არ იცისო. მართალი როდია ესა, ხალხო, შიშიც ვიცოდი და ზარიც. ქვეყანაზე ისეთი კაცი არ არის, შიში არ იცოდეს, თუკი ჭკუთამყოფელია. მაშ, რაღა კაცი იქნებოდა? ლეკვის წამოყენებისა შემშინებია, უცაბედი კენჭის ჩქამისა, რისიც გინდათ, იმისი! ეგ არის, ვეკობნიდი შიშსა, დაბრიყვებული მყავდა, ამით გამეძონდა. ესეებიც ცხვარმეცხვარეობამ მასწავლა.

ზაქაიძე ვარ, ხალხო, გიორგა ზაქაიძე! ცხვარი ცარიელა გულით და ვაკაცობით როდი მიტარებია, ქვეყანაზე ცარიელა გულით და ვაკაცობით როდი მივლია — გონებითაც, სიყვარულითაც, მოხერხებითაც, დაზოგვითაც. ჭკუა პირტიტელობაშიეე ვისწავლე: ალქუმელი კაცის სისხლი მედო, ცხენი მოგვაარა, დავეწიე, შემომტიკა, ხანჯლით დავჭერი. ხანი გავიდა, სარქლები შუაკაცებად ჩაგვიდგნენ, შეგვარიგეს: ჭრილობაში რამდენი ქერის მარცვალი სიგრძლივ ჩაეტეოდა, იმდენი მოზვრის მირეკვა მარგუნეს. ბუჩუკურიანთ ყანებში გრძელი ქერი იცოდა, იმათი ქერი წვაიღე, იმ გრძელი ქერით გავაზომვინე, იმ ქერის სიგრძითა ვზღე. ორი მოზვერი აღარ დავზოგე?

ანგუშტში ნაყაჩაღარი ქისტი იყო სეილამი. გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავდა, ბანეთი ერქვა. უომისოდ ჩემი სიცოცხლე არ იქნებოდა. მივედი, ქალი მომეკი-მეთქი. თუ ჩერქეზეთიდან აბდულა სხაფლოქის სადოღე ამლაკის გადმომყვანი ხარ, მაშინ ჩემი ქალის ღირსიცა ყოფილხარო. რამდენი ვაკაცი ბანეთის სათხოვნელად ნაყაჩაღარ სეილამთან მივიდა, იმდენს აბდულა სხაფლოქის სახელიანნი ცხენის მოგვრა უთხრა. რამდენი კაცი იმ ცხენისთვის ჩერქეზეთში გადავიდა, ზოგი ცარიელა მოვიდა, ზოგი სულაც არ დაბრუნებულა.

ძმადნაფიცებმა მითხრეს, წავიდეთ და წამოვიყვანოთო. ათნი თუ ერთ კაცს ცხენს წავგვრიდით, ვაკაცობაში არავინ ჩამოგვართმევდა. ან ისეთი რა უნდა ყოფილიყო აბდულა სხაფლოქი?! თავად წვაალ და გადმოვიყვან-მეთქი.

მე ჩემი გუმანი მქონდა. აბდულა სხაფლოქის გზად მიმავალს დავუდარაჯდი. ამლაკზე იჯდა, მხლებლები ჰყავდა. დავეწიე და გადავასწარი. გული მოუვიდა, თავისი დოღის ამლაკი ჩემს ქურანს გამოუყენა. არც ქურანი მყავდა ნაკლები. ვერ დამეწია და ვერა. ამაობაში მხლებლები ჩამოგვრჩნენ და ტყის გზა იყო, იმაზე გადავუხვიე. იქამდის ვაქენე, სანამ დავრწმუნდი, რომ მხლებლებმა კვალი დაკარგეს, მაშინ ქურანს სადავე დავუმოკლე, ტაატით ვიარე. სხაფლოქი დამეწია. დამეწია და დავდექ. სხაფლოქიც დადგა. სადაურობა მკითხა. მავანი ვარ-მეთქი. გავუფონიავარ. კარგი ცხენი გყოლიაო. შენც კარგი გეყავს, მაგრამ ჩემი ქურანი ჯობია-მეთქი. არაო. გავცვალოთ-მეთქი. არაო. ხუთი ამლაკის ფასის სართი ვაძლიე. არაო. მაშინ ყბაში მუშტი შემოვკარ, გონი წავართვი, ცხენიდან გადავაგდე, ამლაკს სადავეში დავწვდი და ჰაი გიდი, გიორგა ზაქაიძეკ!

რომელმა წამოიყვანა ჩერქეზეთიდან აბდულა სხაფლოქის დოღის ცხენი? ვისია ნაყაჩაღარ სეისალამის ბანეთი?!

მდევარი ყაბარდოშიღა წამომეწია. ქურანზე ვიჯექ, აბდულას ამლაკი სადავით მიმყავდა. სხაფლოქმა დამიყვირა, დადექით. ქურანს დეზი ვკარ. თოფები დაცალეს, შორს ვიყავ, მე კი დამაცდინეს, მაგრამ აბდულას თავისივე ამლაკი შემოაკედა. ჩემს თვალთწინ გათავდა სახელიანი ცხენი. ასე მეგონა, ბანეთი მომიკლეს-მეთქი. ცხელ ვულზე სხაფლოქს ვესროლე, ყალმუხის ქუდი მოვხადე, კინაღამ მართალი კაცის ცოდო დავიდე. არეულობაში მდევარს როვორღაც წაუვედი, კვალი გავიცავე. არ მერგებოდა ამლაკი, სამართალი არ იყო, არც შემრჩა.

სეისალამთან მიველ, ვუთხარი, როგორც იყო, პირობის შეცვლა ვთხოვე. არა ვიცი რაო. უბანეთოდ ჩემი სიცოცხლე არ იქნებოდა. ჩავუსაფრდი, უნაგირზე შემოვიგდე, მთა-მთა გადავედი, თერგს ვვეე. ქალი მდევარმა ვერ დამაგდებინა. ლარსში, ცოტა დარჩა, თავად მე გავუშვი; ტიროდა, გულმა მიჩვილა. გავუშვებდი კიდეც, მაგრამ მონატაცი ქალი მამის სახლს შეაბერდებოდა, აღარ გავუშვი.

ხანი გავიდა, სეისალამთან მიველ, შიშველი ხანჯალი მივაწოდე. არც დამკრა, არც მაპატიე. ისე მიიცვალა, ახლო არ გაგვიკარა ცოლ-ქმარი.

ლარსში საბაჟო იყო, საძოვრისას სულზე კაპიკს გვახდევინებდნენ, გამოვიდოდა მოხელე და დაიძახებდა:

— გიორგაა, „სკოლკოოო!“

— „სკოლკო ბოგ დალ!“ — არ ვეტყოდი ხოლმე, რამდენიც იყო. ამოდენა ცხვარს დათვლიდა, თუ როგორა?

ერთი ვაჭრობა და დავიდარაბა ატყდებოდა ხოლმე. მეათედზე მეტი არც როდის გადამიხდია.

გზის მოიჯარადრე იყო ერთი, გვარად ხანშა, ორასი ცხვრისა ემართა ჩვენი. საქმეს გადაყვეთ, კოზზე კარგა ხნის უმშველა ამოვედით, ხანშა შემოგვხვდა. ძმადნაფიცი მახლდა, თედო ბეგოიძე. ფული მოვთხოვე, არ მოგვცა, ზედ არა მაქვსო. ამნაირად თქმა ეს მერამდენე იყო; ამ კვირის სწორს მლეთაში შენი ხელით ამომირბენინებდე, თუ არადა ჩამოვალთ, ჯალაბს დაგიწიოკებთ, აკვნის ბაღლს არ დავინდობთ-მეთქი; დავემუქრე, თორემ ამისთანების ჩამდენი ათში არც ერთიც არ ვიყავით.

წამოსვლა დაგვაცადა, ასიოდ ნაბიჯიდან ბეგში თოფი დამცა. მივუტრიალდით — გაგვექცა, ხეე-ხეე მივყეთ, არ ვესროლეთ, ცოცხლივ დაჭერა გვინდოდა, ერთი რიგიანად ვცემოთ-მეთქი. ამ გაქცევა-დაჭერაში, როგორღაც იყო, ხელიდან დაგვიძვრა. მას დღეს აქეთ აღარც მე მინახავს, აღარც ძეხორციელს ვისმე. ტყვეი ბეგში მეჯდა, სისხლი ბევრი დამექცა, თვალმა ჭრელობა დამიწყო. მშიერი ვიყავ-მეთქი, წინ-წინაცა ვთქვი. აგრეთ დროს უნდა ჭამო რამე, რომ ჯანზე მოხვიდე. გუდაურამდის აღარაფერი რჩებოდა. თედომ ცხენს დეზი ჰკრა, სანამ მე ავიდოდი, ზანდუკელის

ჭაბუა ამირეჯიბი
გიორგა ზაქაიძე

დუქანში საჭმელი რამ დაეხვედრებინა. მიგელ. ზანდუკელს კვარტი ღვინო, მწვადი, ყველი, ქორფა მწვანილი და ახლად ამოყრილი ზოთები დაელაგებინა. იქ იდგა, მელოდებოდა. გამარჯვება ვუთხარ, ჯალაბი და საქონელი მოვუკითხე, საჭმელს დავხედე:

— ესეები რა დამიჯდება, ზანდუკელო?

— დაბრძანდი, გიორგავ, მიირთვი, ღმერთმა შეგარგოს, ფასი რა საკითხავია! მე ის მიხარია, დუქანში მოხველ. არაფერიც არა დაგიჯდება რა.

მედუქნის ვალს ვერ დავიდებდი.

— თქვი, ზანდუკელო, როგორ ეღირება?

სუფრას თვალი მოავლო, ექვსი შაურიო, ერთი კარგი ბატკნის ფასი თქვა.

მეზეკრა, არ წავეკარე, ცხენზე შეეჯექე, თავქვეეშში დავეშვით, ფასანაურში ექიმბაშთან ჩაველ, ხანშას ნასროლი ტყვია ამოვაღებინე, მლეთაში ამოვბარუნდი, შინ მიველ, ბანეთის გაკეთებული კერძი ეჭამე. ფული გადასაყრელად ვერ გავიმტკიცე და იმიტომ. არავის ეგონოს, ძუნწი ვყოფილიყავ; ფულის გადაყრა არ მიყვარდა, თორემ ძაუგში, გროზნაში თუ გუდერმესში ოცი და ოცდაათი თუმანიც ხშირად გადამიხდია — ათასი ბატკნის ფასი.

ზაქაიძე ვარ, ხალხო, გიორგა ზაქაიძე! რამდენი ვაქკაცისთვის თვალი, მარჯვენა, ოჰახი მიჩვენებია და მიჯობნია. თუ საქციელით მომწონებია, ძმადაც შეეფიცულვარ. რამდენი მოსაკლავი კაცი შემომკედომია, რამდენიც ჭრილობისაგან ამიკენესებია და ცხვრის დაკვლას კი ვერ ვუცქერე და ვერა. დაკვლა კი არა, ბატკნის კიკინი გულს ატმის კურკის ოდენას მიხდიდა. ძმადაფიცები ზუოგს უკან დამცინოდნენ, განა არ ვიცი, მაგრამ სიყვარული მქონდა და საკლავიც იმიტომ მეგრალებოდა. სიყვარული მექნებოდა, მაშ როგორ — ჯაფა მქონდა გაწეული, ნაზრუნავ-ნაამაგარი იყო, ცარიელაზე ამოდენა ცხვარი დავაყენეთ. ხარბი როდი ვიყავი! საქმე, ცხვარ-მეცხვარეობა მიყვარდა. იმისი მადლი და სიხარული, იმისი ხიფათი და ასავალ-დასავალი. სიმდიდრითაც ქონებით ნაშვენი სახელი არცოდილა არა მდომია. ცხვარს დავდევდი — ერთ კაცთან კარგსა ვთესდი, ავ კაცს სამაგიეროს ვუხდიდი. ცხვარს ხელს არ ვაკლებდით, გაგიმრავლდა დალოცვილი. იმრავლოს-მეთქი, წყალში ხომ არ გადაგყრიდით. მეყვარებოდა, მაშ რა იქნებოდა, თითო ცხვარში ჩემი სისხლის თითო წვეთი აღარ იყო? უბეში ასიდან ერთი ბატკანი აღარ გამომითბია? თითო ათასისთვის თითო სიკვდილი არ მინახავს? თავი მომწონდა. თავი მომწონდა? საცა გავევლიდი, უცნობი შემომხედავდა — უხაროდა, რა ვაქკაცია, მაგის გამჩენს ვენაცვალეო! ფარეს თვალს გადავალებდნენ — პატრონივით აკრეფილი ცხვარიო. ნაცნობებს სალამს ძლივს ვასწრებდი — შუბლს მიწას უწმდნენდნენ. მოკეთე და მეგობარ-ნათესავი რჩევა-დარიგებისთვის ჩემთან მოდიოდა, როგორც ვეტყოდი, ისე მოიქცეოდნენ, გიორგამ ასე თქვაო. ძმადაფიცებს თვალში ჩავვარდნდი, ხელს არ იქნევდნენ. ტოლები ვიყავით და სწორება — მაინც ხათრი, პატიცი და დაჯერება ჰქონდათ ჩემი. მტერი ისე დაშინებული გვყავდა, რომ სიყვარული ჰქონდა ჩვენი, რიდი და მოკრძალება. აგრე იყო, როგორცა ვთქვი, ლომისის ხატის მადლმა. აგრე არა ყოფილიყო, მეცხვარეები ჩვენზე ნათქვამ ლექსებს აქამდისინ როდი იტყოდნენ. დიაცები გიორგა ზაქაიძის სიმღერას ჩონგურზე როდი დაამღერებდნენ. სიცოცხლე როდი მენანება — კაცი სიკვდილის შვილია. ბანეთის ეშოისა და ჩემი გულისა ვერაფერი დავტოვე, არ მომცა ღმერთმა, ის მენანება. ძმები დაგზარდე, სწავლა მივეც. მაჭარივით ვაკკაცები გავგზავნე, კუტი პურის ხმიადებივით დაბრუნდნენ. ჩემს ნაოფლარს ნასწავლი კაცის კანონწესით ჩაუდგნენ. სწავლა კარგია, განა არ ვიცი? მაგრამ მარტო ნასწავლობა ცხვარს ვერას არგებს. იმდენი წელიწადი იყვნენ, რანაირ სასწავლებლებში არ იარეს, საქონლის სიყვარული ვერ ისწავლეს, ამისი სასწავლებელი არსადა ყოფილა. ცხვარს ჯიგარი უნდა, სიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული უნდა. მუსრს გაავლებენ, ქარს გაატანენ, მტერს გაახარებენ, მოყვარეს ამიტირებენ.

ეეეჰ! ბეჩავო ჩემო თავო, მუხთალო წუთისოფელო!

ზაქაიძე ვარ, ხალხო, გიორგა ზაქაიძე; მეცხვარე კაცი, მთიულეთის სარქალთ სარქალი! ლარსთან შუაღამის ხანს ხამხელმა ახმედამ ზურგიდან თოფი დამცა, პირიდან ბოლი გამადინა, თვალი დამიბნელა, სიცოცხლე წაიღო. ჩოხელთ მოგზავნილი იყო ხამხელი ახმედა, აგრე იცოდეთ. ჩემი მარკვენით, გონებითა და სიყვარულით მოშენებული ცხვარი ლომისის წმინდა გიორგეს შევავედრე. ეს იყო ჩემი ბოლო ნათქვამი. ხევ-ხევ მათრიეს ხამხელებმა, სამტაშის კლდეებთან ლოდები წამაფარეს, შენი საფლავიც ეს იყოსო. დარიალმა ციცი, სუსხიანი ქარი იცის. ამ ქარებმა წამომირბინეს, მტვრად წამიღეს, მტვერი ქვეყანას მოსდეს.

ზაქაიძე ვარ, ხალხო, გიორგა ზაქაიძე!

ჭაბუა ამირეჯიბი
გიორგა ზაქაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა კახიძე

ოთხი ლექსი თამუნიას

რადგან სახლში მყავს

ვარეთ სიცხეა თუ ზამთარია,
მთვარე ძველია თუ ახალია,
ირგვლივ სიჩუმე თუ ხარხარია,
ჩემთვის ერთია, ეს რა ხანია!

გულში უჩვეულო ხმაურია,
არ ვარ სიმღერების მონატრული,
რადგან სახლში მყავს თამუნია,
ჩემი პაწაწინა მოლაღური!

დავთმე ველ-მინდორი გადახნული,
მინდვრის ყვავილები — არნახული,
რადგან სახლში მყავს თამუნია —
ჩემი საკუთარი გაზაფხული!

☆

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიძინე, თამუნია

დაიძინე, ნანინანა,
შეწყდა ირგვლივ მასლაათი,
რა ხანია მიიწურა
ყველა წუთი და საათი!
ზამთარს უკვე ჩაუვლია,
ხეები სულს ძლივს ითქვამენ,
გოგნი-გოგნი-თამუნია,
შენ გელოდი ოდითგანვე!
რომ კერია დაგელოცა,
მოგეტანა სიხალისე,
ჩემი ფუძის ანგელოსი
შენ იყავი იმთავითვე!
ჩემს სიცოცხლეს, პაწაწინავ,
მხოლოდ შენ ერთს შემოგავლებ,
თამუნია! — დაიძინე,
ბინდი ადევს შემოგარენს!

☆ ——————

მოფრინდა უცხო რამ თოლია!

გულში რომ ფიქრად არ მქონია,
მოფრინდა უცხო რამ თოლია,
მთელი წელიწადი მოვუნდით,
მის წამოჩიტვას და ლოლიავს!
ახლა მწვანე კაბა მაცვია,
აქამდე რომ ვგავდი ხმელ წიფელს,
სულ სიცილ-კისკისად მაქცია
ჯერ გაუცინარი ხელმწიფე.
მღერა არ ვიცოდი, მასწავლა,
სიმღერის ხამსა და უმეცარს,
და რაც კი ვიცოდი, რაც არა,
ყველა დამავიწყა უეცრად!
ჩემი სათაყვანო ნიბლია
ყველა ოცნებაზე დიდია,
გულიდან გარეთ არ გამოდის,
სხვები მოდიან და მიდიან!
თუმც მაცლის ღონეს და არაქათს
და თუგინდ დღე-ღამე გასწორდეს,
მისი სიყვარულის ბარაქა
არ აიწონება სასწორზე!

☆ ——————

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა შენს თვალებს წყლიანს,
სცვივა და სცვივა ცრემლი,
მე ჩემი დამვიწყნია,
მტკივა ტკივილი შენი!
სხვისთვის პატარა ქალი,
ჩემთვის ხარ დიდზე დიდი,
ხარ სიჭაბუკის გზიდან
შორს გადებული ხიდი!
ჩემო გოგნია-გოგო,
შენთვის რას აღარ ვითმენ,
თმებით შევეხო ოღონდ
მაგ სალამურის თითებს!
სხვა სიყვარულის ღმერთი
გულში ვერ დასადგურდა,
ის არის ახლოს ჩემთვის,
ვინც შენ ახლოს გყავს გულთან.
ჩემი ხარ, განა სხვისა,
არც მიწის, არცა ცისა,
ამდენ უძილო ღამეს
ვაპატიებდი ვისა.
თვეებს თითებზე ვითვლი,
ქვეყნად ყველაზე დიდო,
შენ დაიბადე მისთვის,
შენი ტკივილი ვზიდო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი გოგიჩაიშვილი

თავი მერვე

საყურე

ვამოსაშვებმა გამოცდებმა ყველაფერი დაავიწყა ლალის. იგი დილიდან საღამომდე თავაუღებლივ მეცადინეობს, ჰგონია, კარგად იცის, გაიმეორებს კიდეც, მაგრამ სულ ცოტა კმარა, რომ დაიბნეს და ყველაფერი დაავიწყდეს. სწავლა როდი უჭირს, ნებისყოფაც ყოფნის, ღამის სამ საათამდე წიგნებს ჩაჰკირკიტებს, თუნდაც ძილი და დაღლილობა თავს უმძიმებდეს. დიდმა მწუხარებამ, უცხო ქალაქმა, მისთვის უჩვეულო გარემომ დააბნია ლალი. დღეები უფერულად მიჰყვება ერთმანეთს. ირგვლივ სიცოცხლე ჩქეფს: ხარობენ, მღერიან, ახალს აშენებენ, ძველს ალამაზებენ. ლალის კი აღარაფერი ახარებს. ტექნიკუმში ნატოს გარდა ვერავის შეეწყო. ნატო კი მუდამ კომკავშირული საქმეებითაა დატვირთული. ლალი თანაკურსელ ვაჟებს გაურბის, გოგონებს ერიდება. ძნელია, ასე, სამ თვეში გული გაუხსნა ვინმეს. ოთარ ჩადუნელსაც გაურბის. არც სცალია, მეცადინეობს, სულ მეცადინეობს.

ზოგჯერ ჩუმად, თავისთვის თუ იტირებს. დეიდა ამის ნებასაც არ აძლევს, ამდენი ვაი-ვიში გაწყენსო. ლალის თვალზე ცრემლი თუ დაინახა, ადუდღუნდება: არ უნდა იტირო, თუ თავი არ გეცოდება, იმ ოჯახს მაინც ეცი პატივი, სადაც ცხოვრობ და სადაც შენზე ასე ზრუნავენო.

სულ სხვაგვარად ჰქონდა ლალის წარმოდგენილი ტექნიკუმის დამთავრება. ის დღე დღესასწაულზე მეტი უნდა ყოფილიყო, სამახსოვრო და დაუვიწყა-

---

გაგრძელება. იხ. „ცისკარი", № 7.

რი. დამთავრდა ბავშვობა და სიყმაწვილე, დაიწყო ახალი ხანა. ამ ბოლო დროს საოცრად აიყარა ტანი, კაბებში ვეღარ ეტეოდა. კიდეც უფრო დამშვენდა და გალამაზდა, მხოლოდ ცოტა ფერმკრთალი იყო.

ტექნიკუმში ბოლო საგანი ჩააბარა, და მის ზურგს უკან საბოლოოდ მიიხუარა სასწავლებლის კარი.

ყველაფერი ჩვეულებრივად მოხდა. ნატომ ვერც მაშინ მოიცალა, კომკავშირის რაიკომში გაიქცა, თათბირს უნდა დასწრებოდა. სხვები ვახშმის თადარიგს შესდგომოდნენ. ლალიც მიიწვიეს, უარი უთხრა. ჩაცივდნენ, დაემუქრნენ, შინ მოვალთ და მაინც წამოგიყვანთო.

გზაში თანდათან შემოეფანტნენ თანაკურსელები. შინ გული არ მიუწევდა, გაგივლიო, გაიფიქრა და რუსთაველის პროსპექტისაკენ გასწია. საღამო ხანი იყო და პროსპექტზე უამრავი ხალხი იერეოდა. წელს ზაფხული გრილი დღეებით დაიწყო. ახლაც არ ცხელოდა. ნიავი ოდნავ აშრიალებდა ჭადრების ფოთლებს.

როგორ გაახარებდა მამას, როგორ ჩზეიმებდნენ ტექნიკუმის დამთავრებას. წინასწარ აწყობდნენ გეგმებს. ახლა კი რა, უაზროდ დაეხეტება მარტოკა ამ ზღვა ხალხში. არსად მიუხარია, არსად მიეჩქარება, არც არავინ ელის. მათ მყუდრო ქუჩაზე წყვილები დასეირნობენ. გამვლელები მიდი-მოდიან. შინ არავინ დახვდა. გასაღები მინიშნულ ადგილას დაეტოვებინათ. ალბათ არც კი გაახსენდათ, რომ დღეს ლალის უკანასკნელი გამოცდა ჰქონდა. ვის სცალია მისთვის! გასაღები გადაატრიალა. ზურგს უკან ჩურჩული მოესმა. ყურადღება არ მიუქცევია.

ის იყო ოთახში უნდა შესულიყო, რომ არანჩას ხმამ შეაჩერა:

— ლალიკო, ჩემთან შემოდი, საქმე გვაქვს.

— ახლავე, დეიდა არანჩა! — უპასუხა ლალიმ, გასაღები კარში ჩატოვა და არანჩასთან შეეიდა.

ერთი ოთახი აქვს არანჩას. ბევრი არაფერი უდგას, მაგრამ ოთახი ისეა ნივთებით გაჭედილი, რომ გასაჯლელი ადგილიც არაა. რა ჰქნას, ოთხნი ერთნი ვერ ეტევიან.

ტკბილეულით სავსე სუფრას მეზობლის ქალები შემოსხდომოდნენ.

— ბოდიში, — ჩაილუღლუღა ლალიმ, დაიმორცხვა და გადაწყვიტა უკან გაბრუნებულიყო, მაგრამ ნუნუმ შეაჩერა:

— სად მიდიხარ? — უთხრა ალერსით, — უკანასკნელი საგანი ჩააბარე?

— დიახ...

— ჰოდა, მომილოცავს! — გადაეხვია ნუნუ.

სხვებმაც გადაჰკოცნეს გაოცებისაგან დაბნეული ლალი.

— მოგვილოცავს!

— მოგვილოცავს, შვილო!

ლალიმ აღელვებისაგან ერთ ხანს ხმა ვერ ამოიღო, შემდეგ გონს მოეგო და ალუღლუღდა:

— თქვენ... თქვენ საიდან იცოდით?

— როგორ თუ საიდან? ყველამ ვიცოდით, — უპასუხა კეკელიამ.

ლალი გაოცებული იყო. ასეთ რამეს არ ელოდა. გულში სითბო ჩაუდგა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ენა ვერ მოაბრუნა, ძლივს შეიკავა თვალზე მომდგარი ცრემლი.

არანჩამ ნუნუს თვალით რაღაც ანიშნა. ლალი მაგიდასთან დასვეს. ნუნუმ ნაყენით სატარა ჭიქები შეავსო.

— ეს შენი სადღეგრძელო იყოს, შვილო, — უთხრა ტკბილად, — მოგილოცავთ ტექნიკუმის დამთავრებას, ცხოვრების დიდ გზაზე გამოსვლას!

კეკელიამ სასმისი ასწია და წამოდგა.

— ვაი, რა გაუძლებს ამის მონოლოგებს, — გაიხუმრა ნუნუმ.

— აქამდე შენმა ბრძნულმა სიტყვებმა ყურთასმენა წაიღო, ცოტათი მეც მომისმინეთ, — უპასუხა კეკელიამ და ლალის მიუბრუნდა.

ლალიც წამოდგა.

— დაჯექი, ლალი, დაჯექი, — ხელი მოხვია ნუნუმ, — თორემ კეკელიას თუ უყურე, ფეხზე დგომით ჩამოხმები.

— დაცადე, მოვუსმინოთ,—გაუწყრა ნუნუს არანჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემო ძვირფასო ლალი, — დაიწყო კეკელიამ,—შეილივით საყვარელო, შენთვის ყველაფერი კარგი მინდა. პატარა აღარა ხარ, ახლა გზას თვითონაც გიკვლევ. ირგვლივ მგლები როდი გახვევია, ხალხნი ვარო, ადამიანები,—ხმას აუწია კეკელიამ, თვალზე ცრემლი მოსდგომოდა, — ბევრი გადაიტანე, არა უშავს რა. გზა ია-ვარდით გქონოდეს მოფენილი, სიხარული და გამარჯვება იყოს შენი თანამგზავრი! არანჩა, შენი ჯერია!

— რა ვთქვა... — აცრემლდა არანჩა, — გაგიმარჯოს, ლალი!

— ლალი, სამადლობელი გმარჯოს, — მიუბრუნდა კეკელია ქალიშვილს. ლალიმ ხმა ვერ ამოიღო, მხოლოდ ნაყენი დალია უსიტყვოდ. ქალები ტკბილეულს აწვდიან, ლალის კი მღელვარებისაგან პირი აქვს გამშრალი და წამდაუწუმ წყალსა სვამს. ხმა რომ ამოიღო, ცრემლს ვერ შეიკავებდა. თვალზე მომდგარი ცრემლი სიხარულისა, მაგრამ გულიც ტკივა, რომ მშობლები მის სიხარულს ვერ იზიარებენ.

არანჩა თითქოს მიუხვდა ფიქრებს, ხელი მოხვია:

— ისეთი კარგი ხარ, საყვარელი!.. — როცა აღელდება ქართულსა და ესპანურ სიტყვებს ერთმანეთში ურევს. ახლაც ესპანურად დაამთავრა, — ბუენა ჩიკა!

— საშმელს ხელს რაწ არ აკარებ, არა გშია? — ეპატიჟება ნუნუ.

რაღაც უნდა თქვას ლალიმ. ამდენი სიჩუმე აღარ შეიძლება. მორცხვობას სძლია, ქალებს ჩურჩულით მიმართა და ამ ჩურჩულს მთელი გული ამოაყოლა.

— გმადლობთ... ისეთი კარგები ხართ, აი, ისეთი, როგორც დედა... — და სიტყვა ცრემლით დაამთავრა.

ნუნუს თვალები დაენამა. კეკელიამ თავი მიიბრუნა. არანჩა არ არის გულჩვილი, ცხოვრებაში იმდენი ვაება უნახავს, იმდენი რამ განუცდია, ძნელია, რაიმემ გული აუჩუყოს. ლალისთან მივიდა, გულში ჩაიკრა და ტკბილად, ძალიან ტკბილად უთხრა:

— ჩვენი ძვირფასი შვილი ხარ! — აქაც ესპანური გამოუერია, — ტუ ერეს ნუეტერა ინა!

ოთახში ბიჭუნა შემოვარდა ტირილი.

— დედიკო, ნანიტა მცემს, — მიმართა მან არანჩას.

არანჩა მოიღუშა.

— ერთი მომიყვანე აქ ის გოგო!

— ნანიტა! ნანიტა! — ბიჭუნამ უცბად შეწყვიტა ტირილი და დის დასაძახებლად ეზოში გავარდა.

— რა საჭიროა ასეთი სიმკაცრე? ბავშვებს შინაით გულებს უხეთქავ, — თქვა ნუნუმ.

მათ ათიოდე წლის გოგონა მიუახლოვდა. უკან გახარებული ბიჭი მოსდევდა.

— რაშია საქმე? — ჰკითხა არანჩამ გოგონას.

— არაფერი, დედიკო, ვანოს სათამაშო ავიღე, მცემა, ჰოდა, მეც ერთი ორი ვუთავაზე.

— წადით და ითამაშეთ, დედიკოს ამისათვის ნუ აწუხებთ, — უთხრა ბავშვებს კეკელიამ.

— რომ მცემა? — აზლუქუნდა ბიჭუნა.

— შენი ბრალია, — ახლა ბიჭუნას მიუბრუნდა არანჩა, — გეთხოვებია სათამაშო, დაგიმტვრევდა?

— დამიმტვრევდა! — გაჯიუტდა ბიჭი.

— ახლავე აკოცე ხანიტას! — უბრძანა არანჩამ.

ბიჭუნამ ხმაამოუღებლად მიუშვირა ლოყა ნანიტას. იცოდა, დედასთან ჯიუტობა არ გაუვიდოდა.

ხელიხელჩაკიდებულნი გავიდნენ. ბავშვების შემოსვლამ გაბედულება შემატა ლალის. ტკბილეული შეჭამა, ნაყენიც დალია, ენა ამოიდგა.

— შენი მომავლისა იყოს, შვილო! — დალოცა ნუნუმ.

— მომავალი...—გაიმეორა ლალიმ,— მომავლის მეშინია, რა ვიცი, რა მომელის.

გივი გოგიჩაიშვილი
გაზაფხულიდან გაზაფხულამდე

— რა მოგელის? — შეეპასუხა არანჩა, — ბედზე და უბედობაზე მეც კი არ ვლაპარაკობ. თორმეტი წლის ვიყავი, როცა ფაშისტების თვითმკვრნავიდან ჩამოგდებულმა ყუბარამ დედა მომიკლა. მამა და ძმები ფრონტზე დამეღუპნენ. თავი არ მომიკლავს. ჩამომიყვანეს აქ ობოლი. ჯერ სულ ვტიროდი, შემდეგ ბედს შევეჩვიდი, ყველაფერი გადავიტანე! — აღელდა და ესპანური გაურია, — სიემპრე ლორავა, მუჩო ე სუფრიდო... საქართველოში მეორე სამშობლო ეკოვე. ბედნიერი ვარ, ხომ ხედავ, ორ შვილსა ვზრდი, ქმარიც კარგი მყავს. ბინა არა მაქვს კარგი, ეშველება მაგასაც. ცხოვრებას გაუმარჯოს! ლა ვიდა ეს ბუენ!

— ვივა! ვივა! — ტაში შემოჰკრეს ქალებმა.

საუბარმა მხიარული. ძალდატანებული ხასიათი მიიღო. ბევრი იხუმრეს, იცინეს, შემდეგ ისევ სერიოზულ საუბარს დაუბრუნდნენ.

— ისწავლი თუ იმსახურებ? — შეეკითხა ლალის ნუნუ.

— ბავშვობიდანვე ექიმობა მიტაცებდა, ამიტომ შევედი სამედიცინო ტექნიკუმშიც. მამასაც ასე უნდოდა.

— ხომ კარგად დაამთავრე ტექნიკუმი?

— მოხვდი ხუთ პროცენტში?

— გამიჭირდა, მაგრამ მაინც მოვხვდი.

— ჰოდა, რაღა გიშლის ხელს, შეიტანე განცხადება სამედიცინო ინსტიტუტში.

— შევიტან, თუმცა მეშინია, იქ ისეთი კონკურსია!

— უნდა შეძლო, — უთხრა ნუნუმ, — დრო გაქვს, იმეცადინე.

— რა მოხდებოდა, — თქვა არანჩამ, — ინსტიტუტში კონკურსის გარეშე რომ მიგიღონ?

— არ არის ასეთი წესი.

— როგორ თუ არ არის? თუ საჭირო იქნა, დეპუტატთან წავალ, ვთხოვ!

— შენიანები რას გეუბნებიან? — შეეკითხა კეკელია.

ლალიმ არაფერი უპასუხა.

— ნეტავ რის მაქნისები არიან? — ღვარძლიანად თქვა არანჩამ.

— უთქმელი გოგო ხარ, — წაუსმარა კეკელია,—ნათელა აქეთ-იქით დაპარაკაშებს, შენ კი შინ ხარ ჩაკეტილი. უნდა გაერთო.

— უ, მაგათი სინსლა გასკდეს! — თქვა არანჩამ, შემდეგ წამოდგა და გიტარა აიღო.

— ვივა გიტარა! — წამოიძახა ნუნუმ და ტაში შემოჰკრა.

— ლალის ხათრით დავუკრავ, — თქვა არანჩამ, — დიდი ხანია ჩვენებური სიმღერები არ გამიხსენებია.

გიტარა მომართა, ერთ ხანს ჩუმად ძალიან ჩუმად უკრავდა, შემდეგ სიმეს მძლავრად ჩამოჰკრა ხელი და დაამღერა:

— კონ ესე ლუნარ,
კე ტიენეს, სიელატო მიო,
ხუნტო ალა ვოკა.
ნოსელო დეს
ა ნადიე, სიელატო მიო...

არანჩას სიმღერა მოთავებული არ ჰქონდა, რომ ზარის ხმა გაისმა. სამი ზარია, მაშასადამე, გარდაფხაძეებთან რეკავენ.

ლალიმ კარი გააღო და სახტად დარჩა. მის წინ ოთარი იდგა. ლალი დაიბნა, აღარ იცოდა რა ექნა.

ოთარმა გულღიად გაუცინა:

— გამარჯობათ, ლალი! — უთხრა და დერეფანში შეაბიჯა.

— ჩვენები შინ არ არიან, სადღაც წავიდნენ, არც გასაღები დაუტოვებიათ, — წაილუღლუღა ლალიმ.

ოთარმა კარში გაჩხერილ გასაღებს მოჰკრა თვალი, შემდეგ ლალის შეხედა და ტკბილად უთხრა:

— არა უშავს რა, მე თქვენთან მოვედი, გილოცავთ ტექნიკუმის დამთავრებას, მცირედისათვის ნუ დამძრახავთ, — ჯიბიდან პატარა კოლოფი ამოიღო და გახსნა.

გაოცებულმა ლალიმ კინაღამ შეჰყვირა. საოცარია, საიდან გაიგო ლალის სურვილი. ოთარს ხელში პატარა საყურეები ეჭირა.

ლალი უცბად გამოერკვა, თავშეუკა-

ვებლობისა შერცხვა. ხომ არაფერი შემამჩნიაო, გაიფიქრა, თავი დახარა, საჩუქარი არ გამოართვა.

— ნუთუ არ მოგეწონათ?

— როგორ გეკადრებათ!

მაშინ აიღეთ, ნუ გამაწბილებთ.

უცბად ლალიმ კარში გაჩხერილ გასაღებს მოჰკრა თვალი, შერცხვა, გაწითლდა. და ტყუილი რომ რამენაირად გამოესყიდა, ოთარს კოლოფი გამოართვა და თბილად უთხრა:

— გმადლობთ, ოთარ!

— ბედნიერი ვარ, — აღელვებისაგან ხმა ჩაეხლიჩა ოთარს, — დღეს პირველად დამიძახეთ სახელი.

ლალიმ არაფერი უპასუხა. კოლოფი ისე უხერხულად ეჭირა, თითქოს ამძიმებსო.

— არ შემეძლო არ მომელოცა, — უთხრა ოთარმა, — მინდოდა ეს დღე რაღაცით აღმენიშნა.

ლალი გაინაბა. გუმანით მიხვდა, ოთარს ახლა რაღაც უნდა ეთქვა. ამ დროს სადარბაზო კარი გაიღო, დერეფანში სოფიო, გიორგი და ნათელა შემოვიდნენ. ნათელამ ლალი და ოთარი ერთად რომ დაინახა, გაცეცხლდა, მაგრამ არ შეიმჩნია. გიორგიმ ოთახს მიაშურა. ლალიმ ინსტინქტურად მუჭში ჩამალა კოლოფი.

დედა-შვილი ოთარს მიესალმა.

— მობრძანდით, ოთარ, — ნაძალადევი ღიმილით მიმართა ნათელამ, — დედა, შემოიპატიჟე!

ოთარმა სიტყვა გააწყვეტინა.

— გმადლობთ, ერთი წუთით შემოვიარე, ლალის ტექნიკუმის დამთავრება მივულოცე.

— იქნებ სტუმარს არ სურს შემოსვლა, — ჩაილაპარაკა სოფიომ.

— გმადლობთ, მეჩქარება, შემდეგ შემოვივლი, — თქვა ოთარმა და სასწრაფოდ გავიდა.

— ლალი, გელით! — დაუძახა არანჩამ თავის ოთახიდან.

— რად გეძახიან? — შეეკითხა სოფიო.

— ისე, ყველანი დეიდა არანჩასთან არიან შეკრებილნი.

— რისთვის?

— რა ვიცი, — დაიბნა ლალი, — ტექნიკუმი რომ დაამთავრე, უნდა მოგილოცოთო.

— უყურე შენ! თურმე ჩვენს კართან დილიდანვე მომლოცავთა რიგი დგას და ჩვენ კი არაფერი ვიცით, — ჩაილაპარაკა ნათელამ.

— ნათელა! — წყრომით გადახედა მას ლალიმ.

— რა ნათელა, აგეწვა კუდი?

არანჩა და კეკელია მათკენ წამოვიდნენ, ალბათ ყური მოჰკრეს ამ უსიამოვნო საუბარს.

— თქვენც გვეწვიეთ! — მოიპატიჟა ნათელა და სოფიო არანჩამ.

— გმადლობთ! — უკმეხად მიუგო ნათელამ.

— ნათელამაც დაამთავრა საშუალო, მაგრამ მოლოცვა არავის გახსენებია, — თქვა სოფიომ.

— ნათელას დედა ჰყავს.

— არც ლალია უპატრონო, აქ არა ვართ?

— მაგას ჩვენი პატრონობა რად უნდა, ვიღაც ვაქეი პატრონობენ.

— ნათელა, როგორ არა გრცხვენია, — ამოიკვნესა ლალიმ.

— სირცხვილით შენ უნდა იწვოდე, ვაჟს რომ დაინახავ, აღარ იცი რა ქნა.

— ნათელა! — აქვითინნდა ლალი.

— რა მოხდა! — მხრები აიჩეჩა არანჩამ, — რას ერჩი ლალის?

— ნათელა, — მკაცრად მიმართა შვილს სოფიომ, — ახლავე შედი შინ. შენც წამოდი! — უხეშად მიახალა მან ლალის.

ლალი თავჩაღუნული წალასლასდა. სოფიო და ნათელა უკან მიჰყვნენ.

— საწყალი გოგო! — ჩაილაპარაკა არანჩამ, — მაგათთან არ ეცხოვრება. უ, მაგათი სინსლა გაწყდეს! ბინა რომ მქონდეს, ჩემთან ვაცხოვრებდი.

სოფიომ თავი შინ რომ დაიგულა, მოხსნა პირი და ათჯერ მაინც გაიხსენა

ოთარის მოსვლის ამბავი. აღარ გაჩერდა, ყველაფერი გაუზვიადა. ქაქანით რომ დაიღალა, გიორგის შეუტია:

— ხმა ამოიღე, კაცო, მე ერთი საბრალო დედაკაცი ვარ, ჩემსას ვინ რას შეისმენს! უთხარი ამ გოგოს რამე, ოჯახის თავკაცი ხარ, შენ სიტყვას სხვა ძალა აქვს, თორემ, ხომ ხედავ, სულ წავიდა ხელიდან!

— ჰო, ჰო, ჩემო კარგო, — მშვიდად მიუგო გიორგიმ, — დაწყნარდი, რა ქნა ასეთი ლალიმ? ალბათ რაღაც გაუგებრობაა.

ქმრის სიტყვებმა სულ გააცოფა სოფიო:

— რაო, გაუგებრობაო? შენ ამას უთხარი რამე! ვაი, რა უბედური ვარ ამათ ხელში, რა უბედური! ქმარი მე არ მარგია, შვილი და დისწული...

გიორგიმ სოფიოს წინააღმდეგობა ვერ გაუწია, შუბლი შეიკრა, ლალის მიუბრუნდა და აყვირდა:

— ბოლოს და ბოლოს რას ჰგავს ეს?

ლალის არაფერი ესმოდა, თავი ბალიშში ჩაერგო და ჩუმად ტიროდა.

გიორგიმ რაკი დაიწყო, აღარ გაათავა, უმატა და უმატა. ხან რა თქვა და ხან რა... ლალის ისეთი რამეები უსაყვედურა, რაც დედა-შვილსაც კი არ უფიქრია. ნათელა ნაწყენი იყო ლალიზე, მაგრამ მაინც გაუბრაზდა მამას:

— მამა, რას ლაპარაკობ? გეყოფა! — უთხრა გაჯავრებით, მეორე ოთახში გავიდა და კარი მოიჯახუნა.

გიორგის სიტყვა გაუწყდა. ძალიან კარგი, არაფერს იტყვის! მაინც ვერ გაიგო, რაში ადანაშაულებდნენ ლალის.

ლალის საშინლად ასტკივდა თავი, დეიდა და ბიძია რა ხანია ჩუმად იყვნენ, სოფიო ათჯერ გაბერტყილ ნიბოებს ხელახლა ბერტყავდა და წმენდდა. გიორგი მაგიდასთან იჯდა, თავი მკლავზე დაედო და თვლემდა.

ლალი წამოდგა, პატარა ოთახში შევიდა და საწოლზე წამოწვა. ნათელას ტანსაცმელი გაეხადა და უკვე ეძინა. ლალისაც ძილი მოერია. თვალები მიეღულა. მაგრამ ძილიც მოუსვენარი ჰქონდა. ძილ-ღვიძილში იყო, სწუხდა და უხაროდა კიდეც რაღაც. ვიღაცას ეთანხმებოდა თუ ეკამათებოდა. უეცრად ძლიერმა ხმაურმა გამოაღვიძა. დიდხანს ვერ მოვიდა გონს, შემდეგ თანდათან გამოფხიზლდა. გარეთ ძლიერი ქარი ქროდა და ხის ტოტებს ფანჯრის დარაბას ურახუნებდა. ოთახში ბნელოდა. დეიდა და ბიძიაც დაწოლილიყვნენ. როგორ მოენატრა სულო. ნეტავი სად არის, რას აკეთებს, ნუთუ არ ჩამოვა?.. იქნებ მოქანდაკეობას ისევ ექიმობა არჩია?

ხის ტოტი ისევ ეხლება ფანჯარას. ფიქრებში წასული ლალი ვერ ისვენებს, მის ყოველ მოძრაობაზე საწოლი საოცრად ჭრიალებს. ნათელას საწოლიც აჭრაჭუნდა, ჩანს, არც მას სძინავს.

— ნუ დამემდურები! — ჩუმად უთხრა ნათელამ.

ლალის ხმა არ ამოუღია. ცრემლი ახრჩობდა, თავი ბალიშში ჩარგო, რის გამოც საწოლი უფრო აჭრიალდა. ნათელა მიუხვდა.

— კარგი, გეყოფა, — უთხრა დაყვავებით, — მოხუცებმის ამბავი არ იცი? იყვირებენ, იყვირებენ, გაჩუმდებიან და შემდეგ ყველაფერი დაავიწყდებათ.

თავი მეცხრე

სულო ჩამოსულა

ლალიმ საბუთები სამედიცინო ინსტიტუტში შეიტანა. დილით ადრე მოვიდა ინსტიტუტში და მაინც ხუთი საათი მოუხდა რიგში დგომა. ინსტიტუტის რკინის ჭიშკრის წინ უამრავ ხალხს მოეყარა თავი, თვითეულ ახალგაზრდას სამი უფროსი მაინც ახლდა თან. იყო ერთი ჟრიამული და გნიასი. ლალი მარტოა, სრულიად მარტო. არც არავინ მოყოლია, არც არავის იმედი აქვს. რო-

გორც იქნა, მისმა რიგმაც მოაღწია. საბუთები ჩააბარა და ჩათვლის ფურცელი აიღო. ეს ფურცელი პირველი ხელშესახები საგანია, ინსტიტუტთან რომ აკავშირებს. სარკმელს ისე აღელვებული და სახეალეწილი გაშორდა, თითქოს პირველი გამოცდა ჩაებარებინოს. მიდის და მიუხარია. ირგვლივ ვერაფერს ამჩნევს, ვეღარაფერს ხედავს. უცბად ვიღაცამ დაუძახა. მობრუნდა და სიხარულისაგან შეჰკივირა:

— სულო!

სულხანი სირბილისაგან აწითლებული იყო, ძმიდან სუნთქავდა, სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ლალის რომ მიუახლოვდა, დაიბნა. ვეღარ მიესალმა, ვერც ხმა ამოიღო, იდგა და თვალებგაფართოებული შესცქეროდა ქალიშვილს.

— გამარჯობა, სულო! — უთხრა ლალიმ, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო და შეუტია, — რა დაგემართა? ხმა ამოიღე!

სულხანი ძლივს გამოერკვა და ალუღლუღდა:

— ლალი, გუშინ ჩამოვედი... გამარჯობა, დილიდან დაგეძებ!

— ჩვენთან არ იყავი? მისამართი ხომ იცოდი?

— ვიცოდი.

— გუშინვე ვერ მოხვედი?

— ვერ მოვბედე. დღეს რომ არ მენახე, მოვიდოდი.

— სამედიცინოზე ხომ არ შეგიტანია საბუთები?

— არა, სამხატვრო აკადემიაში შევიტანე. სიცილი დამაყარეს, ექთანს ჩვენთან რა უნდაო?

— დერე?

— დირექტორთან შევედი, ჩემი ნამუშევრები ვუჩვენე. საბუთები მიიღეს, ხვალიდან დღე და ღამე უნდა ვათვო, შემსწელლთათვის დამხმარე ჯგუფებია გახსნილი.

შუა ტროტუარზე იდგნენ და გამველელ-გამომველელებს ხელს უშლიდნენ. სულხანს ვერ მოეხერხებინა განზე გადგარიყო და ლალიც წაეყვანა. ისევ ლალიმ მოიფიქრა, მკლავში ხელი გამოსდო და ნელი ნაბიჯით გაჰყვნენ გზას. ლალიმ ხელმარცხნივ შეუხვია, პარკში შევიდნენ.

— სულო, შენ ხომ არსად გაგვიანდება?

— სულო, შენ ხომ არსად გაგვიანდება?

სულხანს გაეცინა, ლალის ახედა, გამბედაობა მოიკრიბა:

— როდესაც გვერდით მყავხარ, სხვა რა უნდა მახსოვდეს... — სათქმელი არ დაამთავრა და მკაცრი პასუხის მოლოდინში მხრები აიწურა.

ლალის გაეცინა, არც ხელი გაუშვია. სხვა დრო ასეთი სიტყვებისათვის გაუწყრებოდა, მოიშორებდა. ახლა საყვედურიც არ დასცდენია, პირიქით, სულხანის მკლავი უფრო მიიზიდა და ნაბიჯიც შეანელა. სულხანი დავაჟკაცებული, მაგრამ ისევე მოუქნელი და მორცხვია. ბაღში მყუდრო ადგილი მონახეს, სკამზე ჩამოსხდნენ. ერთ ხანს ხმას არ იღებდნენ.

— რას გაიუმეტულხარ? — დაარღვია სიჩუმე ლალიმ, — თქვი რამე!

— რა გითხრა, ტექნიკუმი დავამთავრეთ. ცირას გარდა არავინ დარჩენილა.

— ჰო, ცირას თავიდანვე არ უნდოდა სწავლა.

— მგონი ოხოვდება, გამოსაშვები საღამო მოვაწყეთ, ვახშამიც გვქონდა. შენ გვაკლდი, სულ გიგონებდით.

— მართლა? — გაეხარდა ლალის.

— ნოე მასწავლებელმა შენი სადღეგრძელო განსაკუთრებით დალია, ზურაბმა ლექსიც გაიხსენა: „ჩვენი გულის დედოფალო, ჩვენი კურსის დედოფალო, ტექნიკუმის დედოფალოო“.

ლალის გაეცინა. კვლავ დადუმდნენ. დუმილი ახლა სულხანმა დაარღვია:

— მე რომ მალაპარაკეს, შენი ამბავი მითხარი.

— რა გითხრა, ტექნიკუმი მეც დავამთავრე. ეს-ესაა სამედიცინოზე შევიტანე საბუთები, იმდენი შემსწავლელია, რომ...— უიმედოდ ჩაიქნია ხელი ლალიმ.

— მერე რა გაწუხებს? შენისთანა მოსწავლეს რისი უნდა ეშინოდეს?

— ის აღარა ვარ, სულო, რაც ვიყავ. მამის სიკვდილის შემდეგ გული ვერაფერს დავუდე, ვატყობ, გამიძნელდება გამოცდების ჩაბარება.

— რას სულელობ! — შეუტია სულხანმა, — თუ მოინდომე, ყველაფერს შეძლებ.

ლალის გაეღიმა.

— ყველა რომ შენსავით ფიქრობდეს. კვლავ დადუმდნენ.

— როგორ შეეჩვიე აქაურობას, როგორ ცხოვრობ? — შეეკითხა სულხანი.

— ისე.

— მაინც?

— რა ვიცი, ვცხოვრობ.

მათკენ ქალ-ვაჟი მოდიოდა, მაგრამ როგორც კი დაინახეს, სკამი დაკავებული იყო, ბაღის სიღრმისაკენ წავიდნენ. ვაჟმა მზერა ლალისაკენ გააპარა. სულხანმა ეს შენიშნა, აილწა და თვითონაც შეფარვით გადახედა ლალის. მართლაც როგორ დამშვენებულა ლალი! გაზრდილა, დაქალებულა. მასთან შეხვედრის სისარულმა ისე დაანბინა, არც კი შეუმჩნევია ეს. ლალიმ ცერად შეხედა სულხანს. სულხანი ფეხსაცმლის წვერით გზაზე დაყრილ აგურის ფხვნილს ჩიჩქნიდა.

— რად გაჩუმდი? — შეეკითხა ლალი.

სულხანი გამოერკვა:

— იცი, რაზე ვფიქრობდი? რაღაც სხვანაირი გამხდარხარ.

— როგორ თუ სხვანაირი? — დაინტერესდა ლალი.

— აბა, როგორ გითხრა, ვერ დაინახე, იმ ბიჭმა თვალებით კინაღამ შეგჭამა? ძალიან გამოცვლილხარ, გალამაზებულხარ.

ლალის გაეცინა, ესიამოვნა შექება. წინათ სულხანსაც არ აპატიებდა ასეთ ლაპარაკს, დღეს კი უსმენს, რა ემართება ნეტავ? უცებ სულხანს რაღაც მოაგონდა. ყველაზე ადრე ის უნდა ეჩვენებინა, მაგრამ გადაავიწყდა. გულის ჯიბიდან სურათი ამოიღო და ლალის მიაწოდა.

— ნახე, ლალი!

— რა არის?

ლალიმ სურათი გამოართვა, ერთ ხანს უყურა.

— უკუღმა გიჭირავს, გადააბრუნე.

ლალიმ სურათი გადააბრუნა. დიდხანს უყქერია. მერე მიხვდა, რაც იყო, თვალები დაენისლა, შუბლი შეეშმუხნა, მაგრამ ბოლოს სახეზე მადლობის ღიმილმაც გადაურბინა. სულხანს შეხედა. ვაჟი სათქმელს მიუხვდა.

— ჩვენ მოვუარეთ, რკინის ღობეც შევდებეთ, ეს ქვა მე გავთალე. მეტი ვერ შევძელი. ნამდვილი მოქანდაკე რომ ვიყო, მაშინ...

ლალიმ კვლავ სურათს დახედა. სურათზე საფლავი მოჩანდა, ირგვლივ შავად შეღებილი რკინის ღობე ერტყა. საფლავი ყვავილებითა და ფერადი კენჭებით იყო მორთული. საფლავის თავთან თეთრი ქვა იდვა. ლალიმ ათრთოლებული მკლავები შემოხვია სულხანს და თავისკენ მიიზიდა. სულხანი გაინაბა.

გზაზე ბერიკაცმა ჩაიარა, ამ სურათს რომ წაეწყდა, ბებრული, ხრინწიანი ხმით აჩიფჩიფდა:

— ახლანდელმა ახალგაზრდებმა ნამუსი სულ დაკარგეს. ასე მზისით, დღისით გაგონილა?!

თავი მეათე

უთქმელი სიტყვა

ვილაცამ კარზე ზარი სამჯერ დარეკა. ლალი შეკრთა. საოცარია, ვინ უნდა იყოს ამ დროს? ზარი განმეორდა. ლალი მარტოა შინ, სრულიად მარტო, ვაითუ ოთარია! მაინც რად ეშინია მისი? შეიძლება არც იყოს ოთარი. როგორც იქნა გამოაღო კარი; მის წინ ოთარი იდგა, შავი კოსტუმი ეცვა, ყელსახვევი ეკეთა. იდგა და იღიმებოდა.

— გამარჯობა, ლალი, — მიესალმა ოთარი, — თქვენები შინ არიან?

ლალის ენა დაიბა. პასუხი ვერ გასცა,

ვერც შინ შეიპატიჟა. ოთარმა არაფერი შეიმჩნია, ლალის გვერდი აუარა და ოთახში შევიდა. ლალიც უკან მიჰყვა.

— სად არიან თქვენები? — კვლავ შეეკითხა ოთარი.

— არ არიან... — ძლივს ამოიღო ხმა ლალიმ.

— არა უშავს რა, — მშვიდად თქვა ოთარმა, — ხომ მოვლენ? მანამდე კი ჩვენ ვიმუსაიფოთ.

ლალიმ არაფერი უპასუხა.

— რატომ დგახარ? მართალია, აფხაზეთში ხარ გაზრდილი, მაგრამ ეს ჩვეულება ახლა იქაც გადაივიწყეს.

ლალიმ არც ... ახლა გასცა პასუხი. სკამზე ჩამოჯდა. რა თავისუფლად უჭირავს ოთარს თავი. ლალის კი გული გამალებით უცემს.

— როგორ მიდის საქმე? ემზადები გამოცდებისათვის?

— დიახ.

— გეშინია?

— ძალიან.

— მეტი სითამამეა საჭირო, თუ იქაც ისე უპასუხე გამომცდელებს, როგორც მე მპასუხობ, კარგად ვერ წაგივა საქმე, — გაეხუმრა ოთარი.

ლალის გაეღიმა.

— თამამად უნდა შეხვიდე, საკითხი კარგადაც რომ არ იცოდე, მაინც რიცით დაიწყე, ნუ შეფერხდები. სითამამე ცხოვრებაში მთებსა ძრავს, გაბედულება გამარჯვების პირველი საწინდარია! — თქვა ოთარმა და უცბად მიხვდა, რომ გადაამლაშა. ნუთუ მეტი ვერაფერი მოიფიქრა? მაინც საიდან მოადგა ენაზე ასეთი სიტყვები?

„როგორ კეკელიასავით ლაპარაკობს, რა მოუვიდა?“ — გაიფიქრა ლალიმ.

ოთარი დაჩუმდა. საუბრის ძარღვი გაუწყდა. ლალიც დუმდა. ოთარი წამოდგა, გაიარ-გამოიარა, ფანჯარასთან მივიდა და თქვა:

— რა შესანიშნავი დარია!

— დიახ, არ ცხელა.

— შემოდგომით ყოფილხარ თბილისში?

— არა.

— შემოდგომა თბილისისაა!

— რატომ, ზღვაზეც კარგია შემოდგომა.

— კახეთშიც კარგია, იმერეთშიც, მაგრამ თბილისში მაინც სხვაა!

საოცარია ეს კაცი, შორიდან რომ უყურებს, თვალებით ჭამს ლალის. ახლა კი მარტონი არიან და ისე თავაზიანად, შინაურულად ექცევა, რომ ლალიც გაუთამამდა და უკვე ძალდაუტანებლად ლაპარაკობენ. ოთარი ხომ შესანიშნავი მოსაუბრეა! ყველაზე საოცარი მაინც ის არის, რომ ოთარი ლალის თანატოლივით ეპყრობა. მასზე ბევრად უფროსია, სახელმოხვეჭილი კაცია და ლალის კვლეს კი დაეძებს. არ იცის ლალიმ, კარგია ეს თუ ცუდი, არც არავინ ჰყავს ისეთი, ჭკუა დაარიგოს, ურჩიოს, როგორ მოიქცეს. სადღაც ეამაყება ოთართან ყოფნა, მაგრამ თავსაც ადანაშაულებს ასეთი სითამამისათვის.

ოთარმა ბევრი ილაპარაკა და ბოლოს სიტყვა სიყვარულზე ჩამოაგდო.

— კაცმა არ იცის, რა არის სიყვარული. ზოგი ამბობს, სიგიჟეაო, ზოგი— ბედნიერებააო.

„ისევ კეკელიასებურად დაიწყო,“ — გაეღიმა ლალის.

— სიყვარული მრავალგვარია, — განაგრძო ოთარმა — შენ რას იტყვი?

— არ ვიცი... — დაიბნა ლალი.

— ნუთუ სიყვარული არ გამოგიცდია?

ლალი გაწითლდა, თავი დახარა. ძალიან იწყინა შეკითხვა, ხმა არ გასცა, შუბლი შეიკრა.

— მაპატიე, ლალი, — თავი იმართლა ოთარმა, — ცოტათი უხეშად გამომივიდა. რასაკვირველია, შენ ჯერ კიდევ პატარა ხარ.

ახლა ეს იწყინა ლალიმ. განა ასეთი პატარაა? და თუ ასეა, რად უყურებს ოთარი თვალებანთებული ასე დაკვნე-

ბით. არა, ლალის არ უნდა, რომ იგი ბაგშვად მიიჩნიონ, მაგრამ არც ის უნდა, ასეთ რამეზე ელაპარაკონ.

ოთარი მიუხვდა ლალის.

— რა ვიცი,—ყოყმანით უთხრა მან.— თანატოლივით ველაპარაკები, გწყინს; პატარა ხარო, გეუბნები და გწყინს. როგორ მოვიქცე?

ლალის გაეცინა.

— არა, ნუ იცინი, სერიოზულად გეუბნები. განა ასე არ არის?

— შეიძლება, — თავი იმართლა ლალიმ, — რა გითხრათ, არასოდეს მიფიქრია ამაზე. სად თქვენ და სად მე?

უცბად დადუმდა და უფრო მეტად დაირცხვინა.

— განა ჩვენს შორის იმდენი განსხვავებაა? წინათ თურმე ცამეტი წლისანი თხოვდებოდნენ.

„ცამეტი და ხუთი — თვრამეტი, — გულში გაიცინა ლალიმ, — დავბერებულვარ!“

— წინათ შინაბერასაც კი დაგიძახებდნენ,—თქვა ოთარმა, თითქოს ფიქრს მიუხვდაო.

ლალიმ ღიმილი ვერ შეიკავა.

— ბევრ ქალიშვილთან ვამხანაგობ, მაგრამ არასოდეს მიგრძვნია, რომ მათზე უფროსი ვარ.

— ვიცი, — ჩაიჩურჩულა ლალიმ, — ვხედავ.

— ჰოდა, — სავარძელში ჩაჯდა ოთარი, — გეფიცები, არასოდეს არავინ მყვარებია. განა არ ვეძებ, სანთლით დავეძებ, არ ჩანს, პატიოსნებას გეფიცები, აი, პირველად რომ გნახე... როგორ გითხრა...

სათქმელი არ დაამთავრა. ლალი სულ დაიბნა. გული გამალებით უცემდა. მას ახლა ერთადერთი სურვილი ჰქონდა, გულში ჩუმად ემუდარებოდა ოთარს, ეხვეწებოდა, ისეთი არაფერი ეთქვა, რაც არასოდეს, არც ერთი ვაჟისგან არ გაუგონია.

სადღაც შორიდან მოესმა ოთარის ხმა. სმენა დაძაბა, გაიტრუნა.

— არ ვიცი, როგორ გითხრა,—ამბობდა იგი, — შენ რომ პირველად გნახე, ისეთი დიდი სიხარული ვიგრძენი...

„არა, ნუ, ნუ!“ — ფიქრობდა ლალი.

— მიეხვდი, რომ შენ ხარ ის ერთადერთი, ამდენი ხანი რომ დავეძებ და გადავწყვიტე შენი მეგობრობა დამემსახურებინა. ა, რას იტყვი, ლალი?

რა უნდა ეთქვა ლალის? გულში მადლიერი იყო, რომ ოთარმა ამაზე მეტი არაფერი უთხრა. ოთართან მეგობრობა საამაყო უნდა იყოს, მაგრამ ამას ხმამაღლა ხომ ვერ იტყვის.

— ნუთუ ჩემთან მეგობრობას თაკლობ?

— როგორ გეკადრებათ!

— მაშ, რატომ მექცევი ასე ცივად?

ოთარი ჩუმად შესცქეროდა ლალის. ამ დროს სამჯერ დარეკეს ზარი და ლალი კარის გასაღებად გაიქცა. ოთარი წამოდგა და სავარძლიდან სკამზე გადაჯდა. ლალიმ კარი გააღო. კართან სულხანი იდგა.

— შემოდი, სულო, შემოდი! — გაეხარდა ლალის.

ოთახში შევიდნენ. სულხანი შეკრთა, ოთახში უცხო ვაჟი რომ დაინახა, კართან შეჩერდა და ლალის გადახედა.

— სულო, გაიცანი, ოთარ ჩადუნელია!

— ოთარ ჩადუნელი, მოქანდაკე?! — კინაღამ შეჰყვირა სულხანმა და მისკენ გაეშურა.

ოთარს გაეღიმა, ესიამოვნა ასეთი ყურადღება.

— ეს კი სულხანია, — უთხრა ლალიმ ოთარს, — ჩემი სკოლის ამხანაგი. სამედიცინო ტექნიკუმი დაამთავრა, მაგრამ საბუთები სამხატვრო აკადემიაში შეიტანა, მოქანდაკე უნდა გამოვიდეს.

— კარგი ერთი, — დაიმორცხვა სულხანმა.

— რა გვარი ხართ? — შეეკითხა ოთარი და წამოდგა. სულხანი ოთარზე მაღალია, მაგრამ ტანწვრილი. ოთარის გვერდით მისი ჩაცმულობა სასაცილოდ მოჩანდა.

„მაინც რა ჩაუცვამს, — გაიფიქრა ლალიმ. რა ეესაც ისინი ერთმანეთს შეადარა, — როგორ ეტყობა, რაიონიდან რომ არის“.

ოთახში სიჩუმე დადგა. სულხანმა შე-

კითხვაზე პასუხი არ გასცა. ოთართან შეხვედრამ დააბნია. ლალიც ხმას არ იღებდა. დუმილი კვლავ ოთარმა დაარღვია.

— საბუთები შეიტანეთ აკადემიაში? — შეეკითხა იგი.

— დიახ. კონკურსია, ერთ ადგილზე ხუთი კაცი მოდის.

— შენ რა გიჭირს, — ამოიოხრა ლალიმ, — ჩვენთან უფრო მეტია.

სულხანის შემოსვლამ ლალის სითამამე შემატა, ენაც ამოიდგა.

— დაგეხმარებით, — უთხრა ოთარმა სულხანს, — მეგობრები მყავს.

— როგორ გეკადრებათ? — თვალი თვალში გაუყარა სულხანმა, — თუ ღირსი ვარ, მიმიღებენ, არა და...

„უყურე შენ, როგორი ყოფილა ეს ექთანი, როგორ ამაყად უჭირავს თავი! დახმარებაც არ სურს“.

— სულხანი ისეთი ნიჭიერია, — დაიწყო ლალიმ, — აი, გულქანდა რომ ნახეთ, მისი ნახელავია.

„ვაიმე, ჩემი გულქანდაც კი უჩვენებია,“ — გაიფიქრა სულხანმა.

— პო, მახსოვს, მახსოვს...

— სულხანი ნიჭიერია, — არ ცხრებოდა ლალი, — არ შეიძლება, არ გაიმარჯვოს.

— რა საჭიროა, — გააწყვეტინა სულხანმა, — როგორ პატარძალივით მამკობ?

— რატომ? — თქვა ოთარმა, — რწმენა დიდი რამეა. ყველაზე მეტად დედას და მეგობარ ქალიშვილებს სწამდათ, რომ ნიჭიერი ვიყავი და წარმოიდგინეთ, გავამართლე მათი იმედი.

— მთავარი მაინც შენშია, — მტკიცედ თქვა სულხანმა, — მახლობლები ხშირად ცდებიან.

„უყურე შენ! — მოეწონა ოთარს სულხანის ნათქვამი, — ნუთუ ეს ექთანი მიაღწევს რამეს? ასეთი რწმენა მეც კი არასოდეს მქონია. სადღაც მშურს კიდეც ამ ბიჭის.“

ოთახში სოფიო, გიორგი და ნათელა შემოვიდნენ. ერთად ყოფილიყვნენ სტუმრად. საუბარმა ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო. ყველაზე მეტს სოფიო ლაპარაკობდა, ნათელა დედის ნათქვამს ადასტურებდა, გიორგი კი ჩუმად იყო და ფიქრს მისცემოდა.

ჯერ სულხანი წავიდა, შემდეგ ოთარი. შინაურები დასაძინებლად მომეზადნენ. ნათელამ ჩქარა დაიძინა, ლალი კი ფანზელობდა. თვალს რული არ ეკარებოდა. არ იცოდა, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო. ვისთვის ეკითხა რჩევა. დეიდას ვერაფერს ეტყოდა, ვერც ნათელას. ძია გიორგი ხომ ამ შემთხვევაში სათვალავში ჩასაგდებიც არ იყო. სულხანი მისი ახლო მეგობარია, მაგრამ მასთან ამის შესახებ საუბარი როგორ შეიძლება!

არა და რა იცის ლალიმ ამ ცხოვრებისა. ჯერ არც ერთი ვაჟი ასე არ მოქცევია. მართალია, ოთარმა დღეს არაფერი უთხრა, მაგრამ ხვალ ეტყვის, ზეგ ეტყვის. „ოჰ, რა ძნელია ყველაფერი ეს, რა ძნელია ავისა და კარგის გარჩევა!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეთერთმეტე

ერთადერთი ჯერ

ოჩამჩირედან წამოსვლისას სოფიო ყველას შეპირდა, ლალის სამედიცინო ინსტიტუტში მოვაწყობთ, ჩემი ქმარი ვიღაც-ვიღაცეებს ეხმარება და ჩემს დისწულს როგორ არ მოეხმარებაო, მაგრამ ლალი თბილისში ყოფნის პირველ დღეებშივე მიხვდა, დეიდა ამ საქმეში ვერ დაეხმარებოდა.

ნათელა გაგრაში წავიდა დასასვენებლად. ბევრი იბუზღუნა სოფიომ, ფული არ გვაქვს შენს გასამგზავრებლადო, მაგრამ ნათელამ თავისი გაიტანა.

ივლისის ბოლოს დიდი სიცხეები დაიჭირა, ჰაერი არ იძვროდა. ქუჩაში ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდობის ჟრიამული აღარ ისმოდა, ბავშვებიც კი არ დარბოდნენ, მხოლოდ მამაკაცები თუ ჩაივლიდნენ, ან ბაზარში მიმავალი ქალები. მეზობლებიც გაიკიფნენ თბილისიდან, ბავშვები აგარაკზე წაიყვანეს. სამზარეულოში მხოლოდ კეკელია დაფუსფუსებდა. არანაჩა წაღვერში იყო, ნუნუ — ქობულეთში. სოფიო სულ ვერ იტანს სიცხეს. ოთახში პერანგისამარა დადის, სულს ძლივს იბრუნებს, სუნთქვა უჭირს. ლალი მარტოდმარტო მეცადინეობს. ერთ ხანს სულხანი აკითხავდა. ამ ბოლო დროს კი იშვიათად მოდის. მასაც თავისი საზრუნავი აქვს. ერთად ვერ იმეცადინებენ, სხვადასხვა საგნები აქვთ ჩასაბარებელი. ოთარიც წასულა თბილისიდან, არა ჩანს. ნატომაც დაივიწყა. ტექნიკუმის დამთავრებისთანავე კომკავშირის რაიკომში გამოუძახეს, იქ დაიწყო მუშაობა.

ლალი დილით ადრე დგება, ჯერ შინ მეცადინეობს. მზე რომ ამოვა, პარკში მიდის და რატომღაც იმ სკამს მიაშურებს, სადაც პირველად ოთარი შეხვდა. სკამი მყუდრო ადგილას დგას, ხელს არავინ უშლის. ნასადილევს ცოტათი წაიძინებს და შემდეგ გვიან ღამემდე კვლავ სახელმძღვანელოებს ჩაჰკირკიტებს. დეიდა თუმცა ბუზღუნებს, მაგრამ თავისებურად მაინც უწყობს ხელს, ჩაისაც კი არ ადგმევინებს ნავთქურაზე, არ გაცდეო.

მოულოდნელად მოახლოვდა გამოცდები. სამედიცინო ინსტიტუტის დარბაზები ახალგაზრდებით აივსო. ყველა აღელვებული იყო, რატომღაც ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, სიცილიც კი არ ისმოდა. ზოგს ხელში კონსპექტი ეჭირა, ზოგს — სახელმძღვანელო. ნერვიულად დადიოდნენ დერეფნებში. განგლილ მასალას იმეორებდნენ. ერთმანეთს ეკითხებოდნენ. პირველი გამოცდა ქართულ წერაში აქვთ. დასხდნენ საწერად. საოცარი სიჩუმე დადგა. მხოლოდ გამომცდელები იყვნენ დამშვიდებულნი და ზედმეტად მკაცრნი. თავიდანვე გააფრთხილეს ახალგაზრდები, „შარგალკები“ თუ გაქვთ, გადაყარეთო. საწერად სამი თემა იყო შერჩეული. ლალიმ „გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა“ აირჩია. სად უშველა ნატოს მიერ ნაჩუქარმა ფიფქმა. ბევრი არ უფიქრია, წერა დაიწყო. გამომცდელმა აუდიტორიიდან ოთხი ვაჟი და ორი გოგონა გაიყვანა, „შარგალკა“ უთოვა. მიუხედავად იმისა, რომ გოგონები ქვითინით პატიებას თხოვდნენ, არ აპატია. პირველ დღესვე აბიტურიენტი მასწავლებელს რომ მოატყუებს, იგი არაა ღირსი სტუდენტის სახელი ატაროსო. თემა კარგად დაიწყო ლალიმ, ბევრი ლექსი ახსოვდა ზეპირად, დროზე დაამთავრა წერა და ნაწერი გამომცდელს ჩააბარა.

მეორე დღეს ლალის საგამოცდო ბილეთში პირველი ხუთთანი გაჩნდა. ამან თითქოს ფრთები შეასხა გოგონას. მესამე გამოცდის შემდეგ მათი ჯგუფი ძლიერ შეთხელდა, ხუთ სხვა ჯგუფს შეუერთეს და მაინც იმდენი ვერ შეგროვდა, რამდენიც გამოცდის პირველ დღეს იყო. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მხოლოდ უკანასკნელ დღეს წაიფორხილა ლალიმ — ქიმიაში ოთხიანი მიიღო.

— არაფერია! — ამშვიდებდა ყველა. ვინც ამ ამბავს გაიგებდა, — ოთხი ხუთი და ერთი ოთხი კარგი ნიშნებია, უსათუოდ უნდა მოხვდე.

ლალიც დამშვიდებული იყო. უნდა მიიღონ, უნდა ეყოს ნიშნები, ასე უსამართლოდ, ალბათ, არ გასწირავს ბედი. დეიდამაც კი შუბლი გაიხსნა. თურმე ამ მუდამ მობუზღუნე ქალს კეთილი გული ჰქონია. იმ დღეს, ლალიმ უკანასკნელი საგანი რომ ჩააბარა, სოფიო კეკელიას შეურიგდა, დისწულის ქებით ყური გაბოუქედა. არ ელოდა ლალისაგან ამას და გოგონას ასეთი წარმატებით ამაყობდა.

— ყოველგვარი დახმარებისა და პროტექციის გარეშე ჩააბარა ასე ბრწყინვალედ, რა ვუყოთ, ერთი ქული თუ აკლია, ერთადერთი ქულა! არავინ ყოლია დამხმარე, აბა!

წუხელ აღფრთოვანებულმა სულხანმა მოირბინა. თუმცა ოთახში გიორგი და სოფიო იყვნენ, არ მოერიდა, იყვირა:

— მომილოცე, ლალი, მიღებული ვარ! — შემდეგ თავისი გამბედაობისა

შერცხვა, უცბად დადუმდა, კითხვებზეც კი ვერ პასუხობდა ხეირიანად და მხოლოდ თავს აქნევდა. სოფიომ ოფლში გაღვარული სულხანი პირსაბანთან მიიყვანა და პირი დაბანინა. თუ წინათ არც კი ამჩნევდა, ახლა დედობრივი მზრუნველობით მოეკიდა. როგორც იქნა, თანდათანობით ათქმევინეს სულხანს გამოცდების ამბავი: თურმე პროფესორს, სახელგანთქმულ მოქანდაკეს, ბოსწონებია მისი ნამუშევარი. მისი კონსულტანტი კი ადრევე უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას.

— ნეტავი შენ! — უთხრა ლალიმ სულხანს.

— შენ რაღა გაწუხებს? — გაოცდა ვაჟი, — მიღებული ხარ და ისაა!

— მიღებული კი არა და, — უპასუხა ლალიმ და რატომღაც დაუმალა, რომ ხვალ უნდა გამოეკრათ სამედიცინო ინსტიტუტში მიღებულთა სია.

სოფიო სულხანს ჩაით გაუმასპინძლდა. ზამთრისათვის გადანახული ბლის მურაბა გამოიღო, ნაყენიც გამოიტანა.

ხუთი დღეა ინსტიტუტში აღამებს ლალი. არ იქნა და არ დაადგა საშველი ინსტიტუტში ჩარიცხულთა სიის გამოკვრას. ნეტავი ამდენს რას თათბირობენ, რას აზუსტებენ? სულხანი წუხელ წავიდა ოჩამჩირეში. მეცადინეობის დაწყებამდე ათიოდე დღეა დარჩენილი, დაისვენებს, მოემზადება და ბარგი-ბარხანით ჩამოვა. ლალი იმედიანადაა, მაგრამ ეშვი მაინც ღრღნის. ვინ იცის, რა იქნება! ეგებ საბედისწერო გახდეს ბოლო გამოცდაზე დაკარგული ქულა. მეექვსე დღეს, ინსტიტუტს რომ მიუახლოვდა, შორიდანვე დაინახა, რომ სია უკვე გამოეკრათ. ლალიმ სასწრაფოდ იქით მიაშურა, გული გამალებით უცემდა. დიდხანს იცადა, სანამ პირველ რიგში გაძვრებოდა.

თავიდან შეუდგა სიის კითხვას: „ავალიშვილი დასაწყისში იქნება. ადამიშვილი, ავალიანი, ივიზიანი,—კითხვას მოუჩქარა — არაბული, აბულაშვილი, კიდევ. კიდევ და აი, ბაკურაძე.“ შედგა, სული მოიოქვა. ჯერ ვერ გაიგო, რატომ არ იყო მისი გვარი სიაში. ახლა უკვე დინჯად დაიწყო კითხვა. „ადამიშვილი, ავალიანი, აივაზიანი“, — ჩამარცვლით კითხულობს ლალი. ავალიშვილი კი არ არის და არა!

ახლა მთელი სია გადაიკითხა, იქნებ სხვაგან მოხვდა ჩემი გვარიო, მაგრამ ამაოდ. ტანში კრუანტელმა დაუარა, შებარბაცდა. ერთხელ კიდევ ჩაიკითხა სია და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მიღებული არ იყო.

„ვაიმე, მამიკო! — დაიკვნესა გულმა. — მამიკო! მამიკო!“

აღარ ახსოვს, როგორ გაარღვია განცხადებების დაფასთან შეჯგუფული ხალხი. ჯერ ნელა წალასლასდა, შემდეგ ფეხს აუჩქარა.

მიდიოდა, მაგრამ არ იცოდა, საით. წინ იცქირებოდა და მაინც ვერაფერს ხედავდა. ზაფხულის თაკარა მზე უწყალოდ აცხუნებდა, მღელვარებისაგან სახეზე ალმური ასდიოდა. ანგარიშმიუცემლად მიჰყვებოდა გზას.

უცბად წინ ვიღაცა გადაუდგა. ლალიმ ახედა და ვერ იცნო.

— ლალი, საით? — თითქოს შორიდან ჩაესმა ვაჟის ხმა.

ლალი დუმდა.

— ლალი, — ხელი მოჰკიდა ვაჟმა, — ლალი, რა მოგვიდა?

ხელის შეხებამ თითქოს გამოაფხიზლა ლალი, მაგრამ შეკითხვა ვერ გაიგო და ვერც ოთარი იცნო.

— ლალი! — შეპყვირა ოთარმა, — ლალი!

— ჰოო!.. — როგორც იქნა ხმა ამოიღო ლალიმ და იარგვლივ მიმოიხედა. ვაკის ახალ პარკთან მოსულიყო. ჰაუ, რამოდენა გზა გამოუვლია შეუმჩნევლად. საით წამოუყვანია ფიქრებსა და დარდს. სად უტარებია ნაღველსა და მწუხარებას. ნეტავი აქეთ რას მოიჩქაროდა, რა დაკარგა, რას დაეძებდა?

— რა მოხდა? — ისევ შეეკითხა შეშფოთებული ოთარი.

ლალიმ შუბლი მოისრისა, თვალებზე

ხელი გადაისვა. გონება თანდათან გაუნათლდა, ოთარს შეხედა. გაშავებულა, ზღვაზე თუ იყო. ვაკე თეთრი ხალათი ეცვა, გული გაღეღილი ჰქონდა.

— თქვი, რა მოხდა?

— რა უნდა მომხდარიყო? — ალუღლუღდა ლალი, — ბევრი არაფერი, ხომ იცით, სამედიცინოზე ვაბარებდი.

— მერე?

— დღეს სია გამოაკრეს, სიაში არა ვარ... — ისე თქვა, გულიც თან ამოაყოლა.

— ჰოო, აი თურმე როგორ ყოფილა საქმე! — ცოტა ხანს შეჩერდა ოთარი, სანუგეშო სიტყვას ეძებდა, ვერაფერი მოიგონა და კვლავ შეეკითხა: — ბევრი დაგაკლდა?

— ერთი ქულა.

— მაშინ, იცი რას ვეტყვი? სამედიცინო ინსტიტუტში წავიდეთ. — მტკიცედ უთხრა ოთარმა.

— რისთვის? — ვერ მიხვდა ლალი.

— როგორ თუ რისთვის! მიდი დირექტორთან, აუხსენი მდგომარეობა, ყველაფერი უთხარი, რაც წელს გადაგხდა, არაფერი დაუმალო. იქნებ, როგორც გამონაკლისი, მიგიღონ. ბოლოს და ბოლოს ერთი ქულა გაკლია, მეტი ხომ არა?

ლალიმ ოთარს პირდაპირ შეხედა. მის თვალებში თანაგრძნობა ამოიკითხა. ეს ამჟამად ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა ლალის. რასაკვირველია, ოთარი რომ არ შეხვედროდა, დირექტორთან შესვლას ვერც გაბედავდა. ახლა კი, მართალია, გაუჭირდება, იქნებ გამბედაობამაც უღალატოს, მაგრამ ცდის მაინც.

— სცადე, — უთხრა ოთარმა, — ცდა ბედის მონახევრეა, ვინ იცის, როგორ მოტრიალდეს საქმე.

— მეშინია! — ძლივს ამოიღო ხმა ლალიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წამოდი, წამოდი, — აღარ ელოდა ლალაპარაკი ოთარმა, წყნეთიდან მომავალი ტაქსი გააჩერა, ლალი ჩასვა და თვითონაც გვერდით მოუჯდა.

ავტომანქანა ნელა მისრიალებდა და ოდნავ ირწეოდა. ლალი თანდათან დამშვიდდა. ოთარის ხმაც ნუგეშივით უთბობდა გულს, ძალას მატებდა, იმედსა და რწმენას უნერგავდა.

ოთარი დღეს ჩამოსულა გაგრიდან. აქვე ცხოვრობს, ეგერ, იმ ახალ სახლში. ჰო, გაგრაში ნათელა უნახავს, სულ ორჯერ შეხვედრია, თურმე ისიც აპირებს წამოსვლას. ბევრი ხალხი ისვენებდა გაგრაში, დიდძალი ახალგაზრდობა იყო. გაგრაში დიდხანს არ დარჩენილა. ოჩამჩირეში წასულა, ლალის ოჩამჩირეში. დგებუაძეებთან მისულა. ლალის მშობლების საფლავიც უნახავს. კარგად მოვლილია, როგორც ჩანს, ყურადღებას არ აკლებენ. „სულხანის მიერ გამოთლილი ქვა? არა უშავს რა, კარგია. ის ვაჟი აკადემიაში მიიღეს? არ მოველოდი... ჩაბარება ერთია, აკადემიის დამთავრება კი სხვაა. ღმერთმა ქნას, დიდი მოქანდაკე გამოვიდეს ის სულხანი. გამეხარდება, ერთი ნიჭიერი კიდევ მოემატება სამშობლოს“.

ამ ლაპარაკში სამედიცინო ინსტიტუტის შენობასთან მივიდნენ. ავტომანქანიდან ჩამოვიდნენ. ოთარმა ლალის ხელი ხელში ჩაიჭირა, მოუალერსა, ლალის ხელი არ გამოურთმევია. ძლიერია ოთარის მარჯვენა, ოდდიანი, ვაჟკაცური.

— აბა, შენ იცი! — გაამხნევა ოთარმა, — მე აქ დაგელოდები, გაბედულად შედი!

თავი მეთორმეტე

უარი

დეკანი მაღალი, ხმელ-ხმელი კაცია. კეთილი გული აქვს, მაგრამ დღეს გარეგოებამ აიძულა პირქუშად და უგულოდ მოაჩვენოს ყველას თავი. მარტოკაა დარჩენილი ინსტიტუტში, დირექტორი დილით იყო და მაშინვე წავიდა. მათ წუხელ მოათავეს ყველაფერი: ჯერ სტატაგამოვლილები ჩარიცხეს, შემდეგ სამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულო ომის მონაწილენი. დანარჩენებს მხოლოდ უმაღლესი ნიშნები უნდა ჰქონოდა. პიტერიინტს ერთი ქულაც რომ დაკლებოდა, ინსტიტუტში ვერ მოხვედრიდა.

დირექტორმა ამ დილით მოაწერა ხელი პირველ კურსზე მიღებულთა სიას; მოაწერა და წავიდა, თავი აარდა ახსნა-განმარტებებს, ჩხუბსა და დავიდარაბას. დეკანს კი უბრძანა, დარჩენილიყო. და აი, დილიდან ზარს დირექტორის კაბინეტში ეს ხმელ-ხმელი კაცი. კარს იქით კი ხმაური არ წყდება. მომსვლელთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობს.

მოკრძალებით შემოდის თვითეული მათგანი. ჯერ ემუდარება, ეხვეწება, შემდეგ ედავება, უფრო გულადი ეჩხუბება, მაგრამ დეკანი მაინც არ გამოდის წონასწორობიდან.

აი ამ გოგონასაც, რიდით რომ შემოაღო კარი, თვალები სეტდიანი აქვს. ჩანს, მხოლოდ დღევანდელი დღის გამო არაა ასე მოღრუბლული. ალბათ თავისი ცხოვრების მანძილზე დიდი მწუხარება უნახავს. ერთი ქუღა, ერთადერთი ქულა დაკლებია. ობოლი ყოფილა, არც დედა ჰყოლია, არც—მამა. მამა წელს გაზაფხულზე გარდაცვლია. ახლაც რომ აგონდება. ღაბაღუშინ ჩამოდის ცრემლი. დეკანს რომ რაიმე შეეძლოს, ახლავე შეუსრულებს თხოვნას, მაგრამ ახლა უკვე აღარაფერი არ ეშველება.

გოგონას კი ადგომა უნდა და ვერ ამდგარა, წასვლა უნდა და ვერ წასულა. დეკანიც არაფერს ეუბნება. დაე, აქ იყოს, გული მაინც მოიოხოს.

— რა ვქნა, ბატონო? — მეათედ ეკითხება გოგონა.

— არაფერია, ქალიშვილო, ღმერთმანი, არაფერია. არა ღირს ამდენი ნერვიულობა. გაისად მობრძანდით, აუცილებლად მოხვდებით. პრაქტიკა მიღებული გაქვთ, ეგებ კონკურსიც ნაკლები იყოს.

— მაგრამ ერთი წელი?

— რა არის თქვენთვის ერთი წელი?

— არა, ბატონო, ერთი წელი ჩემთვის დიდი დროა. დამეხმარეთ, მიშველეთ!

რა იცის ამ გოგონამ, რომ დეკანს ამჟამად არაფერი ეკითხება. ჩვეულებრივ, უგულო სიტყვებს ისევ სიმართლე ამჯობინა.

— იცით რა, ქალიშვილო? — ნელა ხმით დაიწყო მან, — მე დირექტორი არა ვარ. მე მხოლოდ მის ოთახში ვზიავარ, ესაა და ეს...

ლალიმ გაოცებით შეხედა მოსაუბრეს, მცდის თუ თავიდან მიშორებსო. მაგრამ დეკანი გულწრფელად ლაპარაკობს. არა, შეუძლებელია, ასეთი კაცი ტყუოდეს. მით უფრო, ლალის არც უჩხუნია. მაშ, ტყუილუბრალოდ გადაუშალა ამ კაცს გული?

— ასეა, ჩემო კარგო, — განაგრძო დეკანმა, — თქვენ წახვალთ, სხვა მოვა, მე კი ახლა ვეღარაფერში დაგეხმარებით.

ლალის მწარედ გაეღიმა, ადგა, დეკანიც წამოდგა, გოგონასთან მივიდა, მამაშვილურად თავზე ხელი გადაუსვა, ერთხელ კიდევ ანუგეშა, კარი გაუღო და გისტურმრა. ლალი ნელი ნაბიჯით დაეშვა კიბეზე. განცხადებების დაფასთან უნებურად შეჩერდა. იქ ორიოდე ახალგაზრდა იდგა და პირველ კურსზე მიღებულთა სიას კითხულობდა. ლალიმ ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი სიას, იქნებ რაიმე ცვლილება ვნახოო, მაგრამ ამაოდ.

ქვემოთ ოთარი ელოდა. ლალის რომ შეხედა, ყველაფერს მიხვდა.

— არაფერია, — ტკბილად უთხრა მან, — გულს ნუ გაიტეხ, გაწყენს ამდენი ნერვიულობა.

ლალი გაოგნებული იყო, მაგრამ გულში მაინც მწარედ გაეღიმა.

— დირექტორი არ იყო, კაბინეტში სხვა ვიღაც იჯდა, არაფერი შემიძლიაო, მითხრა.

ოთარი გაბრაზდა.

— ეს რა თავის აგდებაა! დამაცადე, მე მაგათ ვუჩვენებ სეირს! — უთხრა და ინსტიტუტისაკენ გასწია.

ლალიმ ხელი მოჰკიდა.

— არ გინდათ, ოთარ. საქმეს მაინც არ ეშველება. ის კი კარგი კაცი იყო.

— ვინა ვარო?

გივი გოგიჩაიშვილი
გაზაფხულიდან გაზაფხულამდე

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს? — ნაღვლიანად თქვა ლალიმ, — ნახვამდის, ოთარ, შინ წავალ, თავი მისკდება!

— გაგაცილებ.

— არა, ნუ შეწუხდებით.

— რა შეწუხებაა!

— გმადლობთ, ისედაც გაგაცდენეთ მარტო წავალ. ასე მირჩევნია.

პასუხს არ დაელოდა და წავიდა. ოთარი უკან არ გამოდევნებია. ერთ ხანს უყურა მიმავალს, შემდეგ მიბრუნდა და ნელი ნაბიჯით გადასჭრა ქუჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეცამეტე

ნათელას დაბადების დღე

ნათელა სექტემბრის ჩვიდმეტსაა დაბადებული და გარდაფხაძეების ოჯახი, ჩვეულებისამებრ, მისი დაბადების დღეს იხდის. ნათელას თავისი ხელფასისდან კაპიკიც არ შეაქვს ოჯახში, ჩაცმა-დახურვას ახმარს. ის კი არა, ამისთვისაც არ ჰყოფნის და ხშირად ერთ ამბავს ასტეხს სულ რამდენიმე მანეთის გამო, გარდაფხაძეების ოჯახს რომ გათვალისწინებული არ აქვს და ნათელას კი აუცილებლად სჭირია. აბა, საამშენებლო კანტორის ბუღალტერს, გიორგი გარდაფხაძეს რა ისეთი შემოსავალი აქვს. ოჯახიც არჩინოს, ნათელაც მოდის შესაფერისად ახალ-ახალი ტანსაცმლით მორთოს, მოყვარე გაახაროს და მტერსაც თვალი დაუყენოს?

მაგრამ ნათელას დაბადების დღე კი უთუოდ უნდა გადაუხადონ. თბილისში ყველა იხდის დაბადების დღეს და როგორ შეიძლება ნათელამ არ გადაიხადოს! საქვეყნოდ თავი მოეჩრება. სულ ერთია, ჩვიდმეტ სექტემბერს მასთან მაინც შეიყრებიან ნაცნობ-მეგობრები და სირცხვილი რომ არ ჭამოს, წესიერად უნდა მოაწყოს ყველაფერი. უკვე პირველ სექტემბრიდან ემზადებიან ამ დღისთვის. წვითა და დაგვით შემონახული ფული თოვლის ფიფქივით დნება. ნამდვილი ციებ-ცხელება დღეობის წინა კვირას იწყება. მთელი ოჯახი ღილიდან საღამომდე ფეხზე დგას. სოფიო თბილისის ყველა ბაზარს ჩამოივლის, რომ უფრო იაფად იშოვოს სანოვაგე. სამი დღე კერძების მომზადებას უნდებიან: იწვება გოჭები და წიწილები, იხარშება ისპანახი და ლობიო, ხაშლამა და ინდაური, ცხვება მშვადი და ხაჭაპურები.

ერთი დღე ოთახის დალაგებას ჭირდება. დიდი ოთახიდან პიანინოს, სასადილო მაგიდისა და სკამების გარდა, ყველაფერი პატარა ოთახში გადააქვთ და იქ ერთიმეორეზე აწყობენ. სკამებს, ჭურჭელსა და დანა-ჩანგალს მეზობლებისაგან თხოულობენ. კარგად ხვდებიან გარდაფხაძეები სტუმრებს, სუფრას არაფერი აკლია, წელს განსაკუთრებით ემზადებიან ნათელას დაბადების დღისათვის. ნათელას ოთარ ჩადუნელი ჰკავს დაპატიჟებული, თვალი უნდა დაუყენოს გოგოებს!

ერთი კვირაა ფეხზე დგომით ჩამოწყდა ლალი. სოფიო ადრიან დილით რომ წამოაყენებს ბაზრებში სასიარულოდ, საღამო ხანს თუ მოლასლასდებიან შინ. ასე ცოტცოტაობით მოზიდეს სანოვაგე. მისი დამზადება ხომ ათჯერ უფრო მომქანცველი გამოდგა.

ოჯახში ლალისაც სხვანაირი თვალით დაუწყეს ყურება; ცოტაც რომ მოგენდომებია, ინსტიტუტში მოხვდებოდიო,— ხშირად საყვედურობს სოფიო. ჯერ არ აგრძნობინებენ, მაგრამ ხედავს ლალი, რომ ის აქ ზედმეტი ბარგია, გამოცდებამდე დეიდა ზოგჯერ ღიმილს მაინც გაიმტკივნებდა, ახლა სულ ებუზღუნება. მისი აღარაფერი მოწონს: არც ჩაცმა-დახურვა, არც სიარული და არც სიცილი. ნათელაც მტრული თვალით უყურებს. ერთხელ ოთართან მიმავალი ნახა და ცეცხლი მოედო. ეჭვი არ გამოუმჟღავნებია, მაგრამ გულში ჩაიხვია და ყოველ ნაბიჯზე ცდი-

ლობს დაამციროს, აბუჩად აიგდოს ისე-დაც განაწამები გოგონა.

ჩვიდმეტი სექტემბრის დილაც გათენდა. იმატა ნერვიულოობამ. ნათელა დღეს სამსახურში არ წასულა. არც არაფერს აკეთებდა, დადიოდა და მბრძანებლობდა: ეს ასე უნდა გააკეთოთ, ის ისე, დღეს რომ შეგრცხვე, ყველაფერს დავლეწავ და დავამსხვრევო! სოფიო ამშვიდებდა, ტყუილუბრალოდ ნუ ღელავ, სირცხვილს არ გაპმეკო. სოფიო ჯარასაგით ტრიალებდა, არც თვითონ ისვენებდა და არც ლალი მოასვენა.

შვიდი საათისათვის დასახმარებლად ნათელასთან დარო და გულსუნდა მოვიდნენ. დღეში სამჯერ ებუტებიან და ურიგდებიან ერთმანეთს. ახლაც უფრო სერის საყურებლად მოსულან. ერთ საათში სტუმრები უნდა მოვიდნენ. სხვა რა შეუძლიათ, სუფრას აწყობენ, ალაგებენ. სახეალეწილი ნათელა ღელავს და ქალიშვილებს აჩქარებს:

— თქვენი ჭირიმე, გოგოებო, არაფერი გამოგრჩეთ, საცაა მოვლენ!

— რა მოგვიდა, რას წუხარ?

— მოვლენ და მოვიდნენ! — ამშვიდებენ ნათელას.

სუფრა გააწყვეს. ნათელამ კერძებს გადახედა, რაღაცეები ხელახლა გადააწყ-გადმოაწყო.

— გოგოებო, ხომ იცით, მე სუფრასთან უნდა ვიჯდე. თქვენი ჭირიმეთ, დედას კერძების შემოტანაში დაეხმარეთ.

— დავეხმარებით, ნუ გეშინია.

— ჯერ საცივი შემოიტანეთ, — უხსნის ნათელა, — შემდეგ გოჭი. თავი არ მომქრათ და ხილი ადრე არ გამოაჩინოთ!

— ვიცით, ვიცით!

დარომ გულსუნდას გადახედა, თვალი ჩაუკრა, შემდეგ ნათელას მიუბრუნდა და უთხრა:

— ფიქრი ნუ გაქვს, მოვუვლით.

ოთახში ოფლდგაღვარული სოფიო შემოვარდა.

— გიგი! გიგი! — დაიძახა ხმამაღლა. ხმა არავინ გასცა.

— ღმერთო ჩემო, — შეიცხადა ქალმა, — კიდევ ძინავს? გიგი! — უფრო აუწია ხმას.

პატარა ოთახიდან მოქნარეგბ-მოქნარებით გიორგი გამოვიდა. ცდილობდა, თავი ფხიზლად მოეჩვენებინა, მაგრამ ვერ შეძლო, ეტყობოდა, მაგრად ეძინა და ბუროანიდან ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო. ერთ ხანს შედგა, სუფრას გადახედა, სახე გაუნათლდა. გოგონებს მიესალმა და ცოლს მიმართა:

— რა იყო, ოქრო, რა გაყვირებს? ჯერ არ დაგყრუებულვარ!

სოფიოს გოგონებისა მოერიდა და ხმა დაითაფლა:

— წადი, დაგენაცვლე, ჩვენს გასტრონომში მკვე კიტრია, მოიტანე.

გიორგიმ ხელმეორედ გადახედა გაშლილ სუფრას, მშვიდი გატეხა, მხალი დააყოლა, ღვინო დაისხა.

— მამა, სუფრას რად აფუჭებ? — შეუბღვირა ნათელამ.

გიორგიმ ქალიშვილს ყური არ ათხოვა, ღვინით სავსე ჭიქა ასწია:

— შენი სადღეგრძელო იყოს, ჩემო გოგონა! — უთხრა და გადაჰკრა.

— ჩქარა, კაცო! — გაჯავრდა სოფიო.

— რა ღვინოა! — გიორგიმ გოგოებს თვალი ააუკაა და შემდეგ სოფიოს მიუბრუნდა, — ფული მომეცი!

— რაო?! — ვეღარ შეიკავა თავი სოფიომ, — გუშინ არ მოგეცი ხუთი მანეთი?

— დედა! — შეაჩერა იგი ნათელამ.

— გუშინდელს გუშინდელი ხარჯი ჰქონდა, ჩემო კარგო, დღევანდელს კი დღევანდელი აქვს, — მშვიდად მიუგო გიორგიმ.

სოფიო გაბრაზდა, მაგრამ თავი შეიკავა. ეს გოგოები არ იყვნენ, უჩვენებდა სეირს!

— აჰა კიდევ ხუთი მანეთი, — კბილებში გამოცრა მან, — ქილა მანეთი და ორმოცდაშვიდი კაპიკი ღირს. სამი ქილა გამოართვი, სამი აბაზი ხურდა მომიტანე, სხვა კი, ჯანდაბას, შენი იყოს!

— ცხრა კაპიკი! — უცბად გამოიანგარიშა გიორგიმ.

— ცხრა კაპიკი ახლა კარგი ფულია.

— ეჰ, ქალებო, ქალებო, — ამოიოხრა გიორგიმ, — ვინ გაგაჩინათ ამ ქვეყანაზე?

სასაცილო არაფერი უთქვამს გიორგის, მაგრამ დარომ და გულსუნდამ გულიანად გადაიხარხარეს. გიორგი გავიდა. საკმაოდ დიდი ნაჭერი ხაჭაპური დაითრია. სოფიოც სამზარეულოსაკენ გაემართა. ნათელა ისევ სუფრას დასტრიალებდა თავს!

უცბად ვიღაცამ სადარბაზო კარის ზარი სამჯერ დარეკა.

— ვაიმე, — დაფაცურდა ნათელა, — სტუმრები მოვიდნენ, მე კი ჯერ ჩაცმულიც არა ვარ. სანამ ჩავიცვამდე და გამოვიდოდე, თქვენ იდიასახლისეთ, — უთხრა გოგონებს და გაიქცა.

დარომ კარი გააღო. ოთახში ორი ვაჟი შემოვიდა. თეთრ ქაღალდში გახვეული საჩუქრები მოიტანეს. დარომ საჩუქრებს ქაღალდი მოაცალა. ერთი ლარნაკი იყო, მეორე — საფერფლე.

სტუმრები თანდათანობით იკრიბებოდნენ. უმეტესობა ვაჟები იყო. საჩუქრები მოჰქონდათ. საოცარია, თითქოს პირი შეუკრავთო, თითქმის ყველას ერთნაირი ლარნაკები ეყიდა. ყოველი ახალი ლარნაკის დანახვაზე დარომ და გულსუნდას სიხარული ემჩნეოდათ. ლარნაკებს პიანინოს თავზე მწკრივად ალაგებდნენ. ასე ჩამწკრივებული ერთნაირი ლარნაკები სასაცილო შთაბეჭდილებას ახდენდა.

— ბიჭებო, ბიჭებო, — არ ისვენებს გულსუნდა, — ქალაქში ამ ლარნაკის მეტი არაფერი იყო, ყველას ერთნაირი რომ გიყიდიათ?

ვაჟები ხმას არ იღებდნენ, თავს უხერხულად გრძნობდნენ. დღეს პირველად გამოიტანეს მაღაზიაში ეს ლარნაკები და საჩუქრად რატომღაც ყველას ეს აერჩია.

— ჰა, რას დამუნჯდით, ხმა ამოიღეთ! — ახლა დარომ მიმართა ვაჟებს.

— ჩვენი რა ბრალია, რა ვიცოდით, — თავი გაიმართლეს ვაჟებმა.

— ბარემ თქვით, იაფი და ლამაზიათქო, — გაიცინა გულსუნდამ.

უხერხულობა რომ გაიფანტა, ვაჟებმა ნათელა მოიკითხეს.

— ჩვენი დიასახლისი სად არის?

— ნათელა! — დაიძახა ერთმა და სხვებს მიმართა, — აბა, ერთად, ერთად! — და ხელი აიქნია.

— ნა-თე-ლა! — შესძახეს ერთხმად.

ამ დროს კარი გაიღო და ნათელაც შემოვიდა.

— აი, ისიც!

ნათელას ახალი კაბა ეცვა, ლამაზად ედგა ტანზე, უხდებოდა.

— მოგვილოცავს!

ქალიშვილები კოცნიდნენ, ვაჟები ხელს ართმევდნენ. ნათელა იღიმებოდა, ყველას მადლობას უხდიდა.

უცბად პიანინოს თავზე ჩამწკრივებული ერთნაირი ლარნაკები დაინახა, გაბრაზდა, მაგრამ თავი შეიკავა, დარო და გულსუნდა განზე გაიხმო.

— ესენი აქ ვინ დაწყო? — ჩურჩულით უთხრა მათ.

— აბა, — საწყლად თქვა დარომ, — მოიტანეს და დაწყეს, თითქოს გამოფენა იყოს.

— უკან ხომ არ გავატანდით? — დაემოწმა გულსუნდაც.

ნათელა თვალებით ვიღაცას ეძებდა.

— არ მოსულა?

ქალიშვილები ვითომ ვერ მიხვდნენ.

— ვინ?

— ვინ და ოთარ ჩადუნელი.

— როგორც ხედავ, არ მოსულა!

ოთახში სოფიო შემოვიდა.

— გამარჯობათ, ყმაწვილებო! — მიესალმა ახალგაზრდებს.

ვაჟები ხელზე ეამბორნენ მას.

სოფიომ სუფრას გადახედა, შემდეგ ოთახს მიმოავლო მზერა. ერთად დაწყობილი ლარნაკები რომ დაინახა, გაკვირვება ვერ დაფარა და ხმამაღლა წამოიძახა:

— ეს ლარნაკები აქ საიდან გაჩნდა, დაგენაცვლე.

ვაჟებმა წაუყრუეს. ნათელა დედას მივარდა.

— დედა, სირცხვილია, გაჩუმდი! — უჩურჩულა.

სოფიომ ჩურჩულითვე კბილებში გამოსცრა:

— დაპატიჟე ახლა ამისთანა ღორები! დავსხდეთ, რაღას ელოდები?

— ცოტა ხანს დავიცადოთ, დაგიძახებ, — უთხრა ნათელამ და დედა სამზარეულოში გაისტუმრა.

სტუმრებს შორის ორი ვაჟი გამოირჩეოდა, მათ ყველანი განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდნენ; ერთი ახალგაზრდა პოეტი იყო, დაბალი და მსუქანი, მეორე — ახალგაზრდა მსახიობი, ხმელ-ხმელი და მაღალი. თითქოს პირი შეუკრავთო, სხვებს ქედმაღლურად ექცეოდნენ. გურამ ალავიძე ოცგვეროდიანი პატარა წიგნის ავტორი იყო, მირიან გვილავას სამოიდე ეპიზოდური როლი თუ ეთამაშა სცენაზე, მაგრამ თავს მაინც არავის უტოლებდნენ. ახალგაზრდები ხმამაღლა საუბრობდნენ, სიტყვა-პასუხში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ცეკვავდნენ, ბოლოს ანეგდოტებიც შემოელიათ, ხუმრობაც ერთფეროვანი გახდა, ცეკვაც მოსწყინდათ და მალმალ გაწყობილი სუფრისაკენ აპარებდნენ თვალს.

მირიანმა გურამს გადაუჩურჩულა:

— ნეტავი რას უცდის ჩვენი მომხიბლავი დიასახლისი?

ნათელა ღელავდა, ოთარი არ ჩანს. უმისოდ სუფრას რა ლაზათი ექნება. ბოლოს, როგორც იქნა, ოთარიც მოვიდა.

ნათელამ სიხარული ვერ დაფარა. ოთარი სტუმრებს გააცნო. ვაჟებმა შურის თვალით გადახედეს ახალმოსულს. ზოგი იცნობდა მას, ზოგიც ახლა გაეცნო. ქალიშვილები თვალებს ნაბავდნენ და შურით შეცქეროდნენ ნათელას.

ოთარმა ნათელას საჩუქარი გადასცა. თვალით ლალის დაუწყო ძებნა, შეკრებილთა შორის ვერ ნახა, ერთ ხანს მოიწყინა. ნათელას არაფერი შეუმჩნევია, ოთარისათვის არ ეცალა. სტუმრებს სუფრაზე ეპატიჟებოდა. ვიდრე სტუმრები სუფრას მიუსხდებოდნენ, გიორგიმ მოასწრო და შეუმჩნევლად პატარა ოთახში შეიპარა.

ის-ის იყო სუფრისკენ წავიდნენ, რომ ვიღაცამ ზარი დარეკა. გულსუნდამ კარი გააღო. დერეფანში სულხანი იდგა. ძლივს შეიყვანა ოთახში შემკრთალი ბიჭი. ამდენი ხალხი ერთად თავშეყრილი რომ ნახა, სულხანი სულ დაიბნა.

— მე, მე ბოდიშს ვიხდი, ლალი მინდოდა.

ოთარმა ლალის სახელს ყური მოჰკრა, სულხანთან მივიდა. იცნო.

— ო, ახალგაზრდა მოქანდაკეს ვახლავარ, მობრძანდი, გვეწვიე! რა ქენი, მოეწყე აკადემიაში?

— დიახ.

— ყოჩაღ, მომილოცავს!

ყველამ სულხანს შეხედა. ნათელაც მივიდა მასთან. სულხანი სულ დაიბნა, არ იცოდა, რა ეთქვა, რა მოემოქმედა. ვერც წასვლა მოახერხა და ვერც დარჩენა გაბედა.

— ლალის ნახვა გინდათ? — გაიმეორა გულსუნდამ.

— დიახ, ბოდიში, ცუდ დროს მოვედი!

— ჰო, პატარა ზეიმი გვაქვს, — უპასუხა ნათელამ.

ოთარმა დაროს თვალით კარისაკენ ანიშნა, ლალი მოიყვანეო. დარო აფუსფუსდა:

— ახლავე დავუძახებ ლალის, ნუ წახვალთ!

— ნახვამდის! — წაილუღლუღა სულხანმა, — წავალ, მერე ვნახავ.

ოთარმა ხელი მოჰკიდა, შეაჩერა.

— დაიცადე, ლალი ახლავე მოვა, ეწყინება, რომ არ დახვდები.

ნათელა გაბრაზდა, მაგრამ ოთარს ვერაფერი გაუბედა და დუმილი არჩია. ამ დროს ლალიც გამოჩნდა. არ აპირებდა აქ მოსვლას. დარო შეუჩნდა, ძალით წამოიყვანა. საშინაო კაბა ეცვა, მაგრამ ვაჟებს მაინც ძალიან მოეწონათ იგი.

— ლალი, შენი მეგობარი მოვიდა, — შეეგება ოთარი, — თხოვე დარჩეს, ნათელაც თხოვს.

მეტი რა გზა იყო, ნათელამაც მოიპატიჟა სულხანი.

— მობრძანდით, გთხოვთ, — შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვებს მიმართა, — სუფრასთან მობრძანდით!

სუფრასთან დაჯდომა ყველას ეჩქარება, მაგრამ, როგორც წესია, ერთმანეთს უყურებენ, ადგილებს თავაზობენ.

— ოთარ, — მიმართა ნათელამ, — გთხოვთ, თამადის ადგილი დაიკავოთ.

ოთარი შეყოყმანდა.

— რატომ მე? აქ თითქმის არავის ვიცნობ.

— ხომ იცით, — მტკიცედ უთხრა ნათელამ, — დისახლისის თხოვნის გაწბილება არ შეიძლება. თქვენს გვერდით მე დავჯდები.

— რა გაეწყობა, — დაეთანხმა ოთარი, — თუ თამადად დამნიშნეთ, მე ვიქნები განმკარგულებელი და ყველანი უსიტყვოდ უნდა დამემორჩილოთ, თუ არა და თამადობაზე ხელი ამიღია.

ოთარმა დაროს გადაუჩურჩულა:

— მომეშველეთ, ლალი და ის ყმაწვილი ჩემს გვერდით დასვით.

— ფიქრი ნუ გაქვთ, — გაეცინა დაროს.

— ლალი, — მიმართა ოთარმა, — მობრძანდით და თქვენი მეგობარიც მოიყვანეთ.

ისინი განზე დგანან. დარო და გულსუნდაც იქვე არიან.

— თამადა გეძახით, არაგითარი არა!— უთხრა დარომ და შემდეგ სტუმრებს მიმართა, — ეს ნათელას დეიდაშვილია, გთხოვოთ, გვეწვიოს.

სუფრიდან შეძახილები გაისმა:

— მობრძანდით!

— ნუ გაგვაწბილებთ!

— მობრძანდით!

— მე იქ საქმე მაქვს, — ყოყმანობდა ლალი.

— მართალია, — დაუმოწმა ნათელამ, — წადი, ლალიკო, დედას მიეშველე, ცოდვაა მარტოკა!

— დაჯექი, ლალი, — უთხრა გულსუნდამ, — დეიდა სოფიოს ჩვენ დავეხმარებით.

— საქმეს ჩვენ გავწვდებით, — დაუდასტურა დარომ, — შენ კი სუფრა დაამშვენე!

ოთარმა ისე მოახერხა, რომ ლალი გვერდით მოისვა, სულხანი ლალის შემდეგ დაჯდა. ოთარის ხელმარჯვნივ ნათელას ადგილია. როგორც იქნა, დასხდნენ.

— რა ლამაზია!.. — მოისმა აღტაცებული შეძახილები, ყველა ლალის უყურებდა.

ლალიმ სულხანს გადაუჩურჩულა:

— შენ იჯექი, მე უნდა წავიდე.

— თუ წახვალ, იცოდე, იმწუთსაე ავდგები, — ჩურჩულით მიუგო სულხანმა.

თავი მეთოთხმეტე

რუსთაველის ქუჩასთან

ოთარი წამოდგა, დიდი ფიქა ლვინით აავსო. სხვებმაც აიღეს სასმისები.

— მეგობრებო!

სუფრა დადუმდა.

— ჩვენი სუფრა პოეზიისა და სიმღერის სუფრა იქნება. ამიტომ სადღეგრძელოებს ნუ გავაშიანურებთ. ნება მომეცით, პირველად ჩვენი მომხიბლავი დისახლისის სადღეგრძელო შევსვა. დღეს მისი დაბადების დღეა. მას შეუსრულდა... — ოთარი შეჩერდა, დაროს შეხედა.

— ოცდაშვიდი წელი! — არ დააყოვნა დარომ.

ნათელამ ბრაზით შეხედა დაროს, მაგრამ სახე წამსვე შეიცვალა.

— ოცდაშვიდი წელი, — განაგრძო ოთარმა, — ოცდაშვიდ გაზაფხულს მოსწრებია და ვუსურვოთ კიდევ ოცდაშვიდჯერ ოცდაშვიდი ენახოს ჩვენთან ერთად. აბა, ერთად, მეგობრებო!

ყველანი ფეხზე ადგნენ.

— იცოცხლე და იბედნიერე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ყველამ დასცალა ჭიქა, გურამმა სიტყვა ითხოვა. თამადამ ნება დართო.

— ნება მომეცით, დღევანდელი დღის აღსანიშნავად, ჩვენს მშვენიერ დიასახლისს ლექსი მივუძღვნა.

— გთხოვთ! გთხოვთ! — გაისმა აქეთ-იქიდან.

გურამმა ჩაახველა, ხმა დაიწმინდა და დინჯად დაიწყო:

სილან ნაპირზე იდგა გოგონა,
წვივები მზისგან გაშავებოდა,
როგორც მაღონა
იღიმებოდა.

დაამთავრა და ჭიქა სულმოუთქმელად დასცალა. ტაში კანტიკუნტად გაისმა. სულხანმა ლალის რაღაც გადაულაპარაკა. ოთარმა მორიგი სადღეგრძელო შესვა და ვაკებს გადახედა:

— აბა, სიმღერა, მეგობრებო!

ვაკებმა არ დაყოვნეს.

„წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო", — წამოიწყო ერთმა, მას სხვებიც აპყვნენ.

სიმღერამ თითქოს ჭერი აზიდა, ფანჯრები შეაზანზარა.

ლალის სადღეგრძელო განსაკუთრებით შესვეს. ჯერ ოთარმა ილაპარაკა, შემდეგ სხვებსაც აღმოაჩნდათ სათქმელი. ისე გამოვიდა, თითქოს ეს დღეობა ლალისა ყოფილიყო. ნათელას თავი დაეხარა, სიბრაზისაგან სახე უსურდა.

ოთარი ნათელას და ლალის შუა იჯდა, მაგრამ ნათელას სრულებით არ აქცევდა ყურადღებას. ლალის ესაუბრებოდა ღა გოგონას რომ არ შერცხვენოდა, სულხანსაც გადაულაპარაკებდა რამეს.

ნათელა გაქვავებული იყო. ჩაუშსამდა ეს, დღეობა. არ უნდოდა ლალის აქ გამოჩენა, მაგრამ დარომ და გულსუნდამ ძალით მოიყვანეს, ძალით დასვეს სუფრასთან! მაინც რა არის ეს ლალი, ასე რომ ევლებიან თავს. განა ეს სუფრა ლალის სპასატივცემულოდაა გაშლილი? თვითონ თითქოს არც კი ყოფილა აქ. ოთარი სულ ლალის ესაუბრება. ნეტავი რაზე ლაპარაკობენ ოთარი და ლალი?

ოთარი და ლალი ხმადაბლა საუბრობენ.

— იცი, ლალი, — უცბად შეაპარა ოთარმა და ხმა გაებზარა.

ლალი გაიტრუნა. ასე იცის ოთარმა, სიყვარულზე რომ ჩამოუგდებს საუბარს, მღელვარებისაგან ხმა ებზარება.

— როგორ გითხრა, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა იგი, — შენ ხომ ამათთან ცუდად ცხოვრობ, ჰოდა...

ლალი ჩუმად იყო. თავი დაეხარა და თეფშს დასცქეროდა.

— დასტოვე აქაურობა, — ამბობდა ოთარი, — წამოდი ჩემთან.

— სად? — ვერ გაიგო ლალიმ.

— ჩემთან, მუდმივად, სულ...

— ოთარ! — ხმა ჩაუწყდა ლალის, გაწითლდა, გაფითრდა, ისევ გაწითლდა.

სტუმრები მხიარულობენ, მღერიან, ცეკვავენ, ამიტომ არავინ ყურადღებას არ აქცევს ლალისა და ოთარს. მათ მხოლოდ სულხანი და ნათელა უთვალთვალებენ.

— რა გინდა აქ? — ეჩურჩულება ოთარი, — ჩემთან იქნები, იმეცადინებ, გაისად ინსტიტუტში მოეწყობი, ვიცხოვრებთ ერთად, სულ ერთად!

ლალი კვლავ დუმდა.

— ჩემი ლალი, ჩემო გულჩიორა!..

გურამი ვიღაც გოგონებს ლექსს უკითხავდა:

ო, ჩემო კარგო,
სიყვარულის დრო დადგა დიდი,
მე გულს არ ვყიდი,
მე არც სულს ვყიდი.

— ვენიალურია! — კვერს უკრავდნენ გოგონები და აღტაცებით შესცქეროდნენ თმაალილ ვაჟს.

დარო და გულსუნდა ერთად ისხდნენ და ვესლიანად ჩურჩულებდნენ:

— ნათელას შესედე, — უთითებს გულსუნდა, — როგორ გაქვავებული ზის!

— გულზე სკდება.

— ოთარი მხოლოდ ლალის ელაპარაკება.

ოთარი კი ლალის არ ეშვება:

— დღეს რუსთაველის მოედანზე გიცდი, ძეგლთან... სამი დღე და ღამე რომ მომიხდეს დგომა, ფეხს არ მოვიცვლი. რომელი საათიც არ უნდა იყოს, სანამ არ მოხვალ, არ წავალ! მოდი, ჩემო გულჩიორა, გაბედე, დატოვე აქაურობა, წამოდი, ჩემთან, ნუ გეშინია!

„მოიტაცეს თამარ-ქალი აფხაზეთში, დიეღოდაა...“ — დააგუგუნეს ვაჟებმა სიმღერა.

— გესმის, ჩვენ გვიმღერიან, — წაუჩურჩულა ოთარმა ლალის.

„ლურჯა ცხენი შეუკაზმეს აფხაზეთში, დიეღოდა“...

— წარმოიდგინე, ვითომ ჩვენი ქორწილია, — თვალანთებული ეუბნება ოთარი ლალის, — ლურჯა ცხენზე ზიხარ, მე კიდევ შავ ტაიჭზე. უკან დარახტული მხედრობა მოგვყვება სიმღერითა და ყიჟინით. თეთრი, თოვლივით თეთრი ტანსაცმელი გაცვია. შენს თავსაფარს ნიავი ათამაშებს. ყველანი შემოგვნატრიან. ჩვენ კი მივდივართ ასე ერთად, სულ ერთად, ბედნიერებისაკენ...

— შენი სადღეგრძელო იყოს, ჩემო გოგონა! — თავისთვის თქვა და ჭიქა გამოსცალა.

ოთახში ლალი შემოვიდა. სუფრის ალაგებას შეუდგა. გიორგიმ ხელახლა დაისხა ღვინო და ლალის მიუბრუნდა:

— შენი სადღეგრძელო იყოს, ლალი, ოქრო!..

— გმადლობთ, ძია გიორგი! — მიუგო ლალიმ.

გიორგიმ ლალის ახედა:

— თვალები ამოღამებული გაქვს, ეს უძილობისაა, თუ?..

— არ ვიცი.

— არ მომწონს შენი თვალები, გაწუხებს რამე?

ლალი დუმდა.

— ეჰ, ჩემო ოქრო, მე ცხოვრებას სხვაგვარი თვალით ვუყურებ. — ღვინომ ენა აუდგა გიორგის, — ცხოვრებაში მუდამ კარგი უნდა ეძინო. ცუდსაც თავისი კარგი მხარე აქვს, ამიტომ ვცდილობ, არ ვიდარდო. ვარ ჩემთვის, არავის ვაწუხებ, არავინ მაწუხებს. ჩემზე ამბობენ, უნებისყოფო კაციაო. შენც ასე ფიქრობ, არა, ჩემო ოქრო?

ლალიმ არაფერი უპასუხა.

— იმიტომ რომ, არავის ვაწუხებ, — გაიმეორა გიორგიმ და კვლავ გადაჰკრა ღვინო, — გულს დარდი არ უნდა მიაკარო. აი, მე დღეს ჩემმა ერთადერთმა ქალიშვილმა სუფრასთან არ დამსვა. სხვას ეწყინებოდა, მშობელი მამისა ერცხვინებაო. მე კი, ჩემო ოქრო, არ მწყენია, ამისათვის გავიხეთქავ გულს, აბა!

ლალის მაგიდიდან ღვინის ჭიქა გადმოუვარდა. დაიმსხვრა. გოგონამ შეჰკივლა. ასეთი ჭიქა თორმეტი ცალი აქვს დეიდას და ამისთვის ერთ ამბავს აჭეხს.

— არაფერია, — ანუგეშა გიორგიმ, თან თვალი კარისაკენ გაატარა, ხომ არავინ გვიყურებსო, — ეს სიხარულისაა, — შემდეგ ლალის ნამსხვრევების აკრეფაში მიეშველა.

— ნუ შეწუხდებით, ძია გიორგი. მე თვითონ...

— დამაცა, ჩემო ოქრო, — უთხრა გიორგიმ, — აქ მომეცი!

— თენდებოდა, სუფრიდან რომ აიშალნენ. გამოეთხოვენ დიასახლისს. განსაკუთრებით ლალის ემშვიდობებიან. ოთარმა წასალისას ერთხელ კიდევ წაუჩურჩულა:

— რა დროც არ უნდა იყოს, მოდი, გელოდები.

გურამი მთვრალია, სულხანისათვის მკლავში ხელი გამოუდვია, პარბაცით მიყვება გვერდით, რაღაცას უმტკიცებს. სულხანი უხმოდ მიაბიჯებს, ფხიზელია, ბევრი არ უსვამს. სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ. პატარა ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვიდა გიორგი და სუფრას მიუჯდა.

სუფრა ნაომარ ველსა ჰგავდა: საცივის წვენი, პაპიროსის ნამწვავები, გამოხრული ძვლები ერთმანეთში არეული ეყარა. გიორგიმ სუფთა თეფში მონახა, საცივი გადმოიღო, ღვინო დაისხა.

ჭიქის ნამსხვრევები გამოართვა, ქაღალდში გაახვია და ჯიბეში ჩაიდო.

— წავიღებ და გადავყრი. შენც ნურაფერს იტყვი, იყო და არა იყო რა...

ოთახში ნათელა შემოვიდა. ამხანაგები გაეცილებინა. სოფიომაც სწორედ ამ დროს შემოაღო კარი. ნათელა ლალის მიუახლოვდა და შეჰყვირა:

— საზიზღარო! სამადლოდ ჩვენს პურს ჭამ და მეც მეცილები? არამი იყოს!

ყველანი გაშეშდნენ. ლალიმ სახეზე ხელი აიფარა.

— მამიკო! — ასლუკუნდა, ძალა მოიკრიბა, წამოხტა და ქუჩაში გავარდა.

— ნათელა! — მკაცრად უთხრა გიორგიმ. — ეს რა ჰქენი?

— ნათელა, რა მოხდა? — შეშფოთებით წამოიძახა სოფიომაც.

— ეჰ, ნათელა, ნათელა, — თავი გაიქნია გიორგიმ,—ისეთი რა დაგიშავა, ისასწრაფოდ ჩაიცვა და ლალის გამოედევნა.

ნათელა ერთ ხანს გაქვავებული იდგა. შემდეგ მოცელილივით დაჯდა სკამზე და მწარედ აქვითინდა ..

ლალი გამოერკვა, რუსთაველის ძეგლთან მისულიყო.

— რომელი საათია? — გაიფიქრა რატომღაც და საათს დახედა: ექვსი სრულდებოდა.

ქუჩა ცარიელი იყო. მოპირდაპირე მხრიდან ზისკენ ოთარი მოეშურებოდა.

გივი გოგიჩაიშვილი
გაზაფხულიდან გაზაფხულამდე

დასასრული იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირიან მირნელი

სიყვარული

ჩნდება ტკივილით, ჩნდება თავისით
და გზებს მიჰყვება იგი ბოლომდის,
ყველა კეთილის არის საწყისი
და დასასრული — ყველა ბოროტის.

ქვეყნად მეორედ მოსვლას ვიწამებთ,
ოღონდ ძახილი მისი მოგვესმას,
ის ერთადერთი არის მიწაზე,
ვერ დაატყვევებ წუთით რომელსაც.

თუ არ მოსულა —
ისე მოველით,
როგორც აპრილი ელის იელებს,
ის ერთადერთი არის, რომელიც
ავსებს ყოველგვარ სიცარიელეს.

შუქივით ადგას სულის სანახებს,
ერთხელ იღვიძებს
და არ იძინებს
და ფოთოლივით როცა ცახცახებს,
ტვირთს ეზიდება ქვეყნის სიმძიმეს.

გზაზე, ბილიკზე ნერგად იხარა
და ღვრის შარბათად ღამეს უძილოს
და საიდუმლოს ისე ინახავს,
როგორც სიბნელეს — ორმო უძირო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შორი ტალღები ხელებს ართმევენ,
მოაქვს ხმაური უცხო ნაპირთა,
მერე გვასწავლის ახალ გაფრენებს
და აგვისრულებს — რასაც დაგვპირდა.

ყველა შეტევა, ყველა კეთება
ქვეყნად იწყება მისი ბრძანებით,
დილის მზესავით გზებზე ენთება
და გადადიან ხიდზე მგზავრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელ ჯაბუშანური

მიძღვნა მდინარე ასასადმი

სათავეს ჩემსავ არხოტში იდებ, —
იქ ასეც გქვია: — არხოტის წყალი;
მერე დაურღვევ ღილღოს და ღილღველთ
მიჯნას
და წვერსაც მათსავით ქღალი
ინით იღებავ, —
ხეობებს მისდევ,
შენ — ქართველ-ხევსურს —
ღილღველ-თათრები
მიგავიწყებენ იმ საწყალ ქრისტეს
და ახალ რჯულზე მოინათლები.
დაბადებული არხოტს არაგვად
სახელსაც იცვლი, ღილღურ გაგებით
ასავ, არაგვი, ვიცი, არა ხარ,
მაგრამ მე მაინც მეარაგვები.

☆

ღილღოსადმი

სიზმარში მაინც მახსენებ შენს თავს
თალხი მთა-ხევით და ბინდბუნდებით...
რა ვუყოთ მერე:
მანთე
და მშანთე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაგთმე
და აღარ დაგიბრუნდები!..
შენ მგოსნის გული გაუყავ არხოტს
და ჩამიწურე სულში მტევნები,
ნუ მწირავ:
ჩემში ქართლის მზეს წარხოც,
თუმც შთაგონებად დამედევნები...
ჩვიდმეტი წელი ერთი წამია, —
სამშობლოს ცა კი სიცოცხლეს უდრის;
ამაოდ მაწვევ,
აღარ წამოვალ,
ან დავიწყების იწყება მწუხრი.

აკაკი გეწაძე



მოთხრობა

1

ნაახალწლევს ჩვენს ოჯახში კვლავ დაიწყეს სანადიმო სამზადისი. მეზობლებიდან ქვაბები, თეფშები, სუფრები და ათასი სხვა რამ ინათხოვრეს. სანთიობო ოთახის იატაკი დაკრიალეს და წისქვილში საფქვავი ორი ურმით წაიღეს. ნიკო ბაბუამ ერთი კვირის სამყოფი შეშა დაჩეხა. ეზოში თომა ყასაბმა ჩვენი ბერწი ძროხა წამოაქცია და მისი სისხლით თოვლი გააწითლა. სამზადში ქალები თონის გახურებასა და ლავაშების ცხობას ვერ აუდიოდნენ. ჩვენი კარის მეზობელი ცაროც კი დაიხმარეს. მართალია, ენასავით მოქნილი მკლავი არა ჰქონდა, მარა მცხობლად მაინც ვარგოდა.

შაბათ საღამოს ფირანა ბიძია კოხტად გამოეწყო, თეთრი ჩოხა და შავი ახალუხი ჩაიცვ:, ფეხზე უძიროები შემოწკვერტა, წელზე ვერცხლის ბალთებიანი ქამარ-ხანჯალი შემოირტყა და თავზე ნაცრისფერი კრაველია ქუდი დაიხურა.

მოჭენდა ათიოდე ცხენოსანი. მამამ თქვა, ესენი სიძის მაყრები არიანო. სახელდახელო სუფრა გაშალეს, შემოუსხდნენ, ცოტა ხანს წაიქეიფეს და აიშალნენ.

ბიძიამ გრძელბეწვიანი შავი ნაბადი მოისხა და მაყრებს ეზოში გაჰყვა.

ცხენებზე შესხდნენ და ჭიშკარი სიმღერით გაიარეს. ბიძიამ გვერდით მეორე ცხენიც გაიყოლა. იმ ცხენს რაღაც სხვანაირი უნაგირი ედგა, ზედ არავინ იჯდა.

ეს რომ დავინახე, ვეცი ბაბუას:

— ამ ცარიელ ცხენზე მე შევჯდები, რა?!

— არ შეიძლება, შვილო. იმ ცხენით ბიძიამ ბიცოლა უნდა მოგიყვანოს.

— ვინ ბიცოლა?! ამ ცხენის გაჭენება მინდა, ბიცოლას რას დავეძებ, არ მინდა მე ბიცოლა!

— შენ რომ არ გინდა, ბიძაშენს უნდა! — ბაბუამ ულვაშებში ჩაიცინა. ხელი დამაკარა, ციმციმ ამიტაცა და შინ შემიყვანა.

იქ დიდხანს ვჭუჭყუნებდი, ჩემს მოსასმენად არავის ეცალა. მაყრები რომ წავიდნენ, სხვა ხალხი გვეწვია. ისინიც ლამაზად იყვნენ მორთულ-მოკაზმულნი, ოღონდ ცხენები არ ჰყავდათ. მე კი ცხენიანი სტუმრები უფრო მახარებდა. უფროსები დარბაისლურად ჩამოსხდნენ აგიზგიზებულ ბუხართან და ტკბილი საუბარი გააჩაღეს. გოგო-ბიჭებმა ცეკვა-თამაში გაახურეს. დაგა-დუგი გაუდიოდა დაირას. საჯალაბო პალატში სუფრები ერთმანეთს გადაპაზეს. სუფრებს საგანგებოდ გაკეთებული გრძელი სკამები მიუდგეს.

დედა ჯარასავით ტრიალებდა, ცარო ეხმარებოდა. რა დამძაბნებდა, თვალი ჭინკასავით მქონდა დაჭყეტილი. ხალხი ცხენოსნების დაბრუნებას ელოდა და მეც მარაქაში ვერიე. წამდაუწუმ ვიხედებოდი გარეთ. თოვლი მოდიოდა. სხვა არავინ ჩანდა. შუაღამისას სადღაც ახლოს თოფმა იქუხა. მერე სიმღერაც დასჭექეს:

მოვდივართ, მოგვიხარია,
მოგეყავს დედალი ხოხობი...

— მოპპაკვთ, მოპპაკვთ! — აკრიამულდნენ გოგო-ბიჭები.

მე სახტად დავრჩი. ამბობდნენ, ბიძია ბიცოლას მოსაყვანად წავიდაო და ეს რა არის? ბიცოლას მაგივრად ხოხობი მოპპაკვს? ამ ღამეში სანადიროდ იყო? მოატყუა ხალხი? თუმცა, რა გასაკვირია, მე რამდენჯერ მოვუტყუებივარ, ვინ იცის! განელებული დაირა ბუხრის პირთან გაავიცხეს, ააღუგდუგეს და შეწყვეტილი ცეკვა-თამაში ისევ გაახურდა. ზოგმაც ყაერის ჭინჭღილები აანთო და ეზოს მიაშურა. მეც იმათ გავყევი. ძალიან მინდოდა ბიძიას ნანადირევი ხოხობის დანახვა.

ჭინჭღილებმა გააჩირაღდნა ეზო და გზა. ისევ თოვდა. ცა თეთრი პეპლებით იყო სავსე. ზოგი პეპელა ჭინჭღილს ეცემოდა და მაშინვე დნებოდა. ჭიშკართან ისევ ისროლეს თოფი და ცხენოსნები ჩამოხტნენ. ახლა მეტი იყვნენ.

— აპა ჰე, გზა დაუცალეთ! — ყვიროდა ერთი თეთრყაბალახიანი კაცი.

მე ბიძიას დავუწყე ძებნა და თვალი მალე მოვკარი. ხელში არც ხოხობი ეჭირა, არც სხვა ნანადირევი. ცხენიდან მარდად ისკუბა და მერე გვერდით ამომდგარ ცხენოსანს მიეშველა, უნაგირიდან ფრთხილად ჩამოსვა, ნაბადი მოახურა და იმასთან ერთად ყველაზე წინ წამოვიდა.

არც ვაცივ, არც ვაცხელე. დავკარი ფეხი, ნაბადქვეშ შევუძვერი, ავხტი და კისერზე ჩამოვეკიდე. ის ვიღაც მეორე განზე გავაგდე. კარგად ახლაღა დავინახე: გრძელსაყურეებიანი ქალი იყო, სულ თეთრი კაბა ეცვა, თავზე ჩიხტიკოპი ედგა და რაღაც სიფრიფანა ეხურა. მერე გავიგე: თურმე იმ სიფრიფანას სადედოფლო ლეჩაქი ერქვა. ბიძიას ნაბდიდან რომ გავაგდე, იმ თეთრკაბიან ქალს გაეცინა:

— ეს რა ჭინკა ბიჭი გყოლიათ, ჯერ თქვენს სახლში არ შემოვსულვარ და ახლავე ხელი მკრა?!

რაკი გამიცინა, ადვილად შევურიგდი.

ბიძიამ ქალი ისევ შემოიხიზნა. ნაბადი სამივეს ვეეყო. ჩიხტიკოპიანმა ბიძის კისრიდან მომგლიჯა და თვითონ ჩამიხუტა გულში. ასე მივადექით კარს. ზღურბლს ფიცრები აღარ ეკრა. ის ღორი, ამ კარში შემოსვლას რომ ცდილობდა ხოლმე, უკვე ლორად იყო ქცეული. ზღურბლზე გადაბრუნებული პატარა თეფში დაგვხვდა. ბიძიამ დაარტყა მარჯვენა ფეხი და თეფში ნატეხებად დაიბნა. გვანცა ბებიამ ქალს პირში შაქრის ნატეხი ჩაუდგა, მერე ბიძიასაც მიაწოდა, ჩემთვის კი აღარ დარჩა, მე პირდაღებული დამტოვა. ეს კი აღარ მომეწონა, ბებიას ჩემზე უფრო ის უცხო ქალი თუ ეყვარებოდა, ამას ვიფიქრებდი?

— ვაჟით მოდის დედოფალი, ვაჟით! — იგრიალა ხალხმა.

— ღმერთმა ნუ მოუშალოს ამ ოჯახს ვაჟიანობა! — დასჭექა ერმალოზამ და ნელა წამოიწყო:

ღმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში
ლხინსა და გახარებასა,
ვაჟების ქორწინებასა,
ქალების გათხოვებასა.

აჰყვა ხალხი შინ და გარეთ, გაძლიერდა სიმღერა და ბოლოს ისე დაიგუგუნა, მეგონა, ამ ხალხიანად სახლი ცაში გაფრინდა-მეთქი.

სიმღერა რომ მიიწურა, საოცარი სიწყნარე ჩამოვარდა, ბიძია ფირანასა და იმ ქალის გულისცემაღა ისმოდა. თეთრყაბალახიანმა მაყარმა იძრო დამბაჩა, მიუშვირა ჭერს და უბუთქა. სხვენში კატამ ერთი საწყლად დაიჭყაველა და მიჩუმდა. უბედური! ალბათ სიმღერას უგდებდა ყურს და არ ჩაშხამდა?! მერე რა მოხდა, აღარ გამიგია, ძილმა კისერი მომწყვიტა.

გავიღვიძე ჩემს ლოგინში და საჭიატო სარკმელს ვეცი. ცა ისევ სავსე იყო თეთრი პეპლებით. დედამ ახალი ტანსაცმელი ჩამაცვა და ბუხრიან ოთახში გამიყვანა. სუფრის თავში ბიძია და დედოფალი ისხდნენ. წინ შემწვარი ქათამი ედოთ, ხელუხლებელი. ხშირად უქნეედნენ თავს სტუმრებს. ქეიფს რამდენიმე კაცი ზერჩენოდა. ზოგს იქვე ეძინა სუფრაზე თავმიდებულს და ძილში ბურდღუნებდა. გრძელულვაშა, წარბებგაფარჩხული კაცი სულ ღიღინებდა:

მე არ მინდა აბაზი,
ცოლი მინდა ლამაზი,
ოხოზოია
მრავალჟამი
ჟამი, ჟამეეეე,
ოხოზოია,
ოხოზოია,
თქვენი ჭირიმეეეს...

ღიღინებდა და თან გვერდით მჯდომ კაცს ხელს ლოყაზე უტყაპუნებდა, ამყევიო. მეზობელი კი თავს რეტიანივით აქნევდა. მართალია, პირს აღებდა, მაგრამ იმ პირიდან ხმა არ აშოსდიოდა. ვერც იმას გაიგებდით, ეძინა თუ ეღვიძა. ერთი რამ კი კარგად დავიხახე: თვალები დახუჭული ჰქონდა.

მოღიღინე კაცის პირდაპირ გულგაღეღილი ჭაბუკი ქანაობდა. თითს მაღლა ათამაშებდა და ულვაშას სულ აცეცებდა. ეტყობა, ეს ერთი უგდებდა ყურს, თავისთვის მღეროდა.

დედოფალს მაყრებიო
არ ვართ სხვაზე ნაკლებიო...

ერთი ისე შექანდა, მამა რომ არ მიშველებოდა, სოხანეზე გაიშლართველოდა. ეზოში გავედი. თოვლი სულ დატკეპნილი დამხვდა. კარის ყანაში თმაშაშლილი ჭაბუკი დარბოდა. ხელში ნაჯახის თუ წალდის ტარი ეჭირა. ვიცანი: წუხელი დამბაჩა რომ ისროლა, ის იყო. ოღონდ ახლა არც დამბაჩა ეკიდა და არც ლამაზი თეთრი ყაბალახი ეხვია. რუკან ქათამს გაგულისებული დასდევდა, ტარს ესროდა, აცილებდა და მაინც არ ეშვებოდა.

— რაკდენა, რა დაგიშავა მა უჩედურმა ქათამმა? — გასძახა სახლიდან გამოპანცალებულმა მაყარმა.

— ქათმის კურტუმო მიყვარს, ბიჭო. კურტუმო. ვიდრე ამ ქათმის კურტუმოს არ შევჭამ, აქედან ფეხს არ მოვიცლი.— რაკდენამ ქათამს ჭოლოკი ესროლა. როგორც იქნა, გაუმართლა. ფეხმოტეხილი ქათამი ფაფუკ თოვლში ჩაეფლო. გამარჯვებულმა მაყარმა ხელი დაავლო და სამზადისკენ წაარბენინა.

შინ რომ შევედი, სუფრა სულ დაცლილი იყო, აღარაკინ ქეიფობდა. ტახტად გაკეთებულ სკამებზე სამი კაცი იწვა და ერთმანეთს ხვრინვაში ეჯიბრებოდა.

ჩემს ოთახს მივაშურე. გავაღე კარი და რას ვხედავ: ბიძია და მისი ბოყვინილი ქალი აქ არიან. სუფრა პატარა ტაბლაზე გაუშლიათ და უჩემოდ ქეიფობენ. იქვე ზის ორი უცნობი ქალიშვილი — ქერა და შავგვრემანი. სუფრაზე ორი ქათამი დევს, კანდაბრაწული. არ მიკითხავს არაფერი: მივედი სუფრასთან და ქათმის ბარკალს დავაველე ხელი. ბიძიამ მოზრდილი ძვალი აიტაცა და მაჯაზე დამარტყა, ბარკალი თეფშზევე დამაგდებინა. მეტკინა მაჯა, კიდევ უფრო ბიძიას ასეთი სიმკაცრე მეწყინა და სუფრის კიდეზე ცრემლები დავაბნიე.

— სიძის კაკალო, სიავეს ნუ ავიჩვენებ, თუ არა, პატარძალს უკანვე წავიყვანთ! — სიცილით უთხრა შავგვრემანმა ქალიშვილმა.

ქერამაც შეუტია:

— რას ერჩი?! ბავშვს არ უნდა აწყენინო, დაგიმახსოვრებს!

რაკი ქონგეები გამომიწნდნენ, ქვედა ტუჩი ჩამოვაგდე და ნაძალადევად ავტირდი.

დედოფალმა მუხლზე დამისვა და დამიყვავა:

— არა, გენაცვალე, არა, ნუ სტირი! ა, შენ ბარკალი! რა გატირებს, გეხუმრა ბიძია.

ბიძიას ჯიბიზე ბარკალს ისევ დავაკვლე ხელი, წუთში შემოვაცილე ხორცი და ძვალი სუფრაზე დავაგდე.

დაღამდა. შავგვრემანმა სანთიობო ოთახში ანთებული ჭრაქი შემოიტანა და სკამზე დადგა. ქერამ სუფრა გაიტანა.

— ახლა, ჩემო ყარამან, მე და შენ წავიდეთ აქედან! — მითხრა შავგვრემანმა და ხელი მკლავში ჩამავლო.

— სად უნდა წავიდეთ, ბოშო?! — წავართვი შავგვრემანს მკლავი. — ეს ჩემი სახლია, შენ თუ გინდა, წადი რა!

კუთხეში მიმკუნჭა და ჩამჩურჩულა:

— ბიძიას და ბიცოლას ეძინებათ.

— ბიძიას თუ ეძინება, გეიხადოს და დაწვეს. ბიცოლაც დაწვეს, ოღონდ აქკი არა, თავის სახლი ხომ აქვს, იქ წავიდეს! ეს ჩემი და ბიძიას ლოგინია! — ვთქვი და ტახტს გადავხედე. ახლაღა შევამჩნიე! ჩემი არეული ლოგინი ვიღაცას კოხტად დაელაგებინა, ზედ ახალი საბანი ეფარა, ვარდისფერი.

— შენ დღეიდან ბაბუასთან დაგაძინებენ, — ისევ იდუმლად მამცნო შავგვრემანმა.

— ბაბუასთან ბიცოლა დააძინონ, თუ კარგია! — ეტკიცე ცივი უარი და დავსძინე: — ბაბუამ ისეთი ხვრინვა იცის, ბუხრის კრუალიებს ხმას არ აღებინებს.

ბიძია და ბიცოლა აქამდე ჩუმად იყვნენ, თითქოს ხმის ამოღებისა რცხვენოთო. ბიცოლა ფანჯარაში იცქირებოდა და, მგონი, კიდეც ტიროდა. ბიძია ტახტთან თავჩაღუნული იჯდა. ეს რომ ვთქვი, სიცილი წასკდა ორივეს. ოღონდ ბიძიას არც ახლა აუღია თავი. არც ბიცოლა შემობრუნებულა. იფრთქვინა შავგვრემანმა ქალიშვილმაც და ოთახიდან სიცილით გავარდა.

მაშინვე დედამ მომაკითხა:

— წამო, ყარამან!

— არსადაც არ წამოვალ! — ვთქვი და ტახტს ორივე ხელით მოვეჭიდე.

— დღეიდან, იცოდე, ბაბუასთან დაწვები!

— ბაბუასთან თუ გინდა, შენ დაწექი!

ისევ წასკდათ სიცილი ბიცოლასა და ბიძიას.

დედამ ცალყბად გაიღიმა, მერე უცებ შეიკრა წარბი და სევდიანად ჩაილაპარაკა:

— ეჰ, შვილო, რა ბედნიერი ხარ, ამ ქვეყნისა რომ არაფერი გაგიგია!

მე უცებ გავიძრე ქალამნები და ახალ ლოგინში ტანსაცმლიანად შეეგორდი.

— აი, ფეხსაც არ მოვიცვლი, არ მოვიცვლი, არა, არა!

დედამ ხელი დამავლო და გადმომაფარცხნა:

— ჩაიცვი ქალამნები და წამოეთერი!

ეჰე, ვატყობ, აღარც ხუმრობენ! თუ აქამდე სულ ბიძიასთან მეძინა, დღეს ვითომ რა მოხდა? რატომ უნდა გამაგდონ აქედან? გული მომდის.

ჩემი გულის კვნესა არავის ესმის. ბიძია მაინც რატომ არაფერს მეუბნება? ვინ არის ეს უცხო ქალი, ასე რომ შეაცვლევინა გუნება?

გაცეცხლებული ვეცი ბიცოლას და მუშტები დავუშინე:

— წადი აქედან, წადი, შე ოხერო!

თვითონ ხმა არ ამოუღია, არც ბიძიას დაუძრავს კინტები.

— უუჰ, შე ჭკუააფრაკო! — მებდღვნა დედა, ციმციმ ამიტაცა, ბუხრიან ოთახში გამიყვანა და ბაბუას ტახტზე დამაგ-

დო. — ფეხი არ მოიცვალო, თუ არა, მამაჩემს აქვს ცხონება, მე შენ ამბავი დაგაწიო! თოვლში უქალამნოდ გაგაგდებ და სამ დღეს შინ აღარ შემოგშვებ!

მე ახლაც უქალამნოდ გახლდით, წინდებისამარა.

ავტირდი, ავტირდი მდუღარე ცრემლით. ბაბუა ყველაზე მეტად მიყვარდა, ძილი კი ბიძიასთან მერჩიენა. ასე ვიყავი დაჩვეული და რა ჩემი ბრალი იყო? ეს იყო ჩემი ბედნიერება, წამართვეს და არ მეტირა?

ბაბუას უკვე ეძინა. ბებიამ ტანსაცმელი გამხადა და ჩამიხუტა. მე მაინც ვსლუკუნებდი. ბებიამ ბალიშის ქვეშიდან პატარა ქისა გამოიღო, თასმა შეხსნა, ხელისგული გამაშლევინა და ზედ ვერცხლის ფული დამიდო:

— ნუ სტირი, ჩემო ბიჭო, ნუ! ამდენი ცრემლი თვალს დაგწვავს. ამ აბაზით ხვალ თემირას დუქანში შაქარყინული და ნამცხვარი იყიდე. ხომ გიყვარს?

— კი, მიყვარს... შაქარყინული უფრო მიყვარს!

— გიყვარს და ჭამე, რამდენიც ეენებოს, ოღონდ ახლა აღარ იტირო! ხომ არ იტირებ? ეს ფული რომ გაგითავდება, სხვა აბაზიანს გაჩუქებ.

— მე არ მინდა აბაზი, ქალი მინდა ლამაზი! — ეცემ მომადგა ენაზე და ტირილნარევი ხმით ვუთხარი ბებიას.

— რაო, რაო? რა თქვი, ბიჭო, რა მინდაო? — ყურს არ დაუჯერა ბებიამ.

ძალიან მომეწონა ქორწილი, მაყრების სიმღერა, დამბაჩიანა და თოფის სროლა, ნაბდებიანი კაცები, ცეკვა-თამაში, ბევრი ხალხის სტუმრობა, ყვავილი და ჟრიამული. რაკდენა რომ გაიძახოდა, კურტუმო მიყვარსო, ისიც საამოდ ჩამრჩა გულში. რაღაც კარგი იყო. მინდოდა, ყველაფერი გაემეორებინათ. ეს ფიქრი ამეკვიატა და ამოვიჩემე: ხვალ ცოლი მეც მომიყვანეთ-მეთქი.

რომ აღარ გაგიწყდი, ბებიამ ჩაიცინა და ისე მითხრა:

— ეჰე! შენ მგონი აღარც ხუმრობ! რად გინდა, ბიჭო, ცოლი?

— რად მინდა და... ერთ ქალამს მარტო ჩემთვისა და ჩემი ცოლისთვის შეწვავენ, მერე იმ ქალამს ბიძიას ფაბრიკაში ეს სულ არ ვაჭმევ!

— შე კაი კაცო, ცოლი მარტო მაგისთვის თუ გინდა, ერთ ქალამს ხვალვე დაგკლავ და საკუთრად შეგაჭმევ, მაგის ჯავრი გაქვს?

— არა, ბებო, ცოლი კიდევ იმიტომ მინდა, ჩემ ცოლთან ბიცოლას დავაწვენ. მე კი ბიძიასთან დავიძინებ.

— კაი, კაი! ახლა დაიძინე, გვიანია. ამაღამ საქორწილო მომზადებას მაინც ვეღარ მოვასწრებთ და ხვალ უეჭველად მოგიყვან ცოლს, აპა, რაგა იქნება! ოღონდ ეს მითხარი, ციციანი გირჩევნია თუ ყიფიანი?

მე ცოტა ხანს დავფიქრდი, ვერ გავიგე რას მეკითხებოდა. რაც ენაზე მომადგა, ის ვუთხარი:

— ყიფიანი მირჩევნია, ბებო.

— ჰო, კაი, შვილო, ყიფიანი იყოს. მაგის ჯავრი გაქვს? დაიძინე ახლა, დაიძინე!

ბებიამ ზანდუკზე დადებული ჭრაქი ჩააქრო. სიბნელეში ყოფნას მე მიჩვეული ვიყავი, მარა ეს მაინც არ მესიამოვნა, რატომღაც თავზე საბანი გადავიფარე, თითქოს ღამეს ვემალებოდი და ბებიას უფრო მაგრა ჩავეხუტე.

— ბებო!

— რა გინდა, შენი ჭირიმე?

— ზღაპარი მომიყევი!

— რა დროს ზღაპარია, შე ჭინკა, თვალზე სამი ურემი ძილი მკიდია.

— მომიყევი, თუ არა გიკბენ!

— კაი, კაი, მოგიყვები. რომელი გინდა?

— ახალი, სულ ახალი!

— კი, გენაცვალე, მაგაზე გაწყენინებ? ერთხელ დღე და ღამე გიეჯიბრნენ, ვინ ვის გაასწრებსო. გარბოდა ღამე, მისდევდა დღე. დაეწია და გაუსწრო. მერე ღამე მოეკიდა დღეს, დაეწია და გაუსწრო. იმ დროიდან სულ ასე ეჯიბრებიან ერთმანეთს. ხან ერთი გარბის წინ და ხან — მეორე. ყარამანა, მიგდებ ყურს?

— ჰა, ჰა?!

— მიგდებ ყურს?

— კი, კი, მერე?

— ღმერთმა დღეს მზე აჩუქა, ღამეს — თვარე. მერე ისინი გაეჯიბრნენ ერთმანეთს. მზე რომ გადაირბენდა ერთ თთას, თვარე მაშინ ამოდიოდა მეორე მთაზე. ვერ ეწეოდა მზეს და სული ელეოდა, პატარავდებოდა. მერე ღმერთი ისევ ავსებდა თვარეს და თვარე კვლავ მისდევდა მზეს, ასე ბრუნავდა წუთისოფლის ბორბალი...

მერე მომესმა, თითქოს თბილი თოვლი შრიალებდა გარშემო და მეტი აღარაფერი მახსოვს. მესიზმრა: თეთრი ნაბადი მეხურა და ბიძაჩემივით მეც ცოლი ნაბადში გახვეული მომყავდა. იმ ნაბადში არავინ შემომხტომია, არც სროლა აუტეხია ვინმეს. თოვლი კი მოდიოდა, თბილი, ძალიან თბილი. ფანტელები ათასფრად ირეოდა, ქვეყანას ცისარტყელად ეფინებოდა.

ასეთი ლამაზი სიზმარი პირველად ვნახე. მეორე დღეს ცოლის მოყვანა აღარ გამხსენებია. მე და ბიცოლა ედუკია შევრიგდით. იმდენი შაქარყინული მომცა, მთელ დღეს მეყო სახრამუნოდ. ამ ქალს ყველა ეფერებოდა და მარტო მე ხომ არ დავეუწყებდი ჩხუბს?

.

ჩვენმა ძაღლმა წარბუამ სამზადიდან ბატის შაში მოიპარა. გაწყრა ბეია. წარბი შეიკრა დედამ. ედუკია ბიცოლა აქამდე სულ თვალებში შესციცინებდა ბიძიას, არაფერი ეწყინოსო. ახლა იმანაც უსაყვედურა:

— შე დალოცვილო, ეს წუწი ძაღლი შაშზე სანადიროდ მოიყვანე? მომაშორე, თუ კაცი ხარ! სხეა რომ არაფერი ეყოს, ოთახში რწყილებს გამიჩენს.

— მერე რა, რწყილებს თუ გაგიჩენს, — არხეინად მიუგო ბიძიამ. — ღამე ფხიზლად იქნები, მელა ქათამს ვერ მოეპარავს.

შაბათს წარბუამ ჭადი კეცშივე ამოჭამა, კვირას კი ქვაბიდან ლორი დაითრია. დედამ ძაღლს თავში ჯოხი სდრუზა.

ბიძია გულმოსული პირველად ვნახე.

— ელისაბედ, ეგ ძაღლი რომ მომიყოლა, ღმერთმანი, გაწყენინებ. მაგისთანა მეძებარს სადღა ვიშოვი. ისეთი ყეფა იცის, კურდღელს კი არა, ქვას წამოახტუნებს.

— სხვაგან რას წამოახტუნებს, არ ვიცი, აქ კი ერთთან უნამუსოდ იქცევა. გუშინ ჭადი შეუჭამა, დღეს ლორი მოტაცა, ხვალ ქათამს გაჰკრავს კბილს, ზეგ კვერცხებს ამოსვლეს საპუდრიდან და ვუყუროთ ასე, ვიშ, რა კარგია! — გაფიცხდა დედა.

— შე ქალო, გუშინდელ ხმელ ჭადს დღეს ყელის ჩასალბობად ლორი დააყოლა, — სიცილ-ქირქილით ჩაილაპარაკა მეძებრის ქომაგმა.

დედას კრინტი არ დაუძრავს. ისე გაშორდა თავშეუდებელ კაცს.

ბიძია სუფრას რომ მიუჯდებოდა, ერთ ლუკმას პირში თვითონ იდებდა, მეორეს კი იქვე დადარაჯებულ წარბუას სთავაზობდა.

ძაღლი ჩადგა ძმებშუა და... იმ ერთმა უნამუსო ძაღლმა მთელი ოჯახი აეყეფა. გვიიყვით. მამამ და ბაბუამ ფირნაზ ბიძიას კარის ყანაში ახალი ოდა წაპოუმიმეს. მამაჩემს საუფროსოდ არგუნეს ძველი სახლი და დიდი ქვევრი.

ცოტა რომ წამოეზარდე, ბაბუამ პატარა თოხი გამიკეთა. ვენახს ერთად ვთოხნიდით. წყალზედაც ხშირად მაგზავნიდნენ და სამწყესურშიც. ყველაზე უფრო შემოდგომა მიხარია, ბაბუა საწნახელში ჩადგებოდა და კანტები მტრედის ფეხებივით უწითლდებოდა. იმ წელიწადს რთველზე წვიმა დაგეესწრო და ყურძენს გემო ვეღარ ჩავატანე. აცივდა. ცამ ერთი პირი თოვლიც კი ჩამოყარა და მთაზე გადმოფინა. მერე უცბად იეიატა, მზემ გამოიხედა, თოვლი სირცხვილით დაადნა და ისე ჩამოთბა, გეგონებოდათ, ზაფხული შემობრუნდაო. ამ მზემ ყველაზე მეტად მოხუცები გაახარა. ბოლო ხანს ძალიან შეუყვარდათ მზეში ყოფნა და მუსაიფი. ეზოში

სამფეხა სკამებს გამოიტანდნენ, განიერად დაჯდებოდნენ და თვალმოჭუტულნი ცას მისჩერებოდნენ, ბებერ ძელებს ითბობდნენ. ერთობ გაუგებრიელდათ მზე. ბაბუას ნაჯახი ეკავა და ხან თოხის ტარსა ჩლიგნიდა, ხან უღელსა თლიდა. მე ცხვირაწეული ციგაც კი გამიკეთა.

არც ბებიას ელეოდა საქმე. ბუმბულსა წეწავდა, ტაროს ფშვნიდა, ჭკუტა ვაშლს ჩირავდა და გასაშრობად გრძელ ყავარზე ყრიდა. უფრო ხშირად კი ხელში წინდისჩხირები ეკავა და ქსოვდა. როცა კალთიდან გვრიჭა გადაუგორდებოდა, იქვე დადარაჯებული კატა დაეტაკებოდა და ნალიამდე მიაგორებდა. მისდევდა ბებია, იჭერდა და სცემდა, კატა მაინც არ შორდებოდა, ფეხებთან გაუგორდებოდა და ხან ეძინა, ხან გემრიელად იზმორებოდა.

მე ეზოში ხბოსავით დავბორიალობდი. ხან კიდეე ფისუნიას ვაჭყანელებდი. კატაზე მეტად ბებიას მოსდიოდა გული და მიწყრებოდა:

— დაღლარა, გაჩერდი, თუ არა, დედა არ მომიკვდება, გაგლახავ!

კარგად ვიცოდი: ბებია აღარც ახსოვდა, დედა როდის მოუკვდა. დარწმუნებული ვიყავი, გასალახავად ვერ გამიმეტებდა და არ ვეპუებოდი. ფისუნიას უფრო ვაწვალებდი, ჯოხს თავში ვურაცხუნებდი და მწარე დღეს ვაყრიდი.

— გადამრეს ეს ბიჭი! — ბოლოს და ბოლოს გამოვიდა მოთმინებიდან ბებია.

— აქამდე არ იყავი, თუ? — ბაბუასავით გავეღრიჯე მე.

— ღმერთო ჩემო, ამასაც მოვესწარი! შეჩვენებულო, შენი ენის ადგმა იმიტომ გამიხარდა, ბოლოს სულელი მიძახე-მეთქი? არა გრცხვენია, თავქარიანო? — ბებიას ცრემლი მოადგა თვალზე. არ ვიცი, ეს ცრემლი კატის ფრჩხილებმა გამოადინა თუ ჩემმა მკვახე სიტყვამ.

— კაი ახლა, რა გატირებს, ბოშო! შეჩვენებული ენა აქვს, თუ არა, ისე, გულით, ნამდვილი ანგელოზია. მართლა კი არ უთქვამს, გეხუმრა, შე ქალო. — ნამუსი მომხადა ბაბუამ.

— დაუდექი ვექილად, თუ არა, მე კი არ ვიცი, რაც არის! — მოლბა ბებია, ჩემს კალთაში გაზრდილი ბიჭისა ბაბუამ შენ მიყვები? დაღლარიკა, მოდი ერთი, ბაბუაშენის ჯინაზე მაკოცე!

მივედი და ჯვარედინად გადავკოცნე.

— თავშეუდებელო, სულ ეშმაკობაზე რომ გიჭირავს თვალი, ერთხელ მაინც მომიჯექი გვერდით და მიყურე, რას ვაკეთებ! — შემომჩივლა ბაბუამ.

ხელი აგდებულად ავიქნიე:

— ერთი კვირაა, ურმისთვალსა თლი. რა ყურება გინდა?

— უყურე და ისწავლე, ყოველთვის სხვა კი არ გაგითლის!

— აგერ არ მყავხარ შენ?!

— სულ არც მე ვეყოლები, ბიჭო. ვერ მაპრნევ, რომ ვიკუტები? ეჰ, ნეტავი კი შეიძლებოდეს ახალგაზრდობის დაბრუნება!

— ბაბუ, ახალგაზრდობისას შენ სჯობნიდი თუ კიჭოუკას ბაბუა? — ეს სიტყვა როგორღაც უცებ მომადგა ენაზე.

ნიკო ბაბუას ყურს არ აკლდა, განგებ წამიყრია. კკითხე მეორედაც. არც ახლა გამცა ხმა.

— კაცო, ბავშვის ენით ანგელოზი ლაპარაკობს, დაუგდე ყური! — შეუტია ბებიამ.

— როცა შენ გიჭს გეძახდა, მაშინ შეჩვენებული იყო... ასე წუთში რამ გახადა ანგელოზი? — ძველი სახრე გადაჰკრა ბაბუამ ბებიას.

— კაი, ჰო, ყველაფერს შენს კუდს ნუ გამოაბამ! ბავშვი რაღაცას გეკითხება და გაეცი პასუხი!

— ყარამანა ბიჭო, რა მკითხე იმისთანა, ბებიაშენი რომ ამიჯანყე? — მომიბრუნდა ბაბუა მე.

— აი, ახალგაზრდობისას შენ სჯობნიდი თუ კიჭოუკას ბაბუა?

— რით, შვილო, ვაკაცობით, ჭკუით თუ ღონით? — შემომიბრუნა კითხვა ბერიკაცმა. — ღონე ფიდოს მეტი ჰქონდა, მე უფრო მოხერხებული ვიყავი.

ის შემოდგომა ბაბუამ ასე გამატარებინა, სულ ჭკუის გასალეს ამბებს მიყვებოდა.

მზე რომ გაცივდა, შემა ბლომად დაჩება, ჯირკები მარაგად შრამელში შეაგორა და ბუბართან გადაბარდა. ზამთარი ცალ-ცალკე გავატარეთ, მე სულ ციგას დავასრიალებდი, ის მოღუღუნე ჯირკს უჯდა. მხოლოდ ღამით გვეძინა ერთად.

გაზაფხულზე მზე რომ გაგემრიელდა, ვენახს მიაშურა: ვაზი გასხლა, ლერწის კონები ღობეს დაეჯარჯა და მერე ხარდანი გაჩეკა. ხარდანი ვაზს მე მიეურეგე, ჩასმის დროსაც ვეხმარებოდი. ხარდნის ჩასასობ ადგილას დოქით წყალს ვუსხამდი, მიწას ვულმობდი. ბაბუა ზოგჯერ ისე ჩაჰკრავდა ხარდანს, ნაგუბარიდან წყალი ორივეს გვეშხეფებოდა. წამდაუწუმს ისვენებდა. ჩამოჯდებოდა და მძიმედ სუნთქავდა. იმდენი ჯიბე ჰქონდა, ყალიონს რომელში იდებდა, ვეღარ იმახსოვრებდა და სულ იმას ეძებდა.

საკვირველი იყო სწორედ: რაც ბაბუას ყრმობასა და სიჭაბუკეში გადახდენოდა თავს, კაკალ-კაკალ მიყვებოდა, ერთი არაფერი დამორჩენოდა, ეს უბრალო რამ კი ავიწყდებოდა. არც გუშინდელი ამბები ახსოვდა. სიარულის დროს მუხლები ეკეცებოდა, მერე უძილობაც დასჩემდა. შუაღამისას სამჯერ გამაღვიძა მისმა ბურდღუნმა. ერთხელ მივაყურე და უცნაური რაღაც მომესმა:

— არ გეძინებათ, ჩემო თვალებო, ხომ? ჭირი მომშაბეთ და სატკივარი! — უწყრებოდა თავის თვალებს ძილგატეხილი ბაბუა, — არ გეძინებათ, ოხრისშვილებო, ხომ? აპა, ადექით და წაეთრიეთ მთაში, თოხნეთ ყანა!

წამოხტა ბაბუა, ჩაიცვა შარვალ-ხალათი და შინიდან ბარბაცით გავიდა. ბგბიას არაფერი გაუგია. სამი დღის მერე კვლავ გამაღვიძა ბაბუას მუქარამ:

— არ გეძინებათ, თქვე მიწადასაყრელებო, ხომ? ადექით და სათიბის გასაწმენდად წაბრძანდით!

ადგა ბაბუა და წაკანკალდა. გამეღვიძება დილით და სად არის ბაბუა: შუაღამისას ვენახში წასულა. გაეღვიძება ბგბიას და სად არის ბაბუა: მოვარიანში შეშის საჭრელად წასულა. ძილგამტყდარ კაცს საქმე არ ელეოდა. ასე სჯიდა თავის თვალებს, რაკი არ აძინებენ! აღარ ეიცოდა, რომელი უფ[illegible]რო შემცოდებოდა, გაუტეხელი ბაბუა თუ მისი ჯიუტი თვალები.

2

აი თურმე როგორი ყოფილა სიბერე! ბაბუას მთლად გაუფრთხო ძილი, ხოლო ბევრმა ღამისტეხამ ბერიკაცს ხელფეხი სულ აუკანკალა. მთაში სიარული ვეღარ შეძლო და ავადმყოფი ლოგინად ჩაკვარდა. ყველაზე დიდ სატანჯველად ბაბუას ის ექცა, რომ ეღვიძა და ტახტიდან კი ვეღარ დგებოდა.

— რა მოგვიფიდა, კაცო? — სწუხდა გვანცა ბებია და ავადმყოფის თაკსსოთუმალს არ შორდებოდა.

მამა საშოვარზე იყო წასული.

კვირა დილით დედამ ახალი კაბა ჩაიცვა, ეს შენიშნა ბაბუამ და ჰკითხა:

— რძალო, საით გაგიწევია?

— ონში მივდივარ.

— ონში დღეს რა გინდა?

— იქნებ ბავშვს სანდლები ვუყიდო.

— მამამისმა რომ გამოუგზავნა, იმის დახევა როდის მოასწრო?

— ბავშვის ამბავი არ იცი? მგელივით დარბის. ამდენ ხანს სანდლები კი არა, რკინის ქალამნებიც არ გაუძლებდა.

— სულ ფეხშიშველა დატანტალობს და სანდლები როდისღა დახია ნეტავი?

— აპა, ვიგონებ ახლა მე?

— ერთი შენს გახარებას, თვალებში ჩამხედე!

დედამ ბაბუასკენ მიიხედა.

— აშკარად გეტყობა, მატყუეს, შვილო. ბევრი რამ დამავიწყდა, მარა ონში ბაზრობა პარასკეობით რომ იციან, ეს ჭკუიდან ჯერ არ გადამვარდნია. ნუ წაბავალ! რამდენჯერ უნდა გითხრა: არ მინდა აქიმი, არა! ვიცი, ისეთ რაღაცას დამალევინებს, პირს გამომშხამავს. ერთი შენს გახარებას, ნუ დამზარდები, ეს დოქი გამომართვი, მარანში შეირბინე, პატარა ჭურჭელს თავი მოხადე და ღვი-

ნო მომიტანე! აქიმი იმაზე უკეთესს რას დამალევინებს?!

დედამ დოქს მოკიდა ხელი და შეანჯღრია.

— მამა, ჯერ ესეც არ გამოგიცლია და...

— ეგ თქვენ დალიეთ, ქალებმა. მე ცივი მომიტუნტუნეს. გული თბილია კარგი და ღვინო — ცივი.

დედამ ბეერჯერ დააპირა მკურნალის მოსაყვანად წასვლა, ბაბუამ არ გაუშვა. ავადმყოფს ღვინიანი დოქი მუდამ ედგა თავსასთუმალთან. ბაბუას ხშირად უყვარდა თქმა: თუ ღვინო არ დავაყოლე, ლუკმა ყელში გამეჭხირებაო. ავად რომ გახდებოდა, ღვინოსა წრუპავდა ცოტ-ცოტას: ეს დალოცვილი ყველაფრის წამალიაო. უსარულდებოდა სიტყვა: მართლაც, მალე მოიკეთებდა. ამ ავადმყოფობას კი ლოგინიდან ადგილად ვერ წამოუდგა. მარიამობის თვეში ძლივს მომჯობინდა, დაჩიავებული წამოდგა, კედელ-კედელ გაუყვა და ეზოში ყავარჯნით გავიდა.

ნაავადმყოფარს ყურები ისე ჰქონდა გათხელებული, შიგ სინათლე იჩიდებოდა...

ჰაერზე გასვლა მოუხდა, ჭაშის მადა მოემატა და მუხლშიც მომაგრდა.

— ახლა ხომ ხარ, ბაბუ, კაკვივით? — ვკითხე გასამხნევებლად.

— ეჰ, შვილო, სიბერე რომ კარგი იყოს, ბაბუაშენთან კი არ მოვიდოდა! რაღაა ჩემი ყოფა, ზეზე ვარ, დაჯდომა მიჭირს, დავწვდები, ადგომას ვეღარ ვახერხებ. მთიბავად აღარ ვარგივარ და მიწის მუშად. ტყეში ერთი დიდი მუხაა. რა ხანია მისი მოჭრის ჯიბრი მჭირს და ვერ მოვიცალე. დარდად მიწყვეტა თან! არ მეგონა, თუ ასე მალე მომისწრაფდებოდა... ადამიანი რომ ასე გახდება, მისი სიცოცხლე აღარ ღირს, მარა, რას ვიზამთ, ტკბილია ეს დალოცვილი მზე და ვერ ველევით.

აქამდე ბაბუას წუწუნი არ გამეგონა და ნამეტანი შემეცოდა. რატომღაც ხელი მოვკიდე, თითქოს ამით რამეს ვეშველიდი.

ერთ საღამოს, მზე რომ ჩავიდა და მთვარე ამოკაკაჩდა, ბაბუა დაგგეკარგა. იქით ვეცით, აქეთ ვეცით, მივეკითხეთ, მოვიკითხეთ: არავის უნახავს.

— ვაიმე, ავადმყოფობამ ისე მოაძღალა ყოფა, ალბათ რიონს მისცა თავი! — დაეჭვდა ბებია. — ჰო, ჰო, ასე იქნება, კი! ამასწინათ მითხრა: ნუ გეშინიათ, თუ მოგკვდები, ხარჯი თქვენ არ გადაგიხდებათ, თავს მევე დავიმარხავო. ვაიმე! თავს დაიხრჩობდა ის უბედური!

— ბებო, ეზოში ურემი არ ჩანს. — დავიყვირე უცებ მე.

ბოსელში შევვარდი, იქ ხარები აღარ, დამხვდნენ.

— ღმერთო დიდებულო! ალბათ მთაში წავიდა შეშის მოსატანად! სულ გამოჩურჩუტდა საწყალი, — ისევ აქოთქოთდა ბებია.

— ცოცხალი ყოფილა და კიდევ სტირი? — გავუწყერი მე. — შეშას თუ ვერ მოიტანს, თვითონ მაინც შეეჯდება ურემზე და ისე მოვა. რა ქნას კაცმა, მოეტატრა ტყე და...

— ამ ღამით მგლები შემიჭამენ იმ უბედურს, მგლები! ვაი ჩემს მოსწრებას!

— ნუ გეშინია,—დავაიმედე ბებია, — ხორცი აღარა აქვს და რას შეჭამენ მგლები?

გათენდა დილა, არ გამოჩნდა ბაბუა. მოშუადღევდა, ჭიშკარმა ჩრდილი შეიცვალა, ბაბუას ჭაჭანებაც არსად იყო.

— ბიჭო ყარამანა, შენთვის აქამდე ხომ არაფერი მითხოვნია? — მითხრა ბებიამ.

— რავა არ გითხოვნია?! ჩურჩხელებს ნუ მომპარავ და ორჯერ მეტს ჩემით მოგცემო, შენ არ მეუბნებოდი?

— მერე მისრულებდი? — გამოლმა შემომედავა ბებია.

— რა ვქნა, ბებო, რაც მართალია, მართალია, ვერ გისრულებდი. ჩემი ბრალია, მოპარულ ჩურჩხელას და ნაჩუქარს ერთი გემო რომ არა აქვს?

— ჰოდა, ერთი თხოვნა მაინც შემისრულე, ღმერთი დაგიმადლის. წამყევი ტყეში, მომაძებნინე ის საცოდავი! ალბათ, სადღაც ჩაკვდა, არ გეცოდება, ბიჭო, ბაბუა?

ეს ისე თქვა, ქვა რომ ქვაა, იმასაც ცრემლს გადმოაგდებინებდა. იმ წუთშივე ბებიას ხელი ჩაკიდე და ერთად აფუყეთით ტყისაკენ მიმავალ გზას.

— ბეკო, ჩემი კაცი ხომ არსად დაგინახავს? — ჰკითხა ბებიამ დურგალს. იგი უზარმაზარ ცაცხვსა ჭრიდა.

— შენი კაცი ეზოში ძლივს დაბანდალობს და ტყეში ანგელოზები ხომ არ გამოაფრენდნენ?! — გაიკვირვა ბეკომ.

ბილიკით ღელეში ჩავეშვით. იქ ყრუ სეფელიკა დაგვხვდა: დიდ ლოდზე იჯდა და ხის ჯამებსა ლესდა.

— სეფელა, ჩემი აბბუასთვის არსად მოგიკრავს თვალი? — ჩავეკითხეთ ყურში.

— ჯამები გინდა? — მკითხა ყრუმ და თვალებში შემომაჩერდა.

მე თავი გავიქნიე.

— კოვზები გინდა? — გაიმეორა დამხვდურმა.

ხელით ვანიშნე, არა-მეთქი. ყრუმ მხრები აიჩეჩა:

— აბა რა გინდა? კალათუნებს აღარა ვწნავ, არა!

თავი დაღუნა და ბასრი დანით ჯამის გულს დაუწყო თლა. არ მოვეშვი, შემოვაბრუნე. ჯერ თავზე ხელები რქებივით დავიდგი, მერე ცერა თითი მკერდზე მივიშვირე.

— ძროხა დაგეკარგა? — თვალები გაუფართოვდა ყრუს.

ხან რა ვანიშნე, ხან — რა, ბოლოს ბებიაც მოვიშველიე. ყრუ თავისას გაიძახოდა, ჩვენ — ჩვენსას. ვერაფერი გაეგებინეთ და მივაშურეთ წიფლნარს, სიდანაც ნაჯახის კაკუნი გვესმოდა.

გორაკზე რომ შევდექით, თავზე ყორანმა გადაგვიქროლა. ეს ბებიას ავისმომასწავებლად ენიშნა და ღონემიხდილმა ჩაიკეცა. ძლივს მოვასულიერე. ვინ არ ვნახეთ, ვის არა ვკითხეთ!

ბაბუა ვერც ტყეში ვიპოვეთ, ვერც — ღრეში. ბებია სულ ჩვრად იქცა. იღლიაში ყავარჯენივით შევუდექი და შინისკენ ძლივს გამოვაბრუნე. გულაფორიალებულმა იმდენი ივიშვიშა, მეც ამიჩვილა გული და ბებია-შვილიშვილმა თემშარა სულ ცრემლით მოვთესეთ.

ქანცგაცლილები ჭიშკარში შევლასლასდით და...

— ვაი! აგერ არ არის ბაბუა?!

ხარები ბოსლის წინ წვანან და გუნებიერად იცოხნიან. ურემი შუა ეზოში დგას. ურემზე უშველებელი მორი დევს, მუხის მორი.

დაფიქრებული ბაბუა მორზე ზის, მიწას ჩასცქერის, ყალიონს ასალაკუნებს და გვერდზე ასურჭყლეტს.

— უიი, შენი კუბო კი ვნახე მალე! სად იყავი, შე თავგზააბნეულო, სად?!— მიაძახა ბებიამ.

— ა, მოვიტანე, — მიუგო ბაბუამ. — ამისაგან სულ აკვნები გამოთალეთ და... თუ რამე გადარჩს, ოთხიოდე ფიცარი ჩემთვისაც გაიმეტეთ! რაკი ამის ჯავრი ვიყარე, აწი რაღა მომკლავს!

თურმე მოხუცებსაც ბავშვებივით უბრალო რამეზე სცოდნიათ წაჩხუბება და გაბუტვა, ოღონდ ისინი ბავშვებივით არ ამბობენ: „ბუტე, ბუტე, გაგებუტეო“. დაღვრემილნი და დაფიქრებულნი, თავ-თავისთვის ჩუმად დადიან, ეგ არის და ეგ. არ ვიცი, რაზე აედავენ ერთმანეთს, ბაბუა გაებუტა ბებიას. სწორედ იმ დღეებში წითელა შემეყარა. დედამ სულ ჩემ ლოგინთან მიფინ-მოფინა, რაც წითელი ფერის ფალასფულასი გააჩნდა. ბებია თავსასთუმალთან მეჯდა და ვიღაც უხილავს ხან ლოცავდა, ხან ემუდარებოდა, დღე და ღამე ჩურჩულებდა და ჩურჩულებდა:

— მხიარულო ბატონებო, ვარდო ბატონებო, თქვენი გზა დაილოცება, დიდო ბატონებო! თქვენსა გზასა ვფენდი ვარდსა, ჩემო ბატონებო. ამ ბატონების ჩარდახში ლხინი არის და თამაში, დიდო ბატონებო. უდგიათ ოქროს აკვანი, ვარდო ბატონებო. შიგ ყმაწვილი უწვენია, ოქროსქოჩორიანი.

ბაბუაც ტახტთან ტრიალებდა, ენამოჩლექით მეტიტინებოდა და მეფერებოდა. ოღონდ ის არ მომწონდა, ბებიას რომ არა სცემდა ხმას. უცებ მომაგონ-

---

აკაკი გეწაძე
ორი დღე

და, ბატონებიან ბავშვს ყველა სურვილს უსრულებენო, თავი ავყინჩე:

— ბაბუ!

— რა გინდა, შემოგევლოს ბაბუა?

— ერთი რამე რომ გთხოვო, შემისრულებ?

— კი, შენი ჭირიმე, კი, შენ გენაცვალე! რაც ფიქრად მოგიფიდეს, მთხოვე, ერთი კი არა, ათასი იყოს, მაგის ჯავრი გაქ? შემომჭიკჭიკე, შენი ჭირიმე, შემომშიკჭიკე!

— რატომ ემდური ბებიას?

— ბებიას ვემდური?! აღარ ვემდური, ჩემო მერცხალო, არა! რა მაქვს მოსამდურებელი?!

— ბებო, არც შენა ხარ გაბუტული?

— არა, ჩემო სიცოცხლევ, გაბუტული კი არა, ისე წაგიმასხრეთ ცოტა, შენს ბატონებს ვენაცვალე, ჩვენი უბრად ყოფნა ვინ თქვა!

— აბა, გადაეხვიეთ ერთმანეთს და აკოცეთ!

— ვაკოცო?! კი, შენი ჭირიმე.

— კი, შენს ბატონებს შემოვევლე!

ბაბუამ და ბებიამ ერთმანეთი ჯვარედინად გადაკოცეს.

— კიდევ ვაკოცო, ბაბუ? — გადმოხედა ბერიკაცმა.

— ახლა ერთ სკამზე დაჯექით! — ვბრძანე ამაყად.

— ცოტა ჩაიჩოჩე, ბოშო! — უთხრა ბაბუამ ბებიას და გვერდით მიუჯდა.

— ხომ ეტევით ორივე? — გავხედე მოხუცებს და კვლავ გავიღიმე.

— ვეტევით, აბა არ ვეტევით! — შუბლი გაიხსნა ბებიამ, — გაიხარონ შენმა ბატონებმა, შენს კეთილ ანგელოზებს ვენაცვალე, სიკეთედ გაგვიჩნდა შენი თავი, სიკეთედ! ია და ვარდი ჰფენია შენი ბატონების გზას!

— ახლა მიმღერეთ რამე! — ვბრძანე ახალი სიტყვა.

ბებიამ „იავნანა“ დაიწყო და მოხუცები ისე ტკბილად აღიღინდნენ, ეს თაფლიანი სიმღერა როდის დაასრულეს, აღარ გამიგია. ამ ღიღინმა საღღაც სანეტარო ქვეყანაში გამიტყუა, ფრთები შემასხა და სამოთხის ჩიტად მაქცია. ისე გემრიელად ჩემს სიცოცხლეში აღარასოდეს მძინებია, არც ისეთი ლამაზი სიზმარი მინახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მალე წამოვდექი ლოგინიდან, მარა ბაბუა ჩაწვა ისევ. ბებიას ავადმყოფის თავსასთუმალთან ჯდომა არ მოეშალა. დედას ძველებურად მოჰქონდა დოქით ღვინო.

ბაბუა ნამეტანი უღიმღამოდ წრეპავდა, ღვინოც აღარ სიამოვნებდა. ბერიკაცი დღითიდღე დნებოდა და იღეოდა. მუხლები ხშირად უცივდებოდა და ფეხებზე ცხელ კეცს ადებდნენ, ძველ ახალუნში გახვეულს. ნინახავთ აკვანში მწოლიარე მოხუცი? ბაბუა ლოგინში იმნაირად დაჩიაცდა, ღმერთმანი, აკვანში რომ ჩაეწვენოთ — ჩატეოდა.

— ბაბუა, ასე რამ დაგაპატარავა? — ვკითხე ერთხელ.

— მიქელ-გაბრიელმა, შვილო, მიქელ-გაბრიელმა. სიკვდილი აპატარავებს ადამიანს.

— ყველას?!

ბაბუამ პირი დააღო, პასუხი კი ვერ გამცა. ბებიას ვარამმა ითმინა, ითმინა და თვალიდან ცრემლად გადმოყონა. ბაბუას ბეგრმა რამემ უმტყუნა, თვალს კი არ უღალატნია, ცოლის თვალზე კურცხალი მაშინვე შეამჩნია და შეუტია:

— ბოშო, არ ვარგა ავადმყოფის ლოგინთან ტირილი. საცრემლო რა მჭირს, ორიოდე დღეც ვიკოტრიალეს, მოვრჩები და რაც აქამდე ქვეყნად ვიჩალიჩე, ერთს ამდენს კიდევ ვიცოცხლებ, აგერ ნახავ, თუ გაბტყუბ. კაი ახლა, შე ქალო, სოხანე ნუ ამიტალახე. გეყოფა ცრემლის ღვრა, ვვანცა არა ხარ შენ, ქალო? რა მოგვიდა, ცოცხლეულად მტირი? ისე, ბიჭებს თუ შეატყობინებთ ჩემს ამბავს, კარგს იზამთ, ნამეტანი მომენატრნენ, დარდი მკლავს.

ერთი კვირის თავზე მამა და ფირანა კავკავიდან მოვენდნენ. საწყალმა მოხუცმა შვილები რომ დაინახა, სულ აკანკალდა.

— რავა ხარ, მამა, რავა? — ჰკითხეს შვილებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასე იყოს თქვენი მტერი და ორგული, რავაც ახლა მე ვარ. მიქელგაბრიელი ეგერ მიცდის, ე, კარს უკან. წუთისოფელი ორი ძმისაა: ერთი აკვნეს აკეთებს, მეორე კუბოებს. ეს ორი ძმა კიდევ სულ ერთად ცხოვრობს, გაიგეთ? ჰოდა, თუ ვაიგეთ, რაღას მეკითხებით, რავა ვარ. ცას ხომ არ გამოვეკერები? გიტოვებთ ამ პატარა ეზოს და დიდ ქვეყანას, აბა თქვენ იცით, ამ ეზოკარში აკვნის მადლსა და ჭრიალს თუ არ მოწლით. კუბო კი მერე თავისთავად გაითლება. ჰო, ჰო, კუბოს აკვანი თლის, აკვანი! ასეა ცხოვრება გარიგებული, ასეა წუთისოფელი აგებული. უჰუ, უჰუ, უუჰუ! მთავარია აკვანი, აკვანს მოუარეთ, ამდერეთ და აცინეთ აკვანი. უუჰუ! კარგი ახლა, კურცხალი არ დამანახოთ, რა გაქვთ სატირალი? თქვენ მეცოდებით ამ უსწორმასწორო ქვეყანაში სატანჯველად და სადავიდარაბოდ რომ გტოვებთ, თუ არა, მე რა მიშავს? დასასვენებლად სამოთხეში მივდივარ. მაქვს ამის იმედი, აბა არა მაქვს?! ცრემლივით წმინდა კაცი ვიყავი. მზიანეთში შავი გულით ერთ დღესაც არ გამივლია და მე თუ არ შემიშვებენ სამოთხეში, აბა სხვას ვის გაუღებენ კარს? აახ! გამათავა ამ ოხერმა ხველამ, ამომაგლიჯა გული, მეტი აღარ შემიძლია! — ბაბუამ იმდენი ახველა, სული ძლივს მოიბრუნა, მერე ისევ თავის სიტყვას დაუბრუნდა — შვილო ამბროლა, კარგია, თვალგახელილის რომ მომისწარი. ანდერძი უნდა დამეწერა. ჩემი ზანდუკის კუთხე გაჩხრიკე, გასანთლულ ქაღალდში ფული მაქვს გახვეული, ჩემი ალალი შრომით, წვითა და დაგვით ნაგროვები ფული. ჩემი და დედაშენის სამარხად შევინახე. შევარცხვინე იმისთანა კაცი, ვინც ამ ქვეყანაზე ცოტა სიკეთე მაინც არ დატოვებს და თავის დამარხვის ხარჯსაც შვილს ან სოფელს აჰკიდებს კისერზე. ის ფული შუაზე გაყავი, ნახევარი დედაშენს შეუნახე.

კიდევ კარგი, გვანცა ბებია ამ დროს სამზადში ფუსფუსებდა, ბაბუას სიტყვები რომ მოესმინა, ტირილით მოკვდებოდა. ბებია როგორ გავამტყუნო, მეც კი მომერია ცრემლი და თვალები დავმალე. ნამგზავრ ძმებს სუფრა დედაჩემმა გაუშალა. ას წელს იცოცხლეო, ბერლებმა მამა ადღეგრძელეს და ღვინო გადაჰკრეს. ბაბუამ კი, თითქოს შვილების მოსვლას და ამ სადღეგრძელოს ელოდაო, ის დღე წვალებით დაალამა. მზის ჩასვლას ერთხელ კიდევ მოჰკრა თვალი და ნავახშმევს მოითავა თავისი წუთისოფელი.

დაღლილ სოფელს ძილი არ დაუფრთხესო, — ოჯახი ჩუმად ატირდა. ვიდრე ცოცხალი იყო, ბაბუასთან შეხვედრა ყველას სიამოვნებდა და ახლა მკვდარს სოფლის შემაწუხებლად რატომ გავხდიდით? ასე დაიბარა თვითონ: თუ ღამით დავლიო სული, დილამდე ნუ აკივლდებით, სოფელი შეწუხდებაო. ბაბუას სიკვდილი ხმამაღლა მაშინ შევიცხადეთ, ფანჯარაში შუქმა რომ შემოიხედა. ქალების კივილმა ერთად გააღვიძა დილა და სოფელი, თითქოს ეს დილა სიკვდილის ყივილმა გაათენაო. მე იმ დროს ეზოში ვაგდევ და შევნიშნე, იმ ყივილმაც დაიფრთხო ჩვენს ცახამბალზე შემომჯდარი ჩიტები. ერთბაშად იფრთქვნეს და გუნდად სადღაც შორს გაფრინდნენ. ისინი რაღამ შეაშინა?

ჩვენს უბანს სანახშო წისქვილის ახლოს აქვს. შუადღისას იქით გავიარე. სანახშოზე ბერიკაცებს მოეყარათ თავი. ფიცრის გრძელ სკამზე ისხდნენ და მხიარულად ბაასობდნენ. საასეთო რა გაიგეს-მეთქი, გამიკვირდა და ყური მივუგდე.

— ბიჭებო, თქვენ რას იტყვით, საწყალმა ნიკომ ცოტა ადრე ხომ არ დაგვიკრა თავი? — იკითხა ნესტორა მეწისქვილემ.

— რას იზამ, ზოგი ადრე კვდება, ზოგი — გვიან,— გაეპასუხა ბიქტორა, — თავის დროზე სიკვდილს კი არაფერი სჯობია. აბა, კირკოროზა რომ ჩიფჩიფებს, საუკუნეს გადავაბიჯეო, მაგის სიცოცხლეს კიდევ სიცოცხლე ჰქვია? კაცი თავის პირანგს ვეღარ ერევა,

ჯალაბსაც აწუხებს და თავსაც იჯახირებს. ნიკო სწორედ კარგ დროს მოკვდა, კარგ დროს, აცხონოს ღმერთმა!

— ახლა ვინ დგას რიგში: პორფილე, ლასიმე, ბიქტორა თუ ლადუა? — ნაღვლიანად გაიცინა იაგორამ, კბილებში ჩხირი ჰქონდა გაჩრილი, რაკი ყალიონს არ ეწეოდა, თავს იმ ჩხირით ირთობდა.

— სხვისკენ რას იყურები, გეტყობა, პირველი შენ გაჰყვები ნიკოს კვალს, — თუთუნის კვამლით შეყვითლებულ თეთრ ულვაშებში ჩაიღიმა ლადუამ.

იაგორამ ყავარჯენი გაშეშებულ ფეხთან შეათამაშა:

— შე კაი კაცო, მე ხომ მხედავ, კოჭლი ვარ, შენ გამასწრებ.

ყველამ გულიანად გაიცინა. თვითონ ლადუას ყალიონი ხელიდან გაუვარდა, ისე გადაფიჩინდა. ძირს დავარდნილი ყალიონი ლოდს ცერად მიეყუდა.

— ე, ბიჭო ლადუა, ვერ არის კარგად შენი საქმე, შეხედე! — ბიქტორამ ლადუას ცერად დამდგარი ყალიონი დაანახა.

— ა, ლადუამ უკვე დააყუდა ყალიონი! — წამოიძახა იაგორამ და პირიდან ჩხირი გამოიღო.

— ილიკო, შენ რავა ხარ, ცოლი საიქიოდან ჯერ არ გითვლის, მარტო ყოფნა მომეწყინაო? — ჰკითხა ნესტორამ ილიკოს, კისერზე მუშტისხელა მეჭეჭი რომ მოუჩანდა.

— კი მითვლის, მარა, ჯერ არ მცალია, შენი წისქვილის ქვები მაქვს მოსაკოდი, — ჩაიხვიხვინა ილიკომ; — მე დამმთმობი კაცი ვარ, წინ ბიქტორას გავუშვებ.

— მერე იქ შენს დედაკაცს არშიყობა რომ დავუწყო, არ გეშინია? — სიტყვა მოუჭრა ბიქტორამ.

— თუ შენ კიდევ მაგასაც შეიძლებ, ალალი იყოს! — გაიბადრა ილიკო, — აქ ჭირივით ეჯავრებოდი და იქ შეგიყვარებს?

— საიქიოში ყველაფერი შებრუნებით არის! — ექომაგება ბიქტორას იაგორა.

იცინიან და იცინიან, თითქოს ქორწილში წასასვლელად ემზადებიან და თავს ოხუნჯობით ირთობენო. ალბათ, ბევრი ყოფილან მოხუცები. იქნებ მართლაც არ არის სიკვდილი საშინელი? გამიგია, ზოგიერთი თავაშვებული ჭაბუკი სიკვდილს სულ არ უფრთხისო, მარა ახალგაზრდები მოხუცებივით სიკვდილს არასოდეს არ დასცინიან. რატომ? მოხუცისთვის სიკვდილი სხვაა და ჭაბუკისთვის — სხვა? იმ დღეს ბერიკაცების საუბარმა ძალიან ჩამაფიქრა. მოხუცები გუნებიერად ბაასობდნენ, წისქვილი კი თავის საქმეს აკეთებდა, ფქვავდა და ფქვავდა.

შინ კვლავ ტირილი და მოთქმა დამხვდა. ხალხი ეხვია ჭირისუფლებს.

ბაბუა ტახტზე იწვა, სუდარაგადაფარებული. გულმა არ მომითმინა, სუდარა გადავწიე და დავხედე. მკვდარ ბაბუას პირი ღია ჰქონდა, სიცოცხლეში კი არ იყო პირღია. ხალხმა გვიან ღამით მიგვატოვა და ქალებმა მოთქმატირილი მაშინვე შეწყვიტეს.

ოჯახში ისეთი დუმილი დასადგურდა, თითქოს სიჩუმის ანგელოზებმა ჩამოიარესო.

— რა ვქნათ, დედი, დურგალს რომელი ხის კუბო გავაკეთებინოთ? — დუმილი დაარღვიეს ფირანამ და მამამ.

ცრემლგამშრალმა ბებიამ მშვიდად მიუგო:

— ვითომ მიწისთვის სულ ერთი არ არის?

— მიწისთვის კი, მარა...

— ახლა ჩემთვისაც სულ ერთია, შვილებო, ოღონდ ერთს გეტყვით: სულნათელი მუხაკაცი იყო და მუხის კუბო უფრო დაშვენდება, სოფლის თვალს ეამება.

მეორე დღეს ბაბუა ბერიკაცებმა ბავშვივით თბილ წყალში გაბანეს და ახალ ჩოხა-ახალუხში გამოაწყვეს, წელზე ვერცხლის ქამარ-ხანჯალი შეაბეს. მერე კუბოში ჩააწვინეს აკვანში ჩასატევი კაცი. კელავ ატყდა მოთქმა და ვაიშველებელი.

მესამე დღეს ბაბუას კუბოს უამრავი ხალხი მიჰყვებოდა უკან. ჩუმად, ძალიან ჩუმად ვაკვირდებოდი ამ ხალხს და მე-

გონა: ყველას ჩემი საყვარელი ბაბუას დარდითა აქვს ჩაკიდებული თავი-მეთქი. ეს ამბავი გულის კუნჭულში მიხაროდა კიდეც. სასაფლაოს გალავანში რომ შევედით, ხალხი დამფრთხალივით გაიბნ-გამოიბნა, ყველამ თავისიანის ჯვარს მიაშვრა და მთელი სასაფლაო მოთქმა-ოდგებად იქცა. ცოტა გულიც მომივიდა: ამდენ ხალხს თავისი მკვდრების ტირილი ჩემმა ბაბუამ მოაგონა-მეთქი?

ვიღაც გაღმასოფლელმა გამოიარა და იკითხა:

— ძმობილო, ვის ტირიან?

პასუხი ლუკიამ გასცა:

— ყველა თავის თავსა და თავის მკვდარსა ტირის.

ბეკომ სხვანაირად ჩაილაპარაკა:

— არავის არ ტირიან, ცრემლს იძლევიან სესხად...

გაუკვირდა მეზობელს:

— ცრემლის გასესხება სად გაგონილა, დალოცვილო?!

— თუ არ გაგონილა, ახლა გაიგონე, — მიუგო დურგალმა, — სხვას რომ ვტირით, ცრემლს ვაგალებთ. იმედი გვაქვს: რომ მოვკვდებით, ამ ვალს მერე გადაგვიხდიან. კაცი თავის თავსა ჭირისუფლობს წინდაწინ, ჩვენ კი გვიჩვენება, ცრემლს სხვისათვის აბნევსო.

იმ მოთქმა-ზრიალში ამ პაექრობისა ბევრი ვერაფერი გავიგე, გულზე კი დამებეჭდა სამუდამოდ.

ნიკო ბაბუა იყო პირველი ჩემიანი, მზეგადასულთა სოფლამდე რომ მივაცილე. იმან ჩამწყვიტა პირველად გული, ამაცრემლა ჭეშმარიტი ცრემლითა და უცნაურადაც დამაფიქრა.

წინადღით მაგრა იწვიმა, მერე მზემ გამოიშუიტა, თუმცა აქამდე ქვეყნის მთლიანად გაშრობა მაინც ვერ მოასწრო. სასაფლაო აყალომიწინანი იყო და წადა-ქალამნებს ისე ეკვროდა, ხალხს ფეხის გადადგმა უჭირდა, თითქოს მკვდრები ცოცხლებს მიწიდან უნილავი ხელებით ებღაუჭებიან, თავის საუფლოში ჩათრევას უპირებენ, ოღონდ ბოლომდე ძალა არ ჰყოფნითო.

მთავარ ბილიკზე ხალხი ჯგროდ იდგა. მე რატომღაც ყველას დავაგიწყდი და ჩემთვის ვიდექი ცალკე. ძლივს მესმოდა ბებიაის ხავილი, მამაჩემისა და ბიძისა ქმეთინი, დედისა და ბიცოლას მოთქმა.

აქა-იქ სხვებიც სლუკუნებდნენ.

— კმარა! — დაიძახა ნესტორამ, — საფლავს ცრემლით ვერ ამოავსებთ, მიწის ჩაყრა უნდა!

ბაბუა მზეგადასულთა სოფელში დავტოვეთ და ჩვენ მზის შემყურე სოფელს დავუბრუნდით.

დაკვირვებული ვარ, დედაბერი რომ მოკვდება, მისი თანამეცხედრე მალე მიჰყვება საიქიოს, უქალოდ დიდხანს ვეღარ სძლებს. ხოლო თუ ბერიკაცმა დაასწრო სიკვდილი, მისი მეუღლე კიდევ დიდხანს დაფრატუნობს ცისქვეშ. გვანცა ბებიას ნიკო ბაბუა ისე უყვარდა, მეტი აღარ შეიძლება, მარა, საფლავში არ ჩაჰყოლია. სამუდამო სახლამდე რომ მიაცილა, იქ წელზე ხანჯალი შეხსნა და შინ წამოიღო.

— მამა, ეს რა ჩაიდინა ბებიამ? — ვკითხე მე, — ბაბუა უხანჯლოდ რატომ გაუშვა საიქიოს?

— ასე უნდა, შვილო. ჭირისუფალმა კუბოდან რამე უნდა ამოიღოს და შინ წამოიღოს. ამას ხელისქცევა ჰქვია. თუ ასე არ გაკეთე ჭირისუფალმა, მიცვალებული თავისი ოჯახიდან მალე წაიყვანს ვინმეს, მიხვდი?

წუთისოფლის ამდენმა გამოცანამ თავბრუ დამახვია. ბებია ვიდრე კუბოს ხედავდა, ბაბუას ჰპირდებოდა: მალე მოგივალ, მარტო არ დაგტოვებო. ქმარს გულზე მიწა რომ მიაყარა, მერე იმას ჩასძახოდა: მეც რომ ახლავე წამოგყვე, საკურთხს ვინ მოგიმზადებს და შენს საფლავს ჩემსავით ვინ მოუფლისო. ბებიას კიდევ უნდოდა სიცოცხლე და ეს სიცოცხლე რაიმეთი ხომ უნდა გაემართლებინა? თავს იტყუებდა და ბაბუასაც ატყუებდა: შენთვისღა ვცოცხლობო.

ბებიას ქმრის სიკვდილის მერე ნამეტანი მალე დააკლდა ყურს.

— ბებო, მამამ დამაბარა, სადილს

ვენახში ნუ გადმომიტანთ, მე თვითონ მოვალ შინაო, — ვეუბნები ხმამაღლა.

— რას ამბობ, თავქარიანო, რას? ბალმა გაგაშწარა? ახლა რა დროს ბალია?!

ვუმეორებ, მაინც არ ესმის.

— ეჰ, სულ გამოვყრუედი, ცოტა ხმამაღლა მითხარი, ყარამანა!

ვყვირი, რაც შემიძლია:

— მამამ დამაბარა, სადილს ვენახში ნუ გადმომიტანთ, შინ მოვალო!

— ჰოოო! ეგრე ვიზამ, ეგრე.

ღმერთმა ესეც არ აკმარა, თვალისჩინიც დაუკარგა. ხანდახან, როცა ცხობისას მე არ ვეხმარებოდი, ჭადის გუნდას კეცის მაგივრად ყვერფის ქვაზე აკრავდა. ეზოში რომ გაეიდოდა, მთელ დღეს სახლში შესასვლელ კარს ეძებდა. ხან ბოსელს მიადგებოდა, ხან სამზადს. ერთხელ საღორეშიც კი შევიდა. ზოგჯერ კუნძზე ჩამოჯდებოდა, ერთი ფეხის წვერს მეორე ფეხის ქუსლს გამოსდებდა და დილიდან საღამომდე ასე ერთობოდა: იხდიდა და იცვამდა ჩუსტებს.

ბოლოს ჩაწვა და იძახდა:

— ბეჩა, ბეჩა, ბეჩა! ჩემი კაცი საშოვარიდან ამდენ ხანს რატომ არ ბრუნდება? უნდა ავდგე და ვაშლები წავუღო, ძალიან უყვარს.

ბებიამ სული ისე დალია, მის ხელში ვაშლი სულ არ დამინახავს.

ეჰ, მიცცალებულის გაცოცხლება რომ ვინმეს შესძლებოდა, გვანცა ბებიას არასოდეს გავაჯავრებდი, ყველაფერს გავუგონებდი, ტკბილად მოვეფერებოდი, საკარცხულში ჩავსვამდი, ხელში ქარვის კრიალოსანს დავაჭერინებდი და ისე ვამყოფებდი, ღმერთმანი. ცივ ნიავს არ მივაკარებდი!

იმ დღეს გავიგე პირველად, რომ გვანცა ბებია მარტო ჩემი კი არა, მთელი სოფლის ბებია ყოფილა, პირველად მის მკლავებზე გაგორებულა ნახეკარი საკიბარა.

ეს კი, ცოტა არ იყოს, მეწყინა. აქამდე მარტო ჩემი ბებია მეგონა. იმ დღეებში სხვა რამეც გავიგე. ბებიას კუბო სახლიდან რომ გაჰქონდათ, მამა და ფირანა ბიძია უწყრებოდნენ, ეს აღარ მოიხედოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწყალი გვანცა ბებია რომ შრკვლა, თვალის ჩინი დაკარგული ჰქონდა. ჰოდა, გამიკვირდა, ამას რას უჩიოდნენ?!

დედას ვუთხარი:

— თუ უნდა, მოიხედოს ბებიამ, რა უშავს? მაინც ხომ ვერაფერს დაინახავს?

— კი, დაინახავს, შვილო, — მოიგო დედამ.

— ბრმა რომ არის?

— სიკვდილიც ბრმაა, მარა, ყველაფერს ხედავს.

— საიქიოს გზას რომ დაადგა, ახლა აეხილა თვალი?

— ჰო, შვილო. მკვდარს სხვანაირი თვალი აქვს, ყველაფერს ხედავს. ამიტომ არ გვინდა, რომ გვანცა ბებიამ უკან მოიხედოს: მკვდარი ვისაც მოჰკრავს თვალს, თან წაიყვანს მალე, გაიგე?

გავიგე და ვერც გავიგე, თავი კი დავაქნიე.

— დედ, მკვდარს იმიტომ უხუჭავენ თვალს? — ვკითხე მაშინვე.

— არა, ეგ თვალი აღარა თვალობს, ხომ გითხარი? მკვდარს თვალს იმიტომ უხუმავენ, მძინარეს რომ დაემგვანოს.

— ჰოო?!

ოჯახში რომ დედაბერი მოკვდება, თურმე იქიდან კატაც გადაიკარგება. ბებია რომ გავასვენეთ, მისი საყვარელი ფისუნია ტყეში გაუვიქცია და დაიკარგა.

ერთი კვირა რომ გავიდა, დედამ ლოგინი გამიშალა სწორედ იმ ტახტზე, ბებიამ სული რომ დალია. მერე ბუხრის ცეცხლი ნაცარში გაუხვია, ფიტონზე შემოდებული ჭრაქი ჩააქრო და თვითონაც დაწვა. შავი ფიქრები დამეხვივნენ და გამიტაცეს, თვალს რული ვერ მივაკარე.

შუაღამისას საჭიატო სარკმლიდან რაღაც შუქი შემოკიაფდა და ჰალატში აბორიალდა, თითქოს ბანჯგვლიანი რაღაცეები დაბობღავდნენ სახლის კედლებზე. მთელ ტანზე ჭიანქველები დამესივნენ. შეკყვირე შეშინებულმა. გაიღვიძა დედამ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მოგვიდა, შვილო?! ცუდი სიზმარი დაგესიზმრა?

ვერ გავამხილე. ნამდვილად რამაც შემაშინა, დავეთანხმე:

— ჰოო, რაღაც არეული სიზმარი ვნახე.

ადგა, წყალი მომირბენინა:

— ჰა, დედა გენაცვალოს, მოსცი სამჯერ!

— სამჯერ?

— ასე უნდა. ბევრს ნუ დალევ ერთბაშად.

წყალი სამჯერ გადავყლუპე და დოქი დედას მივაწოდე.

— საბანზე ხომ არ დაგეღვარა?

— არა.

დედამ მაჯაზე მომკიდა ხელი:

— რამ აგაცახცახა, შვილო? მგელი დაგესიზმრა თუ დათვი?

მე თვითონ არ ვიცოდი, რა მაშინებდა, ისე ვთქვი:

— დედი, კედლებზე რაღაცა დაბობღავს!

— ეგ, შვილო, შუქი შემოდის საჭიატოდან. ალბათ ღრუბლებში მთვარე ყვინთაობს და აქ მისი შუქი თამაშობს, სხვა კი არაფერია. დაიძინე, გენაცვალოს დედა, დაიძინე!

— დედი, შენთან დავწვები, რა!

— კი, შვილო, მაგის ჯავრი გაქვს? ა, მოგიწვები აგერ და დავიძინოთ...

— არა, ამ ტახტზე არა, იქ მინდა, შენთან!

— კაი, ეგრე იყოს, შენ შემოგევლე! — დედამ ხელი თავზე ალერსით გადამისვა და გამშორდა. — კაცო, გძინავს?

— ჰა, ჰა?! რა გინდა, ქალო?

— ყარამანა სიზმარს დაუფრთხება, ჩემთან დაწოლა უნდა, ადე, იმ ტახტზე გადაწექი!

— რა ხართ, რა, ასეთები? დედა! შვილი სიზმარ-ცხადში სულ შიშში უნდა იყოთ? — ჩაილაპარაკა ნამძინარევმა მამამ, ადგა და ჩემს ლოგინში ჩაწვა.

მე დედას ჩავეხუტე. იქ უკვე აღარაფრის შემშინებია. მაინც რა იყო ის შიში, ჰა? ვითომ მარტო შუქ-ჩრდილებს დავაბრალო? თითქოს სიკვდილი შემოგვეჩვიაო, ერთი თვის მერე დედულის ბებიაც დავიტირეთ. სულო ცოდვილო! სასაფლაოდან რომ გამოვბრუნდით, უცებ გავიფიქრე, რომ ამიერიდან საბძელში და სახლის სხვენზე ვაშლს აღარავინ შემინახავდა, სკივრში ჩალაგებულ ჩურჩხელებს წყვილ-წყვილად ვეღარავის მოვბარავდი და ცრემლი ხელახლა წამსკდა.

— ნუღარ სტირი, შვილო, არ ვარგა, შეიმშრალე თვალი! სასაფლაოდან ცრემლს ნუ შემოაბრუნებ შინ. — მომეფერა დედა და კურცხალი თვითონ მომწმინდა: — რას იზამ, შვილო, ასე ბრუნავს წუთისოფლის ბორბალი: ბებიები უნდა წავიდნენ და შვილიშვილები დარჩნენ.

ეეჰ! თურმე ზოგჯერ ცრემლიც მატყუარა ყოფილა. დედის სიტყვამ გულში შემარცხვინა. ჩემს ცრემლში ის ბებიას ვლოვასა და დიდ სიკეთეს ხედავდა, მე კი... ცხარე ცრემლით დავტიროდი ტკბილ ბავშვობას, ბებიებსა და ბაბუებს მოუსვლელ გზაზე რომ გაჰყვა.

— მშვიდობით, ჩემო ტკბილო ბავშვობავ, მშვიდობით!

აკაკი გეწაძე
ორი დღე

უიღიამ შექსპირი
ეროვნული ბიბლიოთეკა

შექსპირი

სონეტები

10

სჯობს აღიარე, რომ არ გიყვარს ქვეყნად არავინ,
თუ დასაღუპად საკუთარი თავიც გასწირე,
ბევრმა გაჩუქა სიყვარული დაუფარავი,
მაგრამ შენ თვითონ ტრფობა არვის გაუნაწილე.
დაგუფლებია ბოროტების გრძნობა საზარი,
ითქოს გახარებს საკუთარი სულის გოდება,
გინდა დალეწო სილამაზის წმინდა ტაძარი,
შენი მარჯვენით განახლებას რომ ელოდება.
ვონს მოდი დროზე! სიყვარული სამტრო რად არი?!
სიძულვილი თუ არ განდევნე, ცოდვას დაიდებ,
დე სულიც გქონდეს მაგ ლამაზი სახის სადარი,
და სხვა თუ არა, შენი თავი მაინც დაინდე.
ასე თუ წახველ, ჩვენს მომავალს რაღა დარჩება?
შვილი დასტოვე სილამაზის გადასარჩენად!

14

სამყაროს ბედი ვარსკვლავებით ვერ შევიცანი,
და მაინც ვფიქრობ, მეც ვარ ერთი ვარსკვლავთმრიცხველი,
თუმცა ვერ ვიტყვი, მზე ბგელის თუ კუბოს ფიცარი,
ჭირი გაჩნდება თუ დადგება გვალვა ფიცხელი.
ხვალის ამინდის გამომცნობიც ვეღარ გავხდები,
არ ვიცი, რისი დღე დადგება, წვიმის თუ სეტყვის,
არ ვიცი, როდის დამხობა მეფეთ ტახტები,
ვიცი, რომ ზეცა მომავალზე ვერაფერს მეტყვის.

მაგრამ მაგ თვალთა ვარსკვლავების კითხვა მინდება,
კიდეც ვისწავლე შიგ ფარული აზრის გარჩევა:
არ დაშორდება სილამაზე ჭეშმარიტებას,
სიკვდილის შემდეგ თუ სანაცვლოდ მოდგმა დაგრჩება.
თორემ იცოდე შენი გრძელი დღე დამოკლდება,
ჭეშმარიტებაც სილამაზის გვერდით მოკვდება.

15

როდესაც ვფიქრობ, ხანმოკლეა სრულყოფილება,
დრო რასაც შექმნის, თვითონ დროვე გააჩანაგებს,
ვინც კი ცხოვრების გამოფენას მოევლინება,
იმის ბედ-იღბალს ვარსკვლავების ძალა განაგებს.
როდესაც ვფიქრობ, რომ ცა გვივლის, როგორც მცენარეს,
მესაფლავედაც ჩვენ იგივე ცა გვეგულება,
და სიჭაბუკით სავსე დღეებს, მოუსვენარებს,
ბოლოს ზამთრით და დავიწყებით შეცვლის ბუნება.
შენს ბედზე ვწუხვარ, რადგან ვხედავ ჟამი აფთრდება,
სურს სიმაწვილის საგანძური დაგიზიანოს,
დრო მუხანათი სადმე ღამით ჩაგისაფრდება,
რომ შენი ყრმობის გარიჟრაჟმა ვერ იმზიანოს.
და რადგან ვიცი შენს სიბერეს ვერ გადავიტან,
მე ჩემი ლექსით სიჭაბუკეს გამყნობ თავიდან.

16

რადგან ვერ უძლეს ამ მუხანათ დროჟამთან ჭიდილს,
რადგან მშვენებას ემუქრება საფრთხე მარადჟამს,
სხვა იარაღით უნდა დაცვა უსუსურ ჩითილს,
თორემ ეს ლექსი არ ივარგებს ნამდვილ დარაჯად.
როცა ცხოვრების მწვერვალზე ხარ ახლა ასული,
მხატვრის ნახატმა ვერ ასახოს შენი მსგავსება,
ნერგს გაგიხარებს სიხარულით ყველა ასული
და ქვეყნად შექმნის შენს სანაცვლო ცოცხალ არსებას.
შენი სიცოცხლე თუ დაიცვა შენმა მოდგმამ,
მაშინ ეგ სახე სრულყოფილი ძეგლად დარჩება,
დროის ფუნჯი და ჩემი ლექსი არ გამოდგება
შენი სიცოცხლე თუ დაიცვა შენმა მოდგმამ,
სხვა თუ შექმენი, ის გახდება შენი სახატე,
სხვამ რატომ გხატოს, შენი სახე თვითონ დახატე.

19

დროვ ულმობელო, ისევ მიწას დაახვრევინე
მისგან შობილთა მომავალი და სიჭაბუკე,
ლომი დაკოდე, ვეფხვს კბილები დაათხრევინე,
ფენიქსის გულიც მის საკუთარ სისხლში დაბუგე.
ატირე ზეცა, მზე აცინე ათასფერება,
ნება გაქვს მთელი დედამიწა ააქვითინო,
რაც გინდა უყავ წუთისოფლის ბედნიერებას,
ოღონდაც ერთი მძიმე ცოდვა არ ჩაიდინო:
მაგ ბებერ კალმით არ დახაზო სატრფოს მშვენება,

მის სილამაზეს ააცდინე ცელი ბუნების,
მას ნუ დააჭკნობს აწყვეტილი შენი ჭენება,
მომავალს დარჩეს ვით ნიმუში დიდებულების.
მაგრამ თუ გინდა, შენი ცელით ყველა გათიბე,
ეს ჩემი ლექსი გადაარჩენს მის სინატიფეს.

24

მხატვრებად იქცნენ ეს თვალები, გნახეს ასული,
და მკერდში ფუნჯით ჩამახატეს შენი სურათი,
ჩემი სხეულის ჩარჩოში ხარ ახლა ჩასმული
და შიგ დარჩები თვით სიცოცხლის დასასრულამდი.
მხატვარს შემხედე, მე ვარ შენი გამომკვეთელი,
დღეს ჩემი მკერდის სახელოსნოს ეგ სახე შვენის,
გულში დავუთმე შენს სახებას მთელი კედელი
და მკერდს სარკმლებად დავუყოლე თვალები შენი,
ჩვენი თვალები ერთმანეთის ვალში არ რჩება?
ჩემმა თვალებმა შენ დაგხატეს ათასფერებად,
შენი თვალები გამომადგა მკერდის ფანჯრებად,
შიგ მზეც შემოდის შენი სახის მოსაფერებლად.
თვალებმა მაინც სამსახური ვერ გამიწია,
სახეს ხატავენ, გულისა კი არა იციან.

25

ვინაც ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული,
დე ახარებდეს დიდკაცობის დიდი წოდება,
თუმც არაფერი ქვეყნად არ მაქვს საბადებელი,
მე სიხარულში მაინც ვერვინ გამიტოლდება
ტახტის მონა და მოყვარული ლხენით ინთება,
თუ მოახერხა მეფის გულში დასადგურება,
მაგრამ ასევე მალე კვდება მისი დიდება,
ერთი მრისხანე გამოხედვით განადგურდება.
გამარჯვებებით ცნობილია მხედართმთავარი,
მაგრამ თუ ერთხელ შეემთხვევა ბრძოლის წაგება,
არავის ახსოვს მისი დაშნის ძველი ჯავარი,
მის გაღმერთებას წამსვე შეცვლის მისი ძაგება.
მე კი წოდებას ვინ წამართმევს კუბოს კარამდის,
მიჯნური მყავს და მიჯნური ვარ აწ და მარადის.

36

დროა გავიყოთ, ჩვენი გზებით ცალკე ვიაროთ,
ფიქრით კი გულში სამუდამოდ ჩაგისახლდები,
ჩემი ცოდვები აღარ მინდა გაგიზიარო,
ჩემი სირცხვილის მონაწილე აღარ გახდები.
ერთი გრძნობა გვაქვს ჩვენ ორივეს ნასათუთები,
მაგრამ ორივეს საკუთარი დაგვაქვს ვარამიც,
ჩვენ იგივე ვართ, მაგრამ ტრფობის წმინდა წუთები
ჟამთა სიავეს არ დარჩება მოუპარავი.
დღეიდან შენი შეხვედრისას ვეღარ ვილაღებ,

ვეღარ გავბედავ შენთვის ხელის გამოწოდებას,
შენც უცნობივით ჩამიარე, თუ დამინახე,
სახელი რომ არ შეგიბღალოს ჩემმა ცოდვებმა.
ეს მსხვერპლი იყოს ჩემი გრძნობის გამომსახველი,
შენც ჩემი ხარ და ჩემი არის შენი სახელიც.

39

შენი ღირსების ქებათ-ქება გამიჭირდება,
რადგანაც ჩემი ნაწილი ხარ განუყოფელი,
რაში მჭირდება საკუთარი სულის დიდება,
თავი რად ვიქო მთელი ჩემი წუთისოფელი.
ამიტომ მინდა გავიყაროთ, გავხდეთ უბრები,
მინდა შორიდან დავინახო შენი მშვენება,
შენს ღირსებაზე მთელს ქვეყანას ვესაუბრები,
შენი სიშორე შენს ქებაში შემეშველება.
ამ განშორებით გულმოკლული მე არ ვიქნები,
ეს სიმარტოვე სატანჯველად მე არ მექცევა,
მე უშენობას შემივსებენ შენზე ფიქრები,
ვიცი შევიძლებ ოცნებებით თავის შექცევას.
განშორებისთვის საყვედური მაინც არ მითხრა,
მე უკეთ ვუმღერ შენს მშვენებას, რადგან გაღმით ხარ.

44

ერთხელ ფიქრად რომ გადაიქცეს ჩემი სხეული,
ჩემთვის მანძილი არ იქნება ყველა ტრამალი,
ვერ მომქანცავენ გზები გზებზე გადახვეული
და უცხო მხარეს უმალ შენთან მოვალ ფრთამალი.
ფიქრი რომ ვიყო, სულ ერთია სადაც ვიქნები,
თუ გინდა შენს თავს მაშორებდნენ მთა და მინდვრები,
ზღვასა და ხმელეთს არ უფრთხიან ლაღი ფიქრები,
გაფიქრება და — სადაც გინდა გადაფრინდები.
ერთი ფიქრი მკლავს — ვიცი, ფიქრს ვერ დავემსგავსები,
შორით წასულო, ფრთები შენთან ვეღარ გამაჩენს,
წყლისა და მიწის ნაერთი ვარ ჩემი არსებით
და მოვალე ვარ დავმორჩილდე დროის განაჩენს.
რადგან მიწა ვარ, ცად ვერ ავალ სევდით დაღლილი,
რადგან წყალი ვარ, წყლად დავრჩები ცრემლად დაღვრილი.

46

ჩემს გულს და თვალებს ერთმანეთში დიდი ომი აქვთ,
მეტოქეებმა ვერ შეიძლეს შენი გაყოფა,
ჩემმა თვალებმა რომ გიმზირონ — გულს არ სდომია,
გულს კი თვალები უკრძალავენ შენთან ლაღობას.
გულმა ისურვა შენი სრული დასაკუთრება,
რამეთუ გულის ცხრაკლიტულში ხარ ჩაკეტილი,
თვალნი თავს თვლიან მაგ მ'ფენების ნავსაყუდრებად,
რადგან თვალებში ჩანს ეგ სახე გამოკვეთილი.
ამ სამსჯავროზე მოსამართლედ დადგა გონება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მოდავენი უკვე დავით აღარ სცოდავენ,
შენი მშვენება განაწილდა როგორც ქონება
და მესაკუთრედ აღიარეს ორივ მოდავე:
ჩემს თვალებს ერგო ეგ თვალები მარად მნათები,
გულს საკუთრებად დარჩა შენი გულისნადები.

47

ჩემს გულს და თვალებს ერთმანეთში აღარ აქვთ მტრობა,
დამეგობრდნენ და ძველი შუღლი არ აგონდებათ,
ხან თვალებს უნდათ მაგ უბრალო მშვენებით თრობა,
ხან გული იწყებს უშენობით ოხვრა-გოდებას,
და თუკი თვალებს წარმოუდგა შენი ხატება,
გულიც ესწრება ამ სანატრელ წუთებს მზიანებს,
თუ სიყვარულით თვითონ გული გეღაღადება,
ამ ნეტარებას გული თვალებს გაუზიარებს.
ხან თვალით გიმზერ, ხან კი გულით: რატომ გეძიო,
გინდ შორს წახვიდე, მაინც ჩემთან რჩები მარადჟამს;
საით გამასწრებ, რომ ფიქრებით ვერ დაგეწიო,
ჩემი ფიქრი ხომ განუყრელად გიდგა დარაჯად.
როცა ვიძინებ, შენი სახე თვალთ მეხატება,
გულსაც აღვიძებს ღამით შენი გამოცხადება.

48

რადგან შორს მივალ, საგანძურის მალვას ვუნდები,
მშვიდად ვიქნები, როცა განძი სკივრში იდება,
მიყვარს, როდესაც მოგზაური სახლში ვბრუნდები
და ხელუხლებლად მხვდება ჩემი ავლადიდება.
მაგრამ, ძვირფასო, როგორ შევძლო შენი შენახვა?!
თუმც მირჩევნიხარ უძვირფასეს თვალმარგალიტებს,
ჩემი ლხენა ხარ, ჩემი დარდიც ახლა შენა ხარ,
გტოვებ და ვიცი, ავაზაკებს ვერ აგარიდებ.
შენს დასამალად თავშესაფარს დიდხანს ვეძებდი,
მკერდში დაგმალე, სანდო სკივრად სხვა რა ვინატრო,
შიგ ხან ნებივრობ, ხან წახვალ და გადიხვეწები,
ან იქნებ ვცდები და ჩემს გულში არც კი ბინადრობ.
მოგიპარავენ! მე ხომ ვიცი ქვეყნად რა ხდება,
შენ თუ გიხილა, ანგელოსიც ქურდი გახდება.

53

ნეტავ ვიცოდე, რისგანა ხარ ნაქანდაკარი,
ძეხორციელს ხომ მხოლოდ ერთი ჩრდილი დაყვება?
არავის ახსოვს საოცრება ალბათ ამგვარი —
შენ რომ უთვალავ ჩრდილად დაგდევს შენი სახება.
შენი მნახველის მზერას აღარ ელამუნება
დღეს ადონისის წმინდა სახე მხატვრის ნათალი,
თითქოს ელენეს დააფრქვია მადლი ბუნებამ,
მაგრამ შენა ხარ ელინური მისი ბადალი.
გაზაფხულზე რომ ვერ შორდება თვალი განთიადს,

შემოდგომაზე რომ გვიტაცებს უხვი ბარაქა,
ეს ყველაფერი შენი სახის მკრთალი ლანდია,
თვითონ მშვენებაც შენს სიტურფეს მაინც არა ჰგავს.
შენს გარეგნობას მოსახელე ბევრი ჰყოლია,
შენი გული კი ჯერ არავის გამოჰყოლია.

58

მაღალმა ღმერთმა მე შენს მონად რადგან მაქცია,
დე დამიფაროს, შევამოწმო შენი ცხოვრება,
მუდამ მორჩილად მოგიწონებ ყველა საქციელს,
მე რომ მონა ვარ, ეს ყოველთვის მემახსოვრება.
ნება მომეცი, ავიტანო ტანჯვა წყეული,
მე სიმარტოვე მომისაჯა ალბათ ბუნებამ,
დაგელოდები, მოთმინებას შენგან ჩვეული,
და არასოდეს არ გავბედავ შენს გამტყუნებას.
მე არასოდეს მომინდება შენი დაძრახვა,
ვისთანაც გინდა იქ ატარე ჟამი ნეტარი,
შენ უფლება გაქვს აისრულო ყველა განზრახვა
და აპატიო თავს შენივე ნამოქმედარი.
ჩემი ხვედრია ეს ლოდინი ჯოჯოხეთური,
არ უნდა დამცდეს სამდურავი და საყვედური.

59

თუ არაფერი არ იქმნება ქვეყნად ახალი,
და თუკი ზეცაც არ შეცვლილა დასაბამიდან,
მაშინ სიახლეს რად დაეძებს ფიქრი მაღალი,
ერთხელ შობილი რატომ ვშობოთ ისევ თავიდან.
მივბრუნდეთ უკან, გავიაროთ წლები წარსული,
ხუთას მზის ჩასვლას გადავევლოთ ოცნებით თავზე,
ვიპოვოთ წიგნი სიძველისგან ფერგადასული:
იქნებ იქ ვნახოთ შენი სახე მშვენებით სავსე.
მაშინ მომითხრობს დამტვერილი წიგნის ფურცელი,
ვით ადიდებდნენ სილამაზის გასხივოსნებას,
ჩვენი სამყარო ძველებურად დარჩა უცვლელი,
თუ გავასწარით წინაპრების ფიქრს და ოცნებას.
მჯერა, სიტურფეს ბევრი ჰყავდა წინათ გამგები,
მაგრამ ნაკლები სილამაზე იყო ნაქები.

64

როდესაც ვხედავ, დროის ხელმა როგორ დადაღა
გარდასულ წელთა საამყო დიდებულება,
ციხე-კოშკებსაც აკამტვერებს ჟამი ხანდახან,
უკვდავ ბრინჯაოს მრისხანებით ამსხვრევს ბუნება.
ვხედავ, მშიერმა ოკეანემ მიწა დაფარა,
და ტალღებს ვხედავ სამეფოთა თავზე გადავლილს,
ვხედავ, ხმელეთი სტიქიონებს ართმევს ნაპარავს
და ძარცვა-გლეჯით დაგროვილა ქვეყნად ნადავლი.
როდესაც ვხედავ, ქვეყნებს ანგრევს დროის ურჩხული,

ვხედავ უმძლავრეს სახელმწიფოს დაშლა-დაცემას,
მაშინ მომესმის ნანგრევების ჩუმი ჩურჩული:
მოვა სიკვდილი ჩემი სატრფოს გასატაცებლად.
მეც სიკვდილივით მაშინებენ შენზე ფიქრები,
და სული გოდებს, რომ ოდესმე აღარ იქნები.

67

შენ რატომ უნდა არსებობდე ამ ბინძურ დროში?
რომ შეძლო ყველა სიმახინჯის გაბათილება,
ქვეყნის ცოდვები რომ დაფარო მშვენების დროშით,
ცამ შენი შექმნა ამისათვის ალბათ ინება.
ყალბი ყალამით რატომ ვხატოთ შენი მშვენება,
მკვდარ ხელოვნებას რა ხელი აქვს ცოცხალ ფერებთან,
ხელოვნურ ვარდებს არ სჭირდება დღეს გაშენება,
არ დაგტყობია ნამდვილ ყვავილს ჯერ დაჭერება.
ვიცი, რატომაც გაგაჩინა ქვეყნად ზეცამან,
რომ იცაოგონ კვლავ ფერებმა წარხოცილებმა,
რომ შენ შემყურე წუთისოფელს ისევ ეწამა
უკვე გარდასულ ხელოვნების აღორძინება.
ახლა შენა ხარ გაძარცული ქვეყნის ქონება,
დიდებით სავსე გუშინდელი დღის მოგონება.

72

რომ არ მოგიხდეს ქვეყანაზე თავის მართლება:
რატომ გიყვარდი, ტრფობის ღირსი ჩემში რა იყო,
შენ ნუ მიგლოვებ, დამიტირონ კუბოს სანთლებმა,
შენი ჩემდამი სიყვარული მიწამ წაიღოს.
რადგან ღირსებებს მოკლებულა ჩემი არსება,
ჩემს ქებას მხოლოდ ტყუილით თუ გაიადგილებ,
მხოლოდ სიცრუე თუ შეიძლებს ჩემს დაფასებას,
თორემ სიმართლე ძუნწად ეტყვის ხალხს სინამდვილეს.
და თუ იფიქრებ, რომ ტყუილით სიყვარულს იცავ,
სიმართლეს აღარ გათქმევინებს შენი ნაღველი,
სხეულთან ერთად ჩემზე ხსოვნაც მიეცი მიწას,
რომ ასე ურცხვად არ შებღალოს შენი სახელი.
არარა ვიყავ და გამკიცხავს ყველა თაობა,
შენც გაგკიცხავენ, რომ გიყვარდა არარაობა.

74

როცა სიკვდილის ცივი სხივი შემომაშუქებს,
ვიცი, ვერავინ ვერ შეიძლებს გამოსარჩლებას,
მაგრამ წასვლამდე ჩემს სიცოცხლეს ლექსებს ვაჩუქებ,
და ეს სტრიქონი უკვდავების ძეგლად დარჩება.
ვიცი, ამ ფურცლებს ვერ დაფარავს ჟამის სუდარა,
რადგან შენია ჩემი ლექსი — ჩემი ქონება,
მიწად ვიქცევი, მიწას მეტი არა უნდარა,
სხეული მიაქვს, სულს გიტოვებს ჩემს მოგონებად.
შენთვის იცოცხლებს ეს სტრიქონი ათასფერება,

☆ ეროვნული ბიბლიოთეკა
☆ ✿ ✿ ✿

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათხოვარია ჩემთვის მეფეც თავის განძებით,
მწყევრით გართული მონადირეც შემეცოდება
და ბედნიერი შენი ტრფობით დავიქანცები.
მაგრამ მახვილი შეგიძლია არ ამარიდო,
გრძნობა წამართვა და ერთ წამში გამაღარიბო.

93

სამარადისოდ დავიჯერებ შენს ერთგულებას,
მოტყუებულმა ქმრებმაც სწორედ ასე იციან,
მაგ უნდო გულში ტრფიალება კვლავ მ[illegible]ულება,
თუმცა-ღა ვიცი, გული სხვისთვის გადაგიცია.
ზოგი თვალები ორგულობის ამბავს ყვებიან,
მოღალატენი ვერასოდეს თავს ვერ იჭერენ,
შენს გამოხედვას სიძულვილი არ შეხებია,
მეც შენს სიყვარულს ძველებურად მიტომ ვიჯერებ.
შენი შექმნისას ზეცამ ალბათ ასე ინება:
შენს გულის ნადებს სიყვარული ფარავდეს ნიღბად,
ფიქრთა სიშავე მოსპოს თვალთა გამობრწყინებამ,
თეთრად მოჩანდეს გულიც შავი თვალების მიღმა.
აღარაფერი ამ სიცრუეს არ ეშველება,
ევას ვაშლივით მაცდურია შენი მშვენება.

103

დადუმებულა ჩემი მუზა ოდეს მღელვარე,
შენს სადიდებლად სიტყვა არ აქვს ამოსარჩევი,
რადგან შიშველიც შენი სული ისე ელვარებს,
რომ სამოსელად არ სჭირდება ლექსის ფარჩები.
არ გამამტყუნო, თუკი ხოტბით აღარ გაწუხებ,
სარკეს ჩახედე და მიხვდები მაშინ რაცა ხარ,
შენი მშვენება შთაგონებას ადებს მარწუხებს,
ჩლუნგი ლექსი კი რომ შეგბედო, ყველა დამძრახავს.
სწორედ ამიტომ ვმუნჯდები და ვთავაზიანობ,
რა მოვიგონო უბადრუკმა შენი საქებ?!
როგორ შევცოდო, ლექსით როგორ დავაზიანო
ეგ შენი სახე ღვთაებრივად ნაქანდაკები?
ლექსმა ვერ გიქოს ეგ ნაკვთები წარუშლელები,
შენს სარკეშია ჭეშმარიტი ხოტბა მშვენების.

109

გემუდარები, ორგულობა არ დამაბრალო,
არ დაიჯერო, განშორებამ გრძნობა გასრისა,
არ დაივიწყო, რომ ოდესღაც გული საბრალო
შენივე მკერდში შევინახე შენგან წასვლისას.
შენი მკერდია ჩემი გრძნობის თავშესაფარი,
შინ დაბრუნება იცის თურმე ჩემისთანამაც,
შენზე ოცნებით მოვიარე ქვეყნად მთა-ბარი,
მაგრამ ცოდვების განსაბანი წყალიც თანა მაქვს.
არ დაგიმალავ, მეც სხვებივით ლხენას დავეძებ,

და ახლაც შენთან უცოდველი როდი მოვედი,
მაგრამ არასდროს დაიჯერო — ისე დავეცი,
გადავიწყვიტო შენი სულის სვეტი ცხოველი.
შენს უკეთესი რა შემეძლო ქვეყნად მენახა,
ამ უნაპირო სამყაროში მხოლოდ შენა ხარ.

112

სიკეთით სავსე შენი ტრფობა მალამოდ მექცა,
მოშუშდა სული დაშანთული ცილისწამებით,
საჩრდილობელი შენი ფრთის ქვეშ მარგუნა ზეცამ,
რაც უნდათ ის თქვან, აღარაფრით არ ვეწამები,
ჩემი ცხოვრების მოსამართლე მხოლოდ შენა ხარ,
მე შენი სიტყვით ან ვიხარებ, ანდა ვიწვალებ,
სხვა კი ვერავინ გრძნობის აბჯარს ვეღარ შელახავს,
სხვები მოკვდნენ და მეც ყველასთვის გარდავიცვალე.
უკვე არც ძალმიძს აღარავის აზრის გაგება,
ისე დავიხშე ყველასათვის სმენა გველური,
გულს აღარ ხვდება აღარც ქება, აღარც ძაგება,
ყურს აღარ ესმის წუთისოფლის ხმები ველური.
ასე მგონია, საუკუნოდ ბედმა შეგვყარა.
სამყარო გაწყდა და მე და შენ შევრჩით ქვეყანას.

113

რაც შენ დაგტოვე, მე გონებით ვეჭვრეტ ამ ქვეყანას,
თვალებს კი ბინდი გადაჰკვრიათ ოხერ-ტიალებს,
შენი დაკარგვით უბედობა შემომეყარა
ცხოვრების გზაზე უსინათლოდ მოხეტიალეს.
ფრინველებისაკენ ჩემი გული აღარ ისწრაფვის,
მას აღარ სწვდება ყვავილებით სავსე ბუნება,
გონების თვალი დანავარდობს ელვის სისწრაფით,
მაგრამ არ ძალუძს დანახულის შენარჩუნება.
ყვავი თუ მტრედი, დღე თუ ღამე, ზღვა თუ ნაძვები,
უსინათლობას ერთ არსებად შეუკონია,
და ყველაფერში მეჩვენება შენი ღაწვები
და რასაც ვხედავ, მხოლოდ შენი სახე მგონია.
სავსე ვარ შენით დ.ეს არის დიდი ქონება,
ასე მატყუებს გულმართალი ჩემი გონება.

117

სთქვი, რომ ძუნწი ვარ სიყვარულში შენი მსახური,
ვერ დავაფასე, შენი გრძნობა რასაც მავალებს,
თუმცა ტრფიალი მე გულში მაქვს შემონახული,
მიტოვებული დამრჩა შენი ჩუმი სავანე.
სხვებთან ვლაღობ და სხვა მხარეში რას არ ვედები,
შენი მიჯნური სხვა გრძნობისაკენ მივექანები,
შენგან წასული აღმა-დაღმა დავეხეტები
და ქარებს ვანდე ჩემი სულის იალქანები.
აღვირახსნილი ჩემი გული მინდა დალახვრო,

ჩემი ცოდვები შეაჩვენო, ჩემო იმედო,
წარბი შეჰკარი, ოღონდ ზიზღი არ დამანახო,
სიძულვილისთვის არასოდეს არ გამიმეტო.
    გახსოვდეს გრძნობამ მაიძულა გზიდან აცდენა
    და გდალატობდი შენი გრძნობის გამოსაცდელად.

126

ჩემო ბიჭუნავ, ჯერ შენი გზა კიდევ ვრცელია,
მაგრამ საათი რომ გიჭირავს, ყველას ცელია.
დროს წესადა აქვს ჩვენი ჭკნობით შენი გაფურჩქნა,
დრო ერთდროულად გვახარებს და გვიგდებს აბუჩად.
დრო სპობს ყველაფერს, მაგრამ ახლა ცდილობს ბუნება
შენი განვლილი დროის უკან შემობრუნებას,
ბუნებას უნდა თავის კვალი დროს დაიჩინოს,
წინ აღუდგეს და დაბერებას გადაგარჩინოს.
თუმცა სიკეთის მეტი მისგან არა გინახავს,
მაინც უფრთხილდი, სამუდამოდ ვერ შეგინახავს.
დაგვიანებით, მაგრამ მოვა, როგორც სახადი,
და გადუხდელი არ დავრჩება გადასახადი.

131

ასე მზაკვრები ნეტავ რად ხართ ლამაზმანები,
მშვენიერებამ ასე რატომ გაგაგულისად,
მტანჯავ, რადგანაც იცი, მუდამ შენ მეზმანები,
რადგანაც შენ ხარ საგანძური ჩემი გულისა.
თუმც ბევრი ფიქრობს, არ გეკუთვნის ტრფობა ამხელა,
შენი აუგი ხშირად მესმის, ხალხში როცა ვარ,
სხვებთან ვერ ვბედავ შესიტყვებით გრძნობის გამხელას,
გულში კი მხოლოდ შენი ხატი მაქვს სალოცავად.
შენდამი ტრფობას მე ტყუილად როდი ვანაზებ.
ტყუილად როდი მესიზმრება თმა გიშრიანი,
ვიცი, ერთია ნეტარება ამ ქვეყანაზე:
შავგვრემან ქალის შავი თმების შმაგი შრიალი.
    თმების სიშავით ნეტავ ვის რა დაშავებია,
    მაგრამ ვაგლახ, რომ თმებთან გულიც გაგშავებია.

133

წყეულიმც იყოს ამა ქვეყნად შენი გაჩენა,
გულიც მომიკვდა, ამერია შენთან გონებაც,
მაგრამ ტრფიალმა მარტო მე კი არ შემაჩვენა,
ჩემი ძვირფასი მეგობარიც შენ გემონება.
საკუთარ თავთან ვერ ვპოულობ უკვე მსგავსებას,
ჩემს მეგობარსაც გული შენით გასწყმებია,
ისიც დავკარგე; შენც დაგკარგე, ჩემი არსებაც,
სამჯერ დავობდი, კაეშანიც გამსამებია.
გულში ჩამკეტე, ტყვე ვიქნები შენი მარადჟამს,
ოღონდ მეგობარს დავუდგები შენთან თავდებად,
თუ სამუდამოდ დამაყენებ მასთან დარაჯად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი წამება მხოლოდ მაშინ თუ გათავდება.
თუმცა რასა გთხოვ, შენმა გულმა დამაპატიმრა
და აღარასდროს გამომილეკ ალბათ სატირალს.

146

სულო საბრალოვ, ცოდვილ სხეულს როგორ გაგყარო,
ავხორცულ ძალებს შემოსეულს ვერ გადარეკავ?!
დანაცრებულა შინაგანი შენი სამყარო,
შენ კი ამკობ და ალამაზებ კედლებს გარეგანს.
ხხეული შენთვის დროებითი საცხოვრისია.
ნუ გენაღვლება, თუ დარჩება დაუდაფნავი,
სხეული არ ღირს ამდენ მოვლად, რადგან სხვისია,
მხოლოდ ჭიებს თუ გაალაღებს შენი საფლავი.
გალაღდი, სულო, ღვთაებრივი სხივით იდიდე,
და მიწიერი დაიმონე შენი დიდებით,
შენი იქნება წუთისოფლის მთელი სიმდიდრე,
თუკი გარეგან სამკაულს არ გაეკიდები.
სამარადისო ძალა აღარ შემოგაკლდება
და თვით სიკვდილიც მაშინ ხელში შემოგაკვდება.

ინგლისურიდან თარგმნა რევაზ თაბუკაშვილმა





რუსლანი და ლუდმილა

პოემა

პირველი სიმღერა

ღვის პირას მწვანე მუხა შრიალებს.
მას ოქროს ჯაჭვი კიდია მკერდზე.
და ბრძენი კატა, კატა ჭკვიანი,
იმ ჯაჭვზე თითქოს რაღაცას ეძებს.
ხან მშვიდად მღერის, ხან თვალებს ნაბავს
და ყვება რამე უცნაურ ამბავს.

სასწაულები ხდება იმ ტყეში:
ბუჩქებში ელავს ეშმაკის ეშვი.
ტოტებზე ზის და იცინის ალი
და არნახული მხეცების კვალი
უცნობ ბილიკებს აზის დაღვივით.
ქარი კი მწარედ კვნესის დაღლილი
და იქვე ქოხი დგას, მარტოსული,
ოჩოფეხებით ტყეში მოსული
და იმ წყვდიადში ძლივს გადარჩენილს
არც კარები აქვს და არც ფანჯრები.
გარინდულ ქვებზე შიშინებს ქაფი
და აწყდებიან უკაცურ ნაპირს
განთიადისას თეთრი ტალღები.
და ოცდაათი რაინდი მშვიდად

აბჯარასხმული ამოდის წყლიდან
ზღვაში შეძენილ ბიძის თანხლებით.
იქ უფლისწული, გზად მიმავალი,
ატყვევებს მეფეს მთელი ამალით.
ხოლო გრძნეული, ქარზე ფრთამალი,
ტყეების ზემოთ გარინდულ ცაზე
მიაფრენს დევგმირს, წუხილით სავსეს.
სიმარტოვეში სწუხს დედოფალიც
და რუხი მგელი, ვით მეგობარი,
ემსახურება, დაუზარელი.
და კუდიანის მძიმე როდინი
კლდიდან მოგლეჯილ შავი ლოდივით,
ისევ რაღაცას ბოდავს წვალებით.
ხოლო კაშეი, წყვდიადის მეფე,
სიზმარში ხედავს კვლავ ოქროს შხეფებს,
გულში იხუტებს ოქროს ფიალებს...
იქაც რუსული სული ტრიალებს.
მეც მიგემია იმ კუთხის ქარი,
მუხაც მინახავს ზღვის პირას მდგარი,
დამილევია წყალიც და თაფლიც
და იმ ბრძენ კატას უთვალავ ზღაპრით
მეც გავურთიავარ. თუმცაღა ერთი
დამამახსოვრდა, მკითხველო, შენთვის.

ოურმე ძალიან დიდი ხნის წინათ
დიდი თავადი მზე-ვლადიმირი
იხდიდა ქორწილს და იჯდა ლხინად
გაბრწყინვებული მზით და ღიმილით.
ის ათხოვებდა უმცროს ქალიშვილს
თავად რუსლანზე და თან ხალისით
გზას ულოცავდა ნეფე-დედოფალს,
ამწყალობებდა ასულს დედობას.
ხოლო წინაპრებს სმაცა და ჭამაც
დინჯი უყვარდათ და ვერცხლის თასებს
ცვლიდნენ ვეება თიხის ჯამები, —
ქაფქაფა ლუდით თუ ღვინით სავსე.
ლხინი კი დუღდა და მთელი ღამე
იტვირთებოდა ხორაგით ტაბლა,
მსახური უხმოდ ავსებდა ჯამებს
და თავს უკრავდა მაგიდას მდაბლად.

გამხიარულდა თანდათან ლხინი.
თანდათან ყველას გაეხსნა ენა.
უცებ სიმღერა გაისმა ტკბილი,
და მომღერლისკენ მობრუნდა ყველა.
ხმა კი ირხევა მწვანე რტოსავით
და ბაიანი, ტკბილი მგოსანი,
ნეფე-დედოფალს აქებს და ლოცავს,
ეარდი ამოსდის ყელიდან მგოსანს.

ხოლო რუსლანი ცახცახებს ვნებით,
ვერ ილხენს, როგორც ილხენენ სხვები.
ნაზი მეგობრის სურვილით იწვის,
ოხრავს და ბრაზობს და აღარ იცის,
ვით შეიკავოს ვნება ძლიერი
და დაბნეული კაცის იერით
იწიწკნის ულვაშს და წუთებს ითვლის,
გამოლევია ძალ-ღონე თითქმის.
ზის მაგიდასთან სამი ჭაბუკი,
სამი რაინდი — სამი ქარბუქი,
ზის მაგიდასთან დამწუხრებული,
დავიწყებიათ სავსე თასებიც
და დიდებულთა ლაღი კრებულიც,
აღარ იტაცებთ ლხინი სავსებით.
არც ბაიანის ხმა ეყურებათ,
მთლად მოწამლულა მათი გუნება
სიძულვილის და ტრფიალის შხამით.
სამი მეტოქე შფოთავს რუსლანის,
დრო კი მიხოხავს ისევ კუსავით,
წელიწადივით გრძელდება წამი.
და მოღუშული ზის სამეული:
ერთი — როგდაი, გმირი რჩეული,
ხმალს მინდობილი მთელი არსებით,
მან გაუზარდა კიევს საზღვრები.
მეორე რაინდს ჰქვია ფარლაფი,
იგი როგდაის არ ჰგავს არაფრით,
ვერ არის ხმალში კარგი სარდალი,
მაგრამ ქეიფში არ ჰყავს ბადალი.
ხოლო მესამეს რატმირი ჰქვია,
მთლად ყმაწვილია ხაზართა ხანი
და როცა სხვები სასმისებს ცლიან,
მას ლუდმილასკენ გაურბის თვალი.
და ვნებიანი ფიქრებით სავსეს
მწუხრის ღრუბელი აწვება თავზე.
სამივეს ფარავს იმ ღრუბლის ჩრდილი,
გამწარებია სამივეს ლხინი.

და როგორც იქნა დამთავრდა ისიც,
ხმა მოემატა ხორხიცს და სიცილს.
ლუდმილამ მორცხვად დახარა თავი,
ხოლო რუსლანმა სანატრელ ყვავილს
აღტაცებული შეავლო თვალი
და კვლავ მოედო ტრფიალის ალი.
ბნელმა მოიცვა შემოგარენი,
ზეციდან მოწყდა წყვდიადის ზავი
და თაფლით მთვრალმა ბოიარებმა
მასპინძელს მდაბლად დაუკრეს თავი.
სიძე ზეიმობს, ბედის მლოცველი,
ვნებით დამწვარი და დაქანცული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეფერება უკვე ოცნებით
სიმშვენიერეს მორცხვი ქალწულის.
ხოლო თავადმა ფარული სევდით
მამაშვილურად დალოცა წყვილი,
მკერდზე მიიკრა სიძეც და შვილიც.
სხვა არაფერი არ უთქვამს მეტი.

და აი, რუსლანს ლამაზი ცოლი
საწოლზე აჰყავს მთრთოლვარე ხელით.
ჩააქრეს ცეცხლი, გაფრინდა ბოლი
და ღამის სანთლებს აჩაღებს ლელი.
აჰა, ასრულდა იმედი ტკბილი,
სიყვარულს მოაქეს თავისი ძღვენი
და ეჭვიანი სამოსი ფრთხილად
ეცემა ნოხზე. გული კი მღერის.
ყური დაუგდეთ, იქნებ თქვენც გესმით,
როგორ იზრდება კოცნა ფიცვით,
თანდათან როგორ სუსტდება კვნესა
ბოლო სიმორცხვის... აი, ისინი
მინებდნენ ვნებას. და სწორედ მაშინ
გამოჩნდა ელვის ცახცახა თითი,
იჭექა მეხმაც და შემკრთალ სახლში
გადაეფარა ყველაფერს ბინდი.
მოწყდნენ ღრუბლები, როგორც მხედრები,
შიშით ათრთოლდნენ სახლის კედლებიც
და გაირინდა ბნელში რუსლანიც,
თვალს არ აჭყეტდა მთვარე ბუსავით.
უცებ დაბნელდა, როგორც ღუმელში,
ჩაკვდა ყოველი, შეწყდა ხმაური
და იმ წყვდიადში და სიჩუმეში
ორჯერ გაისმა ხმა უცნაური.
და უცებ, კვამლში გამოხვეული,
წამით გამოჩნდა შავი სხეული
და ყველაფერი დაწყნარდა ისევ,
რუსლანს კი ოფლმა დაასხა პირზე.
ხელს აფათურებს წყვდიადში თრთოლვით,
ოფლი ჩამოსდის, შემკრთალს, წურწურით.
საწოლი მოჩანს, როგორც კუნძული,
მაგრამ... ოხ, ღმერთო! ლამაზი ცოლი
მოუტაციათ და როგორც კვამლი
გამქრალა მისი გზაცა და კვალიც.
მოუტაცია უჩინარ ძალას,
სარკმელში მხოლოდ ხეები ჩანან.
ოხ, მეგობრებო, მართლა ძნელია,
როდესაც ვიწვით ამაო ვნებით.
ცხოვრებაც თუმცა მოსაწყენია,
მაინც ვარსებობთ ბუნების ნებით.
მაგრამ მე სიკვდილს ვარჩევდი ისევ,
თუ ჩემი ცრემლის და სევდის მიზეზს

ამდენი ტანჯვის და ძებნის მერე
ბოლოს და ბოლოს მოვხვევდი ხელებს,
მაგრამ მაშინვე თუ დავკარგავდი
მას, რაც ოცნება იყო აქამდის,
ოხ, მეგობრებო, მაშინ უდავოდ
მეც დავხუჭავდი თვალს სამუდამოდ.

ხოლო რუსლანი კვლავ ცოცხალია,
თუმცა სიკვდილი უნდა ძალიან.
მთელი სასახლე ფეხზე დამდგარა,
კრიჭა შეკვრია დიდს თუ პატარას.
„სად არის ჩემი ლუდმილა, სადა?“
ყვირის თავადი და სიძის გარდა
მთელ ეზოს ესმის. „შვილებო, ძმებო!
სინდისი ახლაც არ მოგცემთ ნებას,
რომ მომიწამლოთ ბებერს გუნება,
ნუ დაივიწყებთ ძველ ერთგულებას,
თქვით, ვინ იქნება თქვენში მდევარი,
ვის გიჭრით თვალი და სატევარი.
და რადგან ქმარმა ვერ მოუარა
მე ჩემს ლუდმილას ვნახავ თუ არა,
კვლავ ვაქორწილებ და ახალ სიძეს
ჩემი მამულის ნახევარს მივცემ.
შვილებო, ძმებო, ჩქარა მდევარი!
ვის გიჭრით თვალი და სატევარი!“
„მეო!“ — რუსლანმა თქვა, სევდით სავსემ.
„მეცო!“ — სამივემ იყვირა წამსვე
და აუყვავდა იმედის ვარდი
ტანბრგე როგდაის, ფარლაფს და რატმირს.
ახლავე ცხენებს მოვახტებითო
ჩვენი სურვილით, ჩვენი ნებითო,
ნუ დაიბრმავებ ცრემლითო თვალებს
თავადის ქალსო მოგგვრითო მალე.
თავადს იმედი მიეცა ისევ,
გადაეფინა სინათლე პირზე
და იდგა მათკენ ხელგაშვერილი,
ასე უძრავად იდგა ძელივით.

ოთხივე ცხენებს მოახტნენ მყისვე.
ხოლო დაბნეულ რუსლანს კი ისევ
უცებ დაკარგულ სატრფოზე ფიქრი
უჯიჯგნის სხეულს და უხმოდ მიჰქრის.
ფიცხი ცხენები მიჰქრიან მტვერში,
ცხენების ფეხქვეშ მინდორი ხვნეშს.
მიჰქრიან დნეპრის ნაპირის გასწვრივ,
უჩინარდება ცხენიც და კაციც
და აღარც ჩანან უკვე სრულებით,
მაგრამ თავადი ისევე იცდის

და თავის თავიც იქ ეგულება.
ფიქრით რაინდებს მიყვება ისიც.

გაოგნებული და დაბნეული
რუსლანი სმენად იყო ქცეული.
ფარლაფი რუსლანს უკან მისდევდა
და თუმცა ხეპრე იყო ისედაც,
მთლად ამრეზილი უცქერდა ახლა.
მტვრით ჰქონდა სავსე ცხვირიც და ხახაც.
და თან ამბობდა: „როგორ გგონიათ,
მალე შეეხვდები, ნეტავ, გოლიათს?
მაშინ იქნება აბა, სეირი,
სისხლი დადგება ველზე ტბორებად.
ჩემო ქურანავ, ჯერ არხეინად
ირბინე, გზები ნუ გეშორება.“
რატმირს იმედით გული ეესება
და ფიქრში უკვე ეალერსება
ლამაზ ლუდმილას და მთვრალმა ამით
უნაგირზედაც იცეკვოს ლამის.
ჯერ ყმაწვილია ხაზართა ხანი,
არ ყოფნის ქვეყნის სიგრძე და განი.
ხან ოთხით მიყავს ფეხმარდი ცხენი,
ხან ერთ ადგილზე აწვალებს დაღლილს,
ყალყზე აყენებს ძლეერი ხელით,
უფრო და უფრო უმოკლებს აღვირს,
მერე კი მისი ულაყი, სწრაფი,
ქედებზე ისევ ქარივით გარბის.
ხოლო როგდაი მოღუშულია.
ფიქრს მისცემია იგი სრულიად.
აფიქრებს ბნელით მოცული ბედი,
მისჩერებია სივრცეში წერტილს.
კვლავ მორევია ეჭვი და შხამი
და თავადისკენ გაურბის წამით
ზიზღით და რისხვით აღვსილი თვალი.
სახეზეც აზის წუხილის კვალი.
მთელი დღე ერთად მიდიან ასე
ერთი გზის. მგზავრნი და მეტოქენი.
გამუქდა დნეპრის ცისფერი ხაზი,
ბინდმა აავსო ღრუბლის დოქები.
უკვე წყვდიადი გამეფდა სრული.
დროა, ცხენებმაც მოითქვან სული.
და აი, ძველი და გაცვეთილი
გამოჩნდა კიდეც გზაჯვარედინი.
„აქ გავიყაროთ და ყველამ ჩვენთვის
ვეძებოთ ჩვენი გზაცა და ბედიც.“
თქვეს და ცხენებმაც მეტი ხალისით
ამოირჩიეს გზები თავისით.
რუსლან, რას ფიქრობ ან რას მოელი
ამ სიჩუმეში და სიბნელეში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ მოიმწყვდიე ბედი ხელებში,
იქნებ სიზმარი იყო ყოველი.
ისწორებ ჩაჩქანს, მაგარს და მძიმეს,
და ხელზე იხვევ მოშვებულ აღვირს,
სულში კი ცეცხლი უქრება იმედს,
რწმენაც გამქრალა და უკვე დაღლილს
ნაბიჯით მიგყავს მინდორზე ცხენი.

მაგრამ უეცრად განათდა ბნელი,
გამოჩნდა მღვიმე და ტინის თაღი,
ბუნების გამრჯე ხელით ნაკვეთი
თავზე დაადგა სასოწარკვეთილს.
და მან შენიშნა ჯერ სანთლის ალი,
მერე კი მოხუცს შეასწრო თვალი.
წიგნს კითხულობდა მოხუცი იგი,
წინ ედო დიდი და ძველი წიგნი.
თვითონ კი, ჩუმი და წვეროსანი,
ზღაპრული იყო გარემოსავით.
„მობრძანდი, შვილო!“ — მოხუცმა რუსლანს
ასე მიმართა. ხმა ჰქონდა თბილი.
„წელს ოცი წელი შესრულდა ზუსტად
რაც აქ ვარ, მაჭკნობს სიპერის ჩრდილი.
მაგრამ გავძელი და შენდა ბედად
ასრულდა, რასაც მიგრძნობდა გული.
ჩვენ მხოლოდ ბედმა შეგვყარა ერთად,
დაჯექ და კარგად დამიგდე ყური.
ჩვენ ერთნაირი გვქონია ბედი,
არც შენ ყოფილხარ მთლად ბედნიერი,
შეგცვლია სულიც, ხმაც და იერიც,
რადგან ლუდმილა აღარ გყავს გვერდით.
მაგრამ სიცოცხლეს ნუ ეთხოვები,
ბედმა გიმუხთლა მხოლოდ დროებით.
რაც გწამდა, ისევ იწამე იგი
და შენი მძლავრი ხმლითა და მკერდით
გააპე ბნელი და წყვდიადს იქით
იხილე შენი კუთვნილი ბედი.

შენი შერცხვენა, ჩემო რაინდო,
ავი გრძნეულის ბრალია მხოლოდ.
ის თვალშეუწვდომ კლდეებში ცხოვრობს
და, რა თქმა უნდა, არც შენ დაგინდობს.
სადმე ლამაზი ქალი თუ ნახა,
თავის საზარელ კლდეებში აჰყავს.
ჩერნომორია მისი სახელი,
მისი მომრევი ანდა მნახველი
ჯერ არ მინახავს, მაგრამ შენ ბოლოს
ნახავ იმ ბებერ ჯადოქრის სოროს
და შენი ხელით მოკვდება ისიც.
მეტს კი არ გეტყვი, თუმცა რაც იცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმარისია. და ნუ გადადებ,
შენ გაბარია ბედის სადავე.“

ჩვენი რაინდი მოხუცის ფერხთით
გახარებული დაეცა მყისვე.
გულიც გაცოცხლდა და ლაღად შეხტა,
მზე ამოვიდა თვალებშიც ისევ.
მოითქვა სული, მაგრამ მაშინვე
სევდის ღრუბელი მოაწვა თვალებს...
„მე ვიცი, შვილო, შენ რაც გაშინებს,
მაგრამ მაგასაც მოგირჩენ მალე.“ —
თქვა და განაგრძო მოხუცმა ისევ:
„მე მივხვდი შენი შეკრთომის მიზეზს.
შენ შეგაძინწუნა გრძნეულის ენებამ,
მაგრამ, ძვირფასო, მომეცი ნება,
რომ დაგამშვიდო, რადგან სრულიად
ის ამ საქმისთვის უსუსურია.
მას შეუძლია ჩაყლაპოს ქარი,
ისე დაუსტვენს, რომ თვითონ მთვარეც
აცახცახდება. მაგრამ ბუნება
ყველა გრძნეულზე უფრო მკაცრია.
ისიც ამაოდ ედიდგულება,
რადგან ცვედანი რაღა კაცია.
რა შეუძლია ჭაღარა ცვედანს
ეშვის და შურის და ზიზღის გარდა
და ისიც ბრაზით ცახცახებს კართან,
თავის მშვენიერ ტყვეებს რომ ხედავს.
ის არის მხოლოდ მტანჯველი მათი...
მაგრამ, ძვირფასო, ეს ღამეც გადის
და ამ საუბარს ჯობია ძილი,
რომ საბრძოლველად მზად იყო დილით.“

რუსლანი ხავსზე გულაღმა წვება
ჩაფერფლილ ცეცხლთან და ცდილობს ძილში
გადაივიწყოს განცდილი შიში,
მაგრამ რაღაცა არ აძლევს ნებას.
ამაოდ წვალობს, ბორგავს და შფოთავს,
ბოლოს კი ამბობს: „იქნება ვცოდავ.
მაგრამ არაფრით არ მეძინება
და თუკი შენმა გულმაც ინება,
მომეცი ნება, რომ კვლავ ავუბა
გული და სული შენს ტკბილ საუბარს.
და თუ შემინდობ კადნიერ კითხვას,
ისიც მითხარი, რაც ჯერ არ გითქვამს.
რა გქვია, ვინ ხარ ასე კეთილი,
ან რატომ ხარ გამოკეტილი
ამ ბნელ ღვიმეში. ან უდაბნოში
ვისი ან რისი ნებით აღმოჩნდი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოიოხრა მოხუცმა მწარედ
და სთქვა: „არსებობს პირქუში მხარე
და მას სახელად ჰქვია ფინეთი,
შორსაა იგი და არც იმედი
აღარ მაქვს მისი ხელახლა ნახვის,
იქ იყო ჩემი ზეცაც და სახლიც.
იქ ფეხშიშველა ვმწყემსავდი ნახირს
და ჩემი იყო მუხნარის ჩრდილიც
და ნაკადულიც, სუფთა და გრილი...
უკან დამდევდა ქარი მწივანი
და სიღარიბის ყველა წვრილმანი
იქ განვიცადე. მიწის ალერსიც
იქ განვიცადე ყველაზე მეტი.
მაგრამ ცხოვრება იმ სიწყნარეში
ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა ჩემთვის.

ერთ ჩვეულებრივ სოფელში მაშინ
ცხოვრობდა ნაზი გოგო ნაინი, —
ვით სიმარტოვის უცხო ყვავილი,
ოცნებასავით ცხოვრობდა ხალხში.
და ერთხელ, როცა ისევ მთელი დღით
მივსდევდი ნახირს და მივდენიდი,
მიშრიალებდა ჩემს წინ ნაკადი, —
მე ის დღე ნათლად მახსოვს აქამდის.
მდინარის პირას იჯდა ლამაზი
და გვირგვინს წნავდა თვალმშვენიერი.
ბიძგი ვიგრძენი გულში ძლიერი
და მოვინდომე მზესთან თამაში.
ნაინი იყო ის ტურფა ქალი,
ეეღარ მოვწყვიტე თავხედი თვალი.
ფერი არ ჰქონდა მის ხელში ყვავილს
და სამუდამოდ დავიუფე თავი.
სამაგიეროდ სულით ვიცანი
გრძნობა დიადი და საფიცარი.
სულში გაჩაღდა ვარსკვლავთ კრებული
და სამუდამოდ დამედო ჯაჭვი:
სიხარულით და მზით დაწყებული,
დამთავრებული დარდით და ტანჯვით.

ასე გავიდა წლის ნახევარი.
ვთვალე წუთები და საათები.
ვერ მომრჩენდა ტკივილს ვერაკინ
და მეც გავანდე გულში ნადები.
მან მოუსმინა ჩემს შემკრთალ ტკივილს,
მაგრამ ამაყი იყო ბუნებით,
თავს იღმერთებდა და მითხრა ცივად:
„მე არ მიყვარხარ, მწყემსო, სრულებით!“

გამიველურა სული წუხილმა,
წალმა დაბრუნდა ჩემი ბორბალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

☆ ალექსანდრ აუშპინი და ლუდგილა ☆

ვეღარ მშველოდნენ ძველი მუხები
და ვერც მწყემსური თამაშობანი.
მე გულს მიჭკნობდა სევდის ნაღველი
და გადავწყვიტე, დამეგდო მალე
ჩემი მშობელი კუთხე და მხარე,
მისი მინდვრები და სანახები.
გადამეცურა ზღვათა მორევი,
შემომეკრიფა გარს მეომრები,
შემეკრა რაზმი მძლავრი და ძმური
და მუხთალ ბედთან არდარიდებით
შემემკო თავი გმირის დიდებით
და მომეხიბლა ნაინის გული.
ბევრი აღმოჩნდა ხალხში ჩემფერი,
ხიფათისა და ოქროს მძებნელი.
სისხლმოწყურებულ ხმალთა კეღრიალი
და თავაწყვეტილ ნავის ჭრიალიც
პირველად მაშინ გაისმა ჩვენში.
კვლავ დამიბრუნდა იმედის შუქი.
აგხსენით ღუზა. ჩავბერეთ ბუკი
და ზღვაც დაგვნებდა ოხვრით და ხვნეშით.
ჩვენ ათი წელი ვიქნიეთ ხმალი,
მტრის სისხლით ვღებეთ თოვლი და წყალი.
ხმა ირხეოდა, რომ ჩემი შიშით
ძრწოდნენ მეფენი ტახტების ჩრდილში.
და ყოყლოჩინა მათი რაზმებიც
თავგზას კარგავდნენ ჩვენთან სავსებით.
ჩვენ კი ვიბრძოდით ლაღად და გულით,
ძღვენსა და ნადავლს ზუსტად ვიყოფდით,
დამარცხებულებს ვიღებდით ძმურად,
გვერდით ვისვამდით და ვქეიფობდით.
მაგრამ ეს სული, ნაინით სავსე,
ღრეობისა თუ ბრძოლის ღრიალშიც
ჩუმად ნაღვლობდა მშობლიურ ცაზე,
იტანჯებოდა ტრფობის იარით.
და ვთქვი: გვეყოფა, ნუღა დავრჩებით,
სხვებსაც ვაკმაროთ სისხლი და შიში
და ჩამოვკიდოთ მძიმე აბჯრები
ჩვენი ქოხების სანატრელ ჩრდილში.
ვთქვი და აშღერდნენ წამსვე ნიჩბები,
წამოიშალნენ ჩემი ბიჭები
და სიხარულით გულდაშხეფილნი
მშობელ ყურეში ლაღად შეეფრინდით.
დასრულდა ბევრი მშფოთვარე ღამე,
სხეული გაძღა გზით და იარით
და პაემანის ნანატრი წამი
ჩემთვისაც დადგა გულის ფრიალით.
სანატრელს ფერხთით დავუგდე ხმალი,
რომელსაც ადრე ძვლებზე ვლესავდი,
მივართვი ოქრო, ვერცხლი და ლალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი, სურვილით და ვნებით მთვრალი,
მის წინ ვიდექი მორჩილ ტყვესავით.
შურით დაბერდნენ სოფლის ქალები,
მთლად დაებრიცათ საწყლებს თვალები,
ის კი ამაყი იყო ბუნებით,
დაძღია ყველა ფანდი ცდუნების
და საკუთარი სინათლით სავსემ
ისევ უგულოდ მომიგო ასე:
„მე არ მიყვარხარ, გმირო, სრულებით!“

რუსლან, უცხოა შენთვის ტრფიალი
უარყოფილი და განდევნილი.
ათვალწუნების მკაცრი იარა
სულში ფათურობს ტლანქი ხელივით.
შენ კი ნამდვილად გქონია ბედი:
მასაც უყვარხარ, — რა გინდა მეტი.
მოყოლის თავი აღარ მაქვს, შვილო,
ანდა რა გითხრა მე ამის გარდა.
ახლაც კი, თუმცა ჩრდილი ვარ, ჩრდილი,
უკვე მისული სამარის კართან,
იმ სატანჯველით ვცხოვრობ აქამდის
და როცა წარსულს ვიხსენებ ხოლმე,
ჩემი ცხოვრების დამღლელს და მომრევს,
წვერებზე დამდის ცრემლის ნაკადი.

მგრამ მისმინე: ჩემს სამშობლოში,
ზღვისა და ქარის ცივ საუფლოში,
მეცნიერება არსებობს ერთი.
იქ მარადიულ სიჩუმეს ერთვის
ტყეთა წყვდიადი, ქარი კი ხვნეშის
და ისმის დამპალ ნეშოს სისინი.
კუდიანები ცხოვრობენ ტყეში,
ეუფლებიან სიბრძნეს ისინი.
დაფარფატებენ, როგორც ჩრდილები,
სმენაგახსნილნი და თვალსწრაფები,
და მათ სურვილებს ემორჩილება
გულიც და კუბოც და ყველაფერი.

და უარყოფილ ვნებებით სავსემ
მეც გადავწყვიტე, რომ ჯადოქრობით
გამეხსნა სატრფოს გულის ბოქლომი
და მიმეღწია მიზნისთვის ასე.
მეც მივაშურე ტყეების წყვდიადს,
ქვეყნის სულივით ვრცელსა და დიადს.
სხვა ყველაფერზე ავიღე ხელი
და ჯადოქრების კერიის ბოლით
მეც გავიმურე და ბევრი წელი
ვმეცადინობდი ჯადოქრებს შორის.
და აი, დადგა ნანატრი წამიც,

მკაცრ საიდუმლოს ჩავწვდი ბუნების,
გამომეცალა ხმაც და გუნებაც,
შეეგრძნე ძალა წყევლის და შხამის.
ნაინი უკვე ჩემია, ჩემი!
ასე ვფიქრობდი და გულის ცემით
ჩემს დიდ სიყვარულს ვადგამდი გვირგვინს,
მაგრამ მაცდური აღმოჩნდა იგი.
წამიერ შვებით განათებული
მივნებდი სურვილს მთელი სხეულით,
მაგრამ ნამდვილად გამარჯვებული
კვლავ ბედისწერა იყო, წყეული.

და ისევ მთვრალი ჩემი ოცნებით,
აღტაცებული განსაცდელ ტრფობით,
ვეძახდი სულებს და ვერცკი ვგრძნობდი,
რას მიმზადებდნენ ეს შელოცვები.
მე ვბუტბუტებდი ლოცვად ქცეული,
ნამდვილ კუდიანს როგორც შეჰფერის.
მეც გავხდი მკაცრი და მტაცებელი
და ჩერნომორის ძმა, ღირსეული.
მაგრამ ჩავუთქვი ფიქრი თუ არა,
ტყეებს ქუხილმა გადაუარა,
ქარბუქმა მორთო ვაი და ვიში
და ფეხქვეშ მიწაც ათრთოლდა შიშით,
გაჩნდა გრიგალიც, ზღვებზე ნარბენი,
და დამისკუპდა წინ დედაბერი.
ძლივს უფარავდა ტანს ძონძეული,
თვითონაც ლანდად იყო ქცეული,
ზურგზე მოეგდო ვეება კუზი,
ცივი თვალებით ჩამხედა სულში.
შიშის მომგვრელი იყო სურათი,
მეც უკვე სიმწრის ოფლში ვცურავდი.
და ვაცეცებდი თვალს აქეთ-იქით, —
ნაინი იყო, რაინდო, იგი.
ისევ გამეფდა სულში წყვდიადი,
ავთრთოლდი, როგორც ქარში ფურცელი,
თან არ მჯეროდა, როცა ვუცქერდი,
მერე ავტირდი და ავღრიალდი.
ო, ნუთუ შენ ხარ ჩემი ნაინი,
მიუწვდომელი და მშვენიერი!
რომელმა ძალამ ან რანაირად
დაგიმახინჯა ასე იერი.
ნუთუ ამდენი წელი გავიდა,
რაც მოვიგდე შფოთი თავიდან
და ჩემი ვნების უარმყოფელი
დავტოვე სატრფო, მზე და სოფელი.
„ბევრიო?... თუმცა ადვილად ითქმის,
უკვე ორმოცი წელია თითქმის“, —
თქვა დედაბერმა ღვარძლით და გესლით, —

„სამოცდაათი წლისა ხარ, გესმის?
ასე ერთბაშად გაფრინდნენ წლები,
ჩამოჭკნენ ჩვენი გაზაფხულები
და ჩვენც დავბერდით ბუნების ნებით,
მაგრამ არ ვდარდობ მაინც სრულებით.
მე, რა თქმა უნდა, ის აღარა ვარ,
შენ ვისი ჩრდილიც გედგა კარავად.
ის აღარა მაქვს, რაც ადრე მქონდა
და კუზიანიც ვარ, ალბათ, ოდნავ.
მე აღარ შემრჩა უცხო თვალისთვის
არც სილამაზე და არც ხალისი.
სამაგიეროდ, უჩუმრა გეტყვი,
კუდიანი ვარ, წყვდიადის ეტლი!“

და ასეც იყო, რად გინდა ფიცი,
მხოლოდ სიკვდილის ვიყავ მსურველი
და მთელი ჩემი ჭკვითა და სიბრძნით
მის წინ ვიდექი, როგორც სულელი.

და რატომ მოხდა, ახლაც არ ვიცი,
მისნობამ მაინც შეძლო თავისი.
სულ არ გამეგო იგი ნეტავი,
რადგან ჭაღარა ღვთაება უკვე
ვნებით აღვსილი იყო ჩემდამი
და მიშტერებდა გაყინულ გუგებს
ხმაგათოშილი სამარის თოვლით,
მეფიცებოდა სიყვარულს თრთოლვით,
მე კი ვიდექი გაოგნებული,
სულს მიკაწრავდა ხრინწი ბებრული,
კალთას მიჭერდა ხმელი ხელებით
და თან თავისას ფქვავდა ხველებით:
„პირველად ახლა ვიგრძენი გული,
ჩემო ერთგულო, და მწამს, რომ ისიც
სიყვარულისთვის ფეთქავს და იცის
ტრფიალის ფასი და ტრფობის წყლული
მასაც აწვება, ვით მძიმე ლოდი.
მიშველე, ჩემო ძვირფასო, მოდი!“
გადმომიშალა გულში ნადები,
ჩამომახია ჯუბის კალთები
და თან, მიწიერ ალერსს უჩვეი,
კოცნას ცდილობდა მყრალი ტუჩებით.
შიშმა დამიხშო სმენაც და თვალიც,
გულში გამიქრა იმედის კვალი
და რომ ვერ შევძელ მეტის ატანა
გამოვექეცი ბებერ სატანას.
გამომეკიდა ფეხდაფეხ ისიც,
ქვეყანა შესძრა წყევლით და რისხვით:
„ჰოი, უღირსო, მიჯნურად გთვლიდი,
შენ შემიშფოთე სამყარო მშვიდი,

შენ შეაშფოთე ჩემი სანთელი
და სიქალწულის ზეცაც ნათელი.
გაზიდე ჩემი სულის მადანი
და ახლა ვნების ქარით ნაცემი
აღარ გინდივარ? — აი, კაცები,
ღალატით სუნთქავს ყველა მათგანი.
შენ შემაცდინე უმანკო კრავი
და მეც შენს ნებას მივანდე თავი.
მაგრამ აქამდე თუ მაწვალებდი,
ახლა მიფრთხილდი! ქურდო ქალების!"

ასე დავშორდით და იმის მერე
ვცხოვრობ ამ მტანჯველ სიმარტოვეში
და ამქვეყნიურ ხმებსა და ფერებს
დიდი ხანია უკვე მოვეშვი.
უკვე მეძახის ჩემი საფლავიც,
მთავრდება ჩემი მწარე ამბავი.
მაგრამ დედაბერს იმ ძველი გრძნობის
სულში აქამდე შემორჩა კვალი
და სიყვარულის ნათელი ალი
ბოლოს შეცვალა ზიზღით და მტრობით.
შენც მოერიდე იმ გრძნეულს ყველგან
და მეტს, ძვირფასო, ნურაფერს მკითხავ.
წუხილიც წავა როდისმე ჩვენგან,
ქვეყნად წუხილიც არ რჩება დიდხანს."

ჩვენი რაინდი ისმენდა ხარბად
კეთილ მოხუცის მწუხარე ამბავს.
არ აშორებდა თვალებს შუქიანს
და ღამის წასვლა არც გაუგია.
და აი, ისევ ბრჭყვიალებს დილა,
მზეც ამოსულა და უკვე თბილა,
მთლად გამოცვლილა ქვეყნის იერი...
რაინდიც ადგა და მადლიერი
მოხუც ჯადოქარს გადაეხვია.
მერე უნაგირს, მკვრივს და კეხიანს,
მოახტა სწრაფად და დაუსტვინა
და ცხენიც თითქოს პატრონს უცდიდა,
ჭენებ-ჭენებით გავიდა ველზე,
მზემ კი სხივები ჩაკიდა დეზებს
და წამოწია თავი ბექობმა,
ხოლო მოხუცმა ჭაბუკ მეგობარს
ხმა დაადევნა: „გზა მშვიდობისა!
შენი სიმართლე ატარე ფარად
და შენი ცოლი გიყვარდეს მარად."

თარგმნა ოთარ ჭილაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

წლების სამახსოვროდ

„თანამედროვე ქართული პოეზიის ბიბლიოთეკის“ სერიას შეემატა ხუტა ბერულავას ლექსების წიგნი „ეს ოცი წელი...“ წიგნში თვალნათლივ აისახა ის დაძაბული და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა, რასაც პოეტი ორი ათეული წლის მანძილზე ეწევა.

დაუვიწყარია ის პირველი თრთოლვა და აღმაფრენა, როცა მეოცნებე ჭაბუკი ყველაზე ძვირფას ფიქრებს „თავის დედას“ — პოეზიას გაანდობს. სიჭაბუკეში ბევრს გამოუხატავს თავისი განცდები ლექსად, მაგრამ შემდეგ მათ ეს ამბავი ან სრულიად ავიწყდებათ, ან ნაკლებად აღელვებთ. ეს პირველი შთაბეჭდილება მხოლოდ ნამდვილ პოეტს არ უნელდება და მის სულში ანთებული პოეზიის ცეცხლი სიკვდილამდე არ ქრება.

სიყვარულით და გატაცებით იხსენებს ხუტა ბერულავა იმ ძვირფას წუთებს, რაც მას პირველი ლექსის დაბადებამ, ოცნების პირველმა ფრთაშესხმამ განაცდევინა („ეს ოცი წელი და გაოცება“). ამ ლექსში ხუტა ბერულავა ერთგვარად აჯამებს და გონების თვალით ზომავს განვლილ პერიოდს. პოეზიაზე ფიქრს შეუძრავს პოეტის მთელი არსება; პოეზია მას ია-ვარდებით მოფენილ გზად როდი ესახება:

> არა მაქვს ძილი, მყუდრო და მშვიდი,
> რაც დაიბადე ჩემდა მტანჯველად.

ამ სტრიქონების დამწერმა კარგად იცის — ეს ტანჯვა ერთადერთი გზა არის ხელოვნებაში და ნამდვილი ხელოვანისათვის ამ ტანჯვაზე დიდი ნეტარება არ არსებობს. პოეზია რწმენა, სიმართლე და სიტყვის უერთგულესი სამსახურია. მისი ღალატი ისევე არ შეიძლება, როგორც რწმენის და სიმართლეს ვერ უღალატებ. და პოეტიც ერთგულად, თავდადებით ემსახურება ამ ზეგარდმო ნიჭს, ამ ყოვლისშემძლე ძალას.

> და ბრწყინავ, ბრწყინავ, როგორც შუქურა,
> და ნიშანს მაძლევ: იარე ჩქარა,
> არ მოგადენოს ზღვათა გუგუნმა,
> გზათა სიშორემ, მრისხანე ქარმა!

> არა და არა! მე ისევ მე ვარ
> და არასოდეს არ შევიცვლები.
> გულის ჩემის და პლანეტის რყევას
> ავიტან, დედის ხმას გეფიცები!

ჩემი სიზმრებით, ჩემი ფიქრებით,
ვით ეს მთისი და გაოცება,
შენთან ვიქნები, ჩემთან იქნები,
პირველო ცეცხლო, წვავ და ოცნებავ!

ბავშვობის შთაბეჭდილებები, ბავშვობაში ნანახი და განცდილი სამუდამოდ რჩება ადამიანის მეხსიერებაში. სწორედ ბავშვობის შთაბეჭდილებათა მძლავრი ნაკადის გავლენით არის დაწერილი ხუტა ბერულავას ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ოლხური მელოდიები“. ამ შთაბეჭდილებებმა პოეტს ბიძგი მისცა ლექსში გაეცოცხლებინა ოლხეთის მომხიბლავი მშვენება, განუმეორებელი კოლორიტი, რითაც ძველთაგანვე გამოირჩეოდა საქართველოს ეს ლეგენდარული კუთხე; წლების შემდეგ დავაქაცებული პოეტი მამისეულ კერას მოინახულებს. მისთვის აქ ყველაფერი უსაზღვრად საყვარელი და ნაცნობია, ესმის მშობელი მიწის ძახილი, გრძნობს შორეული წინაპრის ფესვს, მის გულში ოდესღაც გაგონილი კოლხური სიმღერის ჰანგები ყოერენ:

ვარ გათანგული ნაცნობ მოტივით,
როგორც გარშემო ბუნება მთელი,
და ენდურს მისი მცირე ტოტივით
ჩემს თვალწინ ერთვის სიმღერა ძველი.

აი, ეს ხმაა ყველაზე ადრე
რომ დამფიცა რუსთველის ენა,
უკვდავი სიტყვის მასწავლა ყაღრი
და მომპირავა სიცოცხლის რწმენა.

აი, ეს არის, ყველაზე მეტად
მე საქართველო რომ შემ-ყვარა,
რომ შემაყვარა მშობელი დედა
და ყველა დედის წმინდა ჭაღარა.

ეს უბრალო და მღელვარე პოეტური აღსარება ყველა მაღალფარდოვან ფრაზაზე უკეთ გამოხატავს სამშობლოს სიყვარულს, მისთვის თავდადების უკვდავ გრძნობას.

„ოლხურ მელოდიებს“ ენათესაობა (ოღონდ უფრო კონკრეტულ მასალაზე და განსხვავებული მეტრით არის დაწერილი) გამჟღერავალე და მეტად მუსიკალური ლექსი „ქარიატა“. აქაც გადმოცემულია მონატრებულ მშობლიურ სოფელში ჩასვლა. ყოველ სტრიქონში [illegible] სიობო და უნაზესი სიყვარული გამჟღერთის, იგრძნობა სევდა შეუმჩნეველად გამქრალ ყრმობის წლებზე, პირველ გატაცებაზე:

აწ სად უსმენს ხეთა შრიალს ის ცქრიალა
გოგო?
ხობშია თუ ხეთაშია ის ცქრიალა გოგო?

ეს ჰაეროვნება და მიმზიდველი პოეტური თქმები ლექსს თავიდან ბოლომდე გასდევს. ლექსის ნახევარი მოგონებებს, ძველ შთაბეჭდილებათა აღდგენას ეთმობა, ხოლო შუა ნაწილიდან ცოცხალი შთაბეჭდილებები, გარემოს ახლად აღქმა იწყება. პოეტი მშობლიური სოფლის მიწაზე დგამს ფეხს და მისი თვალი ყოველ უმნიშვნელო ცვლილებასაც კი უმალ ამჩნევს. მის გულში ოდნავაც არ განელებულა აქაურობის სიყვარული. ამ სიყვარულს, ბავშვობის წმინდა მოგონებებს პოეტი ყრმობის წიგნად კინძავს:

მე კი როდი შეეცალე დროის მღელვარ
ქარში,
და ისევე ყმაწვილი ვარ, როგორც ვიყავ
მაშინ.

ისეთივე მეოცნებე და ამაყი დავრჩი,
ისევ გაუტეხელი ვარ ავდარში თუ დარში.
. . . . . .
წლები, როგორც მეგობრები, მახვევიან
ირგვლივ,
მათს ჩურჩულში იბადება ჩემი ყრმობის
წიგნი.

და ამ წიგნში, როგორც სხივი, ეს მიდამოც
შედის,
როგორც ერთი მონაწილე ჩემი ნათელ
ბედის...

ხუტა ბერულავას ლექსებში უმთავრესად გაზაფხულის ფერები სჭარბობს. ეს ბუნებრივიც არის პოეტისთვის, ვინც მთელი არსებით და გატაცებით უმღე-

---

ემზარ კვიტაიშვილი
წლების სამახსოვროდ

რის მიწიერ სილამაზეს, სიცოცხლის მარადიულობას.

„დაფარული აზრი გაზაფხულისა მხოლოდ და მხოლოდ გაგრძობაა სიცოცხლისა“, — წერდა ვაჟა-ფშაველა და ამ ცხოველმყოფელ აზრს მთელ თავის შემოქმედებაში ატარებდა.

„მიწის პოეზია არასდროს არ კვდება“, — ასე იწყება ჯ. კიტსის ერთ-ერთი ცნობილი სონეტი. ეს და მომდევნო სტრიქონები გამოხატავს დედამიწაზე სიცოცხლის მარადიულობას. სიცოცხლის ჰიმნს ბუნება ყველაზე ხმიერად გაზაფხულზე ამბობს, ამბობს ყოველთვის განსხვავებულად. განახლებული ძალითა და ფერებით. სწორედ ამ სილამაზეს მოუჯადოვებია და განუცვიფრებია ავტორი:

შარშანდელს არ ჰგავს ამ ბრიალა აპრილის
სუნთქვა,
არ იმეორებს, რაც ოდესმე თვითონვე
უთქვამს.
. . . . . .
არც ერთი ბგერა გაგონილი და შარშანდელი,
მინც სადა აქვს ამ დალოცვილს ძალა
ამდენი!

აქვე უნდა ითქვას, რომ პოეტს განყენებულად არ იზიდავს და აღელვებს ბუნება, წარმტაცი პეიზაჟი. როგორც იტყვიან, იგი არ არის სილამაზის პასიური მჭვრეტელი. ხუტა ბერულავას ლექსებში ბუნება ყოველთვის ადამიანთან არის დაკავშირებული. ადამიანი ავსებს და ამშვენიერებს ბუნებას. იგი მისი ღვიძლი შვილი და გარდამქმნელია.

ყველა ჩვენგანს ეამაყება ჩვენი სამშობლოს წარსული და დღევანდელი დღე. განსაკუთრებით გვსიამოვნებს, როცა საქართველოში სტუმრად ჩამოსული მოკეთე აღტაცებული რჩება მისი სილამაზით. ამ კარგ გრძნობაზე ხუტა ბერულავას რამდენიმე ლექსი დაუწერია. მათგან აღსანიშნავია: „ფაესანაური, მაისის ღამე“. ლექსი მიძღვნილია საქართველოში სტუმრად ჩამოსული ლიტველი მეგობრებისადმი. სტუმრები მოხიბლა ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი ულამაზესი და მეტად თავისებური ადგილის ნახვამ. მასპინძლისა-გულსა და გონებაში სამუდამოდ აღბეჭდილ ლიტველებთან გატარებული ეს დღე და ამ დღის განუმეორებელი სილამაზე ლექსად გადმოუცია. დიდი ადამიანური სიყვარული, შთაგონება და ხალხთა ურღვევი მეგობრობა ათქმევინებს პოეტს:

წავა დღეების თამამი წყება
და შეიცვლება ბრაგალი რამე,
მაგრამ არასდროს დამავიწყდება:
ფასანაური, მაისის ღამე...

დღიდან პოეზიის გაჩენისა უამრავი ლექსი დაწერილა საყვარელ არსებაზე, ეს თემა თავიანი და მამოძრავებელია ყველა შემოქმედისათვის. ქართული პოეზია გულუხვად უხდის ხარკს ამ უწმინდეს და უკვდავ გრძნობას. ასეთი ხასიათის ლექსებიდან განსახილველ წიგნში განსაკუთრებით ერთმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. ამ ლექსში კარგად არის შეხამებული რაინდული თავდაჭერილობა და სატრფოს შორს ყოფნით გამოწვეული ოდნავ სევდანარევი ტონი:

მინდა შეგიმკო თმები ვეირილით,
მაგრამ შორსა ხარ ჩემგან ძალიან.
ჩემი სიცილი, ჩემი ტირილი —
იცოდეს ყველამ — შენი ბრალია.

ცხოვრება მიჰქრის ქარიშხალივით
და ჩემთვის თითქოს არა სცალია...
მჭვია მდიდარ? მჭვია ღარიბი?
მიზეზი შენ ხარ, შენი ბრალია.

ზოგჯერ ხელიდან ისე მეცლები,
მინდა შეგიკრა ოქროს ბალია,
მე თუ ვმაღლდები, მე თუ ვეცემი,
განა არა გრძნობ, შენი ბრალია.

გადაუარეს ბაღებს ქარებმა,
და ჩემს წინ ისევ ქარიშხალია...
ჩემი სიმშვიდეც და მეფეობაც
მხოლოდ და მხოლოდ შენი ბრალია!

არც ერთი არაჩვეულებრივი სახე თუ მოულოდნელი შედარება ამ ლექსში არ არის. იგი აგებულია პოეზიის უძველეს და მარად მოუძველებელ ხერხ-

ზე — კონტრასტზე და თითქოს ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი. ერთი შეხედვით მოჩვენებითი მონოტონურობა ნაწარმოებს უაღრესად ექსპრესიულს ხდის; ალმავალი რიტმი ბოლო სტროფში უმაღლეს წერტილს აღწევს და ეფექტიც სასურველი იქმნება. ლექსში ერთი მთავარი აზრი და განწყობილება არის გაბატონებული — პოეტი შორიდან ეთაყვანება და ოდნავ საგრძნობი საყვედურით გულს უსსნის იმ ადამიანს, ვინც მის ცხოვრებას შინაარსს და სილამაზეს აძლევს.

ხუტა ბერულავა რამდენიმე ცნობილი ეპიური ნაწარმოების ავტორია („რუსული გული“, „სიმღერა ვარსკვლავებზე“). მაგრამ იგი მცირე ზომის ლირიული ლექსების შესანიშნავი ოსტატიც არის. წიგნში მრავალი ასეთი ლექსი გვხვდება. ერთი მათგანი პოეტს ნაცნობ ქალიშვილზე დაუწერია, ვისი ბავშვობაც თვალსა და ხელს შუა გაპარულა და ვისი სუფთა გულიც სასიყვარულოდ გაშლილა. თუმცა ავტორი გმირის გარეგნობაზე ერთი სიტყვითაც არ მიგვანიშნებს, მაგრამ ჩვენ თავლწინ გვიდგას მეოცნებე ქალიშვილი, ლირიანი გაზაფხულის დღესავით რომ ეცვლება გუნება:

„ზენი ბავშვობა ჩუმად წავიდა
(ასე კაცს ხელში თოვლი ადნება),
და შენ ბავშვობას იწყებ თავიდან,
როდესაც ვინმე შეგიყვარდება.

შენი ბავშვობა ჩუმად წავიდა,
არ დაგანებეს ცრემლი დარდებმა,
და შენ ტირილსაც იწყებ თავიდან,
როდესაც ვინმე შეგიყვარდება.

იმდენად სადა, თავისუფალი და შეღლდიერია ეს პატარა ლექსი, რომ იგი სასიამოვნო ლირიული სიმღერის შთაბეჭდილებას ახდენს.

აღსანიშნავია ხუტა ბერულავას ერთი უსათაურო ლექსი („კაცი ხანდახან ბურუსში მიდის“), სადაც ავტორი კონკრეტული მაგალითით მიუთითებს პოეტის, ხელოვანის როლსა და დანიშნულებაზე; ზოგჯერ ადამიანს გაურკვეველი სევდა შემოაწვება, წამით მის გონებას ბინდი ეკარება, წამით შეიძლება ცხოვრების აზრიც ვერ დაინახოს და ნაბიჯიც გადადგმა გაუჭირდეს. სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს ხელოვანი. პოეტი, გაფანტოს წამიერი ბურუსი და საკუთარი გულის შუქით გზა გაუნათოს მომძღვნ. ლექსში ეს მომენტი თვალსაჩინო მხატვრული დამაჯერებლობით არის გადმოცემული:

„თითქოს დაეხშო სამზეოს კარი,
თითქოს მის ბარბაცს ქვეყანა ხედავს,
წამით არ ესმის სიცოცხლის ზარის
და ნაფოტივით მიჰყვება სევდას....

კაცი ხანდახან ბურუსში მიდის,
როგორც ოტყვიან, ხელის ფაფარით,
სადა ხარ მაშინ, რომ გასჭრა ბინდი
და წინ წარუძღვე, ვით სანათური.

ჰუმანიზმის სულისკვეთებით გამთბარ ამ ლექსში ჩანს ჩვენი ხალხის, ჩვენი საზოგადოების უმაღლესი მორალური პრინციპი: ადამიანი ადამიანის ძმა და მეგობარია.

მდიდარი და მრავალფეროვანია ხუტა ბერულავას პოეზიის თემატიკა, მისი პოეტური სამყარო; პოეტი ხან ხევსურ მელქესეებს ეჯიბრება კაფიის თქმაში, ხანაც საინგილოს გზაზე მოწრიალე კაკლის ხეებს ებაასება მინდიასავით, ტრიალ მინდორზე გმირულად დაცემული უცნობი მეომრის აღსარებას ისმენს და კიდევ ერთხელ რწმუნდება, თუ რამ გადაარჩინა მისი სამშობლო, მადლობას სწირავს „დავითიანის“ გადამრჩენელს და სანთელივით უნთებს ლექსს თავისი დიდი წინაპრის — ანთიმოზ ივერიელის ხსოვნას. აქვე ვხედავთ ცოტნე დადიანისა და პეტრე ბაგრატიონის გოლიათურ ანრდილებს — გმირობის და ვაჟკაცობის სიმბოლოდ რომ გვესახებიან. ყველაზე ლაკონიურ ხუტა ბერულავა ჩვენს თანამედროვეობას უმღერის. იგი „ამ ცხოვრების მემატიანეა“.

სამშობლოს სახელოვანი წარსული, მისი ბედნიერი დღეკანდელი დღე და ნათელი მომავალი იმთავითვე იქცა ხუ-

ტა ბერულავას შემოქმედების ორგანულ ნაწილად. მის ლექსებში ყოველთვის მძლავრი იყო და არის პატრიოტული ნაკადი, ურომლისოდაც ნამდვილი პოეზია არ არსებობს.

შეუძლებელია არ გადმოგედოთ დიდი შინაგანი მღელვარება და სულიერი სითბო, როცა სამშობლოს სიყვარულით განათებულ სტროფონებს კითხულობთ:

შენი სიცოცხლე შორით იწყება,
შორიდან მოჩანს სიმაღლეც შენი,
შენ არაფერი არ გავიწყდება
და ყოველივე კეთილი გშვენის.

დღეები დღეებს, ღამდები ღამდებს,
ომები ომებს ეჯახებოდნენ,
სულს მოიძვამდი დაღლილი ოდეს,
შენი დროშები ზეცას წვდებოდნენ.

არა ცხრებოდნენ შენი ფიქრები,
ხან გამხელილნი, ხანაც უთქმელნი,
იბადებოდნენ ბრძენი წიგნები,
მწვალი ჰანგები და ჩუქურთმები.

ცეცხლში, გრიგალში და სისხლისღვრაში
იფერებოდა შენი სახელი,
ცის კაბადონზე, როგორც რიყრაკი,
იწერებოდა შენი სახელი.

პოეტს ეამაყება, რომ მისი სამშობლო უამრავ განსაცდელს გადაურჩა, რომ საუკუნეთა ქარტეხილებში საქართველოს სახელი არ წაიშალა — ჩვენი უძველესი ერი მძლავრად დგას ფეხზე და მოძმე ხალხების მხარდამხარ კაცობრიობის დიად მომავალს აშენებს.

პოეტის სიტყვას, ძალასა და ფერს ხალხის სიყვარული აძლევს; ვინც მხოლოდ საკუთარ თავში ჩაიკეტება, ვინც ხალხის სათქმელს ვერ იტყვის, მას მალე დაფარავს დავიწყების მტვერი. პოეტი მთელი არსებით ხალხთან არის დაკავშირებული, თვითეული ადამიანის ტკივილსა და სიხარულს განიცდის; იცის, რით სუნთქავს და არსებობს მისი მშობელი ერი. ამ დიდი მოქალაქეობრივი შეგნებითა და პათოსით არის გამსჭვალული ხუტა ბერულავას ლექსი „ასე სრულიად საქართველოში“. ლექსის დასაწყისში პოეტი სიყვარულით ახსენებს სხვადასხვა პროფესიის მქონე და სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ თანამემამულეებს, გვიხატავს ამ ადამიანების ცოცხალ სურათებს. ჩვენ ვგრძნობთ, რაოდენ ძვირფასი და ახლობელია მისთვის ეს ხალხი:

ასე, მამულის ყოველ კუთხეში,
მე ამბათა ჩემთა ძახილი მესმის,
ჩემი იმედის, ჩემი ნუგეშის
და შთაგონების რომ არის ფესვი.

ვერ გავიხარებ, ვერ გავნათდები,
ვიდრე ვიცოცხლებ მშვიდად უმათოდ,
თუ ვერ ვიგრძენი მათი სათქმელი,
ქვეყანას თვალი ვით გავუმართო!

ყველა მათგანი არის ნაცნობი,
ყველას შევხარი, ვეალერსები
ჩემი სიცოცხლით, ჩემი კაცობით
და შვილებივით გაზრდილ ლექსებით!

სიყვარულსა და მეგობრობაზე, სიცოცხლის მარადიულობაზე არის დაწერილი კრებულის ყველაზე ვრცელი ნაწარმოები — „თეთრი ლექსი“. თავისი აღნაგობით იგი ლირიული პოემა უფროა. „თეთრ ლექსში“ ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით ერთმა ადგილმა მიიქცია. აქ დახატულია არნახული სილამაზის ქართველი ქალიშვილი — უბერებელი, უშკნობი მშვენება, რაც, ვფიქრობთ, მარადქალურობის პრობლემის — ხელოვნების ამ მარადიული და ურთულესი თემის საინტერესო გამოძახილია. ნაწარმოებში გამოყვანილი შეუდარებელი გარეგნობის ქართველი პირიმზე გვესახება, როგორც მთელი ერის სულიერი სილამაზისა და უკვდავების სიმბოლო.

...ცხოვრობს ამქვეყნად ერთი პირიმზე,
ჩვენი ალანეტის ვარსკვლავთა შორის,
ვით ნატვრისთვალი ქართველ ასულთა
და დედოფალი სილამაზისა.
წლები მიჰქრიან შეუწერეზელად,
ვით ნიაღვრები მთებს მოსხლეტილნი,
და მათ სრბოლის მსახვრალი ხელი
ვერაფერს აკლებს მშვენებას მისას.

დასასრულ მოკლედ ვიტყვით პოეტის წერის თავისებურებებზე. როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ, ხუტა ბერულავას ლექსი კლასიკური ნორმებს მის-

დევს. მის პოეზიაში თვალნათლივ ჩანს ფორმისა და შინაარსის სრული ჰარმონია. პოეტი არსად არ ჩრდილავს და არ ამძიმებს მთავარ აზრს მეორეხარისხოვანი დეტალებით. მისი სახეები ყოველთვის საჭირო, ზუსტი და ნათელია. მაგალითად, თოვლზე არაერთი ბრწყინვალე ლექსი დაწერილა, არაერთი დაუვიწყარი სახე შეუქმნიათ. სულ სხვა თვალით დაინახა და დახატა ბუნების ეს მოვლენა ხუტა ბერულავამ. პირველი თოვლის მომხიბლაობა და სისპეტაკე პოეტმა დიდი ოსტატობით გადმოსცა:

> და იყო ისე თეთრი, კრიალა,
> რომ ზედ რჩებოდა გამვლელთა ჩრდილი.

ამ სურათით გაცოცხლებულია ზამთრის წყნარი დღე; ფერმიხდილი, ძალაგამოლეული მზე ანათებს ქთქათა თოვლით დაფარულ ნაცრობ ქუჩას, სადაც ხანდახან გამვლელთა სილუეტები გაიელვებენ.

ილია ჭავჭავაძეზე დაწერილ ლექსში ხუტა ბერულავას ერთი მეტად ბოხდენილი თქმა აქვს:

> ასე ებრძოდი ცხოვრებას იგავს
> ყვარლის მთებიდან წოწმეურამდე.

ამ ორ სტრიქონში პოეტს სიმბოლურად მოუქცევია დიდი ილიას სანელოვანი ცხოვრების გზა — დაბადებიდან მის ტრაგიკულად დაღუპვამდე.

ზემოთ მოყვანილი ორიოდე მაგალითიდანაც ჩანს, თუ რა ზომიერებას და სიზუსტეს იჩენს ხუტა ბერულავა პოეტური სახის აგების დროს.

ნოვატორულად, შემოქმედებითად უდგება ხუტა ბერულავა ქართული ლექსის ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, როგორიც არის რითმა. მისი რითმების უდიდესი ნაწილი აზრობრივია — პოეტს თითქმის ყველგან დაძლეული აქვს ვრამატიკული ერთგვაროვნება. ამ წიგნში ნახმარი ზოგიერთი რითმა თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენი დღევანდელი სალექსო ტექნიკის მიღწევად. კერძოდ, ბგერითი შედგენილობითა და ოსტატობით დღევანდელ ქართულ პოეზიაში, სამაგალითო და საუკეთესოა ასეთი სარითმო წყვილეულები: ოქროპირს — ბობოქრობის, იფანთა — იბანდა, ნაოცნებარი — საოცრებანი და სხვ. ზოგჯერ ხუტა ბერულავა არათანაბარმარცვლიან სიტყვებს რითმავს (ვიდრე — მომერიდე, ბურჯი — გადავურჩიან). მაგრამ მუსიკალობა ყველგან ოაცული.

ლექსების წიგნი „ეს ოცი წელი...“ სტილისტური მთლიანობითა და თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ხუტა ბერულავა ამჟამად შემოქმედებითი სიმწიფის გზაზე დგას. მას კიდევ ბევრჯერ მოელის ლექსებით მონიჭებული სიხარული, იმ ლექსებით, წლების სამახსოვროდ რომ რჩება პოეტს.

ემზარ კვიტაიშვილი

წლების სამახსოვროდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲥᲣᲗᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲕᲖᲘ ᲙᲣᲞᲠᲘ

მამია ვარშანიძის პირველი ლექსები ამ ოცდაათი წლის წინათ დაიბეჭდა, რის შემდეგაც იგი აქტიურად მონაწილეობს ლიტერატურულ ცხოვრებაში. 1962 წელს ბათუმის „სახელმწიფო გამომცემლობამ“ გამოსცა პოეტის ლექსების ახალი კრებული „ქუეყნა წვიმა“.

კრებულში დაბეჭდილი ლექსები თემატურად მრავალფეროვანია, პოეტს თემის მიგნებისა და გადმოცემის თავისებური, ორიგინალური მანერა ახასიათებს, მისი ბევრი ლექსი მკვეთრი ინდივიდუალობით არის აღბეჭდილი, მაგრამ ჩვენი შენიშვნა მამია ვარშანიძის ლექსების კრებულის ერთ დამახასიათებელ თვისებას შეეხება, რადგან ეს თვისება, უფრო სწორედ ნაკლი, რამდენადმე განსაზღვრავს მთელი კრებულის შინაარსსა და შემეცნებით ღირებულებას.

მამია ვარშანიძის ამ წიგნში მრავალი ისეთი ლექსია, რომლებშიც ლაპარაკია ღმერთზე, ანგელოსზე, სანთელზე, კელაპტარზე, ხატებზე, ჯვრებზე და წმინდანებზე. ბევრი ლექსი ღვთისადმი საკუთარ მიმართული ლოცვა-ვედრებაა. ჩვენის აზრით, კრებულში ძალზე ხშირადაა ნახსენები ღმერთი და ანგელოსი. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. ლექსში „შენი წერილებიდან“ ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ:

ღმერთო, შემინდე, თუ ლაფიან ბილიკს
ვეფარე...
შენ გაიხარე, შენ გწყალობდეს მადალი
ღმერთი...
და თუ ასეა, ღმერთო ,შემინდე!...

ლექსში „ჩემო ლამაზო, თოვლი მოვიდა...“ ასეთ სტროფს ვხვდებით:

შენ მის წინაშე ხელებს აღაპყრობ,
ილოცავ, ვითარც წმინდა მორწმუნე,

ამოიგმინებ, ჰოი აღარ არს,
ღმერთოო, მისი ხილვა მომწყურდა!

ლექსში „ქუეყნა წვიმა“ ასე მიმართავს პოეტი ღმერთს:

შენ დამიფარე, დიდო უფალო!

ერთ-ერთ უსათაურო ლექსში მამია ვარშანიძე კვლავ ღმერთს მიმართავს:

წავალ, ჩამოვხევ სუდარის ლანდებს,
ღმერთო, მშველელის ძალა მიბოძე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ პოეტი თავისი რელიგიური მრწამსის გამომჟღავნებისას -არ არის ბოლომდე თანმიმდევარი. ზოგიერთ ლექსში მერყეობა იგრძნობა. მაგალითად, იგი წერს:

მე აქ რა მინდა არამორწმუნეს
და ქრისტესავით რომ ვარ ჯვარცმული?!
ვიმე, შენი ნახვა მომწყურდა,
ხე ვარ გრიგალით შეშოძარცული.

დფიერებული ჩუმად მოვედი,
კარებთან დგანან აბეზარები.
და მათი მუქი მაღიზიანებს.
რეკენ ზარები, წმინდა ზარები.
ზართა ზრიალში მე სულს ვიმშვიდებ...
ო, სული ნაზო, არ შემიშინდე!

. . . . . .

მე აქ ავანთე წმინდა სანთელი,
შენთვის უძილოდ აქვე გავათევ.
ხატებს გავანდე ჩემი სათქმელი,
მე ხვაშიადი ხატებს გავანდე.
სული მაქვს შენთვის უფაქიზესი,
სული მაქვს შენთვის ამაღლებული,
ვინ მომიგლინოს წამი უტკბესი,
რომ დამამშვიდოს აღელვებული.
მე ფეხაკრეფით შევიპარები,
შევიპარები ნაზად ხატებთან,
ვით გიახლნენ სულის კარები,
გზნება ჩაფხულის მომემატება.
მე განა ხატებს მოვეფერები,
შენ გელოდები, აბა, რა მინდა,
ეთარც ეკლებზე დავირეკები,
ჰეი, სადა ხარ?! უკვე დაბინდდა.

ასეთსავე ექსტაზს განიცდის მამია ვარშანიძე ლექსში „უცებ საიდან შემომეფეთე?“

აღდგომა... სანთლებს ანთებენ დიდ-დიდს,
ვინ ქრისტეს, ვინ ხატს აკოცა ჯზნებით,
ო, ღმერთო, ღმერთო, მე შენი ბედი
აღრე გავკვეთე... დავგმე ის გზები.
მაშ რად მოვედი?! მოვედი ისე,
ჩავეკერი ხატებს, ცქრიალა ხატებს,
იმ ხატს თვალებით მე ჩავეფინე (!)
ეხატე და ვხატე...

შემდეგ პოეტი წერს:

მე ვარ უფალი. მე ვარ ხელმწიფე,
აბა, ვინ არის აქ ჩემი ტოლი?!

შენ სიყვარულს, გენაცვალე,
ვერ დამშლის ღმერთიც!

მორევში რად შემიტყუე
ან:

და ერთად ღმერთსაც შევეჭიდებით.

შენც ჩემთან წამო

ცოტა არ იყოს უხერხულიც კია, რომ სერიოზულად გვიხდება ლაპარაკი ასეთ ვითარებაზე.

რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი პოეზიის დანიშნულებას რელიგიის ქადაგებაში ხედავს. ლექსში „შენ, მე და ისინი“ იგი წერს:

რა აქნებოდა პოეზია უანგელოზოდ
ან ანგელოზი უპოეზოდ.

პოეზიის ასეთი გაგება რამდენადმე აღარიბებს მ. ვარშანიძის კრებულს „ჟუჟუნა წვიმის“ შინაარსსა და ფორმას, რაც საკმაოდ გამოცდილ პოეტს არ ეპატრება.

მ. ვარშანიძე თავის ვიწრო პირადული განცდების მღვიმეში ჩაკეტილა და თითქოს არ სურს დაინახოს, თუ რა ხდება მის ირგვლივ. ლექსების ნახევარზე მეტი ავტორს სტრფოსადმი მიუძღვნია. ლექსში „შენ ფერია ხარ უნაზესი, ლამაზი ქალი!“ პოეტი წერს:

მე მირჩევნია პატიოსან ქვრივთან ვიხარო(!).
ვეფხვრა უკანონი სამოჯღნერო საგალობელი.

ეს მოსაწყენი და ერთფეროვანი „სიბრძნე“, უაღრესად მარტივ ჭეტგრულ სამოსელში არის გახვეული.

პოეტის რელიგიური აღტყინება, ათეისტისა და მორწმუნე, კაცის განცდათა თავისებური ნარევი სიყვარულის თემასაც განსაკუთრებულ იერს აძლევს.

პოეტი ხშირად იმეორებს ერთსა და იმავე გამოთქმებს. მაგალითად:

ბაღის მშვენებავ, გაჩენილო ნიუ-დაუნსად

იმ ლამეს.

მე იქ ბაღში ვიპოვე ჩემი ნიუ-დაუნსი.

ჯერ სიმღერა არ მითქვამს ჩემი ნიუ-დაუნსის

მებაღეს.

ჭკნებოდა ჩემი ნიუ-დაუნსი

მებაღეს.

ფრთა-მოკვეთილად დაეცემა ნიუ-დაუნსთან

დაწუნარდი, გულო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ასე შემდეგ.

მამია ვარშანიძის ენა კუთხური გამოთქმებითა და სიტყვებით არის დამძიმებული. აი, რამდენიმე მაგალითი:

> მე შემიძლია შენი გულის ცოდვები ვწიკო. ჰო, აღარ მოხვალ? რატომ? ქინაზე?

ამ საკითხებს განსაკუთრებული სიმკაცრით იმიტომ შევეხეთ, რომ ჩვენი აზრით მამია ვარშანიძეს შესწევს უნარი თავი აარიდოს მსგავს რელიგიურ სახეებს, მით უფრო, რომ მისი წინანდელი ლექსები ასეთ შენიშვნებს ნაკლებად იმსახურებდნენ. მამია ვარშანიძე ავტორია ისეთი ლექსების კრებულისა, როგორიც არის სანგრებში დაწერილი „მებრძოლის სიმღერები". ახალ კრებულშიც არის დაბეჭდილი ლექსები — სამშობლოს დიდების ჰიმნი — („ნუ გამიჩენ ჭრილობებს", „შენი ბაში-აჩუკი ვარ", „ძაპურებს და წყაროს მასმევს..."). გვხვდება კოლორიტული, ნათელი განწყობით დაწერილი ლექსებიც, მაგალითად, „მენახშირის ბიჭი". პოეტის ამ ლექსების გვერდით დაბეჭდილი ბევრი ლირიკული თუ რელიგიური წიაღსვლა ანაქრონიზმის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო მირიანაშვილი

პაოლო იაშვილი

მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში პაოლო იაშვილი დარჩა, როგორც ნატიფი გრძნობისა და მაღალი შემოქმედებითი ოსტატობის მქონე პოეტი. ხანმოკლე იყო მისი ცხოვრების გზა. პოეტს არ დასცალდა თავისი მძლავრი ნიჭი მთლიანად გაეშალა და არც თუ ისე დიდია მისი მხატვრული მემკვიდრეობა, რომლის გამო კარგად თქვა პოეტმა ირაკლი აბაშიძემ: „პაოლო იაშვილის ლექსი სპადოდან ნიმუშად წამოღებულ ძვირფასი მადნის ნატეხს ჰგავდა, ან მარნიდან საჭაშნიკოდ მოტანილ ღვინოს“. მიუხედავად ამისა, პაოლო იაშვილი ამ მცირე „ჭაშნიკითაც“ დამსახურებულად ჩადგა ქართული პოეზიის მაღალნიჭიერ ოსტატთა რიგში და მკითხველი საზოგადოების მოწონება და აღიარება მოიპოვა.

პაოლო იაშვილი დაიბადა 1894 წლის 29 ივნისს სოფ. ზოვრეთში (ზესტაფონის რაიონი). ბავშვობა გაატარა სოფელ არგვეთში. იგი მშობლებმა 1903 წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. პაოლო ბავშვობიდანვე გატაცებით დაეწაფა ლიტერატურას, ჯერ კიდევ გიმნაზიის მოწაფემ გამოიჩინა პოეტური ნიჭი და მხატვრული შემოქმედებისადმი ინტერესი. იგი აქტიურად თანამშრომლობდა მოწაფეთა სალიტერატურო ჟურნალში, ხოლო 1911 წელს 17 წლის ჭაბუკი ფართო სალიტერატურო ასპარეზზეც გამოდის და გაზეთ „კოლხიდაში“ აქვეყნებს ლექსებს.

გიმნაზიის უკანასკნელი კურსიდან პაოლო იაშვილი ქ. ანაპაში გადავიდა და იქ დაასრულა სწავლა. იმ ხანად იგი გაიტაცა მხატვრობამ, გაემგზავრა პარიზს და შევიდა ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში. პარიზში ახლო მეგობრობა დამყარა დეკადენტური განწყობილებების გამომხატველ მწერლებთან და ხელოვნების მუშაკებთან, რამაც დიდი კვალი დაჩნია მის შემდგომ ლიტერატურულ მოღვაწეობას.

პარიზში მყოფი პოეტი აქტიურად თანამშრომლობს ქართულ სალიტერატურო პრესაში, რომლის ფურცლებზე აქვეყნებს ინფორმაციული ხასიათის წერილებს, ლექსებს, თარგმანებს. პაოლო იაშვილი ახლო გაეცნო კ. ბალმონტს და მნიშვნელოვანი როლიც

ითამაშა ბალმონტის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საქმეში.

რევოლუციამდელი ქართველი ინტელიგენციიდან პაოლო იაშვილი ერთ-ერთი პირველი მიესალმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და მხატვრული შემოქმედებითაც და პრაქტიკული საქმიანობითაც მთლიანად რევოლუციის მხარეზე დადგა.

პოეტის მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა და ჭეშმარიტი პოეტური შემოქმედება ადრევე აღინიშნა მთავრობის ჯილდოთი: იგი 1936 წელს, ქართველ მწერალთაგან ერთ-ერთი პირველთაგანი, დაჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

პაოლო იაშვილი გარდაიცვალა 1937 წლის 22 ივლისს. დასაფლავებულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

პაოლო იაშვილის შემოქმედება უაღრესად საინტერესოა როგორც ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით, ასევე თანამედროვე მკითხველზე იდეურ-ესთეტიკური ზემოქმედების ძალითაც. მისთვის დამახასიათებელია იდეური სიმკვეთრე და დახვეწილი ფორმა, საზოგადოებრივ საკითხებზე ღრმად ჩაფერქრება და გამომსახველობითი ორიგინალობა.

რთული და წინააღმდეგობებით მოცული შემოქმედებითი გზა გაიარა პაოლო იაშვილმა. იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა როგორც რეალისტი, მალე სიმბოლიზმს დაუკავშირდა. ხოლო ბოლოს მტკიცედ დამკვიდრდა სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე. ესთეტიკური პოზიციის ასეთი ცვალებადობა უმტკივნეულოდ რიდი მომხდარა. პირიქით, იგი შედეგი იყო მძლავრი შინაგანი ბრძოლებისა და შეუნელებელი შემოქმედებითი სწრაფვისა.

პაოლო იაშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ორი მსოფლმხედველობრივი ნაკადი — სიმბოლისტური და რეალისტური — ერთმანეთისაგან შეიძლება გაიმიჯნოს პოეტის ცხოვრების კონკრეტული პერიოდებით. რევოლუციამდელი შემოქმედება დადდასმულია სიმბოლიზმით, ნაწილ საბჭოთა პერიოდის ნაწარმოებები ემყარება სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებით მეთოდს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პაოლო იაშვილი შემოქმედების პირველ პერიოდშიც რიდი იყო დასრულებული სიმბოლისტი. მის შემოქმედებაში მაშინაც მძლავრად იჩენდა ხოლმე თავს რეალიზმი და სწორედ რეალისტურ ნაწარმოებებში ამყოვანებდა პოეტი თავისი ნიჭის ძალას.

1911 წელს გაზეთ „ცოლნიდაში“ (№ 59) გამოქვეყნდა პაოლოს პირველი ლექსი „ღმერთო, ღმერთო“, რომელშიც 17 წლის ჭაბუკმა პოეტმა საგულისხმოდ გამოხატა იმ დროის საზოგადოებრივი ვითარება და თავისი დამოკიდებულება მისადმი. ამ ლექსში აშკარად ჩანს პოეტის სულიერი ტანჯვა, მაგრამ ეს უკიდურესი მწუხარება განსაზღვრული ერვნული და სოციალური ფაქტორებით, რაც ამ ლექსს პატრიოტული ლირიკის რკალში აქცევს. ამით ახალგაზრდა პოეტი ეხმაურებოდა თავის დიდ წინაპრებს — ილიას, აკაკის, ვაჟას და უფროს თანმედროვეებს — დემოკრატ მწერლებს.

საზოგადოებრივი ვითარების შეცვლამ და რევოლუციურ ძალთა ახალმა აზვირთებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა პაოლო იაშვილის შემოქმედებაში და ნათელი ოპტიმიზმით გამსჭვალა იგი. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს 1913 წელს იმავე გაზეთ „ცოლნიდაში“ (№ 32) გამოქვეყნებული ლექსი „წითელი დღე“. აქ პოეტი აშკარად გამოხატავს პროტესტს არსებული სოციალური სინამდვილის წინააღმდეგ, ხალხს მოუწოდებს ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად და სწამს, რომ ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის აუცილებლად გამარჯვებით დასრულდება.

ასეთი განწყობილებით შემოვიდა პაოლო იაშვილი ქართულ პოეზიაში. მაგრამ ამ პროგრესულმა ნაკადმა ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში ვერ

ჰპოვა შემდგომი განვითარება. დამოუკიდებელი, ორიგინალური პოეტური ხმის ძიებით გატაცებული ჭაბუკი კამერულმა მოტივებმა გაიტაცეს, რაც თანდათანობით გადაიზრდა საფრანგეთიდან და რუსეთიდან შემოსულ სიმბოლიზმში. 1913 წელს ჟურნალ „ოქროს ვერძში“ (№ 5) პაოლო იაშვილი აქვეყნებს ლექსს „მეორეს“. აქ პოეტი სრულიად ეთიშება სოციალურ პრობლემატიკას, განზე დგება საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და თავის იდეალს სატრფოსთან განმარტოებულ განცხრომაში ხედავს.

ამ პერიოდში პაოლო იაშვილი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სატრფიალო ლირიკას. წერს და აქვეყნებს ლექსებს, სადაც გადმოცემულია მხოლოდ ხორციელი ტკბობის პოეზია. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ელენე დარიანის ფსევდონიმით გამოქვეყნებული ლექსებისათვის.

სიმბოლიზმი პაოლო იაშვილის შემოქმედებაში თანდათანობით გამოკვეთილ სახეს იღებს და პოეტი გაურბის სინამდვილეს, შთაგონებას ლანდებისა და მოჩვენებების სამყაროში ეძებს (ლექსი „ლანდი სიცივეში“).

სიმბოლიზმის პროპაგანდასა და სიმბოლისტი პოეტების პოპულარიზაციას ემსახურებოდა პაოლო იაშვილის მრავალი ლექსი და თეორიული წერილი. იგი, ერთი მხრივ, ქედს იხრიდა სიმბოლისტი მწერლების წინაშე, ხოლო მეორე მხრივ ბრძოლას უცხადებდა მსოფლიო კულტურის აღიარებულ კლასიკოსებს: დანტეს, შექსპირს, ბეთჰოვენს. ერთ-ერთ ლექსში პოეტი აშკარად ავლენს თავის მეამბოხე ბუნებას: სურს გაიაღოს ცეცხლი და გადაბუგოს ყველაფერი, რაც მის ესთეტიკურ კონცეფციას არ ეთანხმება.

პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი
დანტე,
ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს
უარი.
რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთხოვენი მხოლოდ
ყრუ არი
და რომ წარსულმა ვერ გადმომცა მე
ანდამატი.

ეფიქრობ ლექსებით ჩქარი და ხან გველივით
ხანდ[illegible]
მაგრამ ყოველთვის მირჩევნია ცეცხლი
ანთება,
ჩემი ოცნების ნაპერწკები ხალხს
გადაეფანტ
და უკვდავება ცივ ხელებით მე მელანდება.

„ცისფერი ყანწების“ მანიფესტში (რომლის ავტორიც თვითონვე იყო) გადმოცემული თეორიული პოზიციის პრაქტიკული განხორციელება სცადა პაოლო იაშვილმა იმ პერიოდის ლექსებში. ლექსში „სევდიანი ზურმუტტი“ პოეტი გვერდს უვლის სოციალურ პრობლემატიკას, თემას ლეგენდების სფეროდან იღებს და მთელ მსჯელობასაც აბსტრაქტულ ხასიათს აძლევს.

პოეტი ზოგიერთ ლექსში ხატავს რაღაც შემზარავ სანახაობას, რომელსაც მოცლებული აქვს კონკრეტული სახე და მეითხველზე ვერავითარ ზემოქმედებას ვერ ახდენს. სინამდვილის ამგვარ წარმოდგენას პოეტი ბუნებრივად მიჰყავს ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფაზე. სურს მოსწყდეს დედამიწას, ზურგი შეაქციოს საზოგადოებას და მიაშუროს ცას. მისი აზრით, ყველაფერი ის, რაც ამ ქვეყანაზეა, „ჩვენ გვიგზავნის ყვითელ სიკვდილს“, მარადიული ცხოვრება კი მხოლოდ ცაშია, ამიტომაც ხოტბას ასხამს „მზის ცხოველებს“, რომლებიც ქვეყნად დადიან და თრგუნავენ დედამიწის მკვიდრთ (ლექსი „წითელი ხარი“).

მიწიერი ცხოვრების უარყოფამ და იდეალის ცაში ძებნამ პოეტი მიიყვანა სიკვდილის აპოლოგიამდე. ოცდათი წლის ახალგაზრდა უკვე გრძნობს დაღლას და ოცნებობს სიკვდილზე. მისი არსება ნისლში იკარგება, უქრება მომავლის იმედი, ცრუდდება იდეალები და ამქვეყნად ყოფნა უაზრო ხეტიალად ესახება. ასეთი განწყობილებები რელიეფურად არის გადმოცემული ლექსებში „თორმეტი წლიდან აღარ მაცლიდნენ“, „მე ვკითხავ ვინმეს“ და სხვ.

ანდრო მირიანაშვილი
პაოლო იაშვილი

ასე გვესახება ძირითადად პაოლო იაშვილის რევოლუციამდელი (ე. წ. სიმბოლისტური პერიოდის) შემოქმედების ერთი მხარე, მაგრამ პოეტის მხატვრული მემკვიდრეობის გულდასმით შესწავლა აშკარას ხდის, რომ სიმბოლიზმი არ არის პაოლო იაშვილის პოეტური ამპლუა. სიმბოლიზმი მისთვის ერთგვარ ნაძალადევ ნიღაბს წარმოადგენს, რომელშიც ვერ თავსდება სიცოცხლის მოყვარული ადამიანის მღელვარე გული, ბობოქარი გრძნობა. იგი სამყაროს რეალიზმის პოზიციებიდან აღიქვამდა. სავსებით სწორად წერდა გერონტი ქიქოძე: „უნდა ითქვას, რომ არც პაოლო იაშვილის გარეგნობაში, არც მის სულში არაფერი იყო დეკადენტური: ვეგეტნებოდათ, ის სიმბოლისტური და დეკადენტური პოეზიის სკოლას უფრო თავით მიემხრო, ვიდრე გულით... ის უფრო აკაკი წერეთლის ანდერძის დამცველად გამოდგებოდა, ვიდრე მის დამრღვევად“ [1]. და მართლაც, დროდადრო პაოლო იაშვილი უბრუნდებოდა რეალიზმს და რეალური ცხოვრებიდან აღებულ თემებზე ჰქმნიდა საუკეთესო ნაწარმოებებს. აქ უკვე ლაღად შლიდა ფრთებს პოეტის ფანტაზია და ლექსის ბუნებრივ მდინარებაში აისახებოდა ავტორის ღრმა მოქალაქეობრივი შეგნება, პატრიოტული სულისკვეთება. აქ პოეტი გვერდს უვლიდა ხელოვნურ, უმიზნო ორნამენტირებას და ცხოვრებისეული ნათელი სახეებით გამოხატავდა მოვლენების არსს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგი და რუსი სიმბოლისტებისაგან განსხვავებით „ცისფერყანწელები“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ პატრიოტულ მოტივს, რამაც გამოხატულება ჰპოვა პაოლო იაშვილის პოეზიაშიც.

პაოლო იაშვილმა თავიდანვე ყურადღება მიიქცია, როგორც საუკეთესო პორტრეტისტმა. იგი გამოკვეთილ, ნათელ სახეებში წარმოსახავდა მოვლენებისა თუ პიროვნების ჭეშმარიტად დამრულებულ სურათს. პაოლო იაშვილმა დავით კლდიაშვილს უძღვნა ლექსი, რომელშიც მოკლედ, სულ რამოდენიმე მაღალმხატვრული ფრაზით დაახასიათა დავით კლდიაშვილის პიროვნება და შემოქმედება. ეკითხულობთ ამ ლექსს და ჩვენს ცნობიერებაში კვლავ აღდგება დავით კლდიაშვილის ბრწყინვალე ოსტატობით დახატული სახეები.

ასეთივე ზედმიწევნით დასრულებული პორტრეტი დახატა პაოლო იაშვილმა ნიკო ლორთქიფანიძისა. ლექსში კარგად არის გადმოცემული დიდი ქართველი პროზაიკოსის რაინდული სულისკვეთება და კეთილშობილური მოქალაქეობრივი სახე, რაც პოეტის შთაგონების წყაროდ ქცეულა.

მართალია, პაოლო იაშვილის პირველი პერიოდის ნაწარმოებებში ზოგჯერ წინა პლანზეა წამოწეული ეროტიზმი, მაგრამ მას აქვს ისეთი ლექსები, სადაც მოხდენილ მხატვრულ სახეებში არის გამოხატული სიყვარულის ნაზი გრძნობა, მართლაც კდემამოსილი დამოკიდებულება სატრფოსადმი. ასეთებია ლექსები „მარიან წერეთელს“ და „სონეტი ელის“.

ამ ლექსებმა პაოლო იაშვილს ნიჭიერი პოეტის რეპუტაცია მოუპოვეს და ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატთა მოწონავე რიგებში ჩააყენეს. სიმბოლიზმი და დეკადენტიზმი კი მის შემოქმედებაში მხოლოდ ერთგვარ მღვრეიშენაკადად დარჩა.

პაოლო იაშვილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მე-20 საუკუნის ქართული ლექსის რეფორმაციის საქმეში. მან გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ფორმა განაახლების გზად მიიჩნია და უყოყმანოდ გაჰყვა მას. ამ გზაზე მას ჰქონდა საგულისხმო ძიებები და მნიშვნელოვანი მიღწევებიც.

ამრიგად, ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე პაოლო იაშვილმა ყურადღება მიიქცია, როგორც ერთ-ერთმა ნიჭიერმა და ორიგინალურმა პოეტურ ხმის მქონე შემო-

[1] გერონტი ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, ტ. I. 1963 წ., გვ. 311.

ქმედა. მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ პაოლო იაშვილის ცხოვრებაც და შემოქმედებაც სრულიად ახალ გზაზე დააყენა. მის მოღვაწეობაში იწყება ახალი ხანა, იწყება არა უბრალოდ ახალი შემოქმედებითი პერიოდი, არამედ მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატის ნამდვილი ბიოგრაფია. თუ ადრე პოეტი თემებს მირაჟების სამყაროში ეძიებდა, ახალმა დრომ ახალი პერსპექტივები გადაშალა მის წინაშე.

პაოლო იაშვილი ყოველგვარი დაეჭვების გარეშე, პირველ დღესვე აღფრთოვანებული მიესალმა რევოლუციას და უყოყმანოდ დადგა ახალი ცხოვრების მხარეზე. მან 1921 წლის 25 თებერვალს მშრომელი ხალხის გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ სახელდახელო მიტინგზე, თბილისის ყოფილი თვითმართველობის ივნიდან ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვაში გამოხატა სამშობლოს ბედით ღრმად დაინტერესებული მოწინავე ქართველი ინტელიგენციის აღფრთოვანება უდიდესი ისტორიული მოვლენის გამო და მოუწოდა მთელ ხალხს ჩამდგარიყო რევოლუციის სამსახურში, საბჭოთა რუსეთთან ერთად, ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრების შშენებლობის სამსახურში. პოეტის ეს რევოლუციური სულისკვეთება კარგად არის გამოხატული ექსპრომტად ნათქვამი ლექსის სტრიქონებშიც.

ახიის კარო! ფერად ბაღებით.
ლურჯი ცის თაღით ხარ დაფარული!
ხარობს გმირული ბაირაღებით
შენი წარსული ლეგენდარული!
არ გაშინებდა ბილწი მონობა,
მზეს მოგაფინა ოქროს ფარჩები;
შენ არ გინდოდა სხვის პატრონობა,
თავისუფალი მუდამ დარჩებ.
შენს ჯვაროსნობას ჩვენ ვეთანხმებით,
შენი ბერობით ვართ ავსებული,—
მაშ ავაფეთქოთ ახალ ნაღმებით
ძველი ქვეყანა დახვავებული.
მზად არის თოფი! მზად არის ხმალი!
მტერს ჩვენ ვეყოფით მარტო კბილებით.
დავაგვირგვინოთ ჩვენ მომავალი
წითელ რუსეთის დამშობილებით.

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 30 მარტი.

პაოლო იაშვილის ეს სიტყვები ლეტონი განცხადება როდი იყო. ისინი ნათქვამი იყო გულის სიღრმიდან და მის ბოლამდე მოქმედების პროგრამას წარმოადგენდა. იგი გატაცებით ჩაება ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის გაჩაღებულ პრაქტიკულ საქმიანობაში. მას საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელი თანამშრომლობა მიაჩნდა ყველა მწერლის უპირველეს მოქალაქეობრივ მოვალეობად და აქედან მოუწოდებდა ყველა თანამოკალმეს. ჯერ კიდევ 1921 წლის მარტში პაოლომ წაიკითხა მოხსენება „რევოლუცია და ხელოვნება“, სადაც თქვა: „ამრიგად, ხელოვნება ითანამგზავრებს რევოლუციასთან ერთად და იქნება საგანძო, რომლის სადარაჯოზედაც ყოველთვის ცდილობდნენ მდგარიყვნენ ქართველი პოეტები, რომლებიც მიისწრაფოდნენ შეენახათ რევოლუციის ყველა მონაპოვარი“ [1]. მის შემოქმედებაშიც წინა პლანზე წამოიწია მოქალაქეობრივმა მოტივებმა. პოეტს აღფრთოვანებს ახალი დროის გმირული სულისკვეთება და რევოლუციური პათოსის გამოხატვაში ხედავს მხატვრული სიტყვის უპირველეს დანიშნულებას. იგი თანამოკალმეებს მოუწოდებს შემოქმედებითი გადახალისებისა და დროის შესაფერის გარდაქმნისაკენ. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დღეებში არის აგრეთვე დაწერილი პაოლო იაშვილის შემდეგი სტრიქონები:

ვინც გიტაცა ახალ ძიებამ,
გადაქცეულან რკინის კაცებად.
ნუთუ პოეტებს ბეეპატიება
ახნაურული გაზარმაცება.
ამხანაგებო, ნუ გეზარებათ
ჩამოცილება ძველი ფუსკვების,
დროა გადიქცენ ოქროს ზარებად
აცრემლებული ჩვენი ლექსები.

პოეტი და ადამიანი

ამ გულწრფელი სიტყვებით პოეტმა თითქოს ანგარიში გაასწორა წარსულთან, როცა რეალურ ცხოვრებაზე გულ-

---

ანდრო მირიანაშვილი
პაოლო იაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გატეხილი. მოჩვენებების სამყაროში ეძიებდა თავშესაფარს.

პაოლო იაშვილის პოეზიაში ამჯერად უკვე განსაკუთრებულ ადგილს იკავებს პატრიოტული მოტივი, რაც სოციალისტური პოზიციებიდან არის წარმოსახული. პოეტი თამამად იჭრება საზოგადოებრივი ცხოვრების გულში და თავისი სიცოცხლე სურს სამშობლოს კეთილდღეობას მოახმაროს.

პაოლო იაშვილმა ნამდვილი საბჭოთა პოეტის სულისკვეთება გამოხატა 1924 წელს ლენინის გარდაცვალების გამო დაწერილ ლექსში „ლენინ“. ახალი ცხოვრების გულწრფელი მომღერალი პოეტი მხატვრულ სახეებში გადმოსცემს მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხის ღრმა მწუხარებას კაცობრიობის ბრძენი ბელადის გარდაცვალების გამო და მას უერთებს თავის გულითად სვედასაც. მაგრამ მწუხარე ხმები ვერ ჩრდილავს ლექსის საერთო ოპტიმიზმს, რომელიც ემყარება რწმენას, რომ უკვდავია ლენინის საქმე, რომ მშრომელთა ბედნიერებისათვის ბრძოლის გზაზე არასოდეს ჩაქრება ლენინის გენიის მიერ ანთებული ჩირაღდანი. პოეტს სწამს, რომ ლენინის გარდაცვალებით გამოწვეული სვედა ახალი მძლავრი სტიმული გახდება კომუნისტური საზოგადოებისათვის ბრძოლის დიდ გზაზე და წუთით ჩამდგარი ოქტომბრის ქარი უფრო მძლავრად დაპბერავს. ლენინის გლოვა, ეს ნათელი დადასტურებაა ლენინის იდეების განხორციელებისათვის მზადყოფნისა. ამის გამო პოეტი ამბობს:

ლენინის კუბოს მინდა ახლა შემოვსიონ
ჩემი ლექსები, ვით მტირალი ჩუმი
ბავშვები.
ამხანაგებო, ჩადგა წუთით ოქტომბრის ქარი,
ვიმღეროთ ერთად, პოეტებო, მარში
გლოვისა.

ამ ლექსით პაოლო იაშვილმა ქართულ პოეზიაში ერთ-ერთმა პირველმა ასახა ლენინის სახე. ლენინის თავდადებული ბრძოლა მშრომელთა კეთილდღეობისათვის გადმოცემულია, აგრეთვე, ცოტა უფრო გვიან დაწერილ ლექსში „ერთ ვის ბულული“.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის წარმატებით შენებამ კიდევ უფრო გააძლიერა და განამტკიცა პოეტში მებრძოლი განწყობილებები და უფრო მეტი პოლიტიკური სიმკვეთრე მისცა მის პოეზიას. მას ალარ აკმაყოფილებს გუშინდელი მიღწევები და ახალ-ახალი საგმირო საქმეებისაკენ მიეწევა გული. მან იცის, რომ „გუშინ ნაშენი დღეგანდელისთვის უკვე ძველია“. თუ ასე არ მიუდგა პოეტი თავის საქმესაც, მისი „სიტყვები რკინის“ გადაიქცევა „ყაყლო მიწად“. პოეტის ვალია უმღეროს ახალ ცხოვრებას და უშუალო მონაწილეობა მიიღოს მის შექმნაში: მან მართალი სიტყვა უნდა მიიტანოს მშრომელებამდე და ენთუზიაზმი გააძლეიროს მათში. მხოლოდ მართალი სიტყვაა საჭირო, მხოლოდ იგი დარჩება დიდხანს.

სიტყვა მართალი გულმოდგინებით
ვთქვათ და ეს სიტყვა დიდხანს დარჩება.
პოეზიის ინვინრებს

სოციალისტური ინდუსტრიის მშენებლობა აღაფრთოვანებს პაოლო იაშვილს. იგი წინასწარ შეჰხარის იმ ნათელ დღეებს, „როდესაც მაღალ ქარხნის მილიდან იფეთქებს გუნდი შავი შაშვების“. და „მდინარეების ყოველი წვეთი გადაქცევა წყრიალა შუქად“. ყოველივე ამისთვის კი საჭიროა თავდადებული შრომა, ყოველდღიური გარჯა; ბედნიერება დამკვიდრდება მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ერთი სურვილით იბრძოლებს მისთვის „და ჩვენს დღეებში არასდროს ერთი დღეც არ ჩაივლის ხალხისთვის უქმად“. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება „დამპალ ყარაიაში ციების კოღოს გადაშენება“, და „მცხეთას მიაჯენს სახლებს ჩვენი თბილისი“.

პოეტი ნათლად ხედავს, რომ ამ ბრწყინვალე მომავლისთვის ყოველგვარი პირობები უკვე არსებობს, ნათელ მომავალს სჭედავს თავისუფალი შრომა.

პაოლო იაშვილი მხოლოდ პოეზიით ცხოვრობდა. მისი სათუთი გრძნობა და

მშფოთვარე სული მხოლოდ პოეზიაში ჰპოვებდა შვებას. ლექსში „პოეზია“ პოეტი წერდა:

> გაგიეგება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის
> მადანი,
> და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქვეში ვეღარ
> დახვდები,
> ლექსო, გულიდან ხორცად რომ ხარ
> გამონატანი,
> თუ უნაპიროდ, სამუდამოდ არ გაჩაღდები.
>
> არის მკვლელობა, არის ომი, არის ხანძარი,
> მიწის ძვრა, ჭირი, ტყეში ყოფნა მარად
> თელებად,
> მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი,
> როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება.

ამიტომ იყო, რომ იგი ასე სათუთად უფრთხილდებოდა „სიტყვის მადანს“ და უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყოველ ლექსს, ყოველ სიტყვას, გულმოდგინედ მუშაობდა მასზე და მხოლოდ შემდეგ გამოჰქონდა მკითხველთა სამსჯავროს წინაშე. აკი თვითონვე ამბობდა:

> რამდენი თვალი უნდა მჭონდეს, რომ ყველა
> ვნახო,
> რამდენი გული უნდა მჭონდეს, რომ ვიგრძნო
> ყველა,
> რამდენი სახე მე თვით უნდა გავაპარტახო,
> რომ ერთი ლექსი დამრჩეს წმინდა, როგორც
> ჰეპელა.

ყოველდღიურად კიდევ უფრო იხვეწებოდა პაოლო იაშვილის შემოქმედება, კიდევ უფრო ახლო მიდიოდა პოეტი საბჭოთა სინამდვილესთან და მთელი გატაცებით უმღეროდა ხუთწლედების გმირ საბჭოთა ხალხს. ამის გარეშე მას სიცოცხლე ვერც წარმოედგინა.

> აი აქ არის, მეგობრებო, ის ასპარეზი,
> რაც ბედმა მისცა ამაღლებულ გონებას
> ჩარნოდ.
> არც უკეთესი, ჩემო ძმებო, არც უარესი,
> არ გვიძღვნია ახალგაზრდა სულისთვის
> სარჩო.
>
> **მწვერვალებიდან**

მას სწამდა, რომ ახალმა დრომ არნახული გაქანება მიიღო და მისი შეჩერება შეუძლებელია. ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა ლექსი „მწვერვალებიდან“, რომელიც მთავრდება ასეთი ცხოვრების სადიდებელი ჰიმნით:

> ასეთ ცხოვრებას ვერ დაუდებს საათი ვადას,
> და ასეთ მკერდსაც ვერ შეშოკავს
> დაბეჩავება.
> შრომაში, ომში, ქარიშხალში — ვიქნებით
> სადაც,
> ყველგან სიცოცხლის ქადაგებად უნდა
> ჩავებათ.
> მწვანე ფოთოლი, ფრინველის ხმა, წყაროს
> წკარუნი,
> ქალის წამწყმა — ხომ სულ მცირე
> სანუკვარია,
> მაგრამ როდესაც აიტაცებს მათ სიხარული,
> ყველა მათგანი მარადიულ ციხის კარია.

პაოლო იაშვილი ყოველთვის დროულად ეხმაურებოდა სოციალისტური ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენებს. მის შემოქმედებაში აისახა იმ დროის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, რასაც კი ადგილი ჰქონდა ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში. პოეტი შთაგონებული ლექსებით უმღეროდა ჩვენი ხალხის გმირულ შრომას და პრაქტიკული საქმიანობითაც გვერდში ედგა მოწინავეებს.

ერთ ლექსში პაოლო იაშვილი წერდა: „ლექსად იქცევა, რაც გამიტაცებსო“. მისი გატაცების საგანი კი მხოლოდ თანამედროვეობა იყო, მისი ოცნება მხოლოდ ახალ გმირულ სინამდვილეს დასტრიალებდა. სოციალისტური მშენებლობით აღფრთოვანებული პოეტი გატაცებით ხატავდა სამშობლოს ეკონომიური და კულტურული წინსვლის სურათებს. ამის ერთი საუკეთესო ნიმუშია 1935-37 წლებში შექმნილი ლექსების ციკლი „ახალი კოლხიდა“, რომელშიც მაღალმხატვრულ პოეტურ სახეებში დახატულია საქართველოში სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის შთამბეჭდავი სურათები.

პაოლო იაშვილის მძაფრი პატრიოტიზმი ორგანულად არის შერწყმული პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან.

ანდრო მირიანაშვილი

ამის თვალსაჩინო მაგალითებია ლექსები: „ოვანეს თუმანიანი“, „უკრაინელი ქალის სიმღერა“, „წინ, ესპანეთის გმირული ხალხო“ და სხვა. პოლიტიკური ლირიკის საუკეთესო ნიმუშია მისი „ანდრე ჟიდს — მოღალატეს“.

მაღალი მხატვრული ოსტატობით არის დაწერილი პაოლო იაშვილის წმინდა ლირიკული ლექსები. მათში შესანიშნავად ჩანს მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი, თავისი ძლიერი განცდებით და ჰეშმარიტად ადამიანური ენებებით. ეს ლექსები წარმოადგენენ თავისებურ ეტიუდებს, სადაც მძაფრი ლირიზმით არის გადმოცემული ბუნების მშვენიერების პოეტური განცდა და ადამიანის სულის მოძრაობის ცალკეული მომენტები.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში პაოლო იაშვილმა წარმატებით დაიწყო მუშაობა საბავშვო თემატიკაზე. მან ამ დარგში სულ რამდენიმე ნაწარმოები შექმნა, მაგრამ ისინი დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობენ პატარა მკითხველებში. „მედეას ლეკვი“ და „ოთარ შოფერი“ ქართულ საბავშვო ლიტერატურაში გამოირჩევა ბავშვის რთული ბუნების ღრმა ცოდნით და შთამბეჭდავი პოეტური სახეებით.

პაოლო იაშვილი ძირითადად ლირიკოსი პოეტია. მისი მშფოთვარე ბუნება თითქოს ვერ ეგუებოდა ეპოსს, მაგრამ შემდგომ მის შემოქმედებაში თანდათანობით იჩინა თავი ეპიურმა საწყისებმა. პოეტი თემებს იღებს სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის სინამდვილიდან, რომლის ყოველმხრივი გაშლა და სრულყოფილი ასახვაც პატარა ლირიკულ ლექსში ძნელია. ამიტომ იგი ქმნის ლექსების ციკლს, ხოლო შემდეგ ეპოსი მის პოეზიაში დიდ ადგილს იჭერს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ლექსი „სამასი არგვეთელი“, რომელშიც უკვე ნათლად ჩანს პოემის ხასიათი, პოემისათვის დამახასიათებელი სიუჟეტი და პერსონაჟები. ამ მხრივ ეს ლექსი შეიძლება ერთგვარ ლირიკულ პოემადაც მივიჩნიოთ.

პაოლო იაშვილი აპირებდა პოეტურ დაწერას ალიოშა ჯაფარიძის რევოლუციურ მოღვაწეობაზე, მან გამოიმეორა პოემის „გზა მშვიდობისა“ ნაწილი.

პაოლო იაშვილმა ჯერ კიდევ ადრე სცადა კალამი პროზაშიც. პოეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში შემორჩა ორი მოთხრობა „სამი ტკივილი“ და „ფერადი ბუშტები“. ისინი დაწერილია ფსიქოლოგიური სიმძაფრით და პროზაიკოსის ნიჭზე მეტყველებენ.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან დაწყებული სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე პაოლო იაშვილი ორიგინალურ შემოქმედებით მუშაობასთან ერთად გატაცებით ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. მან ქართულ ლიტერატურას შესძინა რუსი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებთა უდავოდ მაღალი ოსტატობით შესრულებული თარგმანები. პაოლო იაშვილმა რუსული მხატვრული სიტყვის დიდი გენიის პუშკინის ნაწარმოებებს მოუძებნა შესაფერი ქართული ფორმა და ქართველ მკითხველს შშობლიურ ენაზე გააცნო პუშკინის მრავალი ნაწარმოები.

პაოლო იაშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იყო უდიდესი ვაჟკაცური სული და გმირობის აპოლოგია.

> როგორც აფრის ტკაცუნი,
> მოვარდნილი ზღვიდან,
> ისეთი ვაჟკაცური
> გაქროლება მინდა, —

წერდა პოეტი და ახალი ვაჟკაცური გაქროლებისათვის ემზადებოდა. მაგრამ მან თავისი სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა მაშინ, როდესაც შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში იყო. ადრინდელი ნაწარმოებები თვით პოეტს უფრო დიდი შემოქმედების ერთგვარ შესავალად მიაჩნდა. შემთხვევითი არ იყო, რომ პაოლო იაშვილს სიცოცხლეში არც ერთი წიგნი არ გამოუცია. იგი ემზადებოდა ახალი შეტევისათვის პოეზიის ფრონტზე, „მას უზარმაზარი გეგმები ჰქონდა დასახული.

ამ განუხორციელებელი გეგმების გათვალისწინება კიდევ უფრო ამაღლებს ჩვენს თვალში პაოლო იაშვილს, კიდევ უფრო მეტი მწუხარებით განვიცდით, რომ ჩვენი ეპოქის დიდი მესიტყვე მსხვერპლი გახდა გაუგონარი რეპრესიებისა 1937 წელს, „როცა საქართველოზე კაენის სულის აღზევებამ გადისრიალა“ (ირ. აბაშიძე).

პაოლო იაშვილის პორტრეტი არ შეიძლება სრული იყოს, თუ მხედველობის გარეშე დარჩა მისი პირადი ცხოვრება. გ. ქიქოძე წერდა: „პაოლო იაშვილი ძველი დროის რაფსოდებს და ტრუბადურებს ჰგავდა: მისი პოეტური ნიჭის დაფასება არ შეიძლება მარტოოდენ დაბეჭდილი ლექსების მიხედვით. ის იყო იმპროვიზაციის ჯადოქარი, რომელიც უწინარეს ყოვლისა აუდიტორიის სმენას ხიბლავდა. მას ვერავინ შეედრებოდა დიდ სადღესასწაულო სუფრაზე. მისი სიტყვები შინაარსიანი და გონებამახვილი იყო ერთსა და იმავე დროს, აქ ის თითქოს თავისთავს ჭარბობდა“.

პაოლო იაშვილი თანამედროვეთა ხსოვნაში დარჩა და შთამომავლობას გადაეცა როგორც დიდი ადამიანური ღირსებებით შემკული, ბავშვივით უცოდველი გულის პიროვნება. მისი შემოქმედება კი ქართული საბჭოთა პოეზიის ძირითად ფონდში დამკვიდრდა.

ანდრო მირიანაშვილი

პაოლო იაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაღვა რაჭიანი

პოეტი და მებრძოლი

მირზა გელოვანის ნაწარმოებთა კრებულის გამოცემის გამო

მირზა გელოვანმა ოცდაშვიდ წელზე ნაკლები იცხოვრა. მისმა გულწრფელმა, თვითმყოფადმა ლექსებმა, მოუსვენარმა ცხოვრებამ და ტრაგიკულმა დასასრულმა ერთი მთლიანი გამოკვეთილი სურათი შექმნა ჭეშმარიტ პოეტზე. გულწრფელი და მძლავრი გრძნობით სუნთქავს მისი სიტყვა. ეს იყო გამოწვეული არა მხოლოდ მისი ნიჭით, არამედ შეუნელებელი შემოქმედებითი ძიებებით.

მირზა გელოვანმა სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ. პირველი მისი ლექსები დათარიღებულია 1933 წლით, ხოლო უკანასკნელი — 1944 წლით. ამ დროის განმავლობაში იცვლებოდა მისი შეხედულება ცხოვრებასა და ადამიანებზე, ვითარდებოდა და იზრდებოდა თვითონ პოეტი. სამამულო ომის მესამე წელს ბრძოლაში დაეცა იგი გმირული სიკვდილით, როგორც სამშობლოს მოსიყვარულე და თავდადებული შვილი.

მირზა გელოვანის ლექსები — ეს არის პოეტური სიმღერები ახალგაზრდობაზე, მეგობრობაზე, გმირობაზე, სიყვარულსა და სამშობლოსადმი თავდადებაზე. მ. გელოვანის ლექსები გვახარებენ ცხოვრების მოვლენების მრავალფეროვანი და ღრმა წარმოდგენით, პოეტური სახეების სიმდიდრით და ორიგინალობით. მისი ლექსები დაწერილია ბუნებრივად, ყოველგვარი სიყალბის გარეშე, მას ახასიათებს რომანტიკული პათოსი, სახეების სინათლე, ლაკონიზმი, ხაზგასმული ვაქაცური ტონი. იგი თავისი პოეზიის შინაარსით არ არის შეზღუდული, არც ინტონაციით არის ერთფეროვანი. მისი პოეზია თავისუფალია წვრილმანისაგან, შემთხვევითობისაგან, მის ლექსებში ვგრძნობთ მაღალი პოეზიის ძალას.

მირზა გელოვანის შემოქმედება გამოირჩევა ტემპერამენტით და ფერადოვნებით. დრამატიზმის გრძნობა, ახრის კონკრეტულობა, ექსპრესია და ემოციურობა — აი, მისი სტილის და-

მახასიათებელი ნიშნები. იგი უწყვეტად იმყოფებოდა მოძრაობის, აღმავლობის, ზრდის პროცესში. ეს იყო გზა პოეტი-მოქალაქის მომწიფებისა. დადებითი გმირი ამ ლექსებისა არის ახალგაზრდა, რომელიც შეყვარებულია ცხოვრებაზე და რომლის წინაშეც გადაშლილია სინამდვილე მთელი თავისი მრავალფეროვნებით.

მ. გელოვანის პირველი ლექსები დაიბეჭდა ახალგაზრდობის ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალში „ჩვენი თაობა". ამის შემდეგ იგი ხშირად აქვეყნებდა თავის პოეტურ ნაწარმოებებს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში.

ამ წლებში დაწერა მ. გელოვანმა თავისი საგულისხმო პოეტური ნაწარმოებები — „ხევსურული ნანა", „აონი", „ილიას ობელისკთან", „აქ შეეჯახა საკაკაძეს არაგვის ლომი", „ასეთი იყო ქართლის ხეობა", „თორღვა", „შავლეგო", „გალაკტიონ ტაბიძეს", „ეკეას ეზოში მოკლული ჩხიკვი", „ფანდურში", „სამშობლოს", „შაგნაბადა", „ბალადა ვარძიის მშენებლისა".

1939 წლიდან მ. გელოვანის ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა, ამ წელს ვიაწვიეს იგი ჯარში, ხუთ წელზე მეტი გაატარა ლაშქრობაში. იყო ბესარაბიის განთავისუფლების მონაწილე (იხ. მისი „სამხედრო შოფრის დღიურიდან"). შემდეგ — უკრაინაში, ბელორუსიაში. ყველგან გარს ერტყა ტყვია და ცეცხლი. მ. გელოვანს ჭქონდა საშუალება ზურგში დარჩენილიყო. მაგრამ არ ისურვა და ისევ ფრონტს მიაშურა. დისადმი მიწერილ წერილში იგი აღნიშნავდა: „აი, დეკემბერი თავდება და მეხუთე წელი მიდის, რაც დაგშორდით თქვენ, თბილისს, პოეზიას, ასე მგონია ზოგჯერ: ახალგაზრდობაც გაივლის და გამოვფიზზლდები ნახევარ გზაზე ჩემი ცხოვრების და დამეწანება ჩემი წლები — ჩემი დაუწერელი წიგნები, მოუცლელობით რომ ვერ დავწერე. „ყოველთვის მოცლას ვუცდიდი, ნეტამცა არ მომეცადა", — **გახსოვს გურამიშვილი?"** (მ. გელოვანი — „უბის წიგნიდან", 1964 წ. გვ. 267). მ. გელოვანი ჭეშმარიტი პოეტი იყო. თავისი შემოქმედებით, თავისი ინტერესებითა და ცხოვრებით.

ახალგაზრდა პოეტი სერიოზულად ეკიდებოდა პოეზიას და დიდი მომთხოვნი იყო თავისი თავისადმი. „ჩვენი ლექსები ვერ მაკმაყოფილებენ მე და ალბათ მივატოვებ მათ წერას, ვიდრე ვერ ვიპოვნი გასაღებს, რომელიც გახსნის ჩემს მგრძნობიარე გულს და აჩვენებს მომავალ თაობებს, როგორ გარბოდნენ გულზე დღეები, ღამეები და სტოვებდნენ კვალს, მილიონებისათვის ნაცნობს" (იქვე, გვ. 167).

ფრონტზე მყოფი მირზა გელოვანი მაინც ნახულობდა დროს დაეწერა ლექსები და ხშირად მიეწერა წერილები მშობლების, დებისა და მეგობრებისათვის. ეს წერილები — ძვირფასი ადამიანური დოკუმენტები — მებრძოლი პოეტის განცდებისა და შეხედულებების ერთგვარი შეჯამებაა.

ჯარში ყოფნისას მირზა გელოვანი ოცნებობდა შეექმნა წიგნი, რომელიც „იქნება გამომშვიდობება ყველაფერთან, რაც ასე აღელვებდა ჩემს ახალგაზრდობას, რომელსაც ექნება ჩემი თაობის ყველა ხასიათი და იდეა" (იქვე, გვ. 242), მაგრამ დროის უქონლობის გამო მან განზრახვა ვერ შეასრულა. მაინც: იმ მცირე დროს, რომელსაც იგი პოულობდა, ლიტერატურულ შრომას უძღვნიდა. „ვწერ დასვენებაზე, ვწერ ძილის წინ, ან კრებებზე, თუკი ისეთ ადგილს მოვახერხე დაჯდომა, თავმჯდომარემ რომ ვერ შემნიშნოს. ვწერ დღიურად დგომისას — დაღლილი და უძილო" (იქვე, გვ. 242).

მ. გელოვანი მტკიცე რწმენის ახალგაზრდა იყო. მას სჯეროდა თავისი შემოქმედებითი ძალისა, შემოქმედებითი შესაძლებლობისა. მიუხედავად ჯარისაკაცის მკაცრი ცხოვრებისა, იგი მაინც იმედით შეჰყურებდა თავის მო-

---

შალვა რადიანი
პოეტი და მებრძოლი

მავალს: „მე მაქვს იმედი, რომ არასოდეს დავიკარგები ისე, რომ ჩემი კვალი არ დარჩეს. ეხეც ბედია, ზოგი წიგნიდან სწავლობს ცხოვრებას და მაინც შორიდან წუხს განცდილზე, მე კი ყველაფერი ჩემი ძარღვებით გადამაქვს შუდამ და მაინც იმედიანი ვარ, ისინი სკოლებს ამთავრებენ, მე ცხოვრება მასწავლის თავად. პროპორცია სხვადასხვაგვარია, მაგრამ მაინც — თანასწორი. იქნება ჩემმა გადასვლიოს“ (იქვე, გვ. 232). მართლაც, მ. გელოვანი ფლობდა ცოცხალ შთაბეჭდილებათა ამოუწურავ მარაგს, გრძნობათა დაუხარჯავ ძალებს.

მირზა გელოვანი დაეცა ბრძოლის ველზე 1944 წლის ივლისში ჩვენი ჯარების დასავლეთის დვინაზე გადასვლის დროს, დაუსაფლავებიათ გზის პირას, ტყეში, სოფელ ქვემო კრივინოს მახლობლად. 1952 წელს კი სხვა დალუპულ მებრძოლებთან ერთად იგი გადაუსვენებიათ სანიკის (ვიტებსკის ოლქი, ბეშენკოვიჩის რაიონი) ძმათა სასაფლაოზე.

ყოველი წლის 22 თებერვალსა და 9 მაისს ბელორუს პიოხერებს მის საფლავზე მიაქვთ ყვავილები, როგორც სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაცემული გმირისათვის.

მ. გელოვანმა ვერ მოასწრო თავისი დიდი ლიტერატურული მიზნის განხორციელება.

ფრონტიდან გამოგზავნილი ლექსები ბრძოლის ეპიზოდებთან ერთად გვაცნობენ მ. გელოვანის მგზნებარე სულისკვეთებას, უდრეკ ნებას. იგი ასე მიმართავს მეგობარ პოეტს:

ამაღამ მტერთან მომიწევს შეხვა,
და იქნებ ტყვიას ვერ გადურჩები.
ამაღამ ჩემი სენტური მუხლი
მე შემახვევიდრებს მტერთა ბლნდაკებს.
დღეს ჩემი იყო საღამოს მწუხრი,
ხვალ იქნებ ჩემთვის არც ირიყრაკებს.
...და ვისაც ყოფნის მტკიცე იმედი,
არ შორდებოდა ძალლინემიხდილს,
ვინც იწვა თოვლში სიკვდილის გვერდით
და მტრის საფარში ბგზნიდა სიკვდილს.
ვინც მომაკვდავ ძმას განშორდა ქარში
სახეს უსისხლოს და განაოცებს,
ვინც იარაღთან მოვიდა ბავშვი,
და ახლა შუბლზე ითვლის ნაოკვებს, —
მას შეუძლია ბავშვობის ზიარს
გისაყვედურის, გაგაცინოს შორით,
თუ სიტყვა შენი არა ჰკვეს ტყვიას,
ამ სასტიკ ომში ჩვენგან გასროლილს

ეს განწყობილება განსაზღვრავს მ. გელოვანის მთელ პოეტურ ხმას. თავის ლექსებში მას მრავლად შეაქვს საბრძოლო-ავტობიოგრაფიული ფაქტები და შემთხვევები.

მ. გელოვანი მკითხველს იტაცებდა გრძნობათა სიმდიდრით და ესთეტიკური გამომსახველობის სიახლეთი. მისი „ომის ლირიკა“, ციკლი ლექსებისა ომზე, მებრძოლის ცხოვრების, ბრძოლის. ადამიანური განცდების ღრმა გამომთქმელია.

ჭეშმარიტი, მაღალი პოეზიის სიშმაოლოდ მ. გელოვანს მიაჩნია ფანდური. მისი თქმით, ამ ვავრცელებულ ხალხურ საკრავზე ამღერებდნენ თავიანთ ლექსებს ჩვენი სახელოვანი წინაპრები. ქართული სიტყვის გამოჩენილი ოსტატები. ახალგაზრდა პოეტიც მიმართავს ფანდურს. მან კარგად იცის, რომ ფანდური ეს „ხალხის გულია“ და მასზე ლექსის დამღერება მოითხოვს სიწმინდესა და კეთილშობილებას. ფანდურს უნდა შეეხოთ მაშინ, როცა გულში ვიგრძნობთ „ჩანჩქერებად სიმღერებისა და ლექსთა მრავლობას, რომ იმ ფანდურებს, ჩვენს სახსოვრად ხალხს რომ დარჩება, მოკრძალებულად უკქერდეს შთამომავლობა“.

მ. გელოვანის სიმღერები მიძღვნილია სამშობლოსადმი. მშობელი ხალხისა და ქვეყნის სახე მას განუშორებლად თან დაჰყვება. „ზღვა მელნად და რკინა კალმად უნდა გქონდეს, საქართველოს სიყვარულზე ლექსები რომ ვწეროთო, — უთხრა მან ერთხელ ლადო ასათიანს“ (ნ. აგიაშვილი — „ჭაბუკები დარჩნენ მარად“. გვ. 130). ბრძოლის ველზე პოეტს ესმის სამშობლოს ხმა, ყველა სახალხო და გმირული საქმე დაკავშირებულია სამშობლოსთან.

ლექსებით, რომლებიც მიძღვნილია სამშობლოსადმი, მ. გელოვანი დაკავშირებულია ქართული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებთან. ხალხს, მისი ცხოველმყოფელი ინტერესების სამსახურში ხედავს პოეტი თავის მოწოდებას; სხვა ლექსებში იგი აცოცხლებს წარსულში ქართველი ხალხის მიერ შექმნილ სახეებს. ამ ხასიათის ნაწარმოებებში მას მდიდრად აქვს გამოყენებული ხალხური ლექსის ფორმები, პოეტური თქმები. იგი ბუნებრივად ნახულობდა კავშირს წარსულსა და თანამედროვეობას შორის.

ახალგაზრდა პოეტისათვის ბუნებრივი თემაა სიყვარული. მირზა გელოვანი უმღერის სიყვარულს, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც ადამიანისათვის მოაქვს ბედნიერება, ამაღლებული განცდები. ბედნიერება, სიხარული. პოეტის ცხოვრებაში არ ყოფილა ისეთი მომენტი, რომ იგი გულგრილი ყოფილიყოს ამ მარადიული გრძნობისადმი. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მ. გელოვანი ახლად იწყებდა შემოქმედებას, იგი უკვე მთანამქმული იყო სიყვარულის სტენიით („გზაში“. „თხოვნა ხეებს“, „სიმწვანის მხარეში“, „ხრეშად დაცვიდა სიტყვები“, „თეთრი მიწა“. „სახლი № 8“. „ოჯეკ წყნარად“); შემდეგაც, დავაკაცების ხანაშიაც, ეს გრძნობა მისთვის ორგანული და ძლიერი იყო („მთვარე“. „მწყემსის მუქარა“, „უცნობ წუხილს გვახვევდი“, „შემოდგომება სპბადურზე“. „ალა, ძვირფასო“. „მახსოვს“. „ექვსჯერ ჩამოსკრა მწყანე საათმა“); სიყვარულისაგან გამოწვეული პირადი განცდები არ ტოვებდნენ პოეტს მძიმე ვითარების პირობებშიაც. სამამული ომის ფრონტზე („ჩემს მიწურ ქოხში“, „მელოდე“, „ო, მაპატიეთ“, „კვლავ ცოცხალი ვარ“, „მე მინდოდა იავნანა“, „სადგურზე“); მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ლექსიც სწორედ სიყვარულს შეეხებოდა („მე ეს გრიგალი ვერ წამაქცევდა“). ამ ლექსების უმრავლესობაში საუბარია ტრაგიკულ, უარყოფილ სიყვარულზე. მაგრამ თავისი ნებისყოფის მეოხებით პოეტი მზად არის გაცარუებული სიყვარულის განცდები გადაბარეშოს საკუთარ გულში. ხოლო ადამიანებს ელაპარაკებოდეს გმირობაზე და ცხოვრების სილამაზეზე.

მ. გელოვანი ხშირად მიმართავდა ბალადას. „ათნ“, „შავლეგო“, „თორღვა“, „ბალადა ვარძიის მშენებელისა“ ტიპიური ბალადებია თავისი შინაარსით და ფორმით. მაგრამ ისინი არ არიან დაკავშირებული რომანტიკულ ბალადებთან, რომლისთვისაც ნიშანდობლივი იყო ელეგიური ტონი, ფანტასტიკა, კავშირი ლეგენდებთან. თანამედროვე პოეზიაში ბალადა მატარებელია ვმირული შინაარსისა, გამსჭვალულია მებრძოლი პათოსით.

თავისი შემოქმედების განვითარების გზაზე მ. გელოვანი ორგანულად იყო დაკავშირებული ქართული ხალხური შემოქმედების ტრადიციებთან. მრავალ მის ლექსში მკითხველი შეიცნობს ხალხური შემოქმედების ცხოველმყოფელ ძალას. საკმარისია დავასახელოთ მისი ისეთი ლექსები, როგორიცაა „თოშის ქალი წყარობა“. „გზაში“. „ხევსურული ნანა“, „შავლეგო“, „შავნაბადა“ განსაკუთრებული სიღრმით მან აითვისა ხალხური ლექსის, ხალხური სიმღერების ფორმა, ლექსიკა, სტილი. იგი ღრმად ჩაწვდა ცოცხალ ქართულ სიტყვას, იმ სისადავეს და ბუნებრიობას, რაც დამახასიათებელია ხალხური შემოქმედებისათვის. ამასთანავე არ ბაძავს ხალხურ ლექსს. ეს ნაწარმოებები გვიჩვენებენ პოეტის უნარს ხალხური ლექსის სულის გადმოცემისა, მაგრამ ამავე დროს იგი უარყოფს უბრალო სტილიზაციას. სისადავე, ბუნებრივი ინტონაცია შეადგენს ამ ლექსების ღირსებას.

მ. გელოვანის შემოქმედების თავისებური მხატვრული მანერა განისაზღვრება მიწერაფებით, იდეური შინაარსი გახსნას რომანტიკულად გამახვილებული სახეებით. იგი გაურბის საერთო ფრაზეოლოგიას. მას არ ახასიათებს განზრახ გართულებული, გაუგებარი

შალვა რადიანი
პოეტი და მებრძოლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შედარებები. დაუვიწყარი და დასრულებული მხატვრული სურათია:

წინ გადაუდგა მორბენალს ხევი.
და კლდებს შერჩით ჩოხის ნახევი.

ასე მოკლედ და ეფექტურად გადმოგვცემს პოეტი ადამიანის დაღუპვას. ასევე მდიდარია მხატვრული სახეებით ეს ლექსიც:

მთვარე წყალზე დასალევად ჩავიდა,
მაგრამ ვერ-კი დალია.
და ჩვენ ორნი, წამოსული ფშავიდან,
მივადექით დარიალს.
ახლა მთაზე მხოლოდ ჯიხვნი არიან,
შუქს ელიან შუნები.
იქ დამიცდი, მე ხევს ჩავალ ქარიალ,
ჩემი დანიშნულებით.
ქარი კვის, ქარი შავად ფაფარს შლის,
ხანაც ტირილს აპირებს.
მე ხევს ჩავალ, მთვარეს წრიაპს ჩავაწვდი,
აღმართს გაიადვილებს.

მირზა გელოვანის ნაწარმოებთა კრებული ნთელი დადასტურებაა ჭეშმარიტი ნიჭისა. რომ დასცლოდა, პოეტი ბევრ კარგ ლექსს შემატებდა ქართულ პოეზიას და მთელი სისრულით გამოამჟღავნებდა თავის შემოქმედებით ძალას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჯურაბელიძე

„ორმოცდაათიანელთა“ სექტის იდეოლოგიის რეაქციული არსი

რელიგიას კაცობრიობის შორეულ წარსულში აქვს გადგმული ფესვები. რელიგიისა და რელიგიური დღესასწაულების წარმოშობის მიზეზი იყო პირველყოფილი ადამიანის უძლურება ბუნების სტიქიური ძალების წინაშე.

პირველყოფილ ადამიანს ბუნების მოვლენების ნამდვილი მიზეზები არ ესმოდა და მათ ზებუნებრივ თვისებებს მიაწერდა.

ყველა ძველ, წარმართულ რელიგიაში ვხედებით მზის, მთვარის, ცცხლის, მცენარეების, ცხოველების, ბუნების სხვა საგნებისა და მოვლენების გაღმერთებას.

სწორედ პირველყოფილი ადამიანის მიერ ბუნების ძალების გაღმერთება და ამ ძალების თაყვანისცემის ცერემონია წარმოადგენს ქრისტიანული რელიგიური სწავლების წარმოშობის წყაროს.

ლოცვა-ვედრების გარდა ქრისტიანობამ ძველი სარწმუნოებიდან მემკვიდრეობით მიიღო მსხვერპლთშეწირვისა და სხვა რიტუალური წეს-ჩვეულებანი. ჯერ კიდევ საკმაოდ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ეკლესიაში არ დადიან და არც რაიმე რიტუალს ასრულებენ, მაგრამ რელიგიური ცრურწმენით არიან შეპყრობილნი.

ვინ არიან ეს ადამიანები?!

თბილისში, ბარათაშვილის ქუჩაზე მეცამეტე ნომერში ერთ ჩაბნელებულ ოთახში რამდენიმე კაცს მოუყრია თავი. ოთახის შუაგულში მაგიდას მისხდომიან ტიმოთე ბიზაევი, არაქელ ხემჩიანი, ალექსი სლივკოვი დ „ძმა“ ქალაქ სმოლენსკიდან. ერთ მათგანს ხელში შავყდიანი წიგნი უჭირავს, დანარჩენები სულგანაბული მისჩერებინ მას. „ორმოცდაათიანელთა“ სექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ტ. ბიზაევი ხრიწწიანი ხმით იწყებს კითხვას. დამსწრენი, რომლებიც კედლების გასწვრივ სკამებზე სხედან, მთელი მონდომებით იმეორებენ მის სიტყვებს.

გადის დრო... ბიზაევის ჩახლეჩილი ხმა გაბმულად ისმის საერთო ღადაში. გაურკვეველ, საერთო ბურტყუნს შიგადაშიგ ტირილი ერევა. რამდენიმე ადამიანი მუხლებზე ეცემა და უაზროდ გოდებს. ისინი თითქოს დამუნჯდნენ და სიტყვების ნაცვლად რაღაც გაურკვეველ ცხოველურ ბგერებს გამოსცემენ. შეშლილი, არაადამიანური სახეები... უაზრო მოძძრაობები...

ეს რელიგიური ფანატიკოსები „ორმოცდაათიანელები“ არიან.

რა არის სექტანტობა?

ქრისტიანობა, ეგუებოდა რა სხვადასხვა ისტორიულ, საზოგადოებრივ და

პოლიტიკურ პირობებს, მრავალ მიმდინარეობად დაიყო. ორმოწმუნეთა რელიგიურ გაერთიანებებს, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანაში გაბატონებულ ეკლესიას ან რელიგიურ მიმართულებას გამოეყვნენ, სექტებს უწოდებენ.

სექტები ყველა მსოფლიო რელიგიაში არსებობს: ქრისტიანობაში, ისლამში, ბუდიზმში. მათი წარმოშობის მთავარი მიზეზები კლასობრივ წინააღმდეგობებში უნდა ვეძიოთ, რაც მთელ ექსპლოატატორულ საზოგადოებას, მთ შორის რელიგიურ ორგანიზაციებს ძტრულ ჯგუფებად ყოფს. სექტების წარმოშობა გარეგანი იდეოლოგიური გამოხატულებაა იმ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კლასობრივი დაპირისპირებისა, რომლებიც ერთსა და იმავე რელიგიას აღიარებენ.

სექტაში მოხვედრის დღიდანვე ხდება სექტის ახალი წევრის „დამუშავება". სექტის ახალმა წევრმა უნდა გაიაროს საკონტროლო ვადა. როდესაც პრესვიტორი დარწმუნდება ახალი წევრის რელიგიურ ფანატიზმში, მხოლოდ მაშინ ხდება მისი „განბანვა ცოდვებისაგან". ამის შემდეგ იგი სექტის წევრად ითვლება. განბანვა ხდება მდინარეში, ზღვაში ან რომელმე წყალსაცავში. ამ დროს პრესვიტორი ლოცულობს, რათა განბანოს უფალმა ახალი წევრის ცოდეული სული ცოდვებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცერემონიალი ზამთარში ტარდება.

„ორმოცდაათიანელები" ერთ-ერთი ყველაზე რეაქციული და აკრძალული რელიგიური სექტაა ჩვენს ქვეყანაში. ჩვეულებრივი მორწმუნეებისაგან განსხვავებით, ისინი უარყოფენ ჯვარს, არ ცნობენ ეკლესიას; ღვთის სამსახურის ადგილი თვით ჩვენს ცალებშიაო,—ამბობენ ისინი. „ორმოცდაათიანელები" ოთახებში ლოცულობენ, უარყოფენ ძღვდელს. მათ ხელმძღვანელს ჰქვია პრესვიტორი; იგი სამოქალაქო ტანსაცმელს ატარებს.

„ორმოცდაათიანელები" უარყოფენ მთელ რიგ რელიგიურ დღესასწაულებს და რიტუალებს. ისინი, რა თქმა უნდა, საერთოდ ვერ უარყოფენ რელიგიურ კულტს, რადგან რელიგიური კულტის გარეშე არ არსებობს რელიგია.

მთავარ რელიგიურ დღესასწაულად ამ სექტას მიიჩნია „სულიწმინდის" მოსვლა, ანუ „სულიწმინდის მოფენა". ბიბლიური მითოლოგიის მიხედვით, ქრისტეს მოწაფეებს თითქოს ქრისტეს აღდგომის ორმოცდამეათე დღეს მოევლინათ „სული წმინდა", რომელმაც მათ ყოველივე გაანდო. „ორმოცდაათიანელებს" სწამთ, რომ ხანგრძლივი და გულმხურვალე ლოცვით შეიძლება მორწმუნეს სექტანტს ასევე მოევლინოს „სული წმინდა", ანუ როგორც ისინი ამბობენ, შეიძლება მასში „ ჩასახლდეს სული წმინდა". აქედან წარმოსდგება სექტის სახელწოდებაც.

„ორმოცდაათიანელთა" ლოცვა ადამიანთა ფიზიკურ და გონებრივ ტრავმას იწვევს. ექსტაზში შესული სექტანტები ტირიან, კივიან, ოხრავენ, ბორგავენ, ზოგი კედელ ახლის თავს. ამ დროს ისინი თითქოს „უცხო ენაზე" ლაპარაკობენ, მაგრამ რას წარმოადგენს ეს უცხო სიტყვები, არავინ იცის.

1907 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა ეგრეთ წოდებული „ორმოცდაათიანელთა" სექტა. იქიდან სექტა გავრცელდა ნორვეგიაში, შვეციაში და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში.

1913 წელს ფინეთიდან „ორმოცდაათიანელთა" სექტა რუსეთში შემოიჭრა. „ორმოცდაათიანელთა" სექტის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჩვენს ქვეყანაში იყო ვინმე ვორონაევი, რომელიც 1927 წელს ოდესაში „ორმოცდაათიანელად" პირველ ყრილობაზე თავმჯდომარედ აირჩიეს.

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას „ორმოცდაათიანელთა" უმრავლესობა მტრულად შეხვდა. „ორმოცდაათიანელების" კულაკთა ნაწილი თეორგვარდიელებთან ერთად იარაღით ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას.

„ორმოცდაათიანელთა" სექტის მესვეურები სექტაში ახალ წევრთა ჩათრევისას ითვალისწინებენ ადამიანთა ეკონომიურ და მორალურ მდგომარეო-

ბას. თუ ადამიანს უჭირს, ანდა რაიმე უბედურება შეემთხვა, მაშინვე იქ გაჩნდებიან ეს ბნელეთის მოციქულები, ანუგეშებენ გასაჭირში ჩავარდნილს, ეხმარებიან მას ეკონომიურად და შემდეგ ოინდაათასობით ითრევენ სექტაში. პირველ ხანებში ადამიანი, ჩვეულებრივ, მერყეობს, ორჭოფობს, სწორედ ამ დროს სჭირდება მას დახმარება.

დიდ სამამულო ომამდე „ორმოცდაათიანელთა“ გავლენა მკვეთრად შესუსტდა, ბევრმა ჯგუფმა სრულიად შეწყვიტა არსებობა.

მხოლოდ სამამულო ომის წლებში (1941—1945 წწ.) „ორმოცდაათიანელთა“ სექტები ზოგ ადგილს ისევ ამოქმედდნენ. ჰიტლერული ჯარების მიერ ჩვენი ტერიტორიის დროებითი ოკუპაციის დროს „ორმოცდაათიანელები“ კვლავ გამოძვრნენ იატაკქვეშიდან და ყოველნაირად ცდილობდნენ დახმარება გაეწიათ გერმანელებისათვის. მაშინ, როცა საბჭოთა ხალხს საუკეთესო შვილები სამშობლოს დასაცავად იბრძოდნენ, „ორმოცდაათიანელთა“ პრესვიტორები ქადაგებდნენ, რომ ხალხს იარაღი არ აეღო ხელში. ღმერთის სახელით ისინი გერმანელ ფაშისტთა გამარჯვებას ქადაგებდნენ.

„ორმოცდაათიანელთა“ სექტას, როგორც კანონი, ხელმძღვანელობენ ყოველმხრივ გახარწნილი ადამიანები. „ორმოცდაათიანელთა“ მორალური სახე ძირითადად ამტკიცებს მათ ქადაგებათა ჭეშმარიტ არსს.

მაგალითი: ყოფილი პრესვიტორი არაქელ ხემჩიანი სამამულო ომის დროს გაწვეულ იქნა წითელ არმიაში. პირველი შესაძლებლობისთანავე იგი გერმანელ ფაშისტთა მხარეს გადავიდა, სადაც დაამთავრა ესესელთა უმაღლესი სადივერსიო სკოლა, რის შემდეგაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა და პოლონელ პარტიზანთა წინააღმდეგ ჩატარებულ ღონისძიებებში. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოს ღალატისათვის მას მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

1956 წელს არაქელ ხემჩიანი შეწყნარებულ იქნა ჰუმანური საბჭოთა კანონების მიერ და საშუალება მიეცა ეცხოვრა ისე, როგორც მილიონობით საბჭოთა ადამიანი ცხოვრობს. მაგრამ ის, როგორც გამოუსწორებელი ელემენტი, თავისი ბოროტი ზრახვების განსახორციელებლად სათავეში ჩაუდგა მორწმუნეგონებადაჩლუნგებულ ხალხს. ბევრი ახალგაზრდა ჩაითრია. სექტის შავბნელ საქმიანობაში. ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისათვის იგი იზოლირებულ იქნა ჩვენი საზოგადოებისგან ქ. რუსთავისა და თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელთა მოთხოვნით 1961 წლის 20 სექტემბერს. ასეთია თითქმის ყველა პრესვიტორის ბიოგრაფია, რომელთაც მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე დაუსახიჩრებიათ, თავიანთი ქადაგებით სწორი გზიდან აუცდენიათ ისინი და ხშირად ფსიქიურ აშლილობამდე მიუყვანიათ.

პრესვიტორები, როგორც წესი, არსად არ მუშაობენ, არ ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას, ცხოვრობენ სხვისი შრომით.

„ორმოცდაათიანელები“ უარყოფენ მართლმადიდებლური თუ კათოლიკური ეკლესიის წესებით ნათლობის ცერემონიალს, საერთოდ კი ნათლობას არ უარყოფენ. მათი მსჯელობის თანახმად, — სახარების თითქოსდა სწორი, ახლებური გაგების თანახმად — უნდა მოინათლოს მოზრდილი ადამიანი, როცა მას შეუძლია განმარტოს ამ რელიგიური აქტის მნიშვნელობა.

„ორმოცდაათიანელებს“ აქვთ აგრეთვე ერთ-ერთი ძირითადი რელიგიური დღესასწაული — ეგრეთ წოდებული „პურის გატეხვის“ რიტუალი. „წინასწარმეტყველი“ იღებს პურს, ტეხს მას ნაწილებად და ურიგებს „დებსა“ და „ძმებს,“ რომლებმაც უნდა შეჭამონ პურის ნატეხი და ზედ ღვინო დააყოლონ. პრესვიტორი ამტკიცებს, ეს პური ქრისტეს ხორცია, ღვინო კი სისხლია.

ოთარ ტურაბელიძე

„ორმოცდაათიანელთა“ სექტის იდეოლოგიის რეაქციული არსი

ამ რიტუალის ჩატარების დროს პრესვიტორი წელს ზემოთ შიშვლდება, წელზე შემოირტყამს თეთრ ნაჭერს და ვარცლში ფეხს ბანს სექტანტს; ეს უკანასკნელი მეორეს და ა. შ. ერთმანეთის ფეხს ბანვა „და-ძმობის“ დამამტკიცებლად ითვლება. შემდეგ კი იწყება კოცნა, ლოშნა, რაც გახურწნილებს საწინდარია. ხშირად პრესვიტორი აიძულებს თავის წევრებს დაანგრიონ ოჯახი, ანდა პირიქით, დაამყარონ ცოლმრუელი ურთიერთობა, მიუხედავად ქალ-ვაჟის სურვილისა.

„მაშინ მე და ჩემი მეუღლე ანატოლი ეგოროვი, — იწერება „ორმოცდაათიანელთა“ სექტის ყოფილი წევრი ნადია ზაკომორკინა, — ქ. გაგრაში ვცხოვრობდით და აი, დადგა საბედისწერო დღეც. ჩემმა დედამთილმა ელენე ეგოროვამ გვიან ღამით გამოგვიცხადა, გაგრიდან დნეპროპეტროვსკში უნდა გადავსახლდეთო.

მან აგვიხსნა, რომ ეს იყო თვით მამაზეციერის ნება-სურვილი, რაც ლოცვის დროს „სული წმინდის მოფენით“ შეიტყო მათმა „წინასწარმეტყველმა“.

სხვა ოჯახებთან ერთად ჩვენი ოჯახიც გადავიდა დნეპროპეტროვსკში. გვიან შევიტყვე, რომ ასეთი გადასვლები ადგილიდან ადგილზე სექტანტებისათვის არ იყო ახალი და უცხო. ეს გადასვლები მხოლოდ „წინასწარმეტყველთა“ სიტყვებზე დაყრდნობით ხდებოდა.

ჩემი ქმარი ანატოლი ეგოროვი, როგორც ფანატიკოსი „ორმოცდაათიანელი“ გახდა, დედამისის ელენე ეგოროვას გავლენით მოითხოვდა, რომ მეც სექტაში შევსულიყავი. ბოლოს და ბოლოს ქმარმა თავისი გაიტანა. მე სექტის წევრი გავხდი, თუმცა ნათლობა არ მიმიღია. ფეხმძიმე ქალი მთელი საათობით ვისმენდი შეშლილთა ლოცვებს. ქმარი და დედამთილი ჩემგანაც მოითხოვდნენ გამალებულ ლოცვას, ვითომდა მხოლოდ ამით უზრუნველვყოფდი ჩემი შვილის ბედნიერებას. ყოველი პარასკევი და კვირა სექტანტების ლოცვის დღეები — მარხვის დღეები იყო. ვგრძნობდი, რომ ყოველივე ეს დამღუპველად მოქმედებდა ჩემს ჯანმრთელობაზე. ერთხელ დაღლილსა და ძალგამოლეულს [illegible] ვაზე გულიც კი შემიწუხდა. „ეაზნო ბურტყუნნი გალეწჩებულ სექტანტებს ყურადღება არც კი მოუქცევიათ ჩემთვის, ალბათ ეგონათ, რომ მე ამ დროს, იატაკზე დამხობილს, „სული წმინდა“ მომევლინა.

ერთადერთი იმედი ჩემი მომავალი პირშეო იყო. იმედი მქონდა, რომ ის მაინც იმოქმედებდა ჩემს მეუღლეზე და აუხსნიდა მას თავლებს, მაგრამ მოვტყუვდი. როდესაც დედამთილმა და ქმარმა მტკიცედ მომთხოვეს პატარა ირინკასთან ერთად მეკლო სექტის შეკრებაზე, მე უარი ვთქვი. ჩემი ქმარი ძალით ფიქრობდა ჩემს დაყოლიებას, ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მომაყენა. რათა გაედევნა ჩემგან „ავი სული“ და ისე ჩავეთრიე სექტაში. მე იძულებული გავხდი მიმეტოვებინა ოჯახი და გაგრაში დავბრუნებულიყავი.

ჩემი გოგონა ახლა „დედას“ თავისუფლად ამბობს, მაგრამ მან არ იცის სიტყვა „მამა“. სად არის ირინკას 22 წლის მამა ანატოლი ეგოროვი? იგი „წინასწარმეტყველის“ სიტყვების თანახმად დნეპროპეტროვსკიდან ვორონეჟში გადავიდა, იქიდან ბორისოგლებში. თვის უკანასკნელ წერილში ანატოლი მარწმუნებს, რომ თუ მინდა ბედნიერება, მაშინ გაგრაში მოქმედ „ორმოცდაათიანელთა“ სექტაში უნდა ვიარო. რაც შეეხება მის დაპრუნებას კანონიერ მეუღლესთან და შვილთან, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მან მოურიდებლად შემატყობინა, რომ ახლა ცხოვრობს ისეთ ქალთან, რომელიც თურმე მასთან ერთად „ელაპარაკება ღმერთს“.

აი, რა არის სექტა. მან აუტანელი ტკივილები მომაყენა, უდროოდ დამაბერა, ახლად შექმნილი ოჯახი ძირშივე დამინგრია“.

გაგრის პანსიონატის თანამშრომელი
დაბ. 1937 წ.

„ორმოცდაათიანელები“ უმტკიცებდნენ სექტანტებს, „მეორედ მოსვლამდე“ სულ ცოტა დროა დარჩენილი.

ამიტომ ილოცეთ, იტანჯეთ, რომ არ იწვალოთ „იქ“, იმ ცხოვრებაშია. სადმდის მიჰყავს ადამიანი ამგვარ ქადაგებას, შეიძლება განვსაჯოთ შემდეგი მაგალითით.

ამ ცოტა ხნის წინათ ქალაქ ფრუნზეში „ორმოცდაათიანელთა“ თვი მოუთმენლად ელოდა ადგილობრივი წინასწარმეტყველის მიერ დანიშნულ საათს „ქრისტეს მეორედ მოსვლისა“ და აი, ის წუთიც დადგა, მორწმუნეებმა დატოვეს ოჯახები და გალობით გასწიეს მთებისაკენ, რათა პირველნი შეხვედროდნენ ქრისტეს. ისინი საღამომდის ლოცულობდნენ, ევედრებოდნენ ღმერთს დამოცხადებულიყო, მაგრამ ამაოდ. დაღლილი და მშიერი სექტანტები გვიან საღამოს დაბრუნდნენ სახლებში. იმედგაცრუებულთა გასამხნევებლად „წინასწარმეტყველი“ „მეორედ მოსვლის“ სულ ახალ და ახალ ვადებს ნიშნავდა.

„ორმოცდაათიანელები“ რამდენიმე დღეს მარხულობენ. ეს იწვევს ორგანიზმის დასუსტებას და როდესაც იწყება ველური ლოცვები, დაუძლურებული ორგანიზმი მოლად იფიტება.

„ორმოცდაათიანელთა“ ლოცვა-ქადაგებანი იწყება სახარების კითხვით, რის შემდეგ ისინი გალობენ ფსალმუნებს. შემდეგ ყველანი ეცემიან მუხლებზე და გულშემზარავად ყვირიან, ლოცულობენ — თვითეული მათგანი სთხოვს ღმერთს ჯანმრთელობას, ცოდვების მონანიებას, ევედრება — სამეში ხელი შემოწყვეო. მორწმუნენი თანდათან ვარდებიან რელიგიურ ექსტაზში; ყველას მოიცავს კოლექტიური ფსიქოზი, ისმის კივილი, ქვითინი. მორწმუნეებს ჭეროინათ, რომ ამ დროს სხეულს ტოვებს სული, და ღმერთს სულის დაბრუნებას თხოვენ.

რიგითი „ორმოცდაათიანელების“ უმრავლესობას სწამს, რომ ლოცვის დროს „მათ ეფინება წმინდა სული“. აქ სექტანტებს, როგორც ფსიქოლოგებმა და ფსიქიატრებმა დაამტკიცეს, ეწყებათ ჰალუცინაციები, რაც ფსიქიური აშლილობის შედეგია.

ასეთი ლოცვის დროს, როდესაც ერთერთ სექტანტს „კეთილი სული მოეფინა“, იგი ყვირილით გამოვარდა გარეთ და მდინარეში გადაეშვა; მისდა საბედნიეროდ მდინარე ღრმა არ აღმოჩნდა, იგი ასე იჯდა წყალში თითქმის ერთს საათს და რაღაც გაუგებარ სტიყვებს გაიძახოდა. ალბათ დილამდე ასე იქნებოდა, მილიციელს რომ არ ამოეყვანა წყლიდან. ამ სექტანტს ფილტვების აწოთება დაემართა, რისგანაც პენიცილინმა გადაარჩინა.

ასე ახშობენ „ორმოცდაათიანელები“ ადამიანის გონებას, ხდიან მას მორჩილ ყმად, უნერგავენ ყოველგვარ უაზრობას. ერთმა „წინასწარმეტყველმა“ დაარწმუნა რიგითი სექტანტი, რომ მას შეუძლია „სასწაული მოახდინოს“. სექტანტმა ეს დაიჯერა და ადიდებული მდინარის გადაცურვა მოისურვა, მაგრამ დაიღრჩო.

უმრავი ფაქტები მოწმობენ „ორმოცდაათიანელთა“ ანტისაზოგადოებრივ და ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას.

ისინი უნებისყოფო და გონებასუსტ ადამიანებს უქადაგებენ, რომ არ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში, არ დაესწრონ კინოსა და თეატრს, არ წაიკითხონ წიგნები, არ გაბედონ ჯარში წასვლა, არ შევიდნენ კომკავშირში, პარტიაში.

სექტანტებს — „ორმოცდაათიანელებს“ აკრძალული აქვთ ლამაზად ჩაცმა, მათ სიცილიც არ შეუძლიათ. ასეთია მათი მდგომარეობა, ადამიანი მთლიანად მოწყვეტილია მიწიერ სახარულს და სიამოვნებას. სექტანტი თანდათან მიუკარებელი ხდება, არა აქვს თავისი აზრები და თავისი „მე“. ამ ბოლო ხანებში სექტანტებმა ზოგიერთი აკრძალული ჩვეულა შეცვალეს. მაგალითად, მთელ რიგ სექტებში წვერებს ნება დართეს ატარონ საათი, ქალებს კი ნება მიეცათ ჩაიცვან მოკლე სახელოებიანი კაბები და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები. „ორმოცდაათიანელებმა“ ნება დართეს

ოთარ ტურაშელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექტანტებს, ისარგებლონ რადიოთი, მხოლოდ უნდა უსმინონ „ამერიკის ხმისა“ თუ „ბიბისის“ რელიგიურ გადაცემებს.

განსაკუთრებით ცუდ გავლენას ახდენენ სექტანტები ბავშვების ფსიქიკაზე. სექტანტი მშობლები შვილებს თავიანთ ყაიდაზე ზრდიან. ბავშვებს გაორებული ცხოვრება აქვთ: გაკვეთილებზე პასუხობენ ერთს, საღამოთი კი სამლოცველო სახლში სხვას აკეთებინებენ. ისინი პატარაობიდანვე ეჩვევიან ორპირობას, ტყუილს, ეგოიზმს, მლიქვნელობას.

„ორმოცდაათიანელები“ სპეციალურად მოზარდებისათვის სექტანტი აყალიბებენ ეგრეთ წოდებულ „კვირის სკოლებს“, სადაც მათ უკითხავენ ათასგვარ რელიგიურ ზღაპრებს. ასეთი აღზრდის შედეგად ბავშვებს თანდათან უჩლუნგდებათ გონება, ისინი უინიციატივონი, უსიცოცხლონი ხდებიან.

სექტანტი მშობლების აზრით მათმა ბავშვებმა სკოლაში მანამ უნდა იარონ, სანამ კითხვას ისწავლიან და ბიბლიის წაკითხვა შეეძლებათ; მეტი განათლება მათთვის არ არის საჭირო.

აი, კიდევ ერთი მაგალითი. „მამა სამამულო ომში დამეღუპა, — ყვება ნიკოლოზ გამრეკელი, დაბადებული 1940 წელს. — მე და დედა ომის მძიმე წლებში გორიდან დაბა აგარაში გადავედით საცხოვრებლად. დედამ შაქრის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მე მაშინ პატარა ბავშვი ვიყავი. სწორედ აქ დაუკავშირდნენ ჩვენს ოჯახს ქარხანაში მომუშავე სექტანტები და იგი სექტაში ჩაითრიეს. დროებითი სიძნელეებით გატეხილი ქალი სექტის აქტიური წევრი გახდა. იგი მოატყუეს მძიმე სულიერი განცდების დროს.

რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ რუსთავში გადმოვსახლდით. მე წარმოვაში ვმუშაობდი და თან დაუსწრებლად ვსწავლობდი მეტალურგიულ ტექნიკუმში. სწორედ ამ დროს უბედურება შემემთხვა; მუშაობის დროს ტრავმა მივიღე და შრომის მეორე ჯგუფის ინვალიდი გავხდი. ადვილი წარმოსადგენია ფიზიკურად ჯანმრთელი, ცხოვრებას მოწყურებული ახალგაზრდა ასეთ მდგომარეობაში. მე მძიმედ განვიცდიდი ყოველივეს. სექტანტებმაც არ დაიყოვნეს; დამშვიდება დამიწყეს და ჩემი სხეულიდან „სატანის“ გაძევებას შეეცადნენ.

მივატოვე სამუშაო, მივატოვე სწავლა, სისტემატურად დავდიოდი სექტაში. ჩემი მთავარი საზრუნავი გახდა ღვთაებისადმი ლოცვა-კურთხევით სულის შეწუნარება. ყველა მოთხოვნას, ყველა რიტუალს, რასაც ძმები ხემჩიანები მოითხოვდნენ, ზუსტად ვასრულებდი. რუსთავში მოქმედი „ორმოცდაათიანელთა“ სექტა მჭიდრო კავშირში იყო თბილისში მოქმედ სექტასთან, რომელსაც ტ. ბიზაევი და თ. ყელტკოვი ხელმძღვანელობდნენ“.

ყოველივე ამის მოგონება უსიამოვნებას გვრის სექტის ყოფილ წევრს. ამ-ქამად ქ. თბილისში არტელ „გამარჯვების“ მუშას ნიკოლოზ გამრეკელს.

საგულისხმოა ერთი ამბავი: სექტის დამაარსებელმა ი. ვორონაევმა 1930 წელს შეიგნო თავისი შეცდომა და უარყო „ორმოცდაათიანელთა“ რელიგიური სარწმუნოება, ის სექტა, რომელიც 1921 წელს თვითონ დააარსა. რიგითმა სექტანტებმა დღემდე არ იციან **ეს. ისინი** ახლაც სთვლიან ვორონაევს თავიანთ „წინასწარმეტყველად“. „ორმოცდაათიანელთა“ სექტის ხელმძღვანელები სექტის რიგით წევრებს უმალავენ ვორონაევის ამბავს, რომელმაც ყოველგვარი კავშირი გასწყვეტა რელიგიასთან.

ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა საზოგადოებამ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ბნელეთის მოციქულებს, ძირფესვიანად უნდა აღკვეთოს მათი მავნე საქმიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როინ მეგრელიძე

დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმის ზოგიერთი საკითხი

XII საუკუნის პირველ მეოთხედში თურქთა ბატონობისაგან საქართველოს საბოლოო განთავისუფლების საკითხი დადგა დღის წესრიგში. მართალია, ქვეყნიდან მტერი თითქმის განდევნილი იყო, მაგრამ საფრთხე მაინც მოსალოდნელი იყო, ვიდრე ამიერკავკასიის აღმოსავლეთი (შარავანი, რანი) და სამხრეთი (სომხეთი) თურქთა ხელში რჩებოდა და ვიდრე საქართველოსთან მიმდებარე ყაბალა-განძა-ანისში თურქები ბატონობდნენ. საქართველოს უშიშროების დაცვის საქმე მოითხოვდა ოვის გატანას ქვეყნის საზღვრებს გარეთ. კავკასიის მოძმე ხალხები თვითონაც ებრძოდნენ მომხდურ თურქებს და ყოველთვის მზად იყვნენ, მხარში ამოსდგომოდნენ მებრძოლ ქართველებს საერთო მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ამიერკავკასიის ხალხებს ერთი მისწრაფება ამოძრავებდათ — განედევნათ თურქი დამპყრობლები მათი მიწა-წყლიდან, რასაც ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანება მოჰყვებოდა. გამაერთიანებლის როლში საქართველო გამოდიოდა.

ამდენად, საქართველოს მეტად დიდი ისტორიული ამოცანა დაეწვა კისერზე, რომლის განხორციელებაც საგანგებო ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. პირველ რიგში დადგა სამხედრო რეფორმების გატარების აუცილებლობა.

საქართველოს სამეფო კარიც შეუდგა ამ ღონისძიებების გატარებას. უპირველესად საჭირო იყო ლაშქრის ორგანიზაციის მოწესრიგება.

დავით აღმაშენებელს მკაცრი სამხედრო დისციპლინა შემოუღია ჯარში, „ხოლო საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმერთისა საძულველი, და ყოველი უწესობა

მოსპობილი იყო ლაშქართა შინა მისთა".[1] ე. ი. ამ ღონისძიების გატარებამდე ადგილი ჰქონდა არეულობას და ყოველგვარ უწესობას. XII საუკუნის პირველი მეოთხედის სამხედრო ძალები კი მტკიცედ არიან დისციპლინირებული, მათში დიდია სამხედრო სამსახურის მოვალეობის მტკიცედ ღირსულების შეგნება. საქართველოს მეფემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ლაშქრის კარგად გაწვრთნის საქმეს და ამ მხრივ არსებულ წესებში საგრძნობი ცვლილებები შეიტანა. პირადი მაგალითით დავით აღმაშენებელი მოლაშქრეებს უნერგავდა გამბედაობას და გულადობას. „უკეთუმცა ესოდენ უწყინოთა ლაშქრობითა და მცირედ-მცირედ ბრძოლითა და სწავლითა გუარიანად და ღონიერად წინამძღომითა, და მრავალთა ძლევათა მიერ მოგონებითა არა განეწუალონენ სპანი თუისნი, და განეკადნიერნეს წყობათა მიერ მხნეთა. ქებითა და ნიჭთა მიცემითა, ხოლო ჯაბანთა სადღეოთა შთაცუმითა და კიცხევით ძაგებითა არამცა მოეღონა" [2].

დავით აღმაშენებელმა რეფორმები გაატარა თვით ლაშქარში. მოქმედების სისწრაფისათვის ქვეითი ჯარი შესცვალა ცხენოსანი რაზმებით, რომლებიც ყოველ მომენტში მზად უნდა ყოფილიყვნენ.

ესოდენ გადახალისებული და გარდაქმნილი ჯარი მტერს ახალი ტაქტიკით უნდა შებმოდა. მის ხელმძღვანელობასაც ახალი სტრატეგიული ხერხები უნდა გამოეყენებინა. დავთან აღმაშენებელი იყეთ მარჯვე ხერხს მიმართავდა, როგორიც არის მტრის შემოტყუება და მოუსლოდნელად მასზე თავდასხმა. „აქუნ
ეს ჩვეულებად ესე მეფესა, რამეთუ განზრახვთ გარდავიდის აფხაზთითთ და ჩამოიტყუენს თურქმანი საზამთროთა ადგილთა მტკვრის პირისათა". [3] რაკი მემატიანე ხაზს უსვამს იმას, რომ მეფეს „აქუნდნს ჩვეულებად"-ო, ბუნებრივია, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ დავით აღმაშენებელი ხშირად იყენებდა ამ ხერხს. იგი თურქთა თვალის ასახვევად დასავლეთ საქართველოში გადადიოდა. თურქები ეგებოდნენ აწყესზე და ქართველს ესეოდნენ. დავით აღმაშენებელი მოულოდნელად, თავის სპასალარებთან ერთად, რომლებსაც წინდაწინ პაემანს უნიშნავდა, მოუსწრებდა მტერს და ერთიანად მუსრს ავლებდა. მეფე სხვადასხვა საშუალებებს იყენებდა მტრის დაბნევა-მოტყუებისათვის. ამ საქმეში ის ფართოდ იყენებდა მზვერავებს, რომელთაც მემატიანე მ ს ტ ო ვ ა რ ე ბ ა დ იხსენებს. „მსტოვარნი" თვალყურს ადევნებდნენ მტრის მოძრაობას და ყველაფერს დროულად აცნობებდნენ მეფეს [4]. საქართველოს ლაშქრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ოვისება იყო სწრაფი მანევრირების უნარი. ჯარის სწრაფი მოძრაობის უზრუნველსაყოფად დავით აღმაშენებელმა ააშენა „რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტეკთა ზედა, რაოდენნი გზანი საწყინოდ საკალნი. ქვა-ფენელ ყვნა" [5]. ყოველივე ამ საქმიანობამ კი ხელი შეუწყო „სიმრავლითა სპათათა და სიმალითა ესლოსა". დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საქართველოს ჯარის მთელი რიგი ღირსებების ჩამოთვლასთან ერთად არ ივიწყებს მის მეთაურს დავით აღმაშენებელს. რომელიც იყო „უმსგავსო სპასპეტი და წინამბრძოლი... წინაუძღოდა... რამეთუ არა დაშურებოდა არცა მოეწყინებოდა, არამედ ყამირად და წესიერად ალაშქრებდა მათ, მართებდა და განაკებდა მსგავსად მისსა დიდგონეობითა, და ვიოძამცა იყო წინამდგომი მისი და ანუ მიმმართი ომისა მის წინაშე". [6] დავით აღმაშენებელმა მართლაც დიდი როლი ითამაშა მისივე რეფორმების ცხოვრებაში მთელი სისრულით გატარების საქმეში.

დავით აღმაშენებელმა შესცვალა საომარი ტაქტიკაც. საომარი ტაქტიკის

---

[1] ქართლის ცხოვრება. I. თბ. 1955. გვ. 352.

[2] იქვე. გვ. 358.

[3] იქვე. გვ. 338.

[4] მსტოვარი ქვეყანაში ჯაშუშის მოვალეობასაც ასრულებდა.

[5] ქართლის ცხოვრება. თბ. 1955 წ. გვ. 353.

[6] იქვე. გვ. 337.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცვლის შესახებ პირდაპირი ცნობები ჩვენ არ მოგვეპოვება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ორიოდე ცნობას, რომელიც ჯარის ფრონტზე განაწილებას ეხება). ამ საკითხით ბევრი მოღვაწე იყო დაინტერესებული (თათარყან დადეშკელიანი,[1] ნიკო ურბნელი,[2] იოსებ გედევანიშვილი[3]) და საგანგებო ნაშრომებიც კი მიუძღვნეს მას. მაგრამ ეს ავტორებიც ისეთივე მდგომარეობაში იყვნენ წყაროების მხრივ, რომორც დღეს ჩვენ ვართ და ამიტომ მათი ნარკვევები უმეტეს წილად მოსაზრებებზეა დამყარებული და არა ისტორიულ საბუთებზე. ასე მაგალითად, ნ. ურბნელი აღნიშნავს, რომ XII საუკუნის პირველ მეოთხედში, ე. ი. დავით აღმაშენებლის მეფობის დროს საქართველოს ლაშქარს „მიღებული ჰქონდათ ბიზანტიური ანუ რომის საომარი დაწყობა ჯარისა, ეგრეთ წოდებული „მწკრივებრივი ტაქტიკა". ეს ტაქტიკა თხოულობდა, რომ რამდენიმე რაზმი ორ მწკრივად დაწყობილიყო ჭადრაკის კაცების მსგავსად. ორივე მწკრივის რიცხვი თანასწორი უნდა ყოფილიყო. პირველი მწკრივი იერიშით მიდიოდა და თუ სიგრძით მტრის მოწინავე ჯარს აღემატებოდა, მაშინ ფრთების შლიდა და ორმხრივ მოეხვეოდა მოწინააღმდეგეს. მეორე მწკრივი პირველს შველოდა". და სხვ. ნ. ურბნელი მიუთითებს, რომ დავით აღმაშენებელს შეუცვლია ეს წესი: „ორის მაგიერ სამი მწკრივი შემოიღო; თითოეულს საკუთარი დანიშნულება ჰქონდა. პირველს შეადგენდა წინამძღოლი ჯარი, მეორეს ყოლი ჯარი, ხოლო მესამეს — მაშველი ჯარი. მაშველ მწკრივად ითვლებოდა როქის სპა, რომელსაც თვით მეფე წინ უძღოდა". ნ. ურბნელი ეს მოსაზრებები არაფერით არ განსხვავდება თათარყან დადეშკელიანის ნარკვევში მოცემული დებულებებისაგან. ამ მხრივ ვერც იოსებ გედევანიშვილის ნარკვევი „სამხედრო ხელოვნება საქართველოში" აშუქებს საკითხს არსებითად.

პროფ. ა. კიკვიძეს მოჰყავს ცნობები ქართველი მემატიანის, ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღმწერი ჯუანშერის თხზულებიდან, სადაც მოთხრობილია საქართველოს ჯარის განლაგებაზე ბრძოლის დროს. კერძოდ, თხზულება მოგვითხრობს, რომ როცა ვახტანგ გორგასალმა ოსთა ჯარის წინამძღოლი გოლიათი ბაყათარი ძირს დასცა, იგი ამოუდგა თავის სპას და „წარემართნენ წინ ჯერ ცხენოსანნი, შემდეგ ქვეითნი და ქვეითთა უკანით სიმრავლე მხედართა". ხოლო ვახტანგ მეფე მთელ სპას ანუ მთელ ჯარს უკან მიჰყვებოდა „რჩეულთა მხედრითა". ბრძოლა კვლავ განახლებულა. როცა ვახტანგი მარჯვენა მხრიდან უტევდა, მოწინააღმდეგის თვით მარცხენა მხარე ძრწოდაო და — პირიქით. აქედან დასკვნა: ვახტანგი ჯერ მოწინავე რაზმში ყოფილა (ამ დროს მოუცლავს მას ბაყათარი), ხოლო შემდეგ ის თავის ჯარს ზურგში მოქცეულა, ბრძოლის განახლებისას კი კვლავ მოწინავე რაზმში გადასულა.

ამ ცნობიდან გამომდინარე, საქართველოს ჯარის საბრძოლო ტაქტიკა ასეთია: მოწინავე ნაწილია მხოლოდ მხედრობა ანუ ცხენოსანი რაზმი, მის შემდეგ არის ქვეითი ნაწილები, ქვეითი ნაწილების შემდეგ ცხენოსანი ნაწილების მარაგი ანუ რეზერვი და „რჩეულთა ლაშქარი", ერთიანად ცხენოსნებისაგან შემდგარი, მეფის მეთაურობით.

რაზმები იყოფიან ორ ფრთად — მარჯვენა და მარცხენა ფრთად. მეფე თავისი რჩეული ლაშქრით აღგილს

---

[1] თათარყან დადეშკელიანი, მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობის 1089 — 1122 წ. წ. — „ივერია", 1883 წ. № 10, გვ. 67-99.

[2] ნ. ურბნელი, დავით აღმაშენებელი და მისი დრო, „მომამბე", 1894 წ. № 4, გვ. 9.

[3] ი. გედევანიშვილი, სამხედრო ხელოვნება საქართველოში, გაზ. „სახალხო ფურცელი", 1915 წ. №№ 393, 394, 395, 396, 397, 398, 399, 400, 401.

როინ მეტრეველი

დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმის ზოგიერთი საკითხი

იცკლის იმის მიხედვით, თუ სად მეტად არის გართულებული მდგომარეობა. „ის ჩვეულებრივად მთელი ჯარის ზურგშია, ხოლო საჭიროების მიხედვით ხან მარცხენა ფრთაზე და ხან მარჯვენა ფრთაზე იბრძვის, ხოლო მოწინააღმდეგის კონცენტრირების შემთხვევაში მარჯვენა და მარცხენა ფრთას უერთვებს“.[1]

პროფ. აბ. კიკვიძე მიიჩნევს, რომ დავით აღმაშენებლის დროსაც ეს წესი ყოფილა დაცული და ასაბუთებს იმით, რომ დავით აღმაშენებლის დრო დიდად არ არის დაშორებული ჯუანშერის დროს. ეს უკანასკნელი კი, როგორც პროფ. აბ. კიკვიძე ფიქრობს, ვახტანგის დროს XI საუკუნის რეალიების მიხედვით უდგებოდა და ჯუანშერის ცნობაც XI საუკუნის საქართველოს სამხედრო წყობილებას უფრო შეეხება[2].

ჩვენ კი ვიცით რამდენად მართებულია იმის მტკიცება, რომ ჯუანშერი ვახტანგის ეპოქის მისი თანამეჯინოვე XI საუკუნის რეალიების მიხედვით უდგებოდა, მაგრამ იმის მტკიცება, რომ დავით აღმაშენებლის დროსაც იგივე საბრძოლო ტაქტიკა იყო, რაც ჯუანშერის დროს, არ უნდა იყოს მთლად სწორი. განსაკუთრებით დავას იწვევს პროფ. აბ. კიკვიძის დებულება: „ის (მეფე — რ. მ). ჩვეულებრივად მთელი ჯარის ზურგშია“[3]. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები: „ხოლო თვთ მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თჳსთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მფლეარითა ყოველთასა თჳთ წინა უვიდოდა, და ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა, და ვითა ვრიგალი მი-და-მო იქცოდა“.[4] ჩვენი აზრით, აქ მხოლოდ მეფეზე უაღრესად შეყვარებული და მისი თაყვანისმცემელი ისტორიკოსის ხოტბა კი არ უნდა დავინახოთ, არამედ სხვა რამეც. იქნებ ისტორიკოსის სიტყვები, დავით აღმაშენებელი ლაშქარს „თვით წინა უვიდოდაო“, სწორედ დავით აღმაშენებლის რაიმე ახალ ტაქტიკურ ჩანაფიქრზე მიუთითებდეს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იმასაც უსვამს ხაზს, რომ დავითი „უმსგავსო სპასპეტი და წინამბრძოლი“[5] იყო. „წინამბრძოლის“ ინსტიტუტი შემდგომ ხანებშიც გვხვდება. წინამბრძოლი სულხან-საბას განმარტებით პირველ შემბმელს ნიშნავს[6], ე. ი. იმას, ვინც პირველად ჩაებმება ბრძოლაში. ფეოდალიზმის ხანის სხვა ისტორიკოსებიც მოიხსენიებენ „წინამბრძოლს“. თამარის ისტორიკოსი, როცა რუქნადინთან ბრძოლას ეხება, ამბობს: „დაწყუეს რაზი, სადა იგი წინამბრძოლად იყო ზაქარია მხარგრძელი“[7]... და სხვ. ყამთა აღმწერელიც, როცა განძელებთან ლაშა-გიორგის ბრძოლაზე მოგვითხრობს, წერს, გულადად იბრძოდაო ჭაბუკი მეფე, „რომლის თანა წინამბრძოლობდეს ძლიერად ყუარყუარე ჯაყელისა შვილი“ და სხვ.[8]

წინამბრძოლთა მოვალეობა ის იყო, რომ ჩვეულებრივ პირველნი ეკვეთებოდნენ ხოლმე მტერს.[9] ბუნებრივია, წინამბრძოლთა ბრძოლისუნარიანობაზე დიდად იქნებოდა დამოკიდებული გამარჯვების ბედი. ამდენად, „უმსგავსო სპასპეტისა და წინამბრძოლის“ დავით აღმაშენებლის პირველ რიგებში ბრძოლა, მით უმეტეს, რომ მასთან იქნებოდა რჩეული მოლაშქრეებისაგან შედგენილი ლაშქარი, ე. წ. მონა-სპა, თავისებურ გავლენას იქონიებდა საერთოდ ლაშქრობაზე. მათ მორალურ მდგომარეობაზე.

ე. ი. დავით აღმაშენებლის დროინ-

---

1 აბ. კიკვიძე, დავით აღმაშენებელი, თბ. 1942 წ. გვ. 42.

2 იქვე.

3 იქვე.

4 ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 329.

5 იქვე, გვ. 337.

6 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ. 1949, გვ. 871.

7 ქართლის ცხოვრება. II, თბ. 1959, გვ. 96.

8 იქვე, გვ. 153.

9 წინამბრძოლთა ამ მოვალეობაზე დაბეჯითებით მიუთითებენ როგორც „ისტორინი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი, ასევე ყამთაალმწერელიც.

დელი ლაშქრისათვის დამახასიათებელია მეფისა და მონა-სპის წინა ხაზზე ბრძოლა, განსხვავებით წინანდელისაგან, როცა მეფე აუცილებლად საჭიროების შემთხვევაში გადადიოდა წინა პლანზე.[1] სიინტერესოა თვით „მონა-სპის“ საკითხიც. დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს: „კუალად მონანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნილნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმხნეთა“... მონა-სპა სპეციალურად იყო შედგენილი რჩეული და გამოცდილი მოლაშქრეებისაგან. მონა-სპა მეფის უშუალო ლაშქარი იყო. ხუთი ათასი კაცი მეფესთან ერთად იბრძოდა. როგორც ჩანს, მათ მეფის დაცვაც ჰქონდათ დავალებული. მეფე ბრძოლის დროს ყოველ მომენტში მონა-სპასთან ერთად იყო. ალბათ იმ რთულ ბრძოლებში, რომლებშიაც კი საქართველოს ლაშქარი დავით აღმაშენებლის მეთაურობით ღებულობდა მონაწილეობას, პირველ რიგში მეფესთან ერთად მონა-სპის მოლაშქრეებიც იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ და მეფეს იცავდნენ.

წყაროების უქონლობის გამო[2] ჩვენთვის ძალზე ძნელია გადაჭრით თქმა იმისა, თუ რა სიახლენი იქნა შეტანილი საქართველოს ლაშქრის ტაქტიკაში, მაგრამ არ უნდა იყოს სადავო ისიც, რომ XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს სამხედრო რეფორმის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ლაშქრის სტრატეგიული და ტაქტიკური სიახლენიც უნდა ყოფილიყო, რომელთა დემონსტრირება მოხდა დიდგორის ბრძოლის დროს. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ დავით აღმაშენებლმა ჩაუყარა საფუძველი ლაშქრის იმ ტაქტიკას, რომელმაც დასრულებული ორიგინალური სახე მიიღო XII — XIII ს. ს.

საქართველოში უცხოელთა ჯარის მოწვევა არ ყოფილა უჩვეულო მოვლენა. კავკასიის მთიანეთში ან იმიერკავკასიაში ხდებოდა ასეთი ლაშქრის დაქირავება, თანაც გარკვეული პირობით: დათქმულ დროს მტრის წინააღმდეგ ალაშქრებდნენ ხოლმე და შემდეგ ისევ შინ გაისტუმრებდნენ.[3]

ამჯერად, როცა საქართველო ესოდენ გაძლიერების გზას ადგა, ბუნებრივია, დროებითი დაქირავება ჯარისა ვერ დაკმაყოფილებდა ქვეყნის მოთხოვნებს. დღის წესრიგში დგებოდა საჭირო რესურსების გამონახვისა და მუდმივი ჯარის შექმნის საკითხი. საქართველოს მთავრობამ ყივჩაყთა გადმოსახლებისაკენ აიღო გეზი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი მოსაზრება არის გამოთქმული საქართველოს სამეფო კარის მიერ გადადგმული ამ ნაბიჯის მიზეზების შესახებ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ხაზს უსვამს რა იმ გარემოებას, რომ დავით აღმაშენებელმა „ძლევათა და გამარჯვებათა თჳსთა“ შედეგად თაყის მფლობელობაში მოაქცია ბევრი ქალაქი და ციხე, აღნიშნავს, რომ „რა იყო ესოდენნი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა ბისსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭერელად და კუალად თვით მის თანა მყოფად და მოლაშქრედმცა კმა ეყენეს დაუკრომლად მიმოსლვასა ლაშქრობასა მისსა ზამთარ და ზაფხულ“.[4] ამიტომო, გენაგარეთს მემატიანე, „შემოერება გონება (დავით აღმაშენებელმა — რ. მ.). კეთილად და გონიერად გამგონე, ვითარცა დავით, სულისა მიერ წმიდისა, აღიღო მოლად თავი თჳსი და მი-

[1] ბ. კიკვიძე, დავით აღმაშენებელი, თბ. 1942, გვ. 42.

[2] ზოგი მეცნიერი ისეთი საფუძვლის უქონლობის მიუხედავად, როგორც წყაროა, მაინც აკეთებს დასკვნებს ტაქტიკის შესახებ (იხ. А. А. Строков, История военного искусства, I, М., стр. 241—244).

[3] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, შ. ღუმბაძე და სხვ. საქართველოს ისტორია, I, თბ. 1958 წ. გვ. 159.

[4] ქართლის ცხოვრება, I. 1955, გვ. 335.

მოაკლო თუალი გონებისა თვისისა და განიცადა კეთილად, განიზრახა სამეფოთა ცნობითა, რომელ არა კმა იყვნეს სამეფოსა მისისანი თანამოყოლად კრთომათა“ და სხვ. ე. ი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ყივჩაყთა მოყვანის მიზეზად თვლის იმას, რომ „არა იყო ესოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა მისსა“. თითქმის იგივეს იმეორებს ვახუშტი ბაგრატიონი: „რამეთუ არა კმა-ეყოფის სპანი მისნი ესე-ოდენთა ცოხეთა და ქკეულანთა დაპყორობად. განიზრახა გონიერებითა და წარვიდა ოვსეთად, რათა გადმოიყვანნის სიმრავლე მათი (ყივჩაყნის — რ. მ.), ვინაიდან მოეყვანა (დავით აღმაშენებელს — რ. მ.) ასული ყივჩაყთა მეფისა ცოლად თვისად გურანდუხტ, დედოფალად გორგიისა“.[1] ე. ი ვახუშტი ბაგრატიონი ლაშქრის (სპის) უკმარობასთან ერთად[2] ყივჩაყთა მეფის ასულის გურანდუხტის დავით აღმაშენებლისადმი ცოლობასაც ასახელებს ყივჩაყთა გადმოყვანის მიზეზად.

შემდგომი დროის ისტორიკოსებიც ყივჩაყთა გადმოყვანას დავით აღმაშენებლის მიერ გურანდუხტის შერკჯას უკავშირებენ. მარი ბროსე თავის „საქართველოს ისტორიაში“ წერს: „დავითმა გარდაწყვიტა დიდძალი რიცხვი ყიფჩაღების ჯარებისა დაექირავნა. მან წინეთ ამისა შეირთო გურანდუხტი, ასული ათრაკისა, შარაღანის შვილისა“[3]. და სხვა. იგივეს აღნიშნავს ნ. ურბნელი თავის საკმაოდ [illegible] ისტორიულ მონოგრაფიაში „დავით აღმაშენებელი და მისი დრო“.[4]

ყივჩაყთა გადმოყვანის საკითხზე თავისი აზრი აქვს გამოთქმული დავით კარიჭაშვილს: „...როგორ შეიძლებოდა,— ამბობს იგი — რამოდენადმე დიდის სამუდამო ჯარის დაწესება ქართველთაგან, რომელიც ხანგრძლივი ომების გამო ისე შემცირებულიყვნენ საომრად გამოსადეგის ვაჟკაცების რიცხვით. ამიტომ მას (დავით აღმაშენებელს — რ. მ.) მოუვიდა აზრად მოეწვია უცხო ხალხი“...[5]

აკად. ივ. ჯავახიშვილმა მუდმივი ლაშქრის შექმნისა და ყივჩაყთა გადმოყვანის მიზეზებად ძირითადად გაიმეორა ვერსია ყივჩაყთა მთავრის ასულის დავით აღმაშენებლის ცოლობისა და ბრძოლის დროს ყივჩაყთა კარგი თვისებების შესახებ.[6]

ანალოგიურ აზრს გამოთქვამენ პროფესორები აბელ კოკორეძე (იმ განსხვავებით, რომ პროფ. აბელ კოკორეძე მიზეზთაგან ჯერ ყივჩაყთა კარგ მეომრობას ასახელებს და შემდეგ დავით აღმაშენებლის მოყვრობას ყივჩაყებთან)[7] და სერგი მაკალათია.[8]

ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ისტორიკოსის მოსაზრებები საქართველოში მუდმივი ლაშქრის შექმნისა და ყივჩაყთა გადმოყვანის მიზეზების შესახებ არ არის სრულყოფილი. ყოველი შემთხვევისათვის ისინი ვერ აკავშირებენ ამ მიზეზების არსებით ახსნას. ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ აღნიშნული საკითხი არც ერთ ისტორიკოსს საგანგებო შესწავლის საგნად არ გაუხდია.

დავიწყოთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსით. იგი ყივჩაყთა გადმოყვანის მიზეზად მიიჩნევს საქართველოს ლაშქრის სიმცირეს. ამ მოსაზრებას, როგორც ზემოთ ვნახეთ, ზოგიერთი სხვა ისტორიკოსიც იზიარებდა. წყაროდ, ბუნებრივია, იყენებდნენ თვით დავით აღმაშენებლის მემატიანის თხზულებას.

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის რედაქციით, ნაწილი პირველი, ტფ. 1885 წ. გვ. 179.

[2] ამ ცნობის წყაროდ ალბათ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება აქვს გამოყენებული ვახუშტი ბაგრატიონს.

[3] მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწილი პირველი, ტფ. 1895, გვ. 152.

[4] ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, მოამბე, 1894, II, გვ. 15.

[5] დ. კარიჭაშვილი, საქართველო XII საუკუნეში, ტფ. 1902, გვ. 47.

[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ. 1948. გვ. 199.

[7] ა. კოკორეძე, დავით აღმაშენებელი, თბ., 1942, გვ. 9.

[8] სერგი მაკალათია, დავით აღმაშენებელი, თბ. 1944, გვ. 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორია თუ არა ეს დებულება? ვფიქრობთ, რომ მთლად არა. რა თქმა უნდა, ფაქტია ის, რომ საქართველოს ლაშქარი იმ დიდი ბრძოლების შედეგად (რომელსაც XII საუკუნის პირველ მეოთხედში ჰქონდა ადგილი—1110 წელს ქართველთა ჯარმა სამშვილდე აიღო, 1115 წელს — ქალაქი რუსთავი, 1117 წელს — ქ. გიში, 1118 წელს — ლორე და სხვ.) დაიღალა და რიცხობრივადაც შემცირდა, მაგრამ არც იმდენად, რომ თავდაცვისა და შემდგომი ბრძოლების წარმოების საშუალება არა ჰქონოდა. სხვა ეროვნების მოლაშქრეთა მოყვანა კი მთელი რიგი მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი.

საქართველოს სამეფო კარს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ის ბრძოლები, რომლებიც ასე ინტენსიურად ხდებოდა ქვეყნის თურქთა ბატონობისაგან განსათავისუფლებლად, უდიდეს ძატერიალურ ზარალს აყენებდა საქართველოს ეკონომიკას, ანარგებდა მას. ეს იმიტომ, რომ საქართველოს ჯარი ფეოდალური ლაშქრის პრინციპზე იყო აგებული და, ბუნებრივია, როცა ბრძოლები იმართებოდა, მიწათმოქმედნი მოწყვეტილი იყვნენ თავიანთ ძირითად საქმეს და მოლაშქრეობას ეწეოდნენ. ამ პერიოდში კი ფეოდალური მეურნეობა ზარალდებოდა. ყივჩაყთა გადმოყვანის შემთხვევაში კი ასეთი ზარალი აღარ იქნებოდა. აყვავდებოდა ქვეყნის ეკონომიკა, თანაც თავდაცვის საქმე მოგვარებული იქნებოდა.

ამდენად, საქართველოს მთავრობა ყივჩაყთა გადმოყვანით შორს უმიზნებდა. ამ საქმეს საქართველოს ეკონომიკის დაწინაურება უნდა მოჰყოლოდა, ანდა, უარეს შემთხვევაში, საქართველოს მეურნეობა ზარალს არ ნახავდა ომების წარმოების დროს.

მეორე. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სამხედრო გამგეობა ფეოდალურ წესზე იყო მოწყობილი, ე. ი. ყოველი ფეოდალი — ერისთავი ვალდებული იყო საჭირო დროს ჯარი მზად ყოლოდა. მთელი სამეფო სადროშოებად იყო დაყოფილი. თვითეულ მათგანს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი.[1] ასე რომ, საქართველოს სამეფოს ძლიერება დამოკიდებული იყო მეფის მოყმე ფეოდალების ერთგულებასა და სამეფოსადმი მათს დამოკიდებულებაზე.

დავით აღმაშენებელი, როცა რეფორმას აღარებდა, დაინტერესებული იყო იმითაც, რომ რაც შეიძლება მეტად შეეზღუდა ფეოდალთა პოლიტიკური უფლებები და გაეძლიერებინა მეფის ხელისუფლება. უცხოელთა გადმოყვანითა და მუდმივი ჯარის შექმნით მეფე ფეოდალებისაგან დამოუკიდებელი გახდებოდა. ამით თავისთავად დაიცრობოდა ფეოდალთა როლი ლაშქრობათა დროს.

ამდენად, ყივჩაყთა გადმოსახლების ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს ორი ფაქტორი: საქართველოს მთავრობის ზრუნვა ეკონომიური ძლიერების შენარჩუნებისა და შემდგომი აღმავლობისათვის და სამეფო კარის ბრძოლა ფეოდალური მონარქიის შექმნისათვის.[2]

ყივჩაყთა გადმოყვანის მიზეზთა შორის, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული აზრის მიხედვით, ერთ-ერთი პირველთაგანია დავით აღმაშენებლის მოყვრობა ყივჩაყებთან. ჩვენი აზრით ეს ეს ფაქტორი ენენა

---

1 ნ. ურბნელი, დავით აღმაშენებელი და მისი დრო, დროება 1894, № 2, გვ. 3.

2 რაც შეეხება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ამ თქმას, რომ „არა იყო ესოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა ამისასა-ო, კი უნდა იყოს მთლად სწორი. შეიძლება ეჭვმე წინ აღუდგა იმ ღონისძიებებს, რომლებიც ბიზნად ისახავდნენ უცხო ეროვნების ხალხის სამუდამო ჩამოსახლებას საქართველოში და სამეფო კარმაც თავისი მოქმედების დასასაბუთებლად წამოაყენა ეს დებულება, ხოლო დავითის ისტორიკოსმა ყოველგვარი ობიექტური კომენტარის გარეშე შეიტანა იგი თავის თხზულებაში.

როინ მეტრეველი

იყოს მთავარი მიზეზი. შეეკედებით დავასაბუთოთ ეს მოსაზრება.

საკითხი ისმება ასე: რატომ მაინცადამაინც ყივჩაყების გადმოყვანა და მათგან მუდმივი ლაშქრის შექმნა გადაწყდა? ამ კითხვაზე ისეთი პასუხის გაცემა, როგორსაც ზემოთ გავეცანით (დავით აღმაშენებლის მოყვრობა ყივჩაყებთან), ვერ არის მეცნიერულად დამაკმაყოფილებელი.

ჩვენი აზრით, ყივჩაყების ეროვნულ-ცხოვრებაში საქართველოს მეფემ და სამეფო კარმა შენიშნა ის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს სწორედ ყივჩაყებისაკენ (და არა სხვა ხალხისაკენ) გზის აღება.

ყივჩაყები კავკასიონის ჩრდილოეთით, მდ. დონიდან მოკიდებული კასპიის ზღვის ნაპირებამდე ცხოვრობდნენ. ისინი განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ. მათში XII საუკუნეში ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილება იყო და ტომებად ცხოვრობდნენ. ყივჩაყები ცნობილი იყვნენ კარგი საბრძოლო თვისებებით. დავით აღმაშენებელმაც კარგად „უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსვლა სიფიცხე მიმართებისა, აღვილად დასაშერეწლობა და ყოველითურთ მომზადებულობა ნებისა თჳსისა“.[1]

ყივჩაყთა დაბალი განვითარების საფეხურზე ყოფნა სასარგებლო იყო საქართველოსათვის. და რატომ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სამეფო კარს გადაწყვეტილი ჰქონდა არა დროებითი დაქირავება ჯარისა (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს დასაქირავებელი ხალხის განვითარების დონეს), არამედ მუდმივი ჯარის შექმნა, რაც გადმოსახლებული ხალხის [illegible] ზაზე უნდა მომხდარიყო. ასეთ შემთხვევაში დაბალი განვითარების ხალხის (მით უმეტეს ისეთების, რომლებიც თითქმის მომთაბარეულ ცხოვრებას ეწეოდნენ) გადმოყვანა იმიტომ იყო ხელსაყრელი, რომ ეს უკანასკნელნი ადვილად შეეგუებოდნენ ახალ გარემოს. გარდა ამისა, როგორც წესი, მოეკცეოდნენ მათზე გაცილებით უფრო მაღალი კულტურის მქონე ხალხის (ქართველების) გავლენის ქვეშ და თვითონაც გაქართველდებოდნენ. ე. ი. საქართველო მათთვის საშობლო გახდებოდა და მათი ერთგულებაც ამ ქვეყნისათვის ბრძოლის დროს დიდი იქნებოდა. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, ყივჩაყები ერთგულად იბრძოლებდნენ იმიტომ, რომ მათი მთავარი დავით აღმაშენებლის სიმამრი იყო. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი აქტი (მოყვრობა) მათი (ყივჩაყების) საქართველოსადმი ერთგულების საწინდრად ვერ გამოდგება. საქართველოს სამეფო კარს კარგად უნდა ჰქონოდა გათვალისწინებული ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დეტალი, როცა გეზს ყივჩაყთა გადმოსახლებისაკენ იღებდა. გათვალისწინებული უნდა ჰქონოდათ ისიც, რომ ყივჩაყების ერთგულება მხოლოდ ერთი მეფისადმი, დავით აღმაშენებლისადმი. საკმარისი არ იყო და ამიტომ თავიდანვე იფიქრებდნენ მათ გაქართველებაზე, რათა ეს უკანასკნელნი საერთოდ ქვეყნის ერთგულნი ყოფილიყვნენ და არა მხოლოდ მეფისა.

ამდენად, საქართველოს სამეფო კარის მიერ სწორედ ყივჩაყების გადმოსახლებაზე გეზის აღების მიზეზი მათი განვითარების დაბალი დონე იყო, რაც ყივჩაყების უმტკივნეულოდ ჩამოსახლებისა და მათზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებას იძლეოდა. აგრეთვე ის კარგი საბრძოლო თვისებები, რომლებითაც ყივჩაყები ხასიათდებოდნენ.[2] რაც შეეხება დავით აღმაშენებლისა და ყივჩაყთა მთავრის მოყვრობის საკითხს,

[1] ქართული ცხოვრება, I, თბ. 1955, გვ. 336.

[2] მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ყივჩაყთა ტომი, რომელსაც თარაქა შარადანის ძე მთავრობდა, რუსეთის დიდმა მთავარმა სამხრეთ რუსეთის ველებიდან ძალით გამოაძევა და დამარცხებულმა ამიერკავკასიის შეიფარა თავი. საქართველოს სამეფო კარს ალბათ ესეც კარგად ჰქონდა გათვალისწინებული.

ის ვერ იქნებოდა ამ ღონისძიების ობიექტური მიზეზი, უკეთეს შემთხვევაში ამ ფაქტორს კატალიზატორის როლის შესრულება შეეძლო. ეს კარგად უნდა ჰქონდეს შემჩნეული თვით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც. იგი, როცა ჩამოთვლის იმ მიხეზებს, რისთვისაც საქართველომ არჩევანი ყიჩაყებზე შეაჩერა, ყველაზე პოლის იხსენიებს ყივჩაყთა მთავრისადმი საქართველოს მეფის ნათესაურ კავშირს:[1] „(ჯერ მათ საბრძოლო თკესებებს ასახელებს)... და ამათ თანა უადილეს იყვნეს მოსლად მახლობლობითაცა და უპოვარებითა, და რამეთუ პირველ მრავალთა წელთასა მეერ მოეყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძისა, შჯულიერად მეუღლედ თვსად და დედოფლად ყოველისა საქართველოსა“[2].

ამდენად, საქართველოს მეფის ნათესაური კავშირი ყივჩაყთა მთავართან ბოლოხარისხოვანი მიზეზი უნდა ყოფილიყო ყივჩაყების საქართველოში გადმოსახლებისათვის.

როგორც დავინახეთ, სამხედრო რეფორმის გატარების პირველი ნაბიჯი საქართველოს სამეფო კარს ღრმად ჰქონდა აწონ-დაწონილი, რადგან მის გატარება-შესრულებასაც დიდი დაკვირვებულობა სჭირდებოდა.

დავით აღმაშენებელმა საქართველოს სამეფო ლაშქარში ყივჩაყთა მოსაწვევად გაგზავნა „კაცნი სარწმუნონი“. ყივჩაყები სიხარულით შეხვდნენ ამ მოწოდებას („სიხარულით მიითუალეს“). საქართველოს მეფეს თანხმობა შემოუთვალეს და ითხოვეს „გზა მშვიდობისა ოსსთაგან“.[3]

დავით აღმაშენებელი თვით „წარემართა (ოსეთს — რ. მ.) და თანაწარმართნენ ტანა გიორგი ბეკნნდიდელი და ფრანგნობარიუხუცესი თჯსი, კაცი სრული ყოველითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა...“[4] შევიდა თუ არა საქართველოს მეფე ოსეთში, „მოეგებნეს მეფენი ოსეთსანი და ყოველნი მთავარნი მთნნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა“.[5] დავით აღმაშენებელმა ოსები და ყივჩაყები შეათანხმა „და ჰყო შორის მთსა სიყვარული და მშვიდობა ვითარცა ძმათა“.[6] ამ შეთანხმების და ურთიერთობის საწინდრად დავითმა მძევლები ჩამოართვა ორივე მხარეს, თვითონ კი „აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოსეთისათა და კავკასიისა მთისათანნ. და შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაყთათვის.“[7]

აღნიშნულ ფაქტს, რომელიც ასეთი დეტალური მიმდევრობით აქვს გადმოცემული დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, ამიერიდან ჩრდილოეთის ყველა გადასასვლელის ციხეები საქართველოს სამეფოს ხელში იყო. მეორე ოსებისა და ყივჩაყების შერიგება და საქართველოს ყმად მათი გახდომა ქვეყანას ზურგს უმაგრებდა. ჩრდილოეთიდან შმვიდობას უზრუნველჰყოფდა. დავით აღმაშენებელს საშუალება ეძლეოდა საქართველოს შეერთებული მხედრობა სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიემართა.

ამრიგად, ყივჩაყები გადმოყვანილი იქნენ საქართველოში. დავით აღმაშენებელმა, მისივე ისტორიკოსის ცნობით. „ყივჩაყნი დააყენნა ადგილთა მათ მარჯუეთა დედაწულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“.[8] ე. ი. დავით აღმაშენებელმა ყივჩაყები ოჯახებით

1 ქართლის ცხოვრება. I. თბ. 1955. გვ. 336.
2 იქვე.
3 იქვე.
4 იქვე.
5 იქვე.
6 იქვე.
7 იქვე.
8 იქვე. გვ. 337.

გადმოიყვანა საქართველოში. ისტორიკოსი არ ასახელებს ადგილს, რომელზეც ყივჩაყები დასახლდნენ. ისე კი ამბობს, „ადგილთა მათ მარჯუეთა“, დააყენო დავით აღმაშენებელმა. ჩვენი აზრით, საფუძვლიანი უნდა იყოს პროფ. ა. კიკვიძის ვარაუდი, რომ ყივჩაყებს დასასახლებლად გამოყენებული იყო უმთავრესად ის ადგილები, რომლებიც ჯერ არაბთა, ხოლო შემდეგ თურქთა მძლავრობის დროს დაკარიელდა.[1]

საქართველოს მთავრობას გადმოყვანილი „წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“ ყივჩაყი უზრუნველუყვია საჭურველითა და ცხენებით. ყივჩაყები „უმრავლესნი ქრისტიანე იქნებოდეს დღითი-დღე და სიმრავლე ურიცხვ შეეძინებოდა ქრისტესსა“.[2] დავით აღმაშენებელმა ყივჩაყები „დაწყუნა გუარად — გუარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმრთველნი“.[3] ამათ გარდა ხუთასი ათასი კაცი მონა-სპაში იყო „ყოველი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა“.

ამგვარად, დავით აღმაშენებელს ყოველი შემთხვევისათვის მზად ჰყავდა 45 ათასი გაწვრთნილი ცხენოსანი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მას შეეძლო შეეყარა „თჳისსა სამეფოსა სპანი რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი“. ამდენად, საქართველოს სამეფო სამხედრო თვალსაზრისით საკმაოდ ძლიერი იყო.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ყივჩაყები თავიანთი ოჯახებითურთ იქნენ გადმოსახლებულნი. მათ მეომრისათვის საჭირო ყველა ატრიბუტთან ერთად მიეცათ მიწა. ბუნებრივია, რომ ამ გზით შექმნილი ჯარი ჩვეულებრივი დაქირავებული გვარდია არ იყო. იგი არსებითად განსხვავდებოდა ისეთი დაქირავებული ჯარისაგან, „რომელსაც ადრე „ოჩეის სპას“ უწოდებდნენ. ყივჩაყები ეძულელოდ ჩაებნენ ფეოდალური საქართველოს ცხოვრებაში. მათი ... ვავეა ქართველი ვლეხისაგან სახელმწიფოსადმი ვალდებულება-დამოკიდებულებაში უნდა გამოხატულიყო, კერძოდ, ყივჩაყთა ვალდებულება მხოლოდ სამხედრო სამსახური უნდა ყოფილიყო. სხვამხრივ კი ყივჩაყი მოსახლეობა ალბათ თავისუფალი იყო. არ არის გამორიცხული ისიც, რომ სამხედრო სამსახური ბეგარის სახით დაწესებულიყო.[4]

ამრიგად, ყივჩაყთა გადმოყვანა საქართველოს სამეფო კარმა 1118—1120 წ. წ. განახორციელა. 1120 წელს საქართველოს ლაშქარი სრულ საომარ მზადყოფნაში იყო. ყივჩაყთა გადმოყვანამ და დასახლებამ საქართველოში, საგანგებო გაწვრთნამ და მკაცრი დისციპლინის შემოღებამ დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს: ქვეყანა გაამაგრა, გააძლიერა, გარეშე მტრებს კი თავზარი დასცა. მუდმივი ჯარის შემოღებას დავით აღმაშენებელს ბევრი დიდგვარიანი აზნაური უწუნებდა. მაგრამ დიდმნიშვნელოვანმა ნაბიჯმა თავიანი ნაყოფი გამოიღო. მუდმივი ჯარის შექმნის მეტად დიდ მნიშვნელობას ხაზს უსვამს საქართველოს წარმატებები. „ვანიცადეთღა ოთხთა ამათ წელთა ქმნილნი მისნი, რომელთა მრავალგზის ქმნულთა მცირედი მეგულების ოქუმაღ“.[5] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ეს სიტყვები ეხება ამ ოთხი წლის სამხედრო ღვაწლსა და ძლევამოსილებას. რომელიც ყივჩაყთა ლაშქრის გადმოყვანიდან, 1120 წლიდან, საქართველოს მუდმივმა ლაშქარმა 1125 წლამდე მოიხვეჭა.

დიდგორთან ბრძოლას ჩვენ ზემოთაც შევეხეთ, მაგრამ აქ მაინც შევჩერდებით ამ ბრძოლასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე. ბრძოლა ძალზედ საინტერესო იყო სამხედრო თვალსაზრისით. დიდგორის ომს იმთავითვე დიდი ყურადღება მიუქცევია ისტორიკოსებმა, განსაკუთრებით სამხედრო ხელოვნების მკვლევარებმა.

---

[1] ა. კიკვიძე: დავით აღმაშენებელი, თბ. 1942 წ. გვ. 38.

[2] ქართლის ცხოვრება, I. თბ. 1955, გვ. 337.

[3] იქვე.

[4] ა. კიკვიძე, დავით აღმაშენებელი, თბ. 1942, გვ. 38.

[5] ქართლის ცხოვრება, I, თბ. 1955, გვ. 337.

ამიტომ იყო, რომ ცნობები ამ ბრძოლის შესახებ და აგრეთვე მისი შეფასება რუბორაც ქართველი, ასევე უცხოელი მკვლევარების ნაშრომებშიც გვხვდება. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი,[1] არაბი აპმად იბნ უსუფ იბნ ყალი ალ-აზრაკ ალ ფარიკი,[2] იბნ ალათირი (ამ ავტორის „მსოფლიო ისტორია“ დაამუშავა ფრანგმა აღმოსავლეთმცოდნემ მ. დეფრემერიმ[3]), გოტჯე, მათე ურჰაელი — აი, არასრული სია იმ ავტორებისა, რომლებიც დიდგორთან ომს შეეხენ. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ აღნიშნული ბრძოლის მნიშვნელობას სამხედრო თვალსაზრისით შეეხო ფეოდალური საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიის თითქმის ყველა მკვლევარი. ყოველივე ეს კი ერთხელ კიდევ ბაზს უსვამს საკითხის მნიშვნელობას.

ალ-ფარიკი დაწვრილებით გადმოგვცემს იმ გზას, რომლითაც გაიარეს „ბუსულმანთა კოალიციის“ წარმომადგენლებს ნეჯმედდინ ილდაზისა და მასთან მყოფმა ლუბეისის ჯარებმა. ისინი შესულან ყარსის მიდამოებში და თრიალეთის გზას დასდგომიან. დათქმული იყო, რომ მთელი ლაშქარი თბილისს შესასვლელთან უნდა შეყრილიყო. იმავე ცნობით ნეჯმედდინი ნახევარი დღის სავალზე მისულა თბილისთან. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მტერი თბილისის მისადგომებთან იყო მისული: „მოვიდეს (მტერი—რ. ვ.) თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელთჳთ ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა“.[4]

ინგლისელი მეცნიერი პროფ. მიხრანსკი მიიჩნევს, რომ ალ-ფარიკის მონაცემები გზის შესახებ იგივეა, რომელსაც ძველი ქართული საისტორიო წყაროები მიუთითებენ: „ყარსი — ახდაჰანი — ახალქალაქი“(?)

აკად. ივ. ჯავახიშვილმა ქართული საისტორიო წყაროების საფუძველზე შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ ძველი დროიდანვე შიდა ქართლში შესვლა მხოლოდ თრიალეთის გზით შეიძლებოდა.[5]

ამდენად ნათელია, რომ ილდაზი ყარსიდან გამოსულა და მანგლისისა და თრიალეთის მისადგომებთან გაჩერებულა. მაჰმადიანთა კოალიციის ჰეერე ნაწილი კი განძისა და დვინის მხრიდან გამოემართა.

ერთი სიტყვით, აგვისტოს შუა რიცხვებში მტერი თრიალეთ-მანგლისსა და დიდგორშია განლაგებული და ხელთ უპყრია ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული მისადგომი.

ასეთ რთულ პირობებში, ცხადია, საქართველოს მხედართმთავრობა ახალ ტაქტიკურ ხერხს მიმართავდა (საბუღუხაროდ ამის შესახებ ჩვენ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება). დავით აღმაშენებლის გამჭრიახობით აღფრთოვანებული ისტორიკოსი ამბობს: „მეფემან დავით, უშიშმან და ყოველად უძრავმან გულითა... წინა განაწყო სპა მისი და... ყოველ საქმე შეუნიერად და ღონიერად ყო, რაბან წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით ესა ყოვლად ბრძანდ განაგო და... თჳსნი სპანი დაიცვნა უვნებლად“.[6] დავით აღმაშენებელმა ისეთი ამბავი დაანაო მტერს, რომ „ამათ ყოველთჳის არა ჩუენი, არამედ ვგონეს, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზეკეფწენთან უფალსვე“-ო.[7] იმავე ისტორიკო-

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, თბ. 1955.

[2] ვ. ფუთურიძე, არაბი ისტორიკოსის ცნობა XII ს. თბილისის შესახებ, ენიმკის მოამბე, ტ. XXIII.

[3] M. Defreméry, Extrait D' ibn-Alathir, Fragments de geographes et D' historiens arabes et persans inédits. Journal Asiatique, Juini. 1849, p. 477-482.

[4] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955, გვ. 341.

[5] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 57.

[6] ქართლის ცხოვრება, II, თბ. 1955, გვ. 341.

[7] იქვე.

რონან მეტრეველი

დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმის ზოგიერთი საკითხი

სის თქმით „რამეთუ პირველსაცე ოქსა ოოტა ბანაკი მათი და ივლტოდა“.

ალ-ფარიკის მოწმობით დავით აღმაშენებელს აღმოსავლეთიდან გამოულაშქრია დიდი მხედრობით, მთებიდან დასხმია თავს მაჰმადიანებს და დიდი ბრძოლა გადაუხდია. დიდგორის ბრძოლა საბედისწერო აღმოჩნდა მაჰმადიანური კოალიციისათვის.

1121 წლის ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველო და მისი დედაქალაქი თბილისი თურქთა უღლისგან განთავისუფლდნენ. ამიერიდან საქართველოს წინმიმავალ აღმავლობას ძნელი იყო ვინმე დასდგომოდა წინ.

საინტერესოა ერთი დეტალიც: დიდგორის ბრძოლის დროს ქართველთა ლაშქარი 61 ათასი კაცისაგან შედგებოდა. მათ შორის იყვნენ: 40000 ქართველი მხედარი, 15000 ყივჩაყი, 5000 ალანი და 1000 ფრანგი მეომარი. ე. ი. ლაშქრის უდიდესი უმრავლესობა (ორი მესამედი) ქართველებისაგან შედგებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ დავით აღმაშენებლისათვის ძირითად დასაყრდენს სწორედ ქართველები შეადგენდნენ. რა თქმა უნდა, დიდი როლი ეკუთვნის ყივჩაყებსა და ალანებსაც. მაგრამ, როგორც ჩანს, ისეთ გადამწყვეტ მომენტში, როგორიც დიდგორთან ომი იყო, დავით აღმაშენებელმა ასეთი ეროვნული მადგენლობა აირჩია. ვფიქრობთ, რომ ეს ფაქტიც ერთგვარად ამართლებს ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს ყივჩაყთა გადმოყვანის მიზეზთა შესახებ.

ამრიგად, XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში გატარდა დიდი მნიშვნელობის მქონე რეფორმა. ეს რეფორმა განსხვავდებოდა ევროპაში მიღებული წესიდან, სადაც მოლაშქრეს ძირითადად ქირაობდნენ (დავით აღმაშენებლამდე საქართველოშიც ხდებოდა მოლაშქრეთა დაქირავება). საქართველოს სამეფო კარმა ყივჩაყები გადმოასახლა და მათ ბაზაზე შექმნა არმია, რითაც უზრუნველყო როგორც ქვეყნის უსაფრთხობა, ისე მისი ეკონომიური წინსვლა.

ჯარში შეიქმნა მტკიცე დისციპლინა. გარდაიქმნა ბრძოლის ტაქტიკა. ყოველივე ამან განაპირობა საქართველოს ლაშქრის სიძლიერე. ამ უკანასკნელმა კი ქართველ ხალხს წარმატებები მოუტანა ამ დიდ ბრძოლაში, რომელსაც იგი მომხდური მტრის წინააღმდეგ აწარმოებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი პაიჭაძე

ვახტანგ მეექვსის პოლიტიკური მოღვაწეობა 1725—1737 წლებში

წერილი მეორე

ვახტანგ მეექვსეს გილანში გამგზავრების გამო სპეციალური ინსტრუქცია მისცეს. ის ძირითადად შეიცავდა იმ პოლიტიკურ მოტივებს, რომლითაც რუსეთის მთავრობა ირანისადმი თავის დამოკიდებულებას ასაბუთებდა. ბუნებრივია, რომ ინსტრუქციაში ლაპარაკი იყო ეკატერინე პირველის მისწრაფებაზეც—გაენთავისუფლებინა ამიერკავკასიის ხალხები. მაგრამ დასაწყისშივე აღნიშნული იყო, რომ ვიდრე არ მოწესრიგდებოდა ურთიერთობა ირანთან და იქ შაჰის ხელისუფლება არ განმტკიცდებოდა, რუსეთი ვახტანგს ქართლის ტახტის დაბრუნებაში ვერ დაეხმარებოდა.

ეკატერინე პირველი აცხადებდა, რუსეთი დაინტერესებულია ირანის ძლიერებითა და შაჰის ტახტზე თამაზის დამკვიდრებითო. ამითვე ხსნდა იგი პეტრე პირველის ლაშქრობას კასპიის-პირეთში და აღნიშნავდა, რომ ქართლის მეფემ კარგად იცოდა, თუ ვინ იყო ამ ლაშქრობის დროს მტერი და ვინ მოყვარე, როგორ ჩაერია საქმეებში თურქეთი და როგორ დაიპყრო საქართველო. თურქეთის მტრულმა საქმიანობამ, — აღნიშნული იყო ინსტრუქციაში, — რუსეთის ჯარის წინსვლა შეაჩერა და ქრისტიანი ხალხების განთავისუფლების საქმეც გაართულა. ხოლო ავდანელებმა ამასობაში ისპაჰანი აიღეს და შაჰი ჰუსეინი დაამხეს. ჰუსეინის შვილმა — თამაზმა, რომელმაც ისპაჰანიდან გაქცევით უშველა თავს, რუსეთს ელჩი გაუგზავნა. პეტრემ კი ირანის სახელმწიფოს მოკავშირედ შენარჩუნების მიზნით 1723 წ. ამ ელჩთან ხელშეკრულება დადო. რუსეთს კასპიისპირა პროვინციები შემოუერთა, რაც საქართველოსთან და სხვა ქრისტიან ხალხებთან უკეთ დაკავშირების მიზნითაც აუცილებელი იყო.

შემდეგ ინსტრუქციაში აღნიშნავდნენ, რომ ხელშეკრულება თამაზისათვის სასარგებლო იყო და ამიტომ მას იგი დაუყოვნებლივ უნდა მიეღო. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. თამაზმა ზოგიერთი თავისი „უსაქმური მინისტრის“ რჩევით ხელშეკრულების რატიფიკაციაზე უარი თქვა, გაუგონარი ლანძღვა-გინებით გამოისტუმრა რუსეთის რეზიდენტი და რუსეთის ჯარების წინააღმდეგ მტრულ საქმიანობას ეწეოდა. ასეთ ვითარებაში პეტრეს არ შეეძლო დახმარებოდა თამაზს და ამიერ-

---

იხ. „ცისკარი“, № 5.

კავკასიაში ქრისტიანობის გასანთავისუფლებლად რაიმე ეღონა.

თურქეთმა კი ისარგებლა შემთხვევით, დაიწყო ტერიტორიების დაპყრობა და მთელი ირანის დაპატრონებას ლამობდა. ხოლო რადგან პეტრეს შეეძლო თურქეთისათვის წინააღმდეგობა გაეწია, სულთანმა მას ირანის დანაწილება შესთავაზა, რაზედაც პეტრემ კატეგორიული უარი განაცხადა. იმის გამო, რომ თამაზი რუსეთს ეწინააღმდეგებოდა, თურქეთის შემოტევის შეჩერება შესაძლებელი იყო მხოლოდ სულთანთან სათანადო ხელშეკრულების დადებით, რაც მოხერხდა კიდევ 1724 წ.

პეტრეს ასეთი მოქმედება. — ხაზგასმული იყო ინსტრუქციაში. — ნაკარნახევი იყო ირანის სახელმწიფოს შენარჩუნების სურვილით. პეტრე თამაზისთვისაც ზრუნავდა და თურქეთთან დადებული ხელშეკრულების ტექსტში მან სათანადო მუხლი შეატანინა, თუ თამაზი სცნობდა რუსეთ-თურქეთის 1724 წლის ხელშეკრულების პირობებს, ორივე სახელმწიფოს შემწეობით იგი მაჰის ტახტზე ავიდოდა. და ბოლოს, რუსეთის მთავრობა აცხადებდა: თამაზის სიჯიუტე ხელს უწყობს სულთანს, რომ მან ირანის ტერიტორიების დაპყრობა განაგრძოსო. ეკატერინე კი თურქებს წინააღმდეგობას ვერ უწევდა, რადგან თამაზი შერიგების სურვილს არ აჩენდენდა; ხოლო ირანში არ მოიპოვებოდა ისეთი ძალა, რომელსაც რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენებდა. მიუხედავად ამისა, ეკატერინე თამაზის წინააღმდეგ მაინც არ მოქმედებდა და იმედოვნებდა, რომ ის რუსეთის წინადადებებში თავის სარგებლობას დაინახავდა და რაც უფრო ადრე დათანხმდებოდა, მით უფრო სწრაფად გადაწყდებოდა ირანისა და საქართველოს საკითხები.

ეკატერინე იმედს გამოთქვამდა, რომ ქართლის მეფე თამაზს დაიყოლიებდა და ამ დავალების შესრულებას ვახტანგზე უკეთ ვერავინ შეძლებდა, რადგან ის იყო მეტად გავლენიანი. ავტორიტეტული და საქმის დიდი მცოდნე. ამასთან ერთად ეკატერინე ხაზს უსვამდა და იმ გარემოებას, რომ რუსეთ-ირანის ურთიერთობის მოწესრიგებით პირადად ვახტანგიც უნდა დაინტერესებულიყო.

ვახტანგს ავალებდნენ დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო გილანში და თამაზთან მოლაპარაკება დაეწყო; ემოქმედნა დოლგორუკოვთან შეთანხმებით და შეეგროვებინა ზუსტი ცნობები ირანისა და ამიერკავკასიის მდგომარეობის, თურქეთისა და აშრაფის საქმიანობის შესახებ და სხვ.

ვახტანგს ურჩევდნენ, თუ თამაზი გაჯიუტდებოდა, მაშინ მისთვის ეთქვა, რომ ეკატერინეს გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა აღარ შეუძლია და იგი თამაზის წინააღმდეგ მოქმედებას დაიწყებსო. მას მაჰისათვის უნდა ჩაეგონებინა, რომ ირანში შექმნილი ვითარების გამო რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება მაჰისთვის საუკეთესო გამოსავალი იყო და რომ მსგავს ვითარებაში სხვა დიდი სახელმწიფოებიც ანალოგიურად იქცეოდნენ. კერძოდ, უნდა დაესახელებინა თვით რუსეთის მაგალითი, როდესაც მან შინაარეულობის გამო შვედეთს ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა და თავისი უძველესი პროვინციები დაუთმო. ხოლო შემდეგ კი, როცა მოაწესრიგა შინაური საქმეები, ის პროვინციებიც უკან დაიბრუნა და შვედეთზეც შური იძია.

ეკატერინე აცხადებდა, რომ საკუთარი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხებისადმი თავისი კეთილი სურვილების გამო იგი ნებას არ მისცემდა, რომ თურქეთს დაეპყრო როგორც საერთოდ ირანი, ისე საბოლოოდ დაპატრონებოდა 1724 წ. ხელშეკრულებით დაკავებულ ირანისა და ამიერკავკასიის ტერიტორიებს. მაგრამ ვინაიდან ამის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ თურქეთთან ომით. ამიტომ რუსეთი საომრად ემზადებოდა და უკავშირდებოდა სხვა სახელმწიფოებს, კერძოდ, რუსეთმა კავშირი შეკრა ავსტრიასთან.

სამხედრო მოქმედებას კი რუსეთი ვერ დაიწყებდა, ვიდრე ირანში არ დამყარდებოდა შაჰის ძლიერი ხელისუფლება, რომელიც თურქეთის წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებას შესძლებდა.

ვახტანგს უნდა აეხსნა შაჰ-თამაზისათვის, რომ არც პეტრე პირველი და არც ეკატერინე ირანის დაპყრობას მიზნად არ ისახავდნენ. ამის დასადასტურებლად მას უნდა ეთქვა, რომ რუსეთი მზად იყო ირანისათვის კასპიისპირეთის ზოგიერთი პროვინცია დაებრუნებინა. კონკრეტულად, ქართლის მეფეს შეეძლო მაზანდარანისა და ასტრაბადის დათმობაზე ელაპარაკა (ფულადი ანაზღაურების პირობის გარეშე). საჭიროების შემთხვევაში გილანის დაბრუნებასაც დაპირებოდა. მაგრამ რუსეთის მთავრობისაგან განსაკუთრებული ნებართვის მიუღებლად გილანიდან ჯარი არ უნდა გაეყვანათ. თამაზისათვის კი აეხსნათ, რომ ვიდრე ირანში წესრიგი არ დამყარდებოდა და შაჰის ხელისუფლება არ აღდგებოდა, რუსეთის ჯარების ამ პროვინციებიდან გაყვანა სახიფათო იყო. ხოლო თუ თამაზი რუსეთის წინააღმდეგს მაინც არ მიიღებდა, მაშინ მისთვი უნდა ეთქვათ, რომ ეკატერინე იძულებული გახდება— იგი თავის მტრად სცნოს და 1724 წლის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების ძალით ირანის ტახტზე ახალი შაჰი აიყვანოსო.

ინსტრუქციაში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ დიდი სიფრთხილით, თურქებისაგან ფარულად, რუსეთის მხარეზე გადმოვბრებინათ ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხები და თვით ირანელებიც კი.

დასასრულს, რუსეთის მთავრობა რწმენას გამოთქვამდა, რომ ვახტანგ VI გულწრფელად შეასრულებდა დაკისრებულ მისიას. ქართლის მეფეს და მის საგვარეულოს ეკატერინე I განსაკუთრებულ პატივისცემასა და მფარველობას ჰპირდებოდა.

ამ ინსტრუქციის გარდა ვახტანგი აღებულს ზოგიერთი სხვა დიპლომატიური დოკუმენტის ასლით, სახელდობრ, რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების ტექსტით, ეკატერინე I და კერძოდ ცლერ გოლოვკინის მიერ შაჰ-თამაზისადმი კარზე გაგზავნილი წერილების ასლებითა და ავრამოვისათვის მიცემული ინსტრუქციით.

უფრო გულახდილად თავის მოსაზრებებსა და სურვილებს ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე ეკატერინე პირველის მთავრობა დოლგორუკოვისათვის მიცემულ ინსტრუქციაში გამოთქვამდა. გენერალს აუხსნეს, რომ მას უნდა ემოქმედნა უმაღლესი საიდუმლო საბჭოს გენერალური გეგმის მიხედვით, რომელიც მხოლოდ პირადად მას უნდა სცოდნოდა. ამ გეგმის ძირითადი მიზანი კი ის იყო, რომ რუსეთი თანდათანობით ირანის საქმეებისაგან განთავისუფლებულიყო („по малу искать из персидских дел выйти"), ხოლო ირანში თურქეთის საწინააღმდეგოდ ძლიერი ხელისუფლება დაემყარებინათ და თურქებისათვის კასპიისპირეთში ან საერთოდ რუსეთის საზღვრების მახლობლად გამაგრების საშუალება არ მიეცათ. რადგან ვახტანგისათვის მიცემული დავალება ამ გეგმის შესრულებას ემსახურებოდა, ამიტომ დოლგორუკოვს ქართლის მეფისათვის დახმარება უნდა აღმოეჩინა.

გარდა ვახტანგისათვის მიცემული დოკუმენტებისა, დოლგორუკოვს ეძლეოდა სომხეთიდან მიღებული წერილების ასლები, ლევაშოვის მოხსენებების პირები და, ალბათ, ვახტანგთან უფთიერთობის გამწვავების შემთხვევისათვის, ეკატერინე პირველის 1725 წლის ცნობილი მემორანდუმი, რომელიც თავის დროზე ქართლის მეფეს არ გადასცეს.

დოლგორუკოვი გააფრთხილეს, რომ ფეჰზლად ყოფილიყო თურქებთან დამოკიდებულებაში, არ მიეცა მათთვის 1724 წლის ხელშეკრულების დარღვევის საბაბი, გაემაგრებინა კასპიისპირე-

თის პროვინციები და სხვ. ხოლო თუ თურქები მტრულ მოქმედებას დაიწყებდნენ და აუცილებელი გახდებოდა მათთან შებრძოლება, მაშინ ვახტანგის დახმარებით დოლგორუკოვს პრძოლაში აშკარად უნდა ჩაება არა მარტო ქართველები და სომხები, არამედ ირანელებიც და თამაზთან თურქეთის წინააღმდეგ კავშირი უნდა შეეკრა.

თუ მოგლენების განვითარება საჭიროდ გახდიდა ისეთი სასწრაფო ზომების მიღებას, რომლებსაც ინსტრუქცია არ ითვალისწინებდა, დოლგორუკოვს უფლება ეძლეოდა ვახტანგისა და მთელი გენერალიტეტის თანხმობით სათანადოდ ემოქმედნა. მაგრამ მაინც საჭიროდ ჩათვალეს ინსტრუქციის საიდუმლო პუნქტებში აღენიშნათ, რომ ვახტანგის რჩევა დოლგორუკოვს უნდა მიეღო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ «...когда оной... во всем с интересами ея императорского величества сходно поступать станет, а ежелиб он иногда что учинить предвосприять похотел ежеб с теми интересами не сходно было, то надлежит ему... генералу оного пристойным образом от того удержать, и для того, на все его царя поступки искусно смотреть, и приличными представлениями его к тому привесть, дабы он один без совету и согласия с ним генералом ничего не учинил и не предвосприял, а в противном, надлежит с ним царем Вахтангом поступать со всякою учтивостию и повелеть отдавать ему везде пристойное почтение, дабы он причин какому озлоблению не имел».

ამრიგად, ეკატერინე პირველის მთავრობის ვარაუდით ვახტანგ მეექვსის დიპლომატიური მისიის ძირითადი მიზანი ის იყო, რომ თამაზთან ურთიერთობა მოეგვარებინათ და თურქების წინააღმდეგ მებრძოლი ამიერკავკასიის ხალხებისათვის მორალური მხარდაჭერა გაეწიათ.

ხოლო ვახტანგი, თავის მხრივ, რუსეთის მთავრობის დავალების შესრულებით საქართველოს საკითხის მოგვარებას ფიქრობდა. ჯერ ერთი, ეკატერინე პირველისა და შაჰ-თამაზის პოლიტიკურ ურთიერთობაში შუამავლად გამოსვლით იგი რუსეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკაში საქართველოს საკითხის მნიშვნელობას ზრდიდა. მეორე, რადგან საქართველოს საკითხი ირან-თურქეთის ურთიერთობის პრობლემასთანაც იყო დაკავშირებული, შაჰთან მოლაპარაკებაში უშუალო მონაწილეობით ვახტანგს ურთიერთობაზე გავლენის მოხდენა შეეძლო.

1726 წლის აგვისტოს ვახტანგ მეექვსე დარუბანდში ჩავიდა. აქ 28 აგვისტოს ყაზანის ღვთისმშობლის ეკლესიაში მას საზეიმო ვითარებაში ანდრია პირველწოდებულის ორდენი გადასცეს. 10 სექტემბერს ვახტანგი რაშტს ჩავიდა.

ამ დროისათვის თამაზთან დამოკიდებულება თითქოს გაუმჯობესდა. გილანში ირანის მოციქული მიიწვა მოჰამედ ქაფი ჩავიდა. იგი 1725 წ. 3 ნოემბერს ეახლა ლევაშოვს, ოფიციალურად არა შაჰის, არამედ ყორჩიბაშის მოჰამედ რეზას სახელით. ფაქტიურად იგი ნიადაგს მოსასინჯად გამოგზავნეს, რომ საჭირო შემთხვევაში თამაზს რუსეთის სარდლობასთან მოლაპარაკების დაწყება შესძლებოდა. მოჰამედ ქაფიმ ლევაშოვსა და ირანის ყოფილ ელჩს — ისმაილ-ბეგს ყორჩიბაშის წერილები ჩამოუტანა. მოჰამედ ქაფიმ აგრეთვე ქართული წერილებიც ჩამოტანა, რაც შემთხვევითი ო�d იყო. წერილებში მოჰამედ ქაფის დადებითად ახასიათებდნენ. ერთის ავტორი იყო თამაზის კარზე მყოფი კონსტანტინე კახთა მეფის ძმისწული, რომელიც თავის წერილს კახთა მეფის მიერ რუსეთის სარდლებთან წარგზავნილ ელჩსა და რასებს სწერდა. მეორე წერილი კი ჩვენთვის უკვე ცნობილ სარიდანს და შაჰის კარზე მყოფ რევაზს ეკუთვნოდა ისინი სწერდნენ რუსეთის ჯარში მომსახურე ვინმე ელიზბარს.

ლევაშოვი და მოჰამედ ქაფი ერთმანეთს რამდენჯერმე ოფიციალურად შეხვდნენ. ამ შეხვედრებს ისმაილ-ბეგიც დაესწრო.

ირანის წარმოგზავნილი საუბარში ხშირად უსვამდა ხაზს ორივე სახელმწიფოს შორის წარსულში მშვიდობიანი ურთიერთობის არსებობას და აღნიშნავდა: თამაზი არ იცნობს 1723 წლის ხელშეკრულების პირობებს, რადგანაც ისმაილ-ბეგი მასთან არ დაბრუნდაო. ლევაშოვი რუსეთის ჯარის მიერ კასპიისპირეთის დაკავების მიზეზს ირანში მომხდარი არეულობით ხსნიდა. გენერალი აღნიშნავდა: რუსეთს რომ არ დაეკავებინა კასპიისპირა პროვინციები, თურქები მათ ხელში ადვილად ჩაიგდებდნენო, ვინაიდან ირანის შაჰს მათთვის წინააღმდეგობის გაწევის თავი არ ჰქონდა, ამიტომ თამაზისათვის უკეთესი იყო, რომ კასპიისპირეთი მოეკთის ხელში ყოფილიყო და არა მტრისაო.

ლევაშოვმა უარყო მოჰამედ ქაფის არგუმენტები, რომ თითქოსდა თამაზი არ იცნობდა 1723 წ. ხელშეკრულების პირობებს. ირანის მოციქულს მან მოაგონა თამაზის კარზე გაგზავნილი გოლოვკინის წერილები, რუსეთის რეზიდენტად მეშჩერსკის დანიშვნა, რომელიც შაჰმა უკან გამოისტუმრა და სხვ.

ერთი სიტყვით, მოჰამედ ქაფი ფრთხილად ეძებდა იმის შესაძლებლობას, რომ ირანს კასპიისპირეთი უკან დაებრუნებინა. ლევაშოვი კი ამ პროვინციების რუსეთთან შეერთების აუცილებლობას ამტკიცებდა.

30 ნოემბერს მოჰამედ ქაფი რაშტიდან გაისტუმრეს. მას თან გააყოლეს თარჯიმანი ყაზანელი თათარი აბდულა შიგაევი, რომელსაც შაჰის, ყორჩიბაშისა და სხვა ირანელი დიდებულების სახელზე წერილები გაატანეს.

1726 წლის გაზაფხულზე მოჰამედ ქაფი კვლავ ჩამოვიდა რაშტში და გოლოვკინის, ლევაშოვისა და ისმაილ-ბეგის სახელზე ყორჩიბაშის წერილები ჩამოიტანა. შაჰ-თამაზი აღფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ირანის ელჩი კვლავ რაშტში იმყოფებოდა, და თანაც შაჰს გილანში, რუსეთის ჯართან ჩასვლას ურჩევდა. თამაზი ქატერინეს გორიულად მოითხოვდა, რომ ისმაილ-ბეგი მასთან დაბრუნებულიყო. მაგრამ უკანასკნელმა კარგად იცოდა შაჰის კარის მუხანათობა და არ შეასრულა თამაზის მოთხოვნა. იგი თვალცრემლიანი შესჩიოდა მოჰამედ ქაფის: მთელი ჩემი საქმიანობა ირანის სახელმწიფოსა და სეფიანთა დინასტიის ინტერესებს მოვახმარეო. რაშტში დარჩენას კი იმით ხსნდა, რომ შაჰის კარისკაცთა შორის ბევრი მტერი ჰყავდა და მათი შურისძიებისა ეშინოდა.

ლევაშოვმა განაცხადა: რუსეთის სარდლობა ისმაილ-ბეგის გამგზავრების წინააღმდეგი არ არის, ხოლო თავის მხრით შაჰს ამ საქმეში დახმარებას ვერ გაუწევს, რადგან უცხოეთის ელჩის იძულებითი გასახლება შეუძლებელიაო.

1726 წ. 23 აპრილს მირზა მოჰამედ ქაფი გილანიდან გაბრუნდა. ამჯერად მას თან გააყოლეს ავრამოვი და ამილახვარი. ერთი სიტყვით, მოჰამედ ქაფის ჩამოსვლის არსებითად არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მატიუშკინი და ლევაშოვი ეკატერინეს შემთხვევით როდი მოახსენებდნენ, რომ ირანიდან მიღებული წერილები უშნაარსო იყო, ხოლო მოჰამედ ქაფის მისიის მიზანი ისმაილ-ბეგის გატყუება და ხელში ჩაგდება არისო. ლევაშოვმა ეჭვი გამოთქვა იმის გამოც; რომ შაჰი უსახლოეს ხანში ელჩს გამოგზავნიდა ხელშეკრულების დასადებად. გენერალი რჩევას იძლეოდა — თამაზს საერთოდ ნუ შეპირდებით კასპიისპირეთში რომელიმე ტერიტორიის დაბრუნებასო. მისი აზრით, ყოველგვარი დათმობა რუსეთისადმი მტრულად განწყობილ ადგილობრივ მფლობელებს შეეძლოთ რუსეთის სისუტით აეხსნათ. ამას კი მათი შეიარაღებული გამოსვლები მოჰყვებოდა.

ამრიგად, გილანში ვახტანგ მეექვსის

გიორგი ბაიკაძე

ჩასვლამდე თამაზთან დამოკიდებულების საკითხში რუსეთის მთავრობის სასარგებლო რაიმე სერიოზული ცვლილება არ მომხდარა.

თვით ვახტანგ მეექვსის ჩარევამ რუსეთ-ირანის დიპლომატიურ მოლაპარაკებაში შაჰ-თამაზზე გარკვეული გავლენა მოახდინა.

ჯერ კიდევ გზაში მყოფმა ვახტანგ მეექვსემ ირანდან წერილები მიიღო. სარიდანმა და სხვა ორმა კარისკაცმა ვახტანგს აცნობეს, რომ თამაზი მისდამი კეთილად არის განწყობილი და აშრაფისა და თურქების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საკითხზე მოლაპარაკებაც სურსო. მალე ვახტანგს წერილი თვით შაჰმაც გამოუგზავნა. თამაზი ხაზს უსვამდა ვახტანგისადმი, როგორც ქართლის მეფისადმი თავის დამოკიდებულებას და ურჩევდა გილაში ჩასულიყო მოსალაპარაკებლად.

რაშტში ჩასვლისთანავე ვახტანგმა შაჰს და მის კარისკაცებს წერილები გაუგზავნა. ცოტა ხნის შემდეგ ყორჩიბაშისაგან, რომელიც ლაჰიჯანში იმყოფებოდა, შიკრიკი მოვიდა. 8 ნოემბრის ვახტანგი და ყორჩიბაში მოჰამედ რეზა ერთმანეთს რაშტის მახლობლად შეხვდნენ. დაიწყო მოლაპარაკება.

ვახტანგმა განაცხადა, რომ რუსეთი ირანის ტახტზე თამაზის დამკვიდრებით არის დაინტერესებული, თამაზს რუსეთ-ირანის 1723 წლის ხელშეკრულებაზე უარის თქმას უსაყვედურებდა. თამაზს ამ გზით შეეძლო მოეპოვებინა რუსეთის მხარდაჭერა და თურქეთისა და აშრაფის წინააღმდეგ ძალის შემოკრება. ყორჩიბაში ვახტანგს დაეთანხმა და აღუთქვა, რომ მიუხედავად ზოგიერთი კარისკაცის წინააღმდეგობისა, შეეცდებოდა შაჰის დაყოლიებას. ამატომ ყორჩიბაშმა ყოველ შემთხვევისათვის ვახტანგს მაინც სთხოვა, თუ ამის გაკეთებას ვერ მოვახერხებ, მაშინ ეკატერინესთან მიშუამდგომლე, რომ რუსეთში დავსახლდეო.

ყორჩიბაშთან მოლაპარაკების შედეგები ვახტანგმა კანცლერ გოლოვკინს აცნობა. თავის წერილში ქართლის მეფე აღნიშნავდა: «Признал я желание на о сих двух обстоятельствах. Первое, как утвердить положенной трактат, чтоб с примирением отдать им их посла Исмаил бега. Второе, чтоб дать им на Казбин российского войска... он корчи баша по древней ко мне отца своего дружбе зело показал себя склонна и дал... клятвенное обещание, чтоб как возможно о показанном стараться».

თამაზთან მოსალაპარაკებლად ვახტანგმა თურქისტანიშვილი და დავით ნაზარაშვილი გაგზავნა. ქართლის მეფე შაჰს ურჩევდა, ან თვითონ ჩასულიყო გილაში ან ოფიციალურად ხელშეკრულების დასადებად ელჩი დაენიშნა.

ყორჩიბაშთან შეხვედრის შედეგები ვახტანგმა დოლგორუკოვს აცნობა და რწმენენ გამოთქვა, რომ თამაზს რუსეთის მთავრობის წინადადებებზე დათანხმებდა. დოლგორუკოვი კი საქმეს მაინც ეჭვის თვალით უყურებდა. მაგრამ ვახტანგმა შეძლო მიზნისათვის მიეღწია. თამაზმა დანიშნა ოფიციალური წარმომადგენელი, ყოფილი ყორჩიბაში მოჰამედ რეზა, რომელიც უკვე სპასალარი იყო.

1727 წ. მარტში ირანის წარმომადგენელი, ლევაშოვი და ვახტანგ მეფე რაშტის მახლობლად, ქუჩ-ისპაჰანში ოფიციალურად შეხვდნენ ერთმანეთს. ლევაშოვის განცხადებას, რომ ეკატერინე პირველს 1723 წ. რუსეთ-ირანის ხელშეკრულების დამტკიცება სურდა, სპასალარმა უპასუხა: საჭიროა ურთიერთსარგებლობის და ურთიერთდახმარების პრინციპის დაცვა და თამაზის მხარდაჭერაო. შაჰის წარმომადგენელი ძოითხოვდა, რომ რუსეთს დაებრუნებინა ირანისათვის კასპიისპირეთის პროვინციები, რადგან თამაზს „მიწები და ადგილები თავისთვის აღარ რჩებაო“. ამასთან ერთად სპასალარი მოითხოვდა, რუსეთი თამაზს მტრებთან ბრძოლაში დაეხმაროსო. სპასალარმა სცადა თამაზის გამართლება და რუსეთის რეზიდენტთან მომხდარი ინციდენტი იმით ახსნა, რომ მეშჩერსკიმ მოით-

ხოვა მისთვის გაეცნოთ შაჰის მიერ ეკატერინესათვის გაგზავნილი სიგელის შინაარსი, რაც თითქოს დიპლომატიური ეტიკეტის ნორმების დარღვევას ნიშნავდა.

ლევაშოვმა თავის მხრით აღნიშნა, რომ რუსეთი ყოველთვის ესწრაფოდა ირანთან მეგობრობას და საერთო მტრების დამარცხებას. მაგრამ ამჯერად საქმეს თვით ირანელები უშლიან ხელსო.

როცა დაიწყეს ახალი ხელშეკრულების პირობების შემუშავება, სპასალარმა განაცხადა, რომ თამაზი რუსეთისა და თურქეთის მიერ ტერიტორიების შემოერთებას იმ შემთხვევაში აღიარებდა, თუ ისინი აშრაფის წინააღმდეგ ბრძოლაში მას მხარს დაუჭერდნენ და ავღანელებისაგან ირანის ტერიტორიას განთავისუფლებდნენ. ამ ცხარე პაექრობაში აქტიურად ჩაერია ვახტანგი და სპასალარი დაიყოლია. სპასალარმა მიიღო რუსეთის მთავრობის წინადადებები და მზად იყო ეცნო რუსეთ-თურქეთის 1724 წლის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ თამაზს დაუბრუნებდნენ მაზანდარანსა და ასტრაბადს; ხოლო გილანში — ლაჰიჯანს. თანაც გარანტიას იძლეოდა, რომ ირანის ტახტზე დამკვიდრების შემდეგ თამაზი ლაჰიჯანიდან მიღებულ შემოსავალს რუსეთს გადუხდიდა.

ვახტანგმა იმასაც მიაღწია, რომ სპასალარის მიერ შეთავაზებული პირობებით, გაერკვიათ საქართველოს საკითხიც, კერძოდ, თურქეთის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლება და ქართლის ტახტზე ვახტანგ მეექვსის აღდგენა აღენიშნათ.

ამრიგად, რუსეთის მთავრობის დავალება ვახტანგმა წარმატებით შეასრულა. ირანის წარმომადგენელი მზად იყო, რუსეთთან ხელშეკრულება დაედო იმ პირობით, რომ ეკატერინე პირველი გილანს არ დათმობდა. მაგრამ საქმე ხელშეკრულების გაფორმებამდე არ მივიდა. ამჯერად ლევაშოვი საქმის გაჭიანურებასა და დროის გაყვანას ცდილობდა. იგი სულ ახალ-ახალ წამკითხეს აყენებდა, უსაყვედურებდა სპასალარს: გილანელებს რუსეთის წინააღმდეგ აქეზებო. ასე რომ, მოლაპარაკება შეწყდა.

ვახტანგი საგონებელში ჩავარდა. 1727 წ. 1 აპრილს მან ვრცელი წერილით ყოველივე აცნობა გ. გოლოვკინს[1]. იგი ბრალს სდებდა ლევაშოვს. რადგანაც გენერალი ინსტრუქციის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, ვახტანგმა მას მოლაპარაკების ჩაშლის მიზეზების წერილობითი ახსნა-განმარტება მოსთხოვა. ლევაშოვი თავს იმართლებდა და ყველაფერს ვითარების შეცვლითა და რუსეთის მთავრობის ახალი მითითებებით ხსნდა.

უნდა ითქვას, რომ ვახტანგს ლევაშოვთან თავიდანვე დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გენერალი საერთოდ წინააღმდეგი იყო თამაზისათვის რაიმე ტერიტორიული დათმობისა და მოითხოვდა კასპიისპირეთში ძალის თუნდაც გარეგნულ გამოვლინებას. ხშირ შემთხვევაში, კასპიისპირეთში დაბანაკებული რუსეთის ჯარის საერთო სისუსტის გამო, ეს მეთოდი გამართლებული იყო. დოლგორუკოვი თავის მოხსენებებში არაერთხელ აღნიშნავდა ლევაშოვის პირად დამსახურებას „წესრიგის დაცვის საქმეში". მაგრამ რთულ ვითარებაში მყოფი გენერალი ყველაფერს დიდი ეჭვიანობით ეკიდებოდა და ხშირად იქ, სადაც სრულებით არ იყო საჭირო, მომეტებულ სიფრთხილესა და უნდობლობას იჩენდა. მაგალითად, ის ეჭვის თვალით უყურებდა ქართველების მოღვაწეობას და უნდობლობას იჩენდა ვახტანგ მეექვსისადმი. მართალია, ასეთი დამოკიდებულება ქართლის მეფისადმი თვით ეკატერინესა და მისი მთავრობის მიერ

[1] ვახტანგ მეექვსის წერილის ტექსტი დარეული გვაქვს სტატიის ბოლოს.

გიორგი პაიჭაძე

იყო ნაკარნახევი. მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში ეს ღვივდებოდა, ერთი მხრივ, ლევაშოვისა და მსგავსი პირების მომეტებული სიფრთხილით, მეორე მხრით კი ავრამოვისა და მისი მსგავსი მოხელეების კარიერისტული მისწრაფებებით და სხვ.

ჯერ კიდევ 1725 წ. რაშტში მყოფი დავით ნაზარაშვილი ჩიოდა, რომ ირანიდან წერილებს დიდი დაგვიანებით იღებდა, რადგან რუსეთის სარდლობა მათ სინჯავდა, რის გამოც ნაზარაშვილს დიდათ ეშლებოდა ხელი.

როგორც ვიცით, ლევაშოვს დავალებული ჰქონდა სომხებისათვის წინასწარ ეცნობებინა კასპიისპირეთში ვახტანგისა და დოლგორუკოვის ჩამოსვლა. მაგრამ დავალება მან არ შეასრულა, რადგან არასწორი ცნობები ჰქონდა სომხებისა და ქართველების დამოკიდებულებაზე და ამ საკითხს მეტად ტენდენციურად მიუდგა. თავის მოქმედებას იგი დაუსაბუთებელი მიზეზებით ხსნდა: «...о грузинском царе Вахтанге в предосторожность ея императорского величества интересов умолчал, для того что... усмотрел, что никоторые народы между собою так в ненависти не пребывают, как армяне з грузинцами, а наипаче по законам и по состоянию армян не без опасения мнитца быть имеет. Ежели армянское собрание о присылке к ним грузинского царя Вахтанга уведают, а особливо их патриархи и командир их Аванас избаша... от помянутого объявления за ненависть чтоб не вознегодовали и новогоб чего не восприяли, понеже в нынешние времена армяне сами своего ига отбить счастия смотрят и случаев ищут».

ცნობილია, რომ ვახტანგს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სომეხ პოლიტიკურ მოღვაწეებთან. თავის დროზე ენერგიული ზომებიც მიიღო სომხური ჯარის ჩამოსაყალიბებლად. ნომეწ მკვლევარი ფ. ტ. არუთინიანი წერს: სომხური ჯარები არსებობდნენ ადრეც, განმთავისუფლებელი მოძრაობის დაწყებამდე... მაგრამ სომხური რაზმების გაერთიანება და დამოუკიდებელი სომხური ჯარის შექმნა მოხდა XVIII ს. 20-იანი წლების დასაწყისში, როცა შეიქმნა სომხური სგნახი. სომხური ჯარის ორგანიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველმა მეფემ ვახტანგ მეექვსემ. რომელიც დამპყრობთა წინააღმდეგ სომეხი ხალხის შეიარაღებული ბრძოლისა და მისი სამზადისის პერიოდში სომხებთან აგზავნიდა მხედარმთავრებს [1].

ჩვენს მიერ აღნიშნული სომეხი პატრიარქის ესაიასა და სხვა სომეხი მოღვაწეების მრავალი წერილები, რომლებსაც ისინი რუსეთში ვახტანგ მეექვსესა და ეკატერინე პირველს უგზავნიდნენ, ნათლად მოწმობენ ლევაშოვის ე. წ. „მიზეზების“ უსაფუძვლობას.

თვითონ ვახტანგი შესჩიოდა უმაღლესი საიდუმლო საბჭოს წევრებს, რომ დარუბანდში მასთან ერთ ხანს არ უშვებდნენ სომხეთიდან ჩამოსულ ეზბაშებს, ხოლო გილანში მას უზღუდავდნენ მოქმედების თავისუფლებას.

ლევაშოვი დაეინებით ცდილობდა ჩაეგონებინა თავისი მთავრობისათვის ის აზრი, რომ ვახტანგი თითქოსდა ადვილად იჯერებდა სპასალარის ცრუ დაპირებებს, და საშიში იყო, რომ სპასალარი რუსეთის ხელიდან გამოგლეჯდა ვახტანგს. ამის გამო გენერალი ცდილობდა ვახტანგისათვის „მეურვეობა“ გაეწია.

1727 წ. აგვისტოში დოლგორუკოვის სახელზე გაგზავნილ წერილში ლევაშოვი აღნიშნავდა ვახტანგ მეექვსის აქტიურ საქმიანობას და დამსახურებას თამაზთან ურთიერთობის მოგვარებაში. ამავე დროს იგი შიშობდა, რომ ვახტანგი მას დაიბრალებდა მოლაპარაკების ჩაშლას და ქართლის მეფეს კვლავ

[1] იხ. П. Т. Арутюнян. Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII века. Москва, 1954, стр. 155—156.

ბრალდებად უყენებდა ირანის დაპირებებისადმი მომტეტებულ ნდობას.

1727 წლის დეკემბერში ლევაშოვი სწერდა დოლგორუკოვს: «...а что царь грузинской просил ваше высококняжеской светлости чтоб случающихся к нему писем не распечатывать и я всякие письма вскрываю по прежнему его императорского величества указу... и уповаю оным вскрытиям и на предь быть надобно».

რაც შეეხება ავრამოვს, ის ეჭვის თვალით უყურებდა თურქისტანშვილსა და ნაზარაშვილს — ვახტანგ მეექვსის წარგზავნილებს თამაზის კარზე. ხოლო ამილახვარს, რომელთანაც ერთად ირანში ჩავიდა, მან ღალატი — გამამადიანება და ოფიციალურად შაჰის სამსახურში შესვლა დასწამა. 1727 წ. ივლისში, როცა ამილახვარი რაშტში დაბრუნდა, ავრამოვს დასმენის შედეგად რუსეთის მთავრობა პეტერბურგში სასწრაფოდ მის გაგზავნასა და საქმის გამოძიებას ანიშნებდა. მაგრამ ამჯერად თვით ლევაშოვიც კი დაეჭვდა ბრალდების სისწორეში. ხოლო დოლგორუკოვმა მიზანშეწონილად არ ჩათვალა მისი პეტერბურგში გაგზავნა. ამილახვარი დატოვეს ვახტანგ მეექვსის ამალაში, რომელიც ასტრახანში ბრუნდებოდა.

ერთი სიტყვით, ვახტანგ მეექვსეს რთული დიპლომატიური მისიის შესრულება მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა.

ადვილად გასაგებია, რომ თავმოყვარე მეფე იმის გამო, რომ მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა და მის წერილებს უნებართვოდ კითხულობდნენ, ერიდებოდა წერილებში მნიშვნელოვან საკითხზე წერას და შაჰთან ძირითადად სიტყვიერ მოლაპარაკებას სჯერდებოდა, როგორც შაჰის, იაე თავისი კაცების მეშვეობით. ამიტომ დღეს ჩვენთვის ძნელია ყველა საკითხებისა და იმ დიპლომატიური ხერხების დადგენა, რომლებსაც ქართლის მეფე შაჰთან მოლაპარაკების დროს მიმართავდა. ყოველ შემთხვევაში ის კი ცხადია, რომ ვახტანგ მეექვსეს შაჰის კარზე არსებული ანტირუსული დაჯგუფების წინააღმდეგობის დასაძლევად ცოტა არ უშრომია. თუ გავითვალისწინებთ შაჰისა და მისი კარისკაცებისათვის განკუთვნილი საჩუქრების ხარჯებს, რომელთა დაფარვას ვახტანგი რუსეთის მთავრობას სთხოვდა, დავრწმუნდებით, რომ ქართლის მეფემ შაჰთან მოლაპარაკებისას თავისი ნაცნობების საკმაოდ ფართო წრე გამოიყენა. მაგრამ რუსეთის მთავრობის დიპლომატიური დავალება, რაც ასე კარგად შეასრულა ვახტანგ მეექვსემ, წარმატებით არ დაგვირგვინდა, რადგან შეიცვალა უმაღლესი საიდუმლო საბჭოს პოლიტიკა თამაზის მიმართ.

ამ დროისათვის თურქეთმა დაიწყო მოლაპარაკება აშრაფთან. სულთანს სეპარატული ხელშეკრულების დადება სურდა. ამის გამო რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა თავი შეეკავებინა თამაზთან ოფიციალური კავშირის დამყარებისაგან. როგორც ჩანს, უმაღლესი საიდუმლო საბჭოს წევრები შეშინდნენ, რომ შეიქმნებოდა საწინააღმდეგო კავშირი თურქეთსა და აშრაფს შორის, რომელიც თამაზზე ძლიერი იყო. უმაღლესი საიდუმლო საბჭოს წევრებმა ლოდინის პოლიტიკა არჩიეს. მათ სურდათ, ერთი მხრივ, გაეუჩანურებინათ მოლაპარაკება თამაზთან, ხოლო მეორე მხრივ, მოესინჯათ ნიადაგი ისპაჰანში — დაეწყოთ მოლაპარაკება აშრაფთან. საჭირო შემთხვევაში მასთან ხელშეკრულებაც დაედოთ. რომ ამით აშრაფთან თურქეთის კავშირის მნიშვნელობა გაექარწყლებინათ.

ამასთან ერთად თვით რუსეთის მთავრობაში შექმნილი მდგომარეობა სულ უფრო განაპირობებდა უმაღლესი საიდუმლო საბჭოს გაუბედავ საგარეო პოლიტიკას. 12 წლის ასაკის პეტრე მეორის ტახტზე ასვლის შემდეგ (1727 წ.

გიორგი პაიჭაძე

მაისი) უმაღლესი საიდუმლო საბჭოს წევრებს შორის უფრო გამძაფრდა ბრძოლა ხელისუფლებისათვის და არავის ცხელოდა ამერიკაკვკასიის საქმეებისათვის, მით უმეტეს თურქეთთან შებრძოლებისათვის. ამაო იყო ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების ცდა, რომ რუსეთს აქტიური მონაწილეობა მიეღო თურქეთის ბატონობისაგან ამერკავკასიის განთავისუფლებაში. ვახტანგ მეექვსის ბიძაშვილი დარეჯან არჩილის ასული, რომელიც ულოცავდა პეტრე მეორეს ტახტზე ასვლას, ამაოდ გამოთქვამდა სურვილს, რომ პეტრე პირველის დაწყებული საქმე პეტრე მეორეს დაემთავრებინა. უმაღლესი საიდუმლო საბჭო სწორედ პეტრე მეორეს დროს დასცილდა პეტრე პირველის პოლიტიკურ კურსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ვახტანგს, უმაღლესი საიდუმლო საბჭოს წევრებმა გადაწყვიტეს ეცნობებინათ მისთვის, რომ იმპერატორი ვახტანგის საქმიანობით კმაყოფილი იყო და გამოსთქვამდა იმედს, რომ ის შემდგომშიც ასე ერთგულად ემსახურებოდა რუსეთის იმპერატორს. ვახტანგს წინადადება მისცეს, იმავე წლის ზაფხულში დაბრუნებულიყო მოსკოვში, მაგრამ შემდეგ საჭიროდ ჩათვალეს, რომ იგი ასტრახანში დარჩენილიყო.

ვახტანგ მეექვსის წერილი კანცლერ გ. პოლოვკინისადმი

ქ. ბრწყინვალეკ ღრაფ, ჩემი ბატონო გაგრიელ ივანოვიჩ!

ეს მოგახსენო:

ათს სეკდენბერს რაშტს მოვედ. მეორესეე დღეს იარანალ მაიორს, საცა მუნასიბი იყო, იქ გასაგზავნ კაცი ვთხოე. ორი შთირი მომცა. ერთი ყეენთან გაეგზავნე და ერთი მაშინ რომ ყორჩიბაში იყო, ახლა რომ სპასალარია, ამასთან გაეგზავნე.

ყეენს მივსწერე: თქვენ დაგებარებინეთ, აქ გამოვედ. სხეა სიტყვებიც მაქვს. ამისას როგორ მიბძანებთ, როგორ ვქნა? ერთი აქვგარი წიგნი ამ სპასალარს მივსწერე, რომ ეს წიგნები ყეენს გაუგზავნე მეთქი და ამასაც ჩემი ამბავი შეატყობინე.

შთირის ხელით რომ წიგნები გაგზავნე ყეენთან, ის გზაზედ დაეკრთომ. ვერ გაეელო. სპასალართან რომ წიგნი გაგზავნე, იმას მწუე თავს შეედვა და მაშინეე გაეგზავნა ყეენთან. თვითან მაშინეე ერთი ყეენის ყმა გამოეგზავნა, რომ ყეენს ეახმბის ვეზირია, მირზა ნასირა ჰქვანს. შშვიდობით გამოსულა მოელოცა და ცხენი შეკაზმული ოქროს რახტითა და უნაგირითა, ყალიონი ოქროსი მინაქარი და სხეა გალანის ხელთნაჭანრი. კიდეე ისე ცხენები შეეკაზმავი გამოეგზავნა მოსაკითხავად. მეც, როგორც მარობეული იყო, ამ კაცს ისე დავხუდი.

მე ეს შეუთვალე: ვიცი რომ თქვენ და რუსები შეურიგებელი ხართ მეთქი და ამათში არ მოხვალ მეთქი. თუ აქ სიაბლოეს სადმე მოხვალ, მეც გამოვალ და ერთმანეერთს ვნახავთ და კარგი იქნება, ამ საქმისა ეგეება, ერთი რიგი, ერთი გზა და საქმე მოხდეს.

იმას მწუე ამებოდა და შემოეთვალა — რაშტაბბთი ჰქვიან, ერთი სოფელია. მეც იქ გიახლები, თუ გაირკვებითო, თქვენც მობძანდითო. ესაიზ ბასალი აქ არ იყო. მაიორ იარანალს ვეეთხე. ამასაც არჩია და თქვა: თუ ყეენთან კაცს გაგზავნითო, სანამდი ანბავი მოვიდოდეს, მტრობა უნდა დასწყნარდესო. ის მოვიდა იქ. მეც წავედ.

ნოენბერს ცხრას შეეიყარენით. რაშტიდამ ოცი ვერსი იქნება. მე რომელიც მმართებდა, იმგვარი სიტყვები უთხარ. იმანაც ბევრი თავი იმართა. ღ[მერ]თ[მა]ს იცისო, ჩვენ ერთი კაცი არავინ გუყვანდა შეაში, რომ კელმწიფისათვის გაეშინჯვენინთო, სანამდი ანბავი მოვსწენებინათ, თვარამ ჩვენ კელმწიფეს შერიგება და სამსახური დიდდ გვინდდაო. მაგრამ ზოგიერთს საქმეს შეაში მყოფთ კაცთ აბრალებდა, რომ ამათ არ მოინდომესო და ამათ არა ქნეს ჩვენი შერიგება, თვარამ ჩვენ არასდროს ეარი არ გვიდქვამს, თვარამ ახლა ყეენს მოვახსენთო და რისაც შემძლებელი არის, თუ ყეენი ყველაზედ არ დაგყვესო, ჩემი ბრალი იყოსო. მაგრამ მე კიდევ მაგათგან ეგ იმედი არა მაქვს, რომ შერიგება მოახდინონ. მე აქათი საქმე თავს დავდიე რომ აქათმანა კაცმან არცარა ურიგო თქვან და რომელიც შერიგებას წიგნში სწერია, არცარას ამას გარდაეიდენ და არც ურიგო რამ ქნან.

ყეენს, მე ამას წინათ როგორც მოგახსენე, ისე მივსწერე წიგნი და სპასალარმაც ცალე მისწერა, რომელიც იცოდა თავისი ბატონის რიგი და საქმე. ეს პირობაც დავდეეთი, რომ ერთმანერთში ჯარის გასვეა და მტრობა არა იყოს რა, სანამდის ანბავი მოვიდოდეს. ყეენთან ორი ჩემი კაცი გავგზავნე. იმანაც თავისი კაცი

გაატანა. მე გამოვბრუნდი. რაშტს მოველ და ის თავის ალაგს მივიდა. მაგრამ ორი კვირა რომ გამოვიდა, ამათ ჯარი გიუსიეს ჩემს შეეტყობინა. მე კი არ შემიტყვია, შავთზე ბევრი ალაგი დაწეულ და წაადინეს. სპასალარს კაცი გამოეგზავნა და შემოუთვალა, რომ პირობა ხომ ასე იყო, მაშ გავს რომ ჩვენგან შეურიგებლობის ნდომა არ არის. მაგრამ მაგთან გამოჩნდა, რომ მაგთანგან უფრო არ არის. ამათ უთხარ და ამათ მითხრეს ასე სჯობსო. მე ვეღარა უთხარ რა. ამისათვის, რომ ეგება ამათთანან ხელმწიფეს ცალკე რამ ებძანებინოს მეთქი და მე არ ვიცოდი და ვეღარა უთხარ რა. მასუკან კიდევ სადაც სპასალარი იდგა, იქ წიგნი მისწერეს, რომ თუ მოხვალო ის არისო, თვარამ ჩვენ მოვალთ, სულ აგაოხრებთო. იმ წიგნის მუსაადი გამოეგზავნა სპასალარს და წიგნი მოეწერა, რომ ეს საქმე და წიგნი ჩვენის პირობიდამ დიაღ შორ არისო. მიველ ის წიგნიც ვაჩვენე ამათ. ესეც უთხარ, რომ მე თქვენს პირობით და სიტყვით მივედ და დაუდგე ეს პირობა. თქვენ რატომ იქი ამას მეთქი. იმათ ასე მითხრეს: შენ რომ შაშინ იქ იყავ, პატრებრუხს, ის საქმე გამოიცვალო. ახლა სხვა საქმე არისო. ჩვენ სხვა ბრძანება მოგვივიდაო. მე ეს სიტყვა შწვე გამოკვირდა ამისთვის, რომ თუ აგრე იყო, უნდა ჩემთვინაც ერთი სიტყვა გებძანებინაო, რომ მე ამ ქვეყნებში ერთი პირისწყალი მქონდა და მიცნობდენ, რომ მე ამათში სიტყვა არ წამხდენოდა და არ გავმტყუნებულიყავ, ან ჩემი ამდენი სარკელი ცუდად არ ყოფილიყო. არც ამდენი დამეხარჯა. მე ამაში რაღას ვეტყოდი. მე ამათ უთხარ, როგორც გებრძანებოდესო, ისე ქენით.

ამათ ჯარის გასვეა მოინდომეს სპასალარზე და ეუნდოთ, რომ კიდეც გასეაო. უწონ რომ სპასალარს წიგნები გაეგზანა ყეენთან ჩემი, ის რომ მოსლოდა ყეენს, მაშინვე თავის სუფრაჯ ბაში გამოეგზანა ჩემთვინ და ერთი ჩვენი ქართველი ენაიშიშვილი იყ ყეენს ახლდა, ისიც თან გამოეტანებინა. დავბარებენე და რაყმები მოეწერა. სუფრაჯ ბაშმა ჩემთან მოსულა მოინდომა. მე შეძლეკა არა მჭონდა ხარჯისა. იარანალ მაიორმა დაღონდა ხარჯისათვის. ამ გზით დაგვინდა. ამაში ჩვენი კაცებიც მოვიდნენ და სპასალარი რომ ენახეთ, ისიც იქ ვნახეთ. მოვიდა იანვარს (ლ). იმისი სავადები მოახლეანა. იმაში ნახავთ და შეიტყობთ, რაც მოუწერია. კნიაზ ბასილი იქ წინადღეს გასკრისაკენ წავიდა და ფირიბაზარს იყო. შევატყობინე ეს ამბავი. რო დღეს ამას უკან კიდევ სპასალრის კაცი მომიეფდა. შემოუთვალა, რომ ამ ცოტას ხანში ჩვენი ჩაფრები მოვალენო. კაცი მომიეფდა, ესეც კნიაზ ბასილს შეუთვალე. შემოუთვალა, რომ ჩემი დაბრეზენი აღარ იქნებაო და ლეკაშოვს გაახლებო და რომელიც ამან გითხრას, ისე ქენო. იარანალ მაიორიც მოვიდა. ჩვენი კაცებიც მოვიდნენ. თორმეტს თებერვალს ელმწიფესთან ნამა მოეწერაო. იმისი სეკადი ჩვენთან გამოეგზავნაო, სპასალართანა და ჩემთანა, რომ რაც ელმწიფესთვის მომიწერია, ეს არისო. გაშინჯეთ და ... ტყეეთო. ამისი ნუსხა მანდ მიახლებია. თქვენც გაშინჯაეთ, რაც მოუწერია. ერთი წონენი ჩემთან და ყორჩიბაშთან მოეწერა, რომ შერიგდით რიგიანისა და მართებულის საქმითა, რომელიც ჩვენენთან შეიძლებოდეს. სპასალარს რომ ესეეკი მოსლოდა, შემოეთვალა, ეროს ალაგას შევიყაროთო. ამისი ერთი რიგი დავდეკეთო. რაშტს მოყვანას საელმწიფოს ხარჯს დავერიდენით, რომ ხარჯი მოხდებოდა. ქუჩუ-ისპასინ ჰქვიან, თხუთმეტი ვერსია რაშტიდამ. იქ მივსწერეთ, იქ მოდი და ჩვენც იქ მოვალთო. ისინი მოვიდნენ. ჩვენც ხუთს მარტს რაშტიდამ წავედით. ჩვენც მივედით. სპასალარი წინ მოგვეგებინა ორს ვერსზე სოფელ გარეთ. მივედით. იმ დღეს ხომ აღარა იქნებოდა-რა. მეორეს დღეს ერთმანერეთი ენახეთ. თქვენმა კაცებმა ისინი ნახეს. ჩვენ ამათ გვნახეს. რა ერთმანერთის ნახვას მოგრჩით, მეოთხე დღეს აფუენცაში შევიყარენით. რაც ერთმანერთს ველაპარაკენთ, თავის მართლებასა თუ, ან სპასალარმა რაც უთხრა, ან ამათ, ის ყველა თათრულად დაწერილი მიახლებია. სპასალარმან კიდევ ეს უთხრა, რომ ეს გამოჩენილი არისო, რომ რომელსაც შერიგებას საქმეს გვეტყვით, ჩვენ ყველაზედ მზანი ვართო. მაგრამ რახან კი შერიგება ბოდეი და მეგობრობა, ეს ხომ სათქმელი არ არის, რომ ამ მტერთან მიდითო და მტერმან ამოგწყვეტოსთო და ან არა და შიმშილით დაიხოცენითო. ახლა ჩვენ თუ ერთს ალაგს მოვეცემთ, რომ ჩვენი სარჩო იყოს და ან გამოეგზავნდოდით სადმე, ან ქვეყნებს ახლავე დავსცლით და მოგირთმევეთო და თუ არა და გეგულებოდესო ჩვენზი მაგისთანა ალაგი, რომ იქ გამოეზრდებოდეთ, ვეთხარით, მაინც დაგიცლით ამას და იქ წავალთო. თუ არა და ამოუნი წყალობა გვეყაეთო, რომ ერთი სხეა ადგილი ეგეშოენეთ, რომ ჩვენ იქ წავალთო, რომ ჩვენ გაგვიძლებოდეს და ამას თქვენ დაგიცლით ამ პირობით, რაც პირობას ვეთხოვთ იმ ტრაკტატეზი. აქ მე ჩაგირთავთ ხელსა ურუმის ტრაკტავშიაცო და იქ ყეენი ჩართავსო.

იარანალ მაიორმა ეს უთხრა: ეგ როგორ იქნებაო, რომ ერთი ფეკის ადგილი არ მოგცეთო. რომელიც თქვენი სიტყვა იყოს, დასწერეთ, გვიბოძეთო. პასუხს მოგახსენებთო. ამათ წიგნი მოსწერეს და სპასსლარ რაც მოსწერეს, მანდ მიახლებია. ეს რომ იარანალს მოუტანეთ, იარანალმა ზორს დაიჭირა. ერთი სხეა წიგნი დასწერა. ტრაკტრაციე შესამატებლად, რომ თუ ამაში ხელს ჩართავთ, ის არისო, თვა-

რემ არ იქნებისო. ის წიგნიც თათრული დაწერილი მანდ მიახლები.

იმათ რომ ეს მოუტანე, შორს დაიჭერეს. ამითი ჩვენი გამოზრდა როგორ იქნებაო და ან ის რომ გითქვამთ, რომ ჩოენს ჯარის აზოლა თქვენ მოგვიტანეთო, ან ეს როგორ უნდა შეეძლოთ. (ამან ერთი წიგნი დასწერა. ამის ნუსხაც მიახლებია. იარაოლის, რომ მოეტანეთ, არ ქნა. ამან ოთხი ბუნკენი დასწერა. ისიც თათრულად დაწერილი მიახლებია. მერმე იარაოლამ თავისი ნუსხები აღარ მისცა სპასალარს და იმათც წიგნით აღარ მოსწერეს. ზეპირად მითხრეს და უთხარ)[1]. ამაში იმათაც ბევრი მითხრეს, ამათაც ბევრი თქვეს. ლაპარაკში ხანი ბევრი გამოვიდა და ბოლოს სპასალარი მე ამაზედ ფიციალიანე: ლაიჯანი, მაზანდარა ოა ასტარაბათი იმათ ჭკნნოდათ **საზრდოთ მისდრომდინ**. იმათ, რაც ამას გარდა გიელანის მიწა და ადგილი ეპერათ, ის დაეცალათ და თქვენთვინ მოერთმეეინათ. რაც ლაიჯნის მოსაცავი დღეის იქით ეიზბილაშში დაეხარჯა, ის, როდესაც ამათივინ სხეა ალაგი გეშნათ, ის თეთრი და რაც დაეხარჯათ, ისეე თქვენთვინ შემოტარენეინათ. მაზანდაარასა და ასტარაბათს გარდაისად. არც ეს ამჯობინა იარანალ მაიორმა და არა ქნა.

მერმე იმათ ეს უპასუხეს: რადგან არც ეს ქენითო ჭკელმწიფეს ჭკელმწიფისათვის ნამა გამოუგზავნიათ. მაშ ერთი კაცი თქვენ გაატანეთ და ეს ნამა გავგზავნოთ და კაცია. თქვენც თქვენს ჭკელმწიფეს მოახსენეთ და ჩვენც ჩვენს ჭკელმწიფეს მოვახსენებთო. თუ დასჯარენენ ხომ ,ჯარეანო, თუ არა და რაც ამბავი იქიდან მოგვიდოვსთ ისი ვნნათო. იარანალ მაიორმა ასე თქვა: თუ ამას არა იქ, მე სხეას არ დავჯარეენ ბიო და არც ნამასა და კაცს გავგზავნეინ. ამაში საქმე მოიშალა. ის თავისთვის აპირებდა წასელასა და ეს თავისთვისა. შერიგების საქმე გარდასწყდა. ეეღარ შერიგდნ. მოშლას აპირებდენ. მე რადგან თქვენი ბრძანება, მანდ რომ ენახე, მწვე ბეგლითად ჭკონდა დაბარებული ამათი შემორიგება, მე იარანალ მაიორი მოვიყვანე და უთხარ: ეს საქმე რომ ასრე ცუდათ იშლება და შეურიგებლობა ხდება, ბოლოს მტერობა ხდება ამათში, მე რომ იქ კარის კაცთ სუტყვა ვნსბე, ეეკობ ეს არ ვარგიყოს მეთქი. თუ გიჯობინებიათ, მე ეს ბრძანება მაქვს, რომ სრული შემლებელობის ბრძანება მაქვს. შენ ხომ უმბობ მაშინდელი საქმე სხეა არისო და ახლა წიგნი მოგვიგიდა, გამოიცვალოთ, მე ხომ ამისთანა წიგნი ეერა ვნსბე. მაშ მე რომ ჭკელმწიფემ მითხრას, შენ რომ სრული შემლებელობა ჭკონდა ჩემგან, ესეც რომ იცოდი, ამისი შერიგება ჩვენ გვინდოდა, მაშ ასე ცოტა საქმით რატომ მოშლეო, მე რაღა უნდა მოვახსენო. მაშ მე თქვენ ერთი წიგნი მომეცით, რომ ეს თქვენ გეკნასო. ამ საქმეს არ დასჯარეენ. ლიყოთ, რომ მე კელმწიფესთან ერთი სიტყვა მეთქმოდეს. მითხრა მოგეცმო. მასეკენ ეწერებინა, ეს ოთხი სიტყვა დაეწერა და მოიტანა. თუ დამჯიდრებიან, ამას უზამი. ეს ოთხი სიტყვა მე სპასალარს უთხარ. სპასალარმა დიაღ შორს დაიჭირა ეს. ბევრის დანახვებითა და ბევრის ცდით. ბოლოს ეს დავაჯერე, რომ რაც ამ იარანალმან თქვენს ტრაკტატზეზედ მოუმატა, ყეეწმა ამაში ხელი ჩართოს. ორი თვე ვადა მისცეს, ჩართოს. თუ არ ჩართოს, იმისი ანბავი მოიტანონ. თუ ჩართო, ხომ შერიგება მოხდება, თუ არ ჩართო, ის მოგვხსენებათ.

მე რახან ეს მითხრეს, შენს უკან საქმე გამოიცვალაო, მე აღარც ამ საქმეს დავამტკიცებდი, ამ შერიგებას. მართალს მოგახსენებ და არც ამ იარანალის წინ აღუდგებეოდი. მაგრამ მანდ თქვენ ამათი შერიგება დიაღ მონდომებით მიბძანეთ და თუ ეს არ მეენა, ყეეწთან კაცის გაგზავნა და შემოცდა ამათში მტერობა შეიქნებოდა. მერმე, ეგება თქვენ კიდეე შერიგება გვბძანთო და გდომოდათ და მტერობას უკანის სამსახური აღარ ქნილიყო.. ახლა თქვენთვის მომიხსენებია, ენიაზ ზურაბ და ენიაზ ფრანგისტან მიახლებია. ეს სიტყვები მომიხსენებია. თუ ყეეწმან, როგორც იარანალ მაიორმან მისწერა იმაში ქელი ჩართო, ხომ კარგია და თუ ვინ იცის იმაში ქელი არ ჩართო, მაშ რასაც ესენი თხოულობენ, ეს ყიზიბაში, ხომ ყველა მომიხსენებია. თუ შერიგება გეპრიანებათ, რომელსაც ამაში სჯერხართ გვბძანეთ და იმას ვიქმ. თუარა და რომელსაც კიდეე გვიბძანებთ, იმისი მჭნელი ვარ. მაგრამ ამისი ამბავი მალე უნდა გვბძანოთ და მოვიდეს აქ. ამისთვის რომ ეს იარანალი უბნობს, რომ ამ ორ თვეს უკან მე კელმწიფის ბრძანება მაქვს და არც ბრძანება მინდაო, რომ მტერობასაც ვეცდებიო და კიდეე უმტერებო. რახანც ერთხელეე მტერობა ჩამოვარდება, მას უკან შერიგებას საქმე ვეუბნ უფრო გაგვიძნელდეს. ნება თქვენია, რომელსაც ბძანებთ. კიდეე ეს მომიხსენებია, თუ ამ ორს თვეში ამისი ამბავი არ მოგვივდა, ეს მტრობას არ იშლის და ნება თქვენია.

მაშინ რომ მანდ გახლდი, თქვენ ხომ არა მიბძანეთ რა, რომ ამ საქმისა, რომ ისე ქენ, ასე გაარგეო. მე ხომ არა მოგახსენე რა, რომ ამისი შემძლებელი ვარ, ამისი არა. ეს მიბძანეთ: ისტრუქციის გამოგიგზავნთო, რაც იმაში ეწეროს ისი ქენო. ისტრუქცია მომიგიდა თქვენგან. ოთხი სამსახური ეწერა. ერთი ეს ეწერა. ყეეწის შერიგება, რისაც გზით იყოს ეცადეო. თუ არა სხეარიგად არიქნას, მაზანდარა და ასტარაბათიც დაედვეეთო. თუ არც ამითი იქნას, გილანისათვის, თუ ერთს რამდენსაც მენსაიბს თეთრს მოგვართმევენ, გილანის დდებაც შეგიძლიათ. მაგრამ ჩვენს მოუხსენებლად კი არ ისენებთო და რომელიც ტრაკტატაში სწერიაო ისე კიდეე მოვეხმარებითო. მე ხომ თქვენის ბეჭნიერობით ამდენს ეეცადე, რომ გილანიც და-

[1] ჩვენს მიერ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები დედანში არშიაზე წერია სხვა ხელით.

ვადებინე. მაზნადრაც და ასტარაბადიც, რომელიც ზეით მომიხსენებია, იმ გზით. გვანდა. ამათ ოქვენი ბრძანება სხუარიგად მოსცალით და ესეები ყველა მოიშალა. თქვენც მოგებსენებათ, ამისი გარგება არც უცდელათ და ულაპარაკოთ იქნებოდა და არც უხარჯოთ. თუ ასე იყო, მართებული იყო, რომ ერთი წიგნი ჩემთვისაც გებოძებინათ, რომ არც ამდენი ხარჯი დამმართებოდა, არც ერთი ეს დამრჩომოდა, რომ ჩემი სიტყვა ამათში გავდიოდა და დაიჯერებდენ, რომ ის არ წაშხდენოდა და არც ესეტბარი გამტეხოდა. .

მრავალი თქვენი ყმანი გახლავან აქ, ამათ ჰკითხეთ, თუ რა სარჯელი მამიღია ამ საქმეზე, ან რა ხარჯები დამმართებია, ან სიკუდილი არ დავრდებეოვარ, ან როგორ გავრჯალეთარ ზღვაში თუ ქშელნი. ახლა ჩემი სამსახური თქვენთანაც მოიშალა და ამ ქვეყანაშიაც სიტყვა გატეხილი, გამტყუენებელი და გაწბილებული შეიქნა. მე ამისათვის თავი არ დავზოგე, რომ რადგან ქალაქშეფეს მიბრძანა, პირველი სამსახური იყო, რომ ეს გამერიგებინა, ბრძანება გამესრულებინა, თვარამ თქვენც მოგებსენებინა ამაში ჩემი სარგებელი არა იყო რა. ღმერთ[ო]მ[ა]ნ მაგათ სამჯობინაროდ წარმართოს, თვარამ ჩემი თავი მაგათის ჭირის სანაცვლო იყოს. მაგრამ მე ზოგიერთი სიტყვაი გავიგენე. მართალი არ ვიცი იქნება თუ არა, რომ ყიზლარშეტის თავისთვის ელაპარაკებოდეს ჩვენ ეს ორნი ქალაქშეფენი ველაპარაკებოდეს შერიგებასა. ჩვენ ასე ვთქვეთ: რადგან ხონთქარმან ესე ქნა ჩვენზედაც, მაშ ჩვენ რუსეთის ქალაქშეფს შერიგდეთო, რომ ერუმეს ეს უთხრათ, რომ ჩვენ სხუას რაღუეს შერიგდითო, თქვენ კი არაო, იმათივნი ერთი სირცხეელი იქნებაო. მეორეს ამას გვეუბნებოდენ, რუსს შერიგება ამისთვის გვინდოდაო, რომ ამას გვეუბნებოდენო, რომ რაც ჩვენ ქვეყნებს დაგვიდებთო, ამას გარდა რაც ქვეყნები დარჩებაო, ამას დაგიქერთო, გაგიწმენდოო და მოგეცემთო. ახლა ხომ აღარც ის გაგვითავეს აღარც ის და მტერობაზედაც დგებიან. ჩვენთვის ისა სჯობსო, რომ ხონთქართან მივიდეთო, რაკუელიკ ერთი გვაქუსო და პირიკეო, რაც ამათის პირით მამელს ვანებებთ, ის დავანებოთო და ჩვენი საქმე გავარიგოთო. მეორე კიდეკ ესეცა გავიგენე ჯორად, რომ ერუმის ჯარი დიდი იყოსა და ავლაზედან მოდგაან, თუ ხელი მოემართოთა ავლაბენზე, შასულთან ესენი, ქველი ყეენი, ისევ ცოცხალია, ის გამოიყვანონ და ტახტზე დასვან, შერიგდენ. ეეკმა, რომ თქვენზედაც ასტარიდან რომ ერუმები გაკესარს, იმისთვინ თუ ხელი მოემართოთ, მტრობას ამირეგდენენ. ეს ესეები ამაზედ მოგახსენე, რომ მე მართლა არ ვიცი. მაგრამ ვინ იცის, რომ იქნას. მერმე ეს არ გებძანებინათ, რომ შენ რომ ეს საქმე იცოდი, რატომ არ მოგახსენეო. ამაზე მოვახსენე, რომ საყვედური ბოლოს არ დამდგას. ნება თქვენია.

სხუა მიბძანეთ, რომ აქაური ამბები და საქმე შემეტყო და მომეხსენებინა. მესამე ეს მიბძანეთ, რომ ერუმსა და თქვენში თუ [illegible] მომხდარიყო, ყიზლიბაშის კაცი თქვენთვის მოშეყოლიებინა და ყოფილიყენენ. მეოთხე ეს მიბძანეთ, რომ თქვენი შესამატებელი მეძებნა. მეხუთე სომხის საქმე მიბძანეთ, რომ შემომეცდენინა შესამატებელისა ეს მოიხსენებია, ისიც მოიკითხეთ, სანამდი მე გამოვიდოდი ქვეყანაზა ქალაქი როგორ იყო. მე რომ გამოველ, ან ქალაქი როგორ აშენდა და გაკეთდა, ან სოფლები და ან მოსაკალი როგორ მოეშატა. სომხებისა დარუბანდიდამაც მოგახსენე. ანაზე ბასლიანმ დამიშალა, მაგრამ მე რომ მანდ თქვენი ამისთანა ბრძანება მქონდა და სხუა წიგნი ამისი დამშლელი ვერა ვნახე, მე მანინ ასეთის გზებით მივსწერე და შეეატყობინე, რომ დღეს აქამდინ დგანან და არიან თვითან. ერთი კაცი დღესაც იმათში არის დაფარვით და ამ ცოტასხანში იმის ინაკვნი მოველი, მაგრამ ამათ მე ასრე მითხრეს, შენ სხუას საქმეში კელი არა გაქუსო თუ არ ყეენის საქმეშიაო. არცარა უკითხავთ ჩემთვინ და არც მე გავერივე. თვითონ სომხების უზბაშები იყენენ აქა, პირველად კიდეც მოვიდნენ ჩემთან, მასუკანა ჩემთან ალარ მოუშვეს, წასელის დროს მეტკი, წასელის დროს მოვიდნენ. მნახეს და წავიდნენ. ახლა მე ამას გეხვეწები, რომ თუ ჩემის ქვეყნის რგება რამ მოხდება და იქნება ამ გზით და საქმით, მე ხომ, თქვენც მოგახსენებთ, მე სამსახურს ვერ შევალებ ამგვარად, სხვის კელქვეითად რომ ვიყოფ. ამ ქვეყანაში ან თქვენი რა სახელი იქნება ეს, ან ჩვენს სიტყვას ვინ გაიგონებს. ამდენი ხანია აქათ გახლავართ, ერთი ჩემი კაცი ვერ გაახლე. მე ხომ ბრძანება არა მაქვს, რომ ჩემით გამოვეზავნო. სულ სხუას ვეხვეწო ესეც არ შემიძლია. მე ამას უკადრისობით არ მოგახსენებ. ჩემა ქალქშეფემ რომ უფრო დაბალი სამსახური მიბძანოს, იმასაც ვეცდები, მაგრამ თუ საქმეს ვერ გავიგებ, უფრო სირცხვილში და ფარომაში ჩავარდები.

ჩემის საქმისა ერთი ფიქრი ჰქენთ, დამიბარეთ, ან ერთი რამ ვამირიგეთ. სხუა ეს მოგახსენოთ: ყეენის წიგნებსაც ნახავთ, რომ ჩემი მამელი არც ყეენის მამელია და არც აღრიბეკანა. არც ყეენის ყმა ვყოფილვარ. მინდობილობის მეტად არც არა ხონთქარზე ჩემი დანაშაული ჩანს, რომ დამეშავებინოს რამე და იმიტომ ხონთქარს ჩემი მამელი ფაერთმეგენოს და აიბრეგდეს. მე რა მოგახსენო, ყეენი მოგებსენებთან, რისათვინც მიყო ეს და რისათვინაც ირჯეება. თუ ამ ფყალობას! მიზამთო, რომ ჩემის ქვეყნისა კიდეკ ამის უფრო წახდენასა და გაურკვლებას არ მიგენებთ და ამას საფლავში არ ჩამატანთ, რომ ის ჩემს შვილსა და

გიორგი პაიმაძე

ეასტანგ მეექვსის პოლიტიკური მოღვაწეობა 1725-1737 წლებში

შვილიშვილს დაეკარგოს, ხომ კი წყალობა იქნება. თუ არა და ნება თქვენია. მე ამას არ მოგახსენებ, რომ თქვენის დასაკლისის საქმით ჩვენი რამ გაკეთდეს. შუამავლობით იყოს. ძალით იყოს. ნებით იყოს. თქვენის დაუკლისის საქმით თუ არ დაგვაგდებთ და არ დაგვიგიწყებთ, კარგია. თვარამ ნება თქვენია.

სხეა ზოგიერთი სიტყვა იყო, რომ წიგნით მოსახსენებლად ჩემგან გაუბედავი საქმე იყო. მაგრამ ხვალ ეგება ამათ თქვენთვინ მოეხსენებინა და თქვენ გებძანათ, ამათ რომ გითხრეს, შენ რატომ არ მოგვახსენე ჩვენო. არამც გწყენოდესთ, ამისთვის ჩემის შვილის ბაკარისათვის მომიწერია. თუ მანდ გახლავსთ ის არის. თვარა მიაყვანინეთ და ის მოგახსენებსთ.

კიდევ ყეენს ჩემთვის მოყურობის საქმე რამ შემოეთვალა, ისიც ამისთვის მომიწერია. ის მოგახსენებსთ.

გაბრიელა ფოდიაჩი მოკვდა, რუსი მწერალი არა მყვანდა, ქართულად ამისთვის გაახელ წიგნი.

ერთი ეს მოგახსენათ სპასალარმა, თუ ხელმწიფეებში შერიგება მოხდებაო, ჩვენი ელჩი უნდა გვიმბოძონო, ამისთვის რომ სხეანი ქვეყნიერ წიფეებში არ ითქვას, ელჩი წაართვეს-ო. ეს მაგათი საკადრისია და არც ჩვენთვის სჯობსო. თუ ჩვენგან ამისი ფიქრი აქვსთ რამე, რომ ჩვენ მაგას ვაწყენოთ რამე, პირობას მივართმევთ, რომ არა უსაყვედუროთ რა. თუ არა და არას გვემართლებიან. მაგვარი კაცი არა არის რა. ან ჩვენ დაგვაკლდებოდეს, ამისთვის მოგახსენებდეთ, ან მაგათ შეემატებოდეს და იმის დასაკლისათაო. მაგრამ ქვეყნის სირცხვილისათვის მოგახსენებთო.

კიდევ ყაზბინზედ ლაშკრობას თხოულობენ, რასაც დროს პირობის ნუზლი დაამზადონ.

ზეით რომ ჩვენის ქვეყნისა მოგახსენე, შუამავლობით იყოს, თუ რითაც იყოს, ეგება გვიშოვოთ მეთქი, მე ასე არ მომიხსენებია, რომ ხვანთქრის კელდებულად ვიყო. თუ ასე მოხდება, რომ თქვენს კელდებულად გამირიგებენ, წყალობა და მადლი იქნება. თუ არა და იმის კელდებულად არც მინდა და არც მივალ.

თქვენის ბრწყინვალის სამსახურის მოწადე საქართველოს მეფე ვახტანგ.

ქრისტეს აქათ 1727, აპრილს 1.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲛᲔᲖᲒᲠᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲘ

ცნობილი ავსტრალიელი მწერალი ჭალი დიმფნა კიუსეკი არაერთხელ ყოფილა საბჭოთა კავშირში. ჩვენს ქვეყანაში მან უკანასკნელად 1961 წლის ზაფხულში იმოგზაურა. ამის შესახებ მოგვითხრობს მწერალი ახლახან გამოცემულ წიგნში „არდადეგებზე რუსეთთან“.

ავტორი მკითხველებს უზიარებს თავის შთაბეჭდილებებს საბჭოთა კავშირზე, აღწერს შეხვედრებს საბჭოთა მშრომელებთან.

დიმფნა კიუსეკი იყო მოსკოვსა და ლენინგრადში, ყაზახეთსა და ციმბირში, ხომხეთში, იმოგზაურა შავი ზღვის სანაპიროებზე.

„დიმფნა კიუსეკს, — აღნიშნავს ავსტრალიური გაზეთი „სანდი ტაიმსი“, — აქვს ფაქიზი პოეტური აღქმის უნარი. იგი წერს საოცრად ცოცხლად, ჰქმნის დასამახსოვრებელ სურათებს. მისი „არდადეგებზე რუსეთთან“ არის გულწრფელი და მრთალი წიგნი საბჭოთა კავშირზე“.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

ᲒᲣᲠᲯᲘᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲕᲐ-ᲒᲠᲔᲯᲘᲐ

არავისთვის ახალი ამბავი არ არის ის გარემოება, რომ დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში რადიო და ტელევიზიები თავიანთ გადაცემებს ანაგვიანებენ. წყვეტენ მოულოდნელად, ვთქვათ, ბეთჰოვენის სიმფონიას ან რომელიმე მხატვრული ფილმის დეტალურ ინტერესებს და რეკლამას უყეთებენ ათასგვარ სისულელეებს.

მაგრამ რეკლამამ, ავსტრიის ტელეხედვამ რომ გაკვეთა ამ ცოტა ხნის წინათ, როგორც იტყვიან, მოხსნა ყველა რეკორდი. ვენის თეატრმა „ატელიემ“ დადგა ბერთოლდ ბრეჰტის ადრინდელი პიესა „ვალი“, მაგრამ წარმოიდგინეთ ტელევიზიურებელთა განცვიფრება, როდესაც ერთერთ მოკმედებაში ნაწარმოების გმირმა ვალმა მოულოდნელად გაშალა ტრანსპარანტი ცნობილი რადიოტექნიკური ფირმის რეკლამით და წაიკითხა ლექსები, რომელთაც არავითარი საერთო არ ჰქონდა პიესის შინაარსთან.

გაზეთი „დერ მორგენის“ კორესპონდენტმა კითხვით მიმართა „ატელიეს“ ხელმძღვანელს, ვალის როლის შემსრულებელ ახალგაზრდა მსახიობ ვეიტ რელინს და თხოვა ახსნა, როგორ მოუვიდა თეატრს ასეთი რამ. გამოირკვა, რომ თეატრი ფინანსიურად სავალალო მდგომარეობაშია და ვეიტ რელინი იძულებული იყო ასე გაეკეთებინა.

„რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა შევინარჩუნო ეს თამამი თეატრი, ამისათვის კი სხვა გზა არ არსებობს!“ — სინანულით თქვა ვეიტ რელინმა.

ᲐᲨᲨ

ᲛᲐᲠᲚᲘᲜ ᲓᲘᲢᲠᲘᲮᲘᲡ ᲐᲜᲢᲘᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ

ამასწინათ ამერიკაში მცხოვრებმა ცნობილმა გერმანელმა კინომსახობმა მარლენ დიტრიხმა ლონდონში მოაწყო დოკუმენტური ანტიფაშისტური ფილმის „შავი მელას“ განხილვა. ფილმი მოგვითხრობს გერმანელი ფაშისტების ბარბაროსულ დანაშაულობებზე კაცობრიობის წინაშე. ფილმში ტექსტს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე კითხულობს თვითონ დიტრიხი. სცენარი დაწერა ლუის კლაიდ სტაუმენმა. იგი ამავე დროს ფილმის რეჟისორიც არის. როგორც გაზეთი „დეილი უორკერი“ იუწყება, მარლენ დიტრიხმა განაცხადა, რომ ეს ფილმი აუცილებლად უნდა შეგვექმნა, რათა ადამიანებისათვის ნაციზმის სისხლიანი საქმეები მოგვეგონებინა.

ერთ-ერთი კორესპონდენტი შეეკითხა მარლენ დიტრიხს, ხომ არ ეშინია იმის, რომ მისი მონაწილეობა ფილმებში „ნოურნბერგის პროცესი“ და „შავი მელა“ ჩრდილს მიაყენებს მის პოპულარობას დასავლეთ გერმანიაში. „ეს სრულებითაც არ მაღელვებს, — უპასუხა მსახიობმა, — მე ხომ სწორედ ფილმ „შავი მელას“ გამო დავტოვე დასავლეთი გერმანია. რა ოქმა უნდა, მე გერმანელი ვარ, მაგრამ არ შემიძლია შევრიგებოდი იმას,

რასაც დაამბგავსა ჩემი ქვეყანა ნაცხმმა“.

ერნესტ ჰემინგუეის ლიტერატურული მემკვიდრეობა

„მომდინარე წელს ამერიკაში უნდა გამოიცეს ერნესტ ჰემინგუეის პარიზზე დაწერილი წიგნი „უფრეკი ზეიმი“— იუწყება გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი. იგი ესაუბრა მწერლის ქვრივს მერი ჰემინგუეის. წიგნის რამდენადმე უნეიფული სახელწოდება შეიძლება აიხსნას მწერლის 1950 წლით დათარიღებული შემდეგი სტატეებით: „თუ თქვენ ჭკოდით ბედნიერება ახალგაზრდობაში პარიზი ნეგეხოგრთ, მაშინ, სადაც არ უნდა მოხვდეთ შემდეგ, პარიზი თქვენს მეხსიერებაში დარჩება, როგორც დღესასწაული“.

წიგნი შედგება რამდენიმე თავისაგან, ეს ბოთხრობილია ადამიანებზე, მოელენებსა და ადგილებზე მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე რომ ახსოვდა დიდ მწერალს.

მერი ჰემინგუეიმ კორესპონდენტს უთხრა, რომ იგი ამ ცოტა ხნის წინათ იყო პარიზზე, მოინახულა მეუღლის წიგნში აღწერილი ყველა ქუჩა და ადგილი. უდიდესი დაკაკრეთი გამოწვეული მწუხარების გრძნობა მუდამ თან სდევდა მწერლის ქვრივს, მაგრამ მას სიამოვნებას ჭვრიდა ჰემინგუეის საოცარი სიზუსტე უმნიშვნელოვანეს დეტალებშიაც ეს. „წიგნი, — თქვა მერი ჰემინგუეიმ, — გვაცქნის ერნესტს უფრო მეტად, როგორც ადამიანს, ვიდრე მწერალს. ეს ნაწარმოები, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო მეტად ჭვავს თვით მას, ვიდრე მთელი მისი შემოქმედება“.

მწერლის ხელნაწერთა შორის, ნიუ-იორკის პირველი ნაციონალური ბანკის სეიფებში რომ ინახება, არის აგრეთვე გამოუქვეყნებელი რომანი მეორე მსოფლიო ომზე. ამ რომანში მწერალი აღწერს გერმანიის წყალქვეშა ნავებზე ნადირობას, სადაც ჰემინგუეი პირადად მონაწილეობდა.

მერი ჰემინგუეიმ დაასახელა გამოუქვეყნებელი ნარკვევების წიგნი, მასში აღწერილია ფორიკაში მოგზაურობა 1953 — 54 წლებში. აღნიშნა კიდევ რამდენიმე მოთხრობა მეორე მსოფლიო ომზე.

როგორც ცნობილია, ჰემინგუეიმ ანდერძით აკრძალა გამოსცეს მისი პირადი წერილები. მწერლის კორესპონდენციებს მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენებს ბიოგრაფიისთვის პროფესორი ბეიკერი.

როგორც პრესა იუწყება, „უწყვეტ ზეიმს“ 1964 წლის გაზაფხულზე გამოსცემს ავრეთვე ჯონათან კეიპის გამომცემლობა ინგლისში.

ჯარისკაცებს არ სურთ იომონ

რეჟისორმა კარლ ფორმენმა დაამთავრა ფილმ „გამარჯვებულების“ გადაღება. იგი მოგვითხრობს ამერიკელ ჯარისკაცებზე მეორე მსოფლიო ომის დროს. მოქმედება მიმდინარეობს ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და იტალიაში. ნაჩვენებია ლონდონის დაბომბვა გერმანელების მიერ, მოკავშირეების გადასხმა იტალიის სამხრეთში. მიმოხილველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რეჟისორის მზანია აჩვენოს ჯარისკაცების ზიზღი ომისადმი, მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანების სურვილი — იცხოვრონ მშვიდობიანად“.

ამერიკის პრესა იუწყება, რომ გადაღები ჯგუფის წევრებს მოუხდათ ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული წრეების წინააღმდეგობების გადალახვა. მათ არ მოსწონთ ფილმის „ანტიპატრიოტული“ მიმართულება.

ძველი ყაიდის მწერალი

ამერიკის შეერთებული შტატების ლიტერატურული საზოგადოებრიობა დიდი ხანია თვალეურს აღევნებს მოკავშირ ლებული მწერლის ჯონ ჩეინეის ვერის შემოქმედებას.

ჩივერი ყოველთვის გაურბოდა სარეკლამო აურზაურს. მისმა რომანმა „უებპატიკების საოჯახო ქრონიკა“ (გამოვიდა 1958 წელს) „ნეშმ ბუა ევორდის“ ლიტერატურული პრემია დაიმსახურა.

რომანის მთავარი მოქმედი გმირები ამერიკული ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ძმები მოუზეს და კოვენდ უებპატიკები არიან. იგივე გმირები მოქმედებენ ჩივერის ახალ რომანშიც „აურზაური უებპატიკებთან“.

კრიტიკეის აზრით, ავტორის მიერ დახატული „ამერიკული ყოფის“ სურათები საკმაოდ არასახარბიელოა: ნაწარმოების გმირები სულიერად გამოფიტულნი, გაბრწყინნი, მორალურად დაცემულნი არიან. მათ გაუთავებელი საოჯახო და სასამართლო უთანხმებანი აქვთ.

ჩივერის წერის მანერა რეალისტური და ეს სავსებით საკმარისია, რომ ყოველკეთილ ფურნალ „ტაიმს“ რეცენზენტმა მას „ძველი ყაიდის მწერალი“ უწოდოს.

გულგარეთი

თანამედროვე ადამიანის სახე

ივანელ პეტროვს საკმოთა მკითხველი იცნობს მოთხრობით „ნონკას სიყვარული“ (დაიბეჭდა „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ 1958 წლის პირველ ნომერში). ახლახან გამოვიდა მწერლის ახალი წიგნი „პატარა ილეზიები. ჩანახატები ფანქრით“. ავტორი ძუნწი შტრიხებით ხატავს ახალი ბულგარეთის მშენებელი თანამედროვე ადამიანის სახეს.

„თავის ჩანახატებში მწერალი ეძებს ადამიანის მორალურ სილამაზეს, — წერს ფურნალი „სეპტემბერი“, — მას უნდა, ჩვენი თანამედროვე ადამიანის სული განიწმინდოს წარსულის

ჟუკეისაგან. მოიშოროს წერილმანი ეგოიზმი, მეშინაონობა. ივაილო პეტროვი სილამაზეს უცქერის არა როგორც მომაყალი იდეალს, არამედ იგი ეძიებს მას აწმყოში, ცდილობს იპოვოს დღევანდელობაში".

ჟურნალის მიმომხილველი ათანასე ხვილოვიის აზრით, წიგნი „პატარა ილუზიები" არის მწერლის თავისებური დღიური, იგი მკითხველს გადაუშლის ადამიანის სულიერი სამყაროს სიმდიდრეს. პეტროვის მოთხრობების — „ძველი წაბლის ხე", „დედა", „თავისუფლების ერთი წამი", „ჩვენი თანამემამულეს" — გმირები სწორედ ასეთი ადამიანები არიან.

„პატარა ილუზიები" მშვენიერი წიგნია, მასში ასახული ადამიანები და მოვლენები აღელვებს მკითხველს და ასწავლის მას ახალი ცხოვრების შენებას", — დასასკვნის მიმომხილველი.

გდრ

ჰაინეს სახელობის პრემია

როგორც გერმანული პრესა იუწყება, ჰაინეს სახელობის პრემია 1963 წელს მიენიჭათ ცნობილ ფრანგ პუბლიცისტ ვლადიმერ პოზნერს და გერმანელ პოეტ გენიე კალაუს. გაზეთები აღნიშნავენ პოზნერის დიდ დამსახურებას ფრანგული პროგრესული და გერმანული სოციალისტური ლიტერატურის კავშირის განმტკიცების საქმეში.

„1933 წლიდან ვლადიმერ პოზნერი მეოცეროდ იყო დაკავშირებული საფრანგეთში მცხოვრებ გერმანელ ანტიფაშისტ ემიგრანტებთან", — წერს გაზეთი „ტრანსერენ ცეიტუნგი".

„ახალგაზრდა პოეტმა გენიე კალაუმ ჰეინეს სახელობის პრემია დაიმსახურა თავისი მებრძოლი, პარტიული, ხალხური ლირიკისათვის", — აღნიშნავს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი".

„მგელი მგლეს შორის" ეკრანზე

ჟურნალ „ფილმშპიგელის" კორესპონდენტი იუწყება, რომ ჰანს ფალადას რომანის „მგელი მგლეს შორის" მიხედვით დაწერილი სცენარით მიმდინარეობს ფილმის გადაღება. მისი რეჟისორია ჰანს იოჰან კასპრეიკი.

რომანმა კინომუშაკების უყურადღება მიიპყრო იმით, რომ მასში რეალისტური ფერებითაა ასახული 20-იანი წლების გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრება.

„ჩვენ არ გვაინტერესებს ფალადას მოდერნიზაცია, — განუცხადა კასპრეიკმა კორესპონდენტს, — ჩვენ ვცდილობთ სწორად გადმოვცეთ იმდროინდელი ატმოსფერო. ამისათვის ვისარგებლეთ კინოდოკუმენტებითაც კი".

ახალი ფილმი მალე გამოვა ეკრანზე.

გფრ

უცნაური „ანთოლოგია"

მიუნხენში გამოვიდა კრებული „რუსული ლიტერატურის შედევრები". იგი თარგმნა და კომენტარები დაურთო ვინმე ხირშბერგმა. კრებული მკაცრად გააკრიტიკა ყოველკვირეული გაზეთის „ცეიტის" რეცენზენტმა. მან ამბილა წიგნის ანტიგეცნიერული ხასიათი და ის აშკარა უპასუხისმგებლობა, რაც კრებულის შედგენისას გამოიჩინეს.

რეცენზენტნი ბრალს დებს ხირშბერგს რუსული ლიტერატურის რეალებისა და ქრონოლოგიის უცოდინარობაში. „ავტორი ურევს თარიღებს, მემკვიანე ნეხტორს „წმინდანს" ეძახის. „იგორის ლაშქრობის ამბავს" თარგმნის პარალელურრითმიანნი, ოთხტრფიანი ქორეი და თან უმოწყალოდ ამახინჯებს აზრს", — წერს რეცენზენტი. ანტიმეცნიერულ კლასიფიკაციას ავტორი იქამდე მიჰყავს, რომ განეოფილებაში „რუსული რელიგია და მისტიკა" ეერთიანებს პუშკინს, მეტატანაე ნესტორსა და ტოლსტოის. „იგორის ლაშქრობის ამბავი" კი შეტანილია განეოფილებაში — „უძველესი რუსული ზღაპრები და ლეგენდები", ხოლო შოლოხოვის ნაწარმოებები და გორკის „დედა" გვერთიანებულია ერთი საერთო სათაურით — „ძველი რუსული ცხოვრების აღწერების" — ქვეშ.

გამანადგურებელი კრიტიკა დაიმსახურა ტექსტის ხირშბერგისეულმა კომენტარებმაც. თითქმის ყველა მწერალი ერთი და იგივე, „ეპითეტითაა" დახასიათებული — „ჰეშმარიტად რუსული".

დანია

„სამი მწერალი"

ამ სათაურით გამოვიდა ჰანს შერფიგის წიგნი, სადაც მოცემულია მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატების, მწერლის უახლოესი მეგობრების — ნურდალ გრიგის, ბერთოლდ ბრეჰტისა და ჰანს კრაკის ლიტერატურული პორტრეტები. გაზეთ „ლანდოგ ფოლკის" რეცენზენტმა აზრით, შერფიგი არ იფარგლება წმინდა ლიტერატურული კვლევა-ძიებით, იგი, ამავე დროს, გაბედულად ეკამათება დასავლეთის იდეოლოგიური დისკუსიის თეორეტიკოსებს.

სამივე პორტრეტში შერფიგი აკრიტიკებს ბურჟუაზიული „ფორმალისტური ბანაკის" წარმომადგენლებს, მუშათა კლასის მხარეზე დამდგარ მწერლებს იდეურად დაწნეულ ადამიანებად რომ ხატავენ.

„გრიგი, ბრეჰტი, და კრაკი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მწერლები არიან, მაგრამ მათ ერთიანებენ მკაფიოდ გამოსახული სოციალისტური რწმენა, ამ სამი მწერლის „ერთგვაროვნების" მტკიცება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, თვითეული მათგანი იყო ნათელი, საინტერესო და თავისთავად მხატვარი", — წერს შერფიგი.

რეალიზმის დასაცავად

მადრიდში შედგა მწერალთა საერთაშორისო სემინარი. იგი მოაწყო „იუნესკოს მეგობრების კლუბმა“ და ესპანეთის „ფრანგუფლმა ინსტიტუტმა“.

რამდენიმე დღეს გრძელდებოდა დისკუსია სხვადასხვა შემოქმედებითი მიმართულებების მწერლებსა და პოეტებს შორის თემაზე — „რეალიზმი ლიტერატურაში“. ცხარე კამათი გამოიწვია საკითხმა, აქვს თუ არა დღეს რომანს არსებობის უფლება, რამდენად უნდა დაუახლოვდეს პირონი „ცხოვრების პროზის“ მკაცრ სინამდვილეს. სხვანაირად რომ ითქვას, დისკუსია ეხებოდა მწერლის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ესპანელი და საზღვარგარეთელი მწერლების უმრავლესობამ გაილაშქრა იტალიური ჟურნალის „ტემპო პრეზენტის“ რედაქტორის ნიკოლა კიარომონტეს წინააღმდეგ. მისი აზრით „რომანს არა აქვს არსებობის უფლება, რადგანაც საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების ყოველგვარი იმედი თანამედროვე ადამიანს დაკარგული აქვს“. რეალიზმის დასაცავად გამოვიდნენ ცნობილი პოეტი გაბრიელ სელაია, ლიტერატორები — მიგელ დელიბესი, ხუან გარსია ორტელანი, ლოპეს სალინასი და სხვები. „პოეზია ნეიტრალური არ არის და არც ადამიანს ძალუძს ფიქრ ნეიტრალური იყოს. პოეტი ხომ უპირველესად ყოველისა ადამიანია“, — განაცხადა გაბრიელ სელაიამ.

სემინარის მონაწილეებმა პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ ესპანეთის პრესამ დუმილით აუარა გვერდი მწერალთა ესოდენ ნნშანველოვან საერთაშორისო ღონისძიებას და ცილი დასწამა ესპანეთის პროგრესულ ინტელიგენციას.

„ნუ გაიკვირვებთ ადგილობრივი პრესის დუმილს. იგი ხომ აქ არასდროს არაფერს გამოხატავდა და თუ გამოდის, მხოლოდ იმისთვის, რომ დაამახინჯოს თქვენი აზრები“,— განაცხადა თავის დასკვნით სიტყვაში სემინარის თავმჯდომარემ, ფილოსოფოსმა ჰ. პუბლიციტაკი ხოსე ლუის არანგურენმა.

მადრიდის მწერალთა საერთაშორისო სემინარმა დაიცვა რომანი და ხაზი გაუსვა მწერლის დიდ როლს თანამედროვე საზოგადოებაში.

ინტერვიუ ავი-შაულთან

პროგრესულმა ებრაულმა ჟურნალმა „ალჯადიდმა“ (გამოდის არაბულ ენაზე) დაბეჭდა ინტერვიუ გამოჩენილ ებრაელ მწერალსა და მსოფლიო ლიტერატურის მთარგმნელ მორდეკაი-ავი-შაულთან. მან თარგმნა ჯეკე ლონდონისა და იაროსლავ ჰაშეკის, თომას მანისა და ბერტოლდ ბრეტის, ალეკსი ოიეფფისა და ბელა ილეშის ნაწარმოებები. თვითონ მისი მრავალი ნაწარმოების თემა ადებულია არაბთა ცხოვრებიდან.

კითხვაზე, თუ რით იტაცებს მას არაბული თემატიკა, ავი-შაულმა უპასუხა: „ჩემი სურვილია ბედნიერად ვიგრძნო თავი არაბებთან ერთ სახელმწიფოში. ჩემი სურვილია ერთ სახლში ვიცხოვრო მათთან ერთად, მათიც ახარებდეთ ჩვენი სიხარული. ებრაელ მწერალთა უფდერება ის არის, რომ ისინი არაბებზე წერენ, როგორც „უცხოელებზე“.

შემდეგ ავი-შაულმა განაცხადა, რომ დასაბეჭდად მოამზადა ნოველების კრებული. ამ ნოველების გმირები ებრაელი და არაბი ბავშვები არიან.

თანამედროვე ებრაული ლიტერატურის უმთავრეს პრობლემას, ავი-შაულის აზრით, წარმოადგენს შოვინიზმთან ბრძოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერნარდ შოუს უცნობი ნაწერები

1950 წელს, ბერნარდ შოუს გარდაცვალების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ სახელგანაქმოქმა დრამატურგმა მთელი თავისი არქივი უანდერძა ლონდონის „ეკონომიკის სკოლას“. როგორც რეტერის სააგენტო იუწყება, ეს ფასდაუდებელი მემკვიდრეობა დღემდე არ არის ბოლომდე შესწავლილი.

ამასწინათ შოუს არქივში აღმოჩნდა 13 რეპუტისაგან შემდგარი დღიური. იგი 1885—1897 წლებს ეხება და უცნობია დრამატურგის ყველა მოგზაურობისათვის. ეს აღმოჩნება ეკუთვნის ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სასტატო პროფესორს სტენლი რიპნისს. ამერიკელი მეცნიერი სამი წლის განმავლობაში შიფრავდა შოუს სტენოგრაფიულ ჩანაწერებს და ადგენდა ამ ნაწერებზე ბიბლიოგრაფიულ ნაშრომ-ზადა ათასგვერდიანი წიგნი.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტის აზრით, შოუს დღიურები მეტად ძვირფასი მასალაა მკვლევარებისთვის. მასში დიდი სიზუსტითაა აღნუსხული დრამატურგის ცხოვრების ყველა დეტალი, ლაპარაკია საკუთარ წარმატებებსა და სხვა მწერლების წიგნებზე. დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ დღიურში ნახსენებია 1894 წლით დათარიღებული მისი ორიოქმედებითნი პიესა. ეს პიესა ჯერ არც გამოქვეყნებულა და არც დადგმულა.

ეიზენშტეინის ნახატების გაბმაფენა

ორი თვის განმავლობაში ათასობით ინგლისელმა დათვალიერა ლონდონში გახსნილი ეიზენშტეინის ნახატთა გამოფენა.

გამოფენის ერთ-ერთ უმთავრეს ნაწყვეტილებს შეადგენდა ეიზენშტეინის ჩანახატები ფილმებისათვის „ალექსანდრე

ნეველი“ და „ივანე მრისხანე“. ამ ფილმებმა ინნელისის საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება დაიმსახურეს. ჟურნალ „სიატ ენდ საუნდის“ რეცენზენტი გამოფენის შესახებ წერს: „ეიზენშტეინის გენიალობა, ის, რომ მას შეეძლო ქაღალდზე გამოესახა ფილმისთვის ყველაზე უმთავრესი, დაუოკებელ სურვილს იწვევს გაეცნო კინორეჟისორის უკანლბივ ყველა ჩანახატს“.

გამოფენის სხვა განყოფილებები წარმოდგენილი იყო ეიზენშტეინის თეატრალური, სამალტო, სოპერო, საცირკო და სავსტიდიო ჩანახატები, მათ შორის ფერადი ფანქრით შესრულებული მექსიკური ჩანახატები.

ინნელისელი კრიტიკოსების აზრით, ყველა სურათი „სუნთქავს ოპმრირი და სიცოცხლის სიყვარულით, რაც საერთოდ, ნიშნშლილია ეიზენშტეინის ნახატებისათვის“.

გამოფენას დიდი მოწონება ხედა ენლად. უკანასკნელ წლებში ეს გამოფენა ნახეს საფრანგეთის, იტალიის, შვეიცის, გერმანიის დემოკრატიული და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკების მცხოვრებლებმა.

ლიბანი

პრემია საბჭოთა მეცნიერს

თანამედროვე ლიბანის დიდი პოეტის საიდ აკლის სახელოვნის პრემია ყოველწლიურად ენიჭებათ სხვადასხვა ქვეყნების ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს ყველაზე თვალსაჩინო ნაწარმოებებისათვის, აგრეთვე ლიბანისადმი მიძღვნილი მეცნიერული შრომებისათვის.

ამასწინათ ეს პრემია მიენიჭა საბჭოთა ისტორიოს კრუპნოვს, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა უძველესი ისტორიის სპეციალისტს. მეცნიერმა შეძლო დადგინა უძველესი კავშირი ჩრდილოეთ კავკასიასა და ძველ ფინიკიას შორის. როგორც ცნობილია, ფინიკია ახლანდელი ლიბანის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

საფრანგეთი

პაბლო პიკასოს დასაცავად

ყოველ კვირეული ჟურნალი „ლენერ ფრანსეზ“ სათაურით „როგორ დასწმეს ცილი პიკასოს“, ბეჭდავს პიერ დეკანის სტატიას, სადაც ლაპარაკია ინ თავდასხმებზე, ამ ბოლო ხანებში რომ მოუწყვეს დიდ მხატვარს. პიკასოს მიაწერენ მოგზაურობებს ისეთ ქვეყნებში, სადაც იგი არასოდეს არ ყოფილა, აგრეთვე ისეთ აზრებს, რაც მას არასოდეს გამოუთქვამს.

ამ ცილისწამების პირველწყაროს წარმოადგენს ჯოვანი პაპინის „ეგი წიგნი“. იგი რამდენიმე წლის წინათ ვამოვიდა, როგორც ვინმე მილიარდერი გოგის მემუარები. გოგს შესაძლებლობა ქონდა შეეს ყიდა ფართო საზოგადოებრიობისთვის უცნობი მხატვრობისა და სულსაპატრის შედეგრები, დიდი მწერლების ხელნაწერები; შეხვედრდა თავისი დროის გამოჩენილ ადამიანებს. იგი იცნობდა პიკასოსაც, როგორც ამას ამტკიცებს „შავი წიგნის“ ავტორი.

„პაპინის უხეშად დასწმა ცილი პიკასოს, — წერს პიერ დეკანი, — მხატვარს მიაწერენ სიტყვებს, რომლებიც თითქოსდა მან გოგს უთხრა: ოქვენ არც კრიტიკოსი ხართ და არც ესთეტი, ამიტომ შემიძლია გულახდილად გესაუბროთ. ახალგაზრდობაში მე თავეკის ვცემდი დიდ ხელოვნებას. მაგრამ წლებმა შემაგნებინეს, რომ ხელოვნება, როგორც ესმოდათ იგი მე-19 საუკუნის ბოლოდდე, ახლა სულს ღაფავს, ხოლ უკვე გამოუტანეს ისტორიის განაჩენი“. პაპინის სიტყვებით „პიკასო ცდილობს ალღო აიღოს მდიდრების გემოვნებასს“.

მხატვრის ეს „აღსარება“ გამოიყენეს საფრანგეთისა და სხვა ბურუჟუაზიული ქვეყნების პრესის მთელმა რიგმა ორგანოებმა და პიკასოს მიაწერეს აგრეთვე განცხადება, თითქოს იგი „საზოგადოებრივ უბრალო გამრთობია და მეტი არაფერი“.

„პიკასოს ყველაზე დაუძინებელი მტრებიც კი არ მისულან აქამდე, — წერს დეკანი, — მსოფლიომ იცის, რომ მთელი თავისი ცხოვრება პიკასომ ეეშმარიტ ხელოვნებას მიუძღვნა. დიდი თავხედობაა მიაწერო მხატვარს მსგავსი აზრები. ის ადამიანებიც კი, ვისაც არ ესმის მხატვრის სურვილები, ჯერეოვან პატივს სცემენ პიკასოს დიდებულ შემოქმედებას“.

დეკანი საზოგადოებას მოაგონებს, რომ ომის წლებში პიკასო შვიდი კომუნისტური პარტიის რიგებში, მას არ დაუტოვებია პარიზი და იგი შემოქმედებითი ინტელიგენციის „წინააღმდეგობის მოძრაობის“ სიმბოლოდ იქცა, ხოლო 1944 წლის 6 ოქტომბერს, როცა „შემოდგომის სალონში“ მისი ნაწარმოებებს გამოიფენა მოეწყო, დარბაზში შემოიჭრნენ ფაშისტები და ულოდდათ სალონის დარბევა.

„პიკასოზე ასეთი საზიზღარი ცილისწამება დიახაც დამფიქრებელია, — განაგრძობს დეკანი, — მე ვეღარდები იმ დღეს, როცა გაზეთები, მთელი ეს შეთითხნილი ისტორია რომ გამოაქვეყნეს და პიკასოს ჯოვანი პაპინის ბინაზეური აზრები მიაწერეს, აუწყებენ თავიანთ მკითხველებს სმპრთლეს“.

ჩეხოსლოვაკია

„ღამეს განდევნის დღე“

გამოვიდა კარელ ტაჩჩიეის ტრილოგიის უკანასკნელი წიგნი „ღამეს განდევნის დღე“.

გაზეთმა „რუდე პრავომ“ დაბეჭდა კრიტიკოს ინ პეტრმიხლის ვრცელი სტატია, სადაც ნათქვამია: „ახალ რომანში მწერალი მოგვითხრობს პატარა ჩეხურ ქალაქში მომხდარ ამბებს და ამით გვიჩვენებს

საზოგადოებრივ - ისტორიული განვითარების პროცესს ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში".

პატრმხილი აღნიშნავს რომანის დიდ მხატვრულ ღირსებებს, მის აქტუალობას და პატიჩნიკს „ჩვენი დღეების თვალსაჩინო მხატვარსა და ისტორიკოს" უწოდებს.

მნიშჯკო თავის წიგნზე

ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა ინტერესით შეხვდა ვლადისლავ მნიჩკოს ახალი წიგნის „დაგვიანებული რეპორტაჟების" გამოსვლას. ავტორი მოგვითხრობს პროოვნების კულტისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევის პერიოდში ზოგიერთ ადამიანთა ტრაგიკულ ბედზე.

ეურნალ „კულტურულ ტვორბას" კორესპონდენტთან საუბრის დროს თავისი ახალი წიგნის შესახებ მნიჩკომ განაცხადა:

„მე ვწერი და კვლავაც დავწერ ყველაფერ იმაზე, რაც ჩვენს ყოფაში მშვენერი, ჯანსაღი და ეურადსაღებია, მაგრამ ცხოვრების გზაზე ჯერ კიდევ გვხვდება წარსულიდან შემორჩენილი დაბაკლილებები; ისინი უნდა გადავლახოთ, ამ შემთხვევაში დუმილით საქმე ვერ უშველი. „დაგვიანებული რეპორტაჟები" დროის პროდუქტია, გულახდილად რომ ვთქვა, ამ წიგნში წამოვკრილი პრობლემები დიდი ხანია არსებობს, მაგრამ მათზე დაწერა და გამოქვეყნება მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XII ყრილობის შემდეგ შეეძელი".

„ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი კმაყოფილი იქნება..."

ვოიტიხ მიგალიკის ინტერვიუ

გამომცემლობა „სლოვენსკი სპისოვატელის" მთავარმა რედაქტორმა, ცნობილმა პოეტმა ვოიტიხ მიგალიკმა გაზეთ „ოუდე პრავოს" კორესპონდენტს განუცხადა, რომ გამომცემლობა ყოველწლიურად ბეჭდავს ასამდე წიგნს და რომ ახლო მომავალში გამოშვებული წიგნების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. „სლოვენსკი სპისოვატელი" ბეჭდავს როგორც გამოჩენილი ავტორების, ისე დებიუტანტების წიგნებსაც.

მალე გამოვა ჩეხოსლოვაკიის მწერალთა კავშირის პრემიის ლაურეატის, ლაკი ნოვომესკოსის ლექსების წიგნი „ღია სარკმლები", აგრეთვე რუდოლფ ფაბრის, მიხალი ხორვატის, მილანა ლაიჩიაკის და სხვათა ახალი ლექსები. სანინტერესო პროზაული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ალფონს ბედნარის ტრილოგიის პირველი წიგნი, აგრეთვე მელო ფრანანის რომანის „ჩაძრაალი ჩირაღდნების" გაგრძელება, კატარინა ლაბორეკას „თავადის ასული ლემბერგელი" და სხვ.

მიგალიკმა აღნიშნა, რომ სლოვაკიის თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელია ახალგაზრდა ავტორთა ეგრეთ წოდებული „შემოქმედებითი შეტევა" სულ ცოტა ხნის წინათ დაობდნენ იმაზე, რომ ქმნილნ თუ არა ახალგაზრდა მწერლები რაიმე საყურადღებო ნაწარმოებებს, ახლა კი გამომცემლობები ერომანეთს ეჯიბრებიან ახალგაზრდების წიგნების გამოცემაში.

განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს ახალგაზრდა მწერლებმა ვლადიმერ ბედნარმა, პეტერ ბალგამ, მარინა ჩერეტკოვამ და სხვებმა.

— „იმედია, მკითხველებს გაახარებს წიგნების ახალი სერია „პოეზიის მოყვარულთა წრე" — თქვა მიგალიკმა. — ამ სერიაში დაიბეჭდება ჩეხოსლოვაკიი პოეტების ახალი ნაწარმოებები, ჩვენი მკითხველებისათვის დღემდე უცნობი საზღვარგარეთელი ავტორების ლექსები. ჩვენ ამ სერიის წიგნების გრაფიკულ გაფორმებაზეც ვიზრუნეთ. ზოგიერთი კრებულში სუვენირის სახით ჩადდები ავტორების მიერ წაკითხული ლექსების ფირფიტებს".

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლუსანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: **რედაქტორის** — 5-08-75, **პ/მგზ მდივნის** — 5-08-86, **განყოფილებების კრიტიკისა და პუბლიცისტიკის** — 5-08-85, **პოეზიისა და პროზის** — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/VII-64 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 724. უე 04493. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 7 500.

ბეჭდვითი სტატუსის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშენებლობაზე
ფოტოეტიუდი ოთარ თურქიანი

ცვლა დამთავრდა

მხატვარი ტატე შეყილაძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლმეურნე გოგონა

მოქანდაკე ვ. ნოზაძე

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ"

ИЗДАТЕЛЬСТВО

„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА"

ИНДЕКС 76236